N9 (508) 4/III-10/III-2010 ფასი 1 ლარი

გზა

1168
2010

ქართული პროზის საგანძური

ტომი №1 გურამ დოჩანაშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი მიხეილ ჯავახიშვილი

„ჩემმა გრძნობამ ამოხეთქა...“

მომღერლის ამბიციური გეგმები და ქართველების სამიზნე

თინა კანდელაკი ახალ ინტრიგას ხლართავს

მოტყუებული ანრი ჯოხაძე

ქალი, რომლის გამოც ნაძლევს დებენ

კაცი, რომელიც მიცვალებულთა გარემოცვაში ცხოვრობს

„საფლავის ქვა უკვე გავიკეთე“

ქართველი მულატის დანახვისას მოხუცები პირჯვარს იწერენ

ISSN 1987 - 5029

ყველასთვის სასურველი, მაგრამ ვინღაცისთვის საპატარძლო

!დაიწყო!

„ქართული პროზის საგანძური“



თქვენთვის
და თქვენი შვილებისთვის!



ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №1 - გურამ დოჩანაშვილი

წიგნის ფასი 3! დიახ, სამი ლარი!

**ეს ფასი, პირველი ტომისთვის,
ძალაშია მხოლოდ
4-დან - 11 მარტამდე!**

გამოიწერეთ „გზა“ და საგანძურის ყველა ტომს შინ მოგართმევთ, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“ ტელ:38 26 73:38 26 74

№9 (508)
4 - 10 მარტი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

■ მინიატიურები 5
მოსკოვს ცრემლების არ სჯერა(?!)
■ ინფორმაცია 6
■ საფრთხე 7
■ რეპორტაჟი 8
■ პროექტი 10
„ქართული პროზის საგანძური“ — ჟურნალ „გზასთან“ ერთად!
■ პერსონა 12
პატრიარქის ერთ-ერთი შთამომავალი და პოლიტიკური ექსპერტის მიერ გავლილი ცხოვრება
■ მეომარი 16
„სისუსტის უფლებას ჩემი შვილის ხსოვნა არ მაძლევს...“
■ მოგზაური 19
თვითმფრინავში დაკარგული ფეხსაცმელი და პილოტის სალონში მოწეული სიგარეტი
■ კონკურსი 21
ქართველების სამიზნე „ევროვიზიაზე“
■ კარიერა 22
„როცა ჩემს ფუნქციას შევასრულებ, ესტაფეტას ახალგაზრდა თაობას გადავცემ“
■ ამპლუა 24
პირველი ჰონორარი, რამდენიმე პროფესიის მშვენიერი მსახური და ტანდაბალი პარტნიორები
■ მსახიობი 26
„აფხაზეთის ომში ტყვედ ჩავვარდი“...
■ ეკრანს მიღმა 28
ცეკვა „შუშის“ ნატეხებზე, გაჭიმული ყირა და საოცნებო როლი
■ ვარსკვლავები 30
■ ცხოვრების გზა 31
ერთ დროს ყველასთვის სასურველი საპატარძლოს უცნაური ბედისწერა
■ მინირომანი 33
■ ნამდვილი ამბავი 36
უიღბლო კოლექციონერი
■ თქვენთვის, ქალბატონებო! 37

ქვეყანა



ქართველი გმირის რუსი დედის ტკივილი და სიამაყე

„ ჩემი თხოვნაა, 11 მარტს კიდევ ერთხელ მივიდეთ შინდისში. ის ჩემთვის და ჩემსავით გამწარებული დედებისთვის წმინდა მიწაა, რადგან ჩვენი გმირების სისხლით არის გაჟღენთილი — კიდევ ერთხელ დავუნთოთ სანთელი ჩვენს შვილებს...“

7

სახე

თვითმფრინავში დაკარგული ფეხსაცმელი

„მოგზაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ სამოგზაუროდ წასასვლელად, ფულის გარდა, განწყობილებაც მჭირდება... ამიტომ არის პერიოდი, როცა სამოგზაუროდ წასვლა სულაც არ მინდა. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ რაიმე გეგმა“.

19

ცხოვრება

მიცვალებულებთან დასახლებული მოხუცის ამბავი

„აქ რომ ჩამოვედი, ბებია-ბაბუის სახლი გაყიდული დამხვდა. სოფლის გამგებელს პატარა მიწის ნაკვეთი ვთხოვე, მაგრამ არ მომცა. სხვა რა გზა მქონდა?.. წამოვედი და აქ დავსახლდი“.

31

გზა ვნილები

„სიყვარულს ამდენი ფიქრი არ სჭირდება“

„რას ჰქვია, ძალიან არ გიყვარს?! არ მისცე უფლება, შენს გრძნობებზე ითამაშოს. არასდროს იტირო იმისთვის, ვინც ამას არ იმსახურებს, ხოლო ვინც იმსახურებს, ის არასდროს აგატირებს. შენს თავს პატივი ეცი და არ გაეკიდო, თავად მოვა შენთან. ღმერთი შენკენ“.

83

განდეგილი 38
მიცვალებულებთან დასახლებული მოხუცის ამბავი
სიტუაცია 40
ეს სამყაროა 43
ავტო 46
საკითხავი ქალებისათვის 47
ისტორიის ლაბირინთები 49
„საქართველოს მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკიდან“ — ილიას მკვლელობამდე
შეუცნობელი 52
ზაძარი 54
ლათინურ-პაპისტური ცდომილებები და სწვალება რომის პაპის უცოდველობაზე
ჯანმრთელობა 56
პროფესია 59
„სკოლაში 50 წელია ვმუშაობ, ჩემს ხელში უამრავ თაობას გაუვლია“
ფესვები 60
ქართულად მოლაპარაკე დრედიანი მულატი ანუ რატომ იწერენ მოხუცები პირჯვარს სამორი ბალდეს დანახვისას?
ემიგრანტი 63
„ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მეც ემიგრანტი გავხდებოდი“...
თინეიჯერული პონტები 64
ლექს-სენზე გაბრაზებული რუისპირი და „გზის“ მეშვეობით ნაპოვნი დები
წვეთი პოეზია 67
ავტოპორტრეტი 68
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
ქართული დეტექტივი 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
რომანი 76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)
რეალური 80
გზავნილები 83
შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო
ყველა ერთისათვის 88
მობილი-ზაცია 90
ფესტივალი 95
„შავ-თეთრი „აპრილის სუსხი“ საფრანგეთში და ჟიურის სპეციალური პრიზი
საგანძური 96
ქართული ღვინის „მოგზაურობა“ იტალიურ ეკრანზე
მოზაიკა 98
ერუდიტი 100
დათო მაღრაძის ბედისწერა და პაემანი წიგნთან
გასართობი 102
ასტროლოგია 104
სკანვორდი 105
საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო

სარძევე ჯირკვლის კისტა

სარძევე ჯირკვლის კისტა სიცოცხლისთვის საშიში არ არის. იშვიათად, მაგრამ მაინც, კისტა დიდ ზომებს აღწევს და სარძევე ჯირკვლის დეფორმაციას იწვევს.

43

ადამიანი

ქართულად მოლაპარაკე დრედიანი მულატი

„ქართულად რომ ვლაპარაკობ, ბევრს ქართველიც ვგონივარ, რადგან გამოკვეთილი აფროიდული ნაკვთები არ მაქვს. მას შემდეგ, რაც დრედი გავიკეთე, ამან ჩემი აფრიკელობა უფრო „გაამწვავა“.

59

ბიბლუსი

საბურთალოს ეზო ჩემს მეხსიერებაში როგორც პატარა, ლამაზი „მეგობრობის მოდელი“, ისე დარჩა. კვირადღეობით თითქმის ყველა ეროვნებისა და რჯულის მეზობელს ლამაზად მოვლილ, სიმწვანეში ჩაფლულ ეზოში დიდი მაგიდა გამოჰქონდა, ზედ უზარმაზარ ვერცხლისფერ სამოვარს დგამდნენ და წინადღეს მოზელილი საფუვრიანი ცომით ნაირ-ნაირ ფუნთუშებს აცხობდნენ.

67

ტაიმ-აუტი

დათო მაღრაძის ბედისწერა და პაემანი წიგნთან

„არ ვიცი, ამას რამე მნიშვნელობა აქვს თუ არა, მაგრამ დღემდე მელნიანი კალმით ვწერ, ეს აქსესუარი ძალიან მიყვარს“.

95

მოსკოვს ცრემლების არ სჯერა(?!)

შესავლის ნაცვლად არ დარჩენილა არც ერთი იუმორისტული, ნახევრად იუმორისტული თუ ძალად იუმორისტული ტელეგადაცემა და საგაზეთო წერილი, სადაც გაჩეჩილაძის ცრემლებზე არ ეშაყიროთ. იმაზე მეტადაც კი ილადავეს, ვიდრე მიშამ რომ იტირა, როცა საქართველოში პენსიონერების გაჭირვების შესახებ შეიტყო... ამიტომ, კაცმა რომ თქვას, ცოტა კი მერიდება ამ თემაზე საუბარი და, მით უმეტეს, სათაურში გამოტანა, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვითმენ, რომ არ ვიკითხო: მართლა რა ატირებდა, ტო?..

ვინც ჩემსავით ბებერია და ის „ოსკაროსანი“ საბჭოთა, რუსული ფილმიც ახსოვს, რომელსაც სათაური „მოვპარე“, დამეთანხმება, რომ დიდი გონებამახვილობა არ დამჭირვებია — ანალოგია თავისთავად მოდის: იმ შეკრებაზე მოსკოვის აჩრდილი აშკარად „დააბოტებდა“ და ცრემლებმა ხომ, საერთოდ „შეკრა“ მხატვრული სახე...

სიმართლე თუ გინდათ, მე ნამდვილად მჯერა იმ ცრემლების გულწრფელობის, აი, მოსკოვი თუ „დაიჯერებს“, ეგ არის საკითხავი... მაგრამ ესთეტიკური თვალსაზრისით, ყველაზე მეტად ნოღაიდელის ცრემლები მაინტერესებს — წარმოიდგინეთ, ატირებული ნოღაიდელი!!! ისე, ნეტავ, რაზე ტიროდა ბავშვობაში?.. ალბათ, რუსულის მასწავლებელი თუ გაუჯავრდებოდა ხოლმე...

ამასობაში კი, ბურჯანაძის რიგიც მოვიდა. უფრო სწორად, ჯერ არ უწევდა რიგი, მაგრამ „დედის დღესთან“ დაკავშირებით, მამაკაცებმა დაუთმეს და ჩვენი ოპოზიციის „რკინის ნინო“ მოსკოვს გაემგზავრა. კი ამბობდა, სანამ რუსეთი აზრზე არ მოვა და დეოკუპაციას არ დაიწყებს, ჩემი ფეხი არ იქნება იქო, მაგრამ სარვამარტოდ მაინც წასძლია სულმა — ეგენი მიჩვეულები არიან ბავშვობიდან „პა პრაზდნიკამ“ მოსკოვში სიარულს (ცეკა-ს მაღაზიებში „დუბლიონკები“ და ამბავი...). ის ნათქვამი კი... დიდი ამბავი — ეგეთ „ატკაზებზე გასულან“?! თანაც — „პოლიტიკა კომპრომისის ხელოვნებაა“ (ოღონდ, რატომღაც, ეს „კომპრომისი“, ამ ბოლო დროს, უკაცრავად პასუხია და, გადაფურთხებულის ალოკვას ჰგავს ხოლმე)!

ჰოო... ეს ალასანიაც, უცნაურ ადამიანად გადაიქცა — მაგის საქციელს გასულ კვირაში, ჰქვია: „ესაო, ისაო, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ — არაო!“ არაო და — ფა-ფუ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის „კაკ მინიმუმ“ ნახევარი! ახლა მაგან რომც იტიროს, მე პირადად, ფიქრია ჩიხრაძის ხათრითღა თუ მივცემ ხმას. თუმცა, მომკალით და, დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებამდე ერთ ვოიაჟს კიდევ მოასწრებს „ცრემლისმფრქვეველთა“ ბანაკში (ჩემი პოლიტპროგნოზების უტყუარობის შესახებ აღარ ვილაპარაკებ)... მეტსაც გეტყვით: შესაძლოა, მაგის ცრემლებიც ვიხილოთ!

ყველაზე ცუდი რა არის, იცით (ჩემი სუბიექტური აზრით, რა თქმა უნდა)? რა და, შაშიაშვილი ხომ გაგიგონიათ, ქუთაისის მერი რომ იყო და ახლა „თეთრების“ თავმჯდომარე რომ არის? „კავკასიაზე“ ჰყავდა „აქუს“ და ისეთი კარგი რამეები ილაპარაკა, კინაღამ ნერწყვებმა დამახრჩო (ჰმ, არადა, ის ხალხი ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ეს „თეთრი“ რომ ამბობდა, კომპარტიაში (ანუ „წითლებში“) სამი კაცი რომ დარჩეს, ერთი მე ვიქნებიო)... აგერ ლეიბორისტები არიან და, მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებენ, ისე მუყაითად მუშაობენ საარჩევნო სიების გასწორებაზე, გაგიხარდება კაცს. თანაც, კვირა არ გავა, რომ მართლა საჭირბოროტო საკითხზე ერთი კარგი პრესკონფერენცია თუ ბრიფინგი არ ჩაატარონ!

P.S. *ჰოდა, ცუდი რა არისო? — მკითხავთ, ალბათ... რა, ჩემო კეთილებო და, „თეთრები“ და „ლეიბორისტები“ რომ ჯობნიან, ისეთ ოპოზიციას არა მხოლოდ ნახევარმა თბილისმა (როგორც აცრემლებულმა „გრეჩიხამ“ ბრძანა), არამედ მეორე ნახევარმაც და მთელმა საქართველომაც ყოველდღე უნდა „დააქაქოს“ („დიდად ბოდიში“, ბატონებო, მაგრამ ეს ტერმინი უკვე დაამკვიდრა ქართულ პოლიტლექსიკონში ბატონმა გაჩეჩილაძემ)!*

პროვოკატორი

აფეთქება მაღაროში

3 მარტს, დაახლოებით დილის 5 საათზე ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში მოხდა აფეთქება, რომლის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა, ერთი მძიმედ დაშავდა. დაშავებული ბესო ზოსიაშვილი ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში მოათავსეს.

კომპანია „საქნახშირი“, რომელიც ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროს მფლობელია, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი კომპანიაა. „საქნახშირი“ ტყიბულის მაღაროებში 2006 წლიდან საქმიანობს. მუშაობის პირველ წლებში მაღაროების გადაიარაღების, გვირაბების აღდგენისა და მომზადების მიზნით ინვესტირება განახორციელა. საექსპლუატაციოდ მომზადდა მინდელის სახელობის მაღაროზე 3 ნახშირმომპოვებელი უბანი, ძიძიგურის სახელობის მაღაროზე კი — ერთი უბანი.

აფეთქების მიზეზებზე გამოძიება დაიწყო.

4 მარტი ქვეყნის მასშტაბით გლოვის დღედ გამოცხადდა, — ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო მიიღო. ქვეყნის პირველი პირის გადაწყვეტილებით, დაშავებულთა და დაღუპულთა ოჯახებს სახელმწიფო დაეხმარება. ■

ნინო ბურჯანაძე მოსკოვში გაემგზავრა

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მოსკოვში გაემგზავრა. ვიზიტის შესახებ მან სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია: „დღეს საქართველო, ფაქტობრივად, საერთაშორისო იზოლაციაშია მოქცეული. დღევანდელ ხელისუფლებასთან საუბარზე დეკლარირებულად უარს აცხადებს რუსეთი, ხოლო არადეკლარირებულად მსოფლიო საზოგადოება, მათ შორის ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორები... მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად აუცილებელია, საერთაშორისო არენაზე საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობა სრულფასოვნად იქნეს დანახული და გაანალიზებული... იმის გათვალისწინებით, რომ დღეს რუსეთსა და ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს სრულიად ახალი ურთიერთოების ჩამოყალიბება, ასევე, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში აქტუალურია ე.წ. „გადატვირთვის“ თემა, მიგვაჩნია, რომ საჭიროა არაორდინარული საერთაშორისო აქტივობების დაუყოვნებელი განხორციელება... ვფიქრობთ, რუსეთთან პოლიტიკური დიალოგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის... აუცილებელია ყველა არსებული რესურსის მაქსიმალურად გამოყენება; სწორედ ამიტომ მივემგზავრები მოსკოვში, ხოლო შემდგომი ორი კვირის განმავლობაში დაგეგმილი მაქვს შეხვედრები ბრიუსელში, ევროპის სხვადასხვა დედაქალაქში და აშშ-ში“. ■

ვლადიმირ პუტინი მიცვალებულებს ესაუბრება



პუტინმა რეჟისორ ვლადიმირ მოტილის გარდაცვალება მის გარდაცვლილ მეუღლეს მიუსამძიმრა... ცნობილი მსახიობი სტანისლავ სადალსკი თავის ინტერნეტბლოგზე წერს, რომ მხატვრული ფილმის — „უდაბნოს ცხელი მზე“ რეჟისორის, ალექსანდრ მოტილის მეუღლე ლუდმილა პადარუევა 2 წლის წინ გარდაიცვალა... რუსეთის მთავრობის ვებგვერდზე განთავსებული სამძიმრის წერილიდან ამ დროისთვის უკვე ამოღებულია რეჟისორის მეუღლის მისამართით გამოთქმული სიტყვები და ლაპარაკია მხოლოდ ალექსანდრ მოტილის მიერ სამამულო კინოს განვითარებაში შეტანილ წვლილზე. რუსი ბლოგერები მიიჩნევენ, რომ ეს ინციდენტი მთავრობის მეთაურის თანაშემწეთა არაპროფესიონალიზმზე მიუთითებს. ■

ვიქტორ იანუკოვიჩმა აურია...

უკრაინის პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა ბრიუსელში ყოფნის დროს გეოგრაფიული ტერმინები ერთმანეთში აურია: „ევრონიუსთან“ ინტერვიუს ჩაწერისას მას კოსოვო სერბეთსა და მონტენეგროში აერია, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთი — სამხრეთ ოსეთში. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ჟურნალისტმა იანუკოვიჩს ჰკითხა, — აღიარებს თუ არა უკრაინა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას. „მე თავის დროზე ვთქვი, რომ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას. ამის მაგალითია სერბეთი... ან, უფრო სწორად, მონტენეგროს დამოუკიდებლობის აღიარება... კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება... ჯერ კიდევ მაშინ იყო ნათელი, რომ კონფლიქტები გაყინული კონფლიქტების ტერიტორიაზე კიდევ უფრო გამწვავდებოდა. ამის ნათელი მაგალითი იყო ჩრდილოეთ ოსეთი“, — აი, ასე „ნათლად“ ჩამოაყალიბა ახალარჩეულმა პრეზიდენტმა საკუთარი აზრი. ■

წერილი 27 წლის დაგვიანებით

ინგლისის ქალაქ ველინბრაუში მცხოვრებმა 70 წლის ქალბატონმა, ჯილ სმეზერსმა, ფოსტით მიიღო თავისი 46 წლის ქალიშვილის კოლეჯის ატესტატი, რომელიც 1982 წლის 4 ნოემბრითაა დათარიღებული, — წერს გაზეთი The Daily Mail. ამანათის მიღებისთანავე სმეზერსი დაუკავშირდა ქალიშვილს, რომელიც ამჟამად კანადაში ცხოვრობს. როგორც გაირკვა, მთელი ამ ხნის მანძილზე სმეზერსს ეგონა, რომ ატესტატი კოლეჯიდან თავის დროზე შვილმა თავად წაიღო, შვილი კი ფიქრობდა, რომ ის დედასთან ინახებოდა... მოხუცმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: დოკუმენტაცია ათეულობით წლის შემდეგაც არ არის დაზიანებული და მას სამახსოვროდ შევინახავო. ■

ფრანგ მოძალადე ქმრებს ელექტროსამაჯურის ტარება მოუწევთ

საფრანგეთის პარლამენტში მალე ახალი კანონპროექტი დამტკიცდება, რომელიც მოძალადე ქმრებს ელექტრონული სამაჯურის ტარებას აიძულებს. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში ყოველწლიურად 160-მდე ქალი სწორედ ქმრის ძალადობის შედეგად იღუპება. სამაჯურის ფორმის გადამცემი იმ მამაკაცებმა უნდა ატარონ, რომელთა წინააღმდეგ აღნიშნულ საკითხზე სასამართლოში სარჩელია შეტანილი. ეს დებულება, ოჯახური ძალადობის შესახებ კანონში დაემატება. კანონპროექტის ძალაში შესვლას პარტიათა უმრავლესობა მხარს უჭერს, ამიტომ ის ყოველგვარი განსჯის გარეშე შევა ძალაში. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

გაბედული ნაბიჯი

თუ „რუსულ-სომხური საქმისთვის“ გაწეული რისკი?..

ვლადიკავკაზში საქართველოსთვის ყაზბეგისა და გუდაურის წართმევის გეგმებზე ოსი, სომეხი და რუსი გავლენიანი პირები ერთობლივად მსჯელობენ. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ისინი ჩრდილოეთ ოსეთში მოქმედ ორგანიზაცია „დარიალის“ მეშვეობით აპირებენ. იდეის ორგანიზატორები დავალების შემსრულებლებს ყაზბეგში ბინებს, გუდაურში კი კოტეჯებსა და მიწებს ჰპირდებიან. მათ უკვე აქვთ რუკები და პროექტები, სადაც ჩამოყალიბებულია, თუ როგორ უნდა შეუერთდეს თრუსოს ხეობის გავლით ცხინვალის მხარე კობსა და გუდაურს. ეს ამბავი ორგანიზაცია „დარიალის“ უკვე ყოფილმა წევრმა ქართულ მხარეს წერილის საშუალებით შეატყობინა (ეს წერილი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გასულ ორშაბათს გამოქვეყნდა).

სათუნა გახტურიძე

რამდენად დიდ საფრთხეს შეიცავს ყოველივე ეს და ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა — ამის გარკვევას ექსპერტთან კავკასიის საკითხებში — მამუკა არეშიძესთან და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან — ირაკლი ქავთარაძესთან საუბრისას შევეცადეთ.

— თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ორგანიზაცია „დარიალის“ საქმიანობის შესახებ?

მამუკა არეშიძე:

— მაქვს. მინდა აღვნიშნო, რომ წერილში მოთხრობილი ამბავი — სიმართლეა. ვლადიკავკაზში იანვარში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ჩრდილო ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი, პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარე, რუსეთის დუმის დეპუტატი არსენ ფაძაევი, „დარიალის“ და „კობელების“ წევრები. ამ შეკრების შესახებ რუსულ მედიაშიც კი დაიბეჭდა. ჩრდილო ოსეთის ხელისუფლება, რუსეთის დავალებით, ახლა მხოლოდ ყაზბეგის მიტაცების გეგმებზე მუშაობითაა დაკავებული. ეს წერილი ერთადერთი არ არის, რომელიც ასეთ ინფორმაციას აწვდის საქართველოს მოსახლეობასა და ხელისუფლებას. დიდი ხანია, ვლადიკავკაზელი ქართველები, ინგუშეთის პრეზიდენტ იუნუს-ბეკ ევკუროვთან დაახლოებული პირები და ინგუშეთის პარლამენტის წევრები გვაფრთხილებენ, რომ ვლადიკავკაზში ჩვენ წინააღმდეგ რაღაც ძალზე ცუდი მზადდება. საიდუმლო ინფორმაციებს გვაწვდიან, მეტი რა ქნან?! სხვათა შორის, ინგუშები აგვისტოს ომამდე რამდენიმე ხნით ადრეც გვაფრთხილებდნენ რუსეთის თავდასხმისა და პროვოკაციის საშიშროებაზე.

— თუ შეგიძლიათ, მათ მიერ მოწოდებული ერთ-ერთი ინფორმაცია გაგვანდოთ?

— მაგალითად, ის, რომ თრუსოდან და კობიდან წასული ოსების უმეტესობა — ორმაგი მოქალაქეა და საქართველოს პასპორტიც აქვს. იციან, რომ ზოგი მათგანის სახლი გაპარტახებულია, ზოგის — დაკავებული; კონფლიქტის გასაღვივებლად, სწორედ ამ ფაქტის გამოყენებას გეგმავენ. დაბრუნებისთანავე აპირებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ანგარიშსწორებას... რუსული სპეცსამსახური რამდენიმე ოსურ ოჯახზე თავდასხმასაც გეგმავს იმ მიზნით, რომ მერე ეს ყველაფერი ქართველებს დაჰბრალდეთ. ამის შემდეგ, რუსეთს საბაბი მიეცემა, თავისი კანონების შესაბამისად დაიცვას ოსები. ოსები მიიჩნევენ, რომ რაც ჯვრის უღელტეხილს იქითაა, ოსეთს ეკუთვნის. ყაზბეგი კი სწორედ ჯვრის უღელტეხილს იქით არის.

— თქვენი ინფორმაციით, ის სომხები, რომლებიც „დარიალისა“ და „კობელების“ შეკრებას ესწრებოდნენ, ხელისუფლების წარმომადგენლები არიან?

— იქ შეკრებილი სომხები რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან და თავიანთი სამშობლოს წინააღმდეგაც მოქმედებენ. თუ ოსები ყაზბეგს მიიტაცებენ, მაშინ გზა აუცილებლად ჩაიკეტება და სომხეთი ისევ ჩაკეტილ სივრცეში აღმოჩნდება. ერთადერთი ქვეყანა, ვისაც ამ პროვოკაციიდან სარგებლის ნახვა შეუძლია, რუსეთია. მოსკოვს კავკასიონის ქედის გასწვრივ 40-კილომეტრიანი ზოლი იმისთვის სჭირდება, რომ თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ეს ტერიტორია ბუფერულ ზღუდედ გამოიყენოს. ვლადიკავკაზის ოსები ამ შემთხვევაშიც ისეთივე ბრმა იარაღი არიან, როგორიც აფხაზები და ცხინვალელი ოსები. მათ ყაზბეგსა და გუდაურთან ახლოსაც კი არავინ მიუშვებს. იმასაც კი ვერ ხედავენ, რომ აფხაზებს აფხაზეთიდან ნელ-ნელა აძევებენ, ოსებს კი — ცხინვალიდან. ლარსის გზის გახსნა ჩვენთვის ძალზე სარისკო გადაწყვეტილება იყო. თუ ყაზბეგს დავკარგავთ, მას ხევსურეთი და თუშეთიც მიჰყვება, მით უმეტეს, რომ თუშეთში რუსებმა საზღვარი უკვე გადმოსწიეს და გზა შატილამდე მოიყვანეს. დღეს მომხდარი ამბები 90-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს მაგონებს. ზუსტად ასეთი სახის ღონისძიებები ხორციელდებოდა და შედეგად ცხინვალი დავკარგეთ. 1989 წელს ცხინვალში პირადად ვიყავი და როდესაც იქიდან დავბრუნდი, რუსების და სეპარატისტი ოსების გეგმები ხელისუფლების წარმომადგენლებს გავაცანი, მაგრამ მაშინაც თქვეს, — სისულელეებს ამბობ, არაფერიც არ მოხდებაო. ხომ მოხდა?!

— ხელისუფლებამ თავადვე განაცხადა, რომ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა ჩვენს ქვეყანას არც პოლიტიკურ და არც ეკონომიკურ სარგებელს არ მოუტანს. ფიქრობთ, რომ მხოლოდ მეზობელი ქვეყნის ანუ სომხეთის თხოვნის გამო, ასეთ რისკზე წასვლა მართებული იყო?

ირაკლი ქავთარაძე:

— ლარსის გახსნით, ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სარგებელს ნამდვილად არ ველით... ცუდი არაფერია იმაში, რომ მეზობელი ქვეყნის ინტერესებს ვიზიარებთ, — მისთვის ეს გზა ერთადერთია, რომლითაც სატრანზიტო ტვირთების გადატანა შეუძლიათ. გარდა ამისა, ლარსის გახსნა იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ჩვენი ტერიტორიის ამ მონაკვეთზე ცნობს საქართველოს საზღვარს, თანაც — ემბარგოს პოლიტიკის წარუმატებლობასაც აღიარებს. ნამ-

დვილად კარგი იქნება, თუ რუსეთთან ამ ერთ მონაკვეთზე მაინც გვექნება ლეგალური ურთიერთობა, თუნდაც იმისთვის, რომ პროცედურები ქართული კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს.

— ის საფრთხეები თუა გათვლილი, რაც შესაძლოა, გზის გახსნას მოჰყვეს?

— მოსალოდნელ საფრთხეებზე ლაპარაკი — მხოლოდ მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლაა და მეტი არაფერი... სხვათა შორის, ეს ინვესტორებსა და ქვეყნის განვითარებაზეც ცუდად მოქმედებს.

— უარყოფთ იმას, რომ რუსეთს პრეტენზიები აქვს სტეფანწმინდის, კობისა და გუდაურის მიმართ?

— არა, მაგრამ რუსეთს ასეთივე პრეტენზია აქვს მთელ საქართველოზეც.

— საქართველოსთვის მისაღები იქნება, რომ სომხეთმა ლარსის სატრანზიტო გზა მის ტერიტორიაზე განთავსებული რუსული სამხედრო ბაზების მომარაგებისთვის გამოიყენოს?

— საზღვრის კონტროლის სრული შესაძლებლობა გვექნება, ამიტომ ტვირთებსაც გავაკონტროლებთ და ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებასაც დავიცავთ.

— იმ ოსების გაკონტროლებას თუ შეძლებთ, რომლებსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ?

— როგორც უკვე გითხარით, საზღვარზე მკაცრი კონტროლი იქნება დაწესებული და არავის ექნება საშუალება, რომ პროვოკაციები მოაწყოს.

ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის თაობაზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა სხვადასხვა პოზიციისა და შეხედულების მქონე ექსპერტებს — თორნიკე შარაშენიძესა და ირაკლი სესიაშვილსაც ვთხოვეთ.

თორნიკე შარაშენიძე:

— ვფიქრობ, ლარსის გახსნა საქართველოს მხრიდან, თამამი ნაბიჯია. ამით ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ არაფრის ეშინია...

— მერე, გვაქვს იმის საფუძველი, რომ არაფრის გვეშინოდეს?

— ჩვენ ისედაც სულ საფრთხეში ვართ. რუსეთს თუ მოუნდება, საქართველოს სრულ ინტერვენციას მაინც მოახდენს. „დარიალის“ მსგავსი ორგანიზაციაც ბევრია და ჩვენ წინააღმდეგ უამრავი გეგმაც მზადდება, მაგრამ ამის გამო ქმედითი ნაბიჯების გადადგმისგან თავი არ უნდა შევიკავოთ.

— კი, მაგრამ ამ შემთხვევაში, რუსეთს საშუალებას ხომ არ ვაძლევთ, თავისი მოქალაქეების ანუ ოსების საშუალებით, ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენცია კანონიერ ფარგლებში მოაქციოს?

— ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე ოსებს ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრე-

გაგრძელება იხ. გვ. 12

რეპორტაჟი

ბაკურიანული ჩანახატები

არ ვიცი, რატომ შეარქვეს ბაკურიანის ამ ულამაზეს ადგილს ფიქრის გორა, მაგრამ რადგან ასე შეარქვეს, ალბათ ფიქრობენ კიდეც, — როგორ დაგახვედრონ ბუნების სილამაზე, მდიდარი სული, მთის მწვერვალებიდან დაშვების მონატრების ძალა... მოკლედ, სიტყვის სამოსელში ჩაუტეველი მთის მშვენიერება. ფიქრის გორიდან მართლაც იისფრადაა დათოვლილი ბაკურიანი. აქ კი ხვდები, თუ როგორ ახლოს შეიძლება, იყო ღმერთთან, რომელმაც ასეთი სილამაზე გვაჩუქა! და თუკი ფიქრის გორაზე საღამო ხანისთვის აღმოჩნდები, სამწუხაროდ, იმასაც დაინახავ, თუ როგორ ასდის ბაკურიანის პარკს კვამლი („ბურანებითა“ და კვადროციკლებით, ადამიანური სურვილების გამოისობით), გაიგონებ ბევრ კაცზე უმშვენიერესი ნაძვების სიცოცხლის უკანასკნელ ჭრიალს, დაინახავ რამდენიმე ჩაბნელებულ სახლს, რომელსაც ენერგოკომპანიამ (ზოგს სამართლიანად, ბევრს — ნამდვილად უსაფუძვლოდ) ჩაუჭრა შუქი...

ჯაბა ანანიძე

ასე და ამგვარად, ბაკურიანი-2010 ჩვეულებრივად განაგრძობს საკურორტო ცხოვრებას. აქ ისევ ისე მასპინძლობენ სტუმრებს კერძო სახლებში, სავსეა ძვირად ღირებული სასტუმროები, ისევ ისე ეშვებიან თხილამურებით ზღაპრული მთებიდან და დაცურავენ იდუმალი მოციგურავეები შებინდებისას... ისევ ისე დასეირნობენ შნოდაკარგული ცხენები (იმიტომ, რომ ისე არიან გამოწვრთნილები, რომ ალბათ გაწვრთნილი მხედარიც კი ვერ შეძლებს მათ გაჭენებას და ლარიან წრესაც ორლარიანით ვერ შეაცვლევინებს)...

ჰოდა, დუღს ზამთრის ბაკურიანი, სადაც ზამთარი ვარდობისთვემდე არ დასრულდება, სადაც ადამიანები ცხოვრობენ სიხარულებით, ტკივილით, პრობლემებით, პრეზიდენტის ხშირი სტუმრობით, მიუხედავად მოუწყობელი ინფრასტრუქტურისა, საქართველოს ახალ-ახალ კურორტებზე საუბრებით...

საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად ბაკურიანელები ყოველივე ამის შესახებ.

„ჩემი ტყიდან შეურაცხყოფილი გამოვდივარ“

ბაკურიანში „ამირანის პარკი“ ვის არ გაუგონია?! ვინ არ იცის, რომ ამ ყველაზე სუფთა, გამორჩეული ნარგავებითა და დიდი, მოსიყვარულე სულით მოწყობილი პარკის ავტორი — ამირან გოგოლაძეა?! ის ამირანი, „ტყის კაცს“ რომ უწოდებენ აქაურები; ამირანი, რომლისთვისაც არავის დაუვალებია პარკის მოწყობა, ნაძვებისთვის სულის შებერვა, ციყვებისთვის მასპინძლობის გაწევა, ჩიტებისთვის თავისუფლების მიცემა...

მივდივარ ამირანის პარკის სიახლოვეს, დათოვლილ ტყეში და უეცრად, წიწვნარის ტოტების შრიალი მესმის.

— რაო, აღმოაჩინე ტყე? — ტოტებს შუა ოდნავ მოუჩანს სახე ამირანს და ისე მისვამს, გაოცებული, შეკითხვას (ვერ მცნობს, მიუხედავად იმისა, რომ შარშანაც შევხვედრივარ).

— გამარჯობა, ბატონო ამირან! ვერ მიცანით?.. ტყეში ვსეირნობ და როგორ ვერ უნდა აღმომეჩინა?! — გაკვირვებული ვარ მეც.

— ვახ, ვახ, რა ხართ ეს ადამიანები! — წუხს „ტყის კაცი“. — აბა, ეს არის ტყე და სიხარული?! ერთი, ოციოდე წლის წინ გამოგევლო, გგონია, ასე თავისუფლად შეძლებდი „გულაობას“?!

— მაინც ლამაზია და...

— ასე გვგონია ქართველებს, ღმერთი

არ გაგვწირავსო... შენა, კაცო, უცხოპლანეტელი ხომ არა ხარ?! — ხელი მოიჩრდილა და ისე შემომხედა ამირანმა. — წიგნით გამოსულხარ მართლა?!. მერე რით ვერ გაიგე, რომ წიგნის დრო მოკვდა, დასაფლავდა?!. ახლა მეტიჩრების დროა!

ამირანი თვალს მარიდებს, ჯერ კიდევ ცრემლშეუმშრალ კუნძზე ჯდება და განაგრძობს:

— ახლა ტექნიკა დაგრიხინებს, „ბურანები“ ხმაურობენ, ტყეს კი — ჩეხენ, ბილწავენ, აგინებენ... დღედაღამ აქა ვარ, ვწყევსავ ამ სიმდიდრეს, მაგრამ იცი, რამდენ სიბინძურეს მიტოვებენ?! იცი, როგორ ავსებენ ნაძვნარს ნაგვით?! მე შეურაცხყოფილი გამოვდივარ ჩემი ტყიდან!..

— თითქმის ტყეში ცხოვრობთ, მაგრამ ვიცი, თანამედროვეობის ძახილებსაც ეხმაურებით...

— ახლა ასეთი დროა: ვინც 5 კოლოფ სიგარეტს მოიპარავს, 5 წლით ციხეში სვამენ; ვინც კეთილშობილ კაცს მოკლავს, ის ეროვნული გმირია, — ეგ არის თქვენი კონსტიტუცია...

დამშვიდობებისას „ტყის კაცს“ ვუთხარი, — კარგი კაცი ხარ-მეთქი. ასე მიპასუხა: — კარგი კი არა, დაგლეჯილი ვარ, როგორც საქართველოო!

P.S. ჰო, ამირანს კიდევ ზოგი გიჟსაც ეძახის(!)

„ვისლა ავუხსნა, რა არის ფოტოსინთეზი?..“

„ამირანის ტყეში“ ერთ პროფესორ ქალს შევხვდი. ბევრი ვისაუბრეთ: ბაკურიანზე, ქვეყანაზე, განათლების სისტემასა თუ თავისუფლებაზე. ბოლოს — ფოტოსინთეზზეც.

— ჩემს სახელს გეტყვი, მაგრამ ჟურნალში არ უნდა დაწერო, — მითხრა პროფესორმა, — ისეთი კანონმდებლობა დაგვიდეს, თუ ჩემი აზრი არ მოეწონათ, მეორე დღესვე გამომიშვებენ უნივერსიტეტიდან და მერე სად ვეძებო სამართალი?! განათლება რთული სისტემაა. მას განვითარებაც სჭირდება და რეფორმაც, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, უფსკრულის პირთან მისვლაა და მეტი არაფერი... აუდიტორიაში შესვლა აღარ მინდა. ღირსეული ლექცია რომ ჩაატარო, ღირსეული სტუდენტი უნდა დაგხვდეს, ჩვენთან კი... ამას წინათ, ფოტოსინთეზის ახსნას ვცდილობდი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის; მივხვდი — ვერაფერს ვაგებინებდი. ბოლოს კითხვა დავსვი სამოცკაციან აუდიტორიაში: რომელიმემ წყლის ფორმულა მაინც თუ იცით-მეთქი? ყველა გაისუსა. ზარის დარეკვამდე უხმოდ დავტოვე აუდიტორია და წამოვედი...

„ამ მარხილით ახლანდელ პრეზიდენტს ვასეირნებდი, მაგრამ ახლა ველარ მცნობს“

ბაკურიანში მარხილით გასეირნება ძვირი ღირს, მაგრამ — ღირს. აბა, წარმოიდგინეთ — დათოვლილ გზაზე ცხენები ჭიხვინით მიგაქანებენ და მთის ჰაერის აცეკვებას გრძნობ გაყინულ სახეზე... მერე, თუკი მემარხილის თვალებშიც შეამჩნევ სევდას, ისიც გაგიბამს საუბარს — თან არცთუ ურიგოს...

ალბერტ მიკირტიჩიანიც მემარხილე გახლავთ:

— ამ მარხილით ახლანდელ პრეზიდენტს ვასეირნებდი, პატარა რომ იყო, მაგრამ რად გინდა?! — ახლა ველარ მცნობს: ისე ჩაგვიფრენს შავი ჯიპით, რაშები მყავს, მაგრამ... ბაკურიანში დავიბადე და გავჭაღარავდი. აქაურობას ვანაცვალებ თავს. ბევრი რამ შეიცვალა, გალამაზდა, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელია. ახლა ყველაფრის გაყიდვის დროა, მაგრამ არ გეგონოთ, ჩვენ ვყიდულობდეთ რაიმეს. სულ დიდი კაცები ყიდულობენ.

— დიდ კაცებში ვის გულისხმობთ?

— პოლიტიკოსები არ არიან დიდი კაცები?.. მა სხვა ვინ უნდა იყოს?! — გაკვირვებულია მემარხილე. — გაიყიდა — კარგია, მაგრამ ბევრგან რომ ვერაფერი აშენდა?! ამბობენ, ეგა კრიზისის ბრალიაო, — მაგრამ განა კრიზისმა დაასამარა მელიებიცა?! დიდებული მელიების ფერმა გვქონდა, სპორტული კომპლექსები... ახლა არც ერთია და აღარც — მეორე. კოხტა გორაც გაგვეყინა. როგორც მოგეხსენებათ, ე მაგ მთებიდან დაშვებას არაფერი ჯობს, მაგრამ გაფუჭდა დალოცვილ საბჭოეთის დროს ნაყიდი საბაგიროს „ტროსები“ და თამაშიც დამთავრდა. ამ დროში ვიღაც დიდ კაცს, ბიზნესმენს უყიდია კოხტა გორაცა, მაგრამ ჯერ ვერაფერი გააკეთა. ალბათ, ეგაც კრიზისის ბრალია, არა?..

მარხილიდან ჩამოვდივარ და სანამ ბატონ ალბერტს ვემშვიდობები, ჩვენკენ ბორჯომელი კაცი მოდის. უნდა, ჟურნალისტს ორიოდე სიტყვა სახელ-გვარის გაუმხელელად უთხრას:

— ყველა კარგადაა, ხალხის გარდა... ბორჯომელი კაცი აქ რად უნდა ვეძებდე სამუშაოს?! სასტუმროები გადაძეძგილია ხალხით, მაგრამ აბა, რას ხედავთ კეთილმოწყობილს — პარკს, შემოსასვლელს თუ „25-იანის“ ტრასას?.. იცით, რამხელა გადასახადებს იხდიან, მაგრამ აბა, ბაკურიანის გამგებელს ჰკითხეთ?! გიპასუხებთ, რომ არაფერს მას არ უტოვებენ და გასული წლიდან დღემდე მხოლოდ ის მოახერხა, რომ ცხენი პარკში ვეღარ შედის და ორი თუ სამი ფერადი სკამი, როგორც იქნა, დაიდგა პარკში. პარკში, რომელიც ყველას გულის გასახარი უნდა იყოს... კარგი სეზონი იყო წელსა, მაგრამ ახლა ისევ სამუშაოს ვეძებ. შრომისუნარიანი კაცი შვილის მშიერ თვალებს რატომ უნდა ვხედავდე?! ეგაა თავისუფლება?!. არა, ბატონო, დაწერეთ, რომ საბჭოთა პერიოდს „შემორჩა“ ჩემი თავისუფლება.

„ბაკურიანის უნიკალური ტყე რომ გადარჩეს...“

„თუ ვინმეს უნდა, ბაკურიანის უნიკალური ტყე გადარჩეს, ბუნებრივი აირი უნდა გააიაფოს“ — ასეთი მოთხოვნა ხელისუფლებისთვის „გადასაცემად“, ბაკურიანიდან გამომატანა საინტერესო ქალბატონმა, რომელმაც ასევე არ ისურვა ვინაობის გამხელა, — რასაც ვამბობ, იმის გამოც „სასტიკ ოპოზიციად“ გამომაცხადეს და კიდევ ეგ მინდაო?! ამ ქალბატონმა, აი, კიდევ რა მითხრა:

— უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ ბაკურიანის უნიკალური ტყე იჩეხება. აქ ნახევარი წელი ზამთარია, ზამთარს კიდევ, გათბობა უნდა; რით გავთბეთ?.. ბუნებრივი აირი თითქმის ყველგან მიყვანილია, მაგრამ ბევრი მაინც შეშით თბება, რადგან გაზი ძალიან ძვირი ღირს. უკვირთ, სასტუმროებში 200 და 300 ლარს რათ ახდევინებენ სტუმრებსაო? — მაგრამ აბა, რა გააკეთოს სასტუმროს მენეჯერმა? იცით, რამდენი ვინმე ჰყავს ხელისუფლებაში „დასაფინანსებელი“?! ჰოდა, ამ ჩვენს ხელისუფლებაში თუკი ვინმეს სურს, რომ ბაკურიანის ტყე და უებარი ჰაერი გადარჩეს, ბუნებრივი აირი

თუ ხართ ენერგიული, ახალგაზრდა და გაინტერესებთ ჯარიერული ზრდა

შპს „ქართული კაზინოს ჯგუფი“

და **„STORM INTERNATIONAL“**

გეპატიჟებათ სამუშაოდ გოგონებს და ბიჭებს 18 დან 30 წლამდე,
გამოცდილებით და გამოცდილების გარეშე, ინგლისური ან/და რუსული ენის
ცოდნით შემდეგ პოზიციებზე:

კრუპიე / მოლარე

ჩვენ გთავაზობთ: უფასო სწავლებას + სტიპენდიას, სტაბილურ
ხელფასს,მოსახერხებელ სამუშაო გრაფიკს.
გასაუბრებაზე ჩაწერა ტელეფონით 92 25 05 ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა.

უნდა გააიაფოს... ისე, რის იმედი უნდა მქონდეს ამ ქვეყანაში?! ნაგვის ურნები დიდი დავიდარაბის შემდეგ გაჩნდა. მართალია, კვირაში ერთხელ მოდიან მანქანები, მაგრამ „ვაშას“ ძახილით ვეგებებით. სამწუხარო ისაა, რომ უმრავლესობა ამ ქვეყანაში ნაგვის ურნებში იქექება, ამ უმრავლესობას კი ჰყავს უმცირესობა, რომელიც აქვე, უძვირადღირებულეს სასტუმროებში ღამეში 300 დოლარს უპრობლემოდ იხდის.

„აბა, დაარტყით, ბავშვებო, ამ ნაძვსა წრე!“

— გაყინული შვილების გასათბობად გლეხმა ხის ტოტები მოჭრა და დაიჭირეს. მანქანებით რომ ყიდიან შეშასა, ისინი ისევ ისე, უპრობლემოდ შოლობენ ფულსა, — ეს ამბავი ჩემმა დიასახლისმა მიამბო — ქეთი გოგოლაძემ, რომელსაც ბაკურიანიც სტკივა, ქვეყანაც, ფასეულობებიც და, როცა ლიტერატურის შესახებ საუბრით გავათენეთ მთელი ღამე, ერთხელ გაოცებით მკითხა: — სირცხვილი არაა, დოსტოევსკი წაკითხული არ ჰქონდეს ადამიანსო?!

დამიჯერეთ, ასეთ ქალბატონს ბაკურიანში ბევრს ვერ ნახავთ. მასსავით თბილსა და თვალებში სითბოჩაღვრილს შესაძლოა — კი, მაგრამ ქეთი დეიდა შესაშურად აზროვნებს, სახელმწიფოებრივად:

— როცა 2008 წელს ომი დაიწყო, შვილები მოხალისეებად წავიდნენ. სიტყვა როგორ უნდა ამომეღო, სამშობლოს უჭირდა!.. სამშობლო თუ გიხარია, უნდა გტკიოდეს კიდეც. სამწუხაროა, ამ ტკივილების გამო ზოგჯერ ხმას რომ ამოიღებ და ისე შემოგხედავენ, თითქოს მოღალატე იყო. მოღალატეობა, ჩემი აზრით, ისაა, რომ წიგნებს აღარ კითხულობენ, ბუნებას აღარ უსმენენ... ჩემს ბავშვობაში ბიბლიოთეკა და კინოთეატრი იყო პოპულარული, ახლა ბიბლიოთეკარი ვინაა, ესეც აღარ იციან. წინათ, ფიზიკოსების დასასვენებელი სახლით ვამაყობდით. ვიცოდით, რომ იქ საუკეთესო მეცნიერები იყრიდნენ თავს. ახლა იქაურობა ვერაფრით მოგაწონებთ თავს. მიხარია, რომ ჩემი ბაკურიანი ღამაზდება, მაგრამ მინდა, პროფესიონალებმა გააკეთონ საქმე, თუნდაც წყლის სარეაბილიტაციო სამუშაო. ისიც ძალიან მინდა, რომ ბაკურიანი ისევ იყოს ზამთრის სპორტის სამჭედლო, ისევ გამოზარდონ დიდი სპორტსმენები, ჩატარდეს ჩემპიონატები, გამოცოცხლდეს ხალხი.

— ახლაც ხომ ვარჯიშობენ, იზრდებიან სპორტსმენები.

— კი, ჩინებულებიცა გვყავს, ყველაფრის მიუხედავად, მაგრამ ძირითადად, „ბაკურიანული სპორტი“ ამჟამად ასეთია: გაიყვანს მასწავლებელი ბავშვებს შუაგულ ტყეში, რომელიც სანახევროდ გაჩეხილია და დაუყვირებს: — აბა, ბავშვებო, სირბილით დაარტყით ამ ნაძვსა წრეო!..

P.S. ფიქრის გორადან მაინც უჩვეულოდ დამაფიქრებელია ბაკურიანი, იისფრად დათოვლილი... ■

პროექტი

„ქართული პროზის საგანძური“ — ჟურნალ „გზასთან“ ერთად!

გამომცემლობა „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ ერთობლივი პროექტის — „ქართული პროზის საგანძურის“ შესახებ პირველი ცნობების გავრცელების დღიდან, რედაქციაში არ წყდება წიგნის მოყვარულთა ზარები. გვეკითხებიან: სად შეგვიძლია შევიძინოთ წიგნები, წინასწარ გამოწერა ხომ არ არის საჭირო, რათა ამა თუ იმ ტომის გამოსვლა არ გამოგვეპაროსო?.. განსაკუთრებულად ღელავენ ამჟამად საზღვარგარეთ — მაგალითად, საბერძნეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები: აქ „გზა“ ჩამოდის და „საგანძურის“ ტომებიც თუ მოაღწევს ჩვენამდეო?..

გვინდა, ჩვენი ერთგული მკითხველები და წიგნის დამფასებლები დავამშვიდოთ: „ქართული პროზის საგანძურის“ ტომები ჟურნალთან ერთად, საგაზეთო ჯიხურებში ჩვეულებისამებრ გაიყიდება, უცხოეთში გასაგზავნ, ჟურნალის ტირაჟის ნაწილსაც წიგნები დაერთვება. ასე რომ, ყველა მსურველს საშუალება ექნება, ყოველკვირა შეიძინოს ქართული პროზის ერთი ტომი, რის შედეგადაც, წლის ბოლოსთვის მის წიგნის თაროზე მთელი „საგანძური“ მოიწონებს თავს...

თამუნა ჯვინიკაძე

როგორც ცნობილია, მრავალტომეული გამოჩენილი თანამედროვე მწერლის — ბატონი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების კრებულით იწყება. ამის გამო უკვე ბევრმა მკითხველმა გამოთქვა სიხარულიცა და მადლიერებაც — როგორც ბატონი გურამის, ასევე ჩვენ მიმართ. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს — რომელი ავტორების ნაწარმოებებს ვიხილავთ უახლოეს მომავალში. ამჯერად, პირველი 6 ტომის ავტორთა ვინაობას გაგიმხელთ: გურამ დოჩანაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ილია ჭავჭავაძე, გურამ რჩეულიშვილი, ვაჟა-ფშაველა.

ამგვარად, მე-2 ტომი მკითხველს მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებს სთავაზობს — უდიდესი მწერლისა, რომელმაც თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით, უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას: ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი XX საუკუნის ქართულ რეალისტურ რომანს, შექმნა ავანტიურული („კვაჭი კვაჭანტირაძე“), სოციალური („ჯაყოს ხიზნები“), სათავგადასავლო („გივი შადური“), ისტორიული („არსენა მარაბდელი“), ფილოსოფიური („თეთრი საყელო“) რომანები. რაოდენ აბსურდულია, რომ ეს „მარგალიტები“ ათწლეულების განმავლობაში აკრძალული იყო მის სამშობლოში და ქართველ მკითხველს მასთან ზიარების შესაძლებლობა არ ჰქონდა. მწერლის სიცოცხლე ბოლშევიკურმა რეპრესიებმა შეიწირა, ამავე გზისთვის უნდოდათ გაეყენებინათ მისი მემკვიდრეობა, მაგრამ — ამაოდ...

„მახსოვს ის დილა ქვიშხეთში, როცა ჩეკისტები თავს დაგვადგნენ და მამას დაპატიმრების ორდერი წარუდგინეს. მე და ჩემი ძმა რამაზი ოთახიდან გამოვცვივდით და დავინახეთ, როგორ წამოდგა საწოლიდან მამა, როგორ ჩაიცვა თეთრი კოსტიუმი და უსიტყვოდ როგორ გაჰყვა ჩეკისტებს. ჩემი და ქეთევანი მათ რაღაცას უყვებოდა. დედა კი გაოგნებული იდგა. როცა მამამ კიბე ჩაიარა და ეზო გადაჭრა, მე და რამაზი გავიქეცით, ეზო გადავირბინეთ და შემაღლებული ადგილიდან გადავხედეთ; ჩეკისტებს შუაში მოქცეული მიჰყავდათ მამა“, — ასე იგონებს მამის დაპატიმრების საშინელ დღეს მწერლის ქალიშვილი, რუსუდან ჯავახიშვილი.

თავად მწერალი, ამ დღემდე ჯერ კიდევ 10 წლით ადრე წერდა: „დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია, და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც კი გააცოცხლებს.

იყო და არა იყო რა, ლენინზე უკეთესი ვიღა იქნებოდა!“ — ასე იწყება დღეს ზღაპარი“...

XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, როცა მწერლის შემოქმედებას, ბოლოს და ბოლოს, ტაბუ მოეხ-



სნა, ადამიანები მოწყურებულები ეწაფებოდნენ მიხეილ ჯავახიშვილის რომანებსა და მოთხრობებს. ბუნებრივია, აჟიოტაჟი ნელ-ნელა ჩაცხრა, მაგრამ მკითხველი არც შემდგომ მოჰკლებია. ახალ თაობაში, რომელიც საერთოდ, წიგნს უფრო ჩამოშორებულია, ბევრი ნაკლებად იცნობს ჩვენს კლასიკოსთა შემოქმედებას. მაგრამ არც ისე უიმედოდ ყოფილა საქმე, როგორც ზოგს ჰგონია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს ის დაინტერესება, რომელსაც სხვადასხვა ინტერნეტფორუმის მომხმარებლები იჩენენ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების მიმართ, — ვინ არ იცის, რომ მათ შორის, ახალგაზრდები ჭარბობენ?!. იმედია, ავტორები არ გვიწყენენ, თუ მათ „მესიჯებს“ „გზის“ მკითხველებსაც გავაცნობთ:

* აუ ჯავახიშვილი!.. ყველაზე ძლიერი ქართველი მწერალი... პროზაში, რა თქმა უნდა.

* „კურდღელი“ და „თეთრი საყელო“ ის რომანებია, რომელზე უკეთესიც არ ვიცი, თუ დაწერილა საერთოდ.

* ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ უძლიერესია! „თეთრი საყელოც“ ძალიან მაგარიაა... საერთოდ, მაგარი კაცი იყო... ჯერჯერობით რეალობაა, რაც „ჯაყოს ხიზნებშია“ მთავარი აზრი (სამწუხაროდ).

* ძალიან მიყვარს ჯავახიშვილი, უძლიერესია. წაკითხული მაქვს ჯერჯერობით ეს ნაწარმოებები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „არსენა მარაბდელი“, „პატარა დედაკაცი“, „ორი განაჩენი“, „ორი შვილი“, „კურდღელი“, „მიწის ყივილი“, „დამპატიჟე“... ახლა მივყვები და თანდათანობით მის მთელ შემოქმედებას გავეცნობი, იმიტომ, რომ მართლა რომ აღფრთოვანებული ვარ ამ ადამიანით და ამ ადამიანის შემოქმედებით. არაჩვეულებრივი ენით აქვს დაწერილი, ყველა ნაწარმოები საინტერესო და ჩამთრევია, მართლა, ყველა ნაწარმოებში, სულ პატარა მოთხრობაშიც კი დიდი აზრი დევს.

* ბევრი მაქვს წაკითხული საკმაოდ, ჯავახიშვილის. და ახლა „მიწის ყივილი“ მახსენდება პირველ რიგში... ურუანტელი მივლიდა, რომ ვკითხულობდი...

* ახლა რომ დავიწყო ამაზე ლაპარაკი, ვერ გავჩერდები. ასე რომ, მოკლედ ვიტყვი: ესე იგი, ჩემი აზრით, და არა მარტო ჩემით, ეს არის უნაკლო მწერალი. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ქართველი მწერალია და იქნება.

* „თეთრი საყელო“ მიყვარს ძალიან, თბილი და სულში ჩამწვდომი რომანია. ნუ, „ჯაყოზე“ აღარაფერს ვამბობ, კლასიკაა. „ქალის ტვირთიც“ გენიალურია. ჩემი უსაყვარლესი მწერალია ქართველებიდან.

* მისი „კურდღელი“ — კლასიკაა. ფსიქოლოგიის კურსში ხშირად უხსენებიათ მავანთ. დიდი კი არა — უდიდესია. თანამედროვეობაში ხელოვანი ასრულებს დიაგნოსტიკისა და წინასწარმეტყველის ფუნქციას. რაც უფრო მასშტაბურია მისი ანალიტიკა და წინასწარი ხედვა (შესაბამისი ხატოვანებით, რაღა თქმა უნდა), მით იზომება მისი სიდიადე და გენიალობა. ეს ფუნქცია საქართველოში მწერლობამ იტვირთა... სხვა დიდთა მსგავსად, ჯავახიშვილშიც ღაღადებდა ჭეშმარიტების ხმა, რომელიც აჟღერდა „ჯაყოსა“ და „კვაჭიში“...

* ჯავახიშვილი მიყვარს ძალიან... მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, სახლში აურზაურისას შემთხვევით აღმოვაჩინე ჯავახიშვილის მოთხრობები. იმ აურზაურშივე რომ დავჯექი და დავიწყე კითხვა, დღემდე მახსოვს ყველა მოთხრობა. ძალიან მიყვარს.

* „თეთრი საყელო“ მახსენდებოდა ხშირად, მთიდან მომავალს, აი, „თბილისი“ რომ აწერია შემოსასვლელში, იქ... „თეთრი საყელოს“ გავლენით, ლექსიც კი დამიწერია 13-14 წლისას. ასაკი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ რომ დამტუქსეს, მწარედ მახსოვს.

* მხოლოდ დიდი მწერალი არა — დიდი ადამიანიცაა, დიდი ქართველი. ჯავახიშვილი ჩემთვის პირადად, მისაბაძი ადამიანია. რაც ეხება მის შემოქმედებას, ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი და საინტერესო ქართველი პროზაიკოსია, გამსახურდიას და ჯავახიშვილის გარეშე მეოცე საუკუნის ქართულ პროზას ყველანაირი ფასი დაეკარგებოდა პირადად ჩემთვის.

აი, ასეთი მადლიერი და აღფრთოვანებული მკითხველები ჰყავს მიხეილ ჯავახიშვილს ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც ალბათ გაუხარდებათ იმის შეტყობა, რომ „ქართული პროზის საგანძურის“ მე-2 ტომში შესულია მოთხრობები: „თეთრი საყელო“, „კურდღელი“, „მიწის ყივილი“, „დამპატიჟე“. დაბოლოს, იმედს გამოვთქვამთ, რომ ისინი სხვა ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებს სიხარულით შეხვდებიან და წიგნის თაროს გაამდიდრებენ, რადგან „პალიტრა “ და ჟურნალი „გზა“ გთავაზობთ — შეიძინეთ

ყოველკვირა ერთი ტომი, ერთ ხელიწადში მთელი ბიბლიოთეკა.

დასაწყისი იხ. გვ. 7

ბის საშუალება არ მივცეთ. წავიდნენ და რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე ჰქონდეთ თავიანთი ორმაგი მოქალაქეობა.

— ჩვენი კანონმდებლობა ამის საშუალებას გვაძლევს?

— თუ მოვინდომებთ, რატომაც არა?! ორმაგი მოქალაქეობის საკითხს ხომ პრეზიდენტი წყვეტს?

— და მაინც, რატომ არის საქართველო ვალდებული, რომ სომხეთის ინტერესების გამო გარკვეულ რისკებზე წავიდეს?

— იმიტომ, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, სომხეთმა დახმარების ხელი გამოგვიწოდა და სეპარატისტული რეგიონების აღიარებაზე უარი თქვა. გარდა ამისა, საკაშვილი ერევანში მიიწვიეს და დაჯილდოეს, რამაც მოსკოვის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ყველაფრის შემდეგ, ერევანი ჩვენგან ლოგიკურად ელოდა შემხვედრ ნაბიჯებს.

ირაკლი სესიაშვილი:

— გასაგებია, რომ სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება გვინდა და მათ ინტერესებს ვითვალისწინებთ, მაგრამ რაღაც, არა მგონია, ჩვენი ამ ნაბიჯით აზერბაიჯანიც გახარებული იყოს. პრეზიდენტმა საკაშვილმა სარქისიანს რომ უთხრა, — სომხების პრობლემა ქართველების პრობლემაც არისო, — ნეტავ, რა იგულისხმა? ყარაბაღიც ჩვენი პრობლემაა?.. ძალიან უცნაურია, რომ დიდი რისკების მიუხედავად, ვითვალისწინებთ იმ ქვეყნის ინტერესებს, რომელიც თავის მხრივ, ჩვენი მტრის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზა დგას. „რუსულ-სომხურ საქმეს“ ასე უსასყიდლოდ რომ ვაკეთებთ და საკუთარ მოსახლეობას საფრთხეში ვაგდებთ, ოსებს კი ჩვენს ტერიტორიაზე პროვოკაციების მოწყობის შანსს ვაძლევთ, რაღაც მაინც მოვითხოვოთ, თუნდაც — პერევისა და ახალგორის დეოკუპაცია. თუ ვინმეს ვლადიკავკაზიდან წამოსული შეტყობინებები (ყაზბეგის მიტაცების თაობაზე) პროვოკაცია და ჭორი ჰგონია, შევახსენებ, რომ აგვისტოს ომის შემდგომ, კოკოითიმ თავად გააკეთა განცხადება, — თრუსოსა და კობის ხეობაც ცხინვალს უნდა შეერთებოდაო...

— ამ სიტუაციიდან რა გამოსავალს ხედავთ?

— ახლა ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ქართულმა მხარემ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღოს და ლარსზე თავდაცვის ზღუდეები აღმართოს. გარდა ამისა, სომხებისა და რუსებისგან უნდა მოვითხოვოთ იმის გარანტია, რომ მათი მხრიდან პროვოკაციები არ განხორციელდება და ამ საქმეში, დამკვირვებლის სტატუსით, ევროკავშირი ჩავრთოთ. ■

პატრიარქის ერთ-ერთი შთამომავალი

და პოლიტიკური ექსპერტის მიერ განვლილი ცხოვრება

„9 ძმიდან 8 ერთ ღამეს დახვრიტეს... ცოცხალი მხოლოდ მამაჩემი გადარჩა... კომუნისტების რეპრესიებს ვერც დედაჩემის მამა — იოსებ მაჭავარიანი გადაურჩა. ამ ყველაფერმა ჩემს ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია“, — ასე იწყებს საკუთარი ამბის თხრობას ცნობილი პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცინცაძე. კალისტრატე ცინცაძის ერთ-ერთი შთამომავალი, მეცნიერი მამისა და კეთილშობილ ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული დედის შვილი, ბავშვობაში ერთობ ონავარი და დაუმორჩილებელი მოწაფე ყოფილა, სიცელქე არც სიჭაბუკეში მოუშლია... როგორც თავად ამბობს, „ცელქი“ მის მიმართ რბილად ნათქვამი სიტყვა იქნებოდა...

ხათუნა ბახტურიძე

დღეს ბატონი სოსო თორმეტი მონოგრაფიისა და სამასამდე პუბლიკაციის ავტორია. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი საქართველოს სამივე პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ საკაშვილის მრჩეველი გახლდათ. პროფესიით ისტორიკოსი, ტელევიზიასთანაც აქტიურად თანამშრომლობს და უკვე 41 წელია, რაც პოლიტიკური ამბების მიმომხილველი გახლავთ... ხუმრობით, საკუთარ თავს „უკანასკნელ მოჰიკანსაც“ კი უწოდებს...



— ჯერ კიდევ 21 წლის ბიჭმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში დავიწყე მუშაობა... 4 წლის განმავლობაში, დღეში 8 საათი ნიკო მუსხელიშვილთან, რაფიელ დვალთან, სერგი დურმიშიძესთან და ივანე ბერიტაშვილთან ვატარებდი. ჩემს ოთახში ხან ერთი აკადემიკოსი შემოდიოდა, ხან — მეორე... რატომღაც ახლა, ოთარ ონიაშვილი გამახსენდა. გარდა იმისა, რომ უდიდესი მეცნიერი იყო, პოლიგლოტიც გახლდათ — 18 ენა იცოდა. ერთხელ ევროპაში ყოფნისას, პრესკონფერენციაზე ყველა ჟურნალისტს, რომელმაც კი კითხვა დაუსვა, მის ენაზე გასცა პასუხი; გამონაკლისი მხოლოდ ნორვეგიელი აღმოჩნდა, რომელმაც ხუმრობით უთხრა, — მე რაღა დაგიშავეთ, რაღა ჩემი მშობლიური ენა არ იცითო?!. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ბატონ ოთარს ძალიან შერცხვა და თბილისში ჩამოსვლისთანავე მთხოვა, რომ მისთვის ნორვეგიულის მასწავლებელი მომეძებნა... უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში ერთ ქალბატონს მივაკვლიე, რომელმაც ქართულის გარდა ყველა ენა იცოდა, არადა, სარაჯიშვილის ქალი კი გახლდათ. მოველაპარაკე და ბატონმა ოთარმა მაშინვე დაიწყო მასთან სიარული, მაგრამ ამ ქალბატონმა ჩვენი მეცნიერი ოთხი გაკვეთილის შემდეგ უკან გამოუშვა. სიტუაციის გასარკვევად რომ მივედი, ასეთი რამ მითხრა: „ონ ჟულიკ, ონ ზნაეტ ი დურაჩიტ მენია“. წარმოგიდგენიათ?! ისეთი ნიჭიერი იყო, რომ მეოთხე გაკვეთილზე ნორვეგიულად ლაპარაკი დაიწყო. სხვათა შორის, მისი სახელმძღვანელოებით მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ასწავლიდნენ, აქ კი საკუთარი ბინაც არ აღირსეს. „სტარი ხალასტიაკი“ იყო. ერთხელ ვკითხე, — ცოლი რატომ არ მოგყავთ-მეთქი? — და ასეთი რამ მიამბო: „ერთი რუსის ქალი მომეწონა, მაგრამ შეცდომა დაუშვა, დროზე ადრე გახსნა თავისი კარტი, მითხრა — თქვენ დაკავებული ადამიანი ხართ და ხომ არ გეწყინებათ, მე კინოსა და თეატრში ახალგაზრდა კაცთან ერთად რომ ვიაროო? მე ვუთხარი, — მოდი, ცოლად სხვას გაჰყევი და კინოში ჩემთან ერთად იარე-მეთქი“... ძალიან საინტერესო და ნიჭიერ ადამიანებს შორის მიწევდა ტრიალი. ისინი რომ არა, დღესაც არ ვიცი, როგორ პიროვნებად ჩამოვყალიბდებოდი. მეოთხე თაობის თბილისელი და მესამე თაობის ვაკელი ვარ. ჩემი ახალგაზრდობის დროს ვაკეში „კანონიერ ქურდებს“ აფასებდნენ, მაგრამ მაშინ ისინიც სულ სხვაგვარი წესებით ცხოვრობდნენ — არ ჰქონდათ ფული, არ ჰყავდათ ოჯახი, ყველანაირ ტანჯვასა და წამებას უძლებდნენ, არც ციხეში ჯდომას გაურ-

ბოდნენ. ჩვენს უბანში ერთი „კანონიერი ქურდი“ — ათიკო კობიაშვილი ცხოვრობდა, რომელიც პირად შეურაცხყოფად მიიჩნევდა, თუ ვინმე ჩვენს უბანში სახლს გასაღებით ჩაკეტავდა.

— იმ პერიოდში ქურდებისა და ინტელიგენტი ახალგაზრდების ურთიერთდამოკიდებულება როგორი იყო?

— სხვათა შორის, ქურდები ყოველთვის ცდილობდნენ, ჩვენი წრის ხალხი არ ჩაეთრიათ. სულ მეუბნებოდნენ, — ქუჩა შენი საქმე არ არის, წადი, წიგნს მიხედე, თავი დაგვანებეო.

— ძირითადად რა უანრის ლიტერატურას კითხულობდით?

— ისტორიულს. მერვე კლასში ვიყავი, როდესაც მამაჩემმა „პეტრე პირველი“ მომიტანა და მითხრა, — წაიკითხე და შენთვის საინტერესო აფორიზმები ამოიწერეო. ზოგიერთი მათგანი დღემდე ჩამრჩა გონებაში. დედაჩემიც ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი საინტერესო წიგნი წამეკითხა. ის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მდივნის ქალიშვილი გახლდათ.

— თქვენს ერთ-ერთ ღირსეულ წინაპარს — კალისტრატე ცინცაძეს პირადად თუ იცნობდით?

— სამწუხაროდ, არა. მამაჩემი ისეთი შეშინებული იყო, რომ მასთან ნათესაურ კავშირსაც კი უარყოფდა. პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც მამა გარდაიცვალა, ნერვიულობისგან გული გაუსკდა. ნათესავებმა ამის შემდეგ გამიმხილეს, რომ თურმე კალისტრატე მამაჩემს ხშირად უთვლიდა — შენი შვილი გამაცანიო.

— ამის გამო მამაზე ნაწყენი ხომ არ ხართ?

— არა, მესმის მისი. ბევრი რამ გადახდა თავს, კიდევ კარგ ჭკუაზე იყო... ერთ ღამეში 8 ძმის სიკვდილი როგორი გადასატანია?! ამას ისიც დაემატა, რომ 1945 წელს მამაჩემის ალალი ძმისშვილი — ჟორესი ცინცაძე თავის თანაკურსელებთან ერთად, ანტისაბჭოთა ქმედებისთვის დააპატიმრეს. მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და დღემდე ცხადად მახსოვს — შებინდებოდა თუ არა, ჩვენს სახლს რამდენიმე შავი „ემადინი“ მოადგებოდა... შემდეგ, მამა მიჰყავდათ, ჩვენ კი მის დაბრუნებას გათენებამდე ველოდით... ამ ყველაფერმა მასზე საოცრად იმოქმედა... როდესაც მე და ჩემი კლასელები ოთახში შევიკეტებოდით, საწყალს ყური სულ კარზე ჰქონდა მიდებული, გვეხვეწებოდა, — ბიჭებო, პოლიტიკაზე არ ილაპარაკოთ, სხვა რაც გინდათ, ის ქენითო.

— „კაგებეს“ თქვენი გადაბირება არ უცდია?

— არა. „კაგებეს“ ადამიანების გადაბირებისთვის დიდი ძალისხმევა ნამდვილად, არ სჭირდებოდა. ამ ორგანიზაციაში სათანამშრომლოდ, ბევრი საკუთარი ნებით მიდიოდა. ერთ-ერთი მეცნიერი (მის ვინაობას არ დავასახელებ) თავად ამბობდა, — „კაგებეს“ ჩემი სამსახური შევთავაზეო; იმასაც კი ტრაბახობდა, „კლიჩკად“ — ვერელი მომცესო. სხვათა შორის, თავად „კაგებეს“ ხელმძღვანელებს ძალიან კარგი გემოვნება ჰქონდათ — უპირატესობას გლეხის ოჯახიდან გამოსულ, ნიჭიერ ახალგაზრდებს ანიჭებდნენ, ინტელიგენტებს მაინცდამაინც არ ენდობოდნენ, იცოდნენ, რომ უმართავები ვიყავით... სხვათა შორის, ჩემი მეგობრის წყალობით, „კაგებეს“ არქივში კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი — თურმე „ტროიკიდან“ (სამკაციანი ჯგუფი, რომელიც ამა თუ იმ პირის დახვრეტის გადაწყვეტილებას იღებდა) მხოლოდ ერთი იყო ქართველი, დანარჩენი ორი — სომეხი ან რუსი.

— ეს რით იყო განპირობებული?

— როგორც ჩანს, კრემლში ქართველებს ბოლომდე არ ენდობოდნენ, ფიქრობდნენ, რომ თანამემამულეებს დასახვრეტად ვერ გაიმეტებდნენ.

— როგორც რეპრესირებული ოჯახის შვილს, კომუნისტების მმართველობისას თავის დამკვიდრება არ გაგიჭირდათ?

— ამ შემთხვევაშიც აკადემიამ მიშველა — იქ სხვა სამყარო იყო. აკადემიის პრეზიდიუმის წევრები პარტიულებიც კი არ იყვნენ, უფრო მეტიც: ერთხელ, როდესაც სტუმრად მჟავანაძე გვეწვია, ივანე ბერიტაშვილმა ასეთი რამ თქვა — მადლობელი ვარ, ცეკას „დირექტორი“ ჩვენთან რომ მოვიდაო: ისიც კი არ იცოდა, მჟავანაძე დირექტორი იყო თუ პირველი მდივანი.

— ტელევიზიასთან თანამშრომლობა როგორ დაიწყეთ?

სოსო ცინცაძე მეუღლესთან და შვილთან ერთად

— ჩემს მეგობარს, პროფესორ ნოდარ კიკვაძეს სთხოვეს, ერთ-ერთი ფილმისთვის (რომელიც ინგლისის კოლონიურ პოლიტიკას ეხებოდა) კომენტარი გაეკეთებინა. რადგან ეს ჩემი დისერტაციის თემა იყო, ნოდარმა მიიჩნია, რომ ამ საქმეს მე უკეთ გავართმევდი თავს... იმის შემდეგ (ანუ 1972 წლიდან) ტელევიზიასთან დღემდე ვთანამშრომლობ. სამწუხაროდ, იმ თაობის მიმომხილველებიდან მხოლოდ მე შემოვრჩი. (*ციონის*) გინესის რეკორდების წიგნში ვარ შესაყვანი.

— იმ პერიოდში ტელევიზიაში რომ გემუშავავთ, რა მოთხოვნები უნდა დაგეკმაყოფილებინათ?

— აუცილებლად უნდა შეგძლებოდა გამართულად საუბარი. დღეს, პარლამენტის წევრებიდან დაწყებული, ჟურნალისტებით დამთავრებული, ყველა საშინლად მეტყველებს. ზოგიერთი ისე საშინლად ლაპარაკობს, როცა ვუსმენ, ჟრუანტელი მივლის. როგორ შეიძლება, ადამიანი ასე ამახინჯებდე მშობლიურ ენას?! სხვათა შორის, ჟურნალისტებმა ადრე თავის დაჭერაც სხვაგვარი იცოდნენ — ჩახსნილი პერანგითა და მოშვებული მხრებით ეთერში არავინ დაგსვამდა.

— მაშინდელ ცენზურაზე რას იტყვით?

— ვერ უარვყოფ — ცენზურა იყო. გადაცემა ეთერში რომ გადიოდა, „კაგებეს“ წარმომადგენელიც იქვე იჯდა, ხელში პულტი ეჭირა და თუ რაიმე არ მოეწონებოდა, შეეძლო, ეთერიც კი გაეთიშა...

— თქვენთვის თუ გაუთიშიათ ეთერი?

— არა, იმ პერიოდში, როცა მე ვმუშაობდი, უკვე აღარ იყო ძალიან მკაცრი ცენზურა, მთავარი იყო — კომუნისტური პარტიის გინება არ დაგეწყო... სხვათა შორის, მაშინდელ საინფორმაციო გადაცემას მთელი საქართველო უყურებდა. „მოამბე“ რომ გადიოდა, ცეკას ბიუროსა და მინისტრთა საბჭოს სხდომა ჩერდებოდა... არავინ იცოდა, რომელ პოლიტიკოსზე რას იტყოდნენ. ვისზეც კრიტიკული სიუჟეტი გავიდოდა, ის მაშინვე პოლიტიკური გვამი ხდებოდა...

— ბატონო სოსო, რა ასაკში დაოჯახდით?

— 40 წლის ასაკში. მანამდე კი ქალებში ვატარებდი დროს.

— შეგიყვარდათ თუ უბრალოდ მიიჩნიეთ, რომ ოჯახის შექმნა უკვე აუცილებელი იყო?

— შემიყვარდა და თანაც ისე ძალიან, რომ ცოლი სხვა კაცს წავართვი...

— საინტერესო თავგადასავალი გქონიათ; იქნებ გვიამბოთ, როგორ შეგიყვარდათ?

— კინოთეატრ „რუსთაველში“ ფილმ „სპარტაკის“ საყურებლად წავედი. ბილეთების რიგში ძალიან ლამაზი გოგონა შევნიშნე, მეგობართან ერთად იყო... მათი რიგი რომ მოვიდა, ბილეთებიც გათავდა. მაშინვე დავტრიალდი, საქმე „ჩავაწყვე“ და ორივე, კინოდარბაზში შევიყვანე. შემდეგ შინ მივაცილე, ტელეფონის ნომ-

რები გავცვალეთ, შევხვდით კიდეც და ბოლოს ეს ყველაფერი ქორწინებით დავასრულეთ... ახლა ერთი შვილი და ერთი შვილიშვილი გვყავს.

— თქვენს მეუღლეს პირველი ქორწინებიდან შვილი არ ჰყავს?

— კი, ქალიშვილი ჰყავს. უცხო ენის სპეციალისტია. კანადაშია გათხოვილი, უკვე შვილიშვილიც ჰყავს...

— მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ნორმალური. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი შვილისგან არ ვარჩევ, ასეთი ყალბი „არტისტიზმი“ არ მახასიათებს და არც ჩემი მეუღლის გულის მოსაგებად მჭირდება ტყუილების თქმა. ჩვენ ისედაც შესანიშნავად ვუგებთ ერთმანეთს. პროფესიით „ამერიკანისტია“. როდესაც სადოქტორო-ზე სამუშაოდ მოსკოვში წავიდა, მეც თან გავყევი. იქ ყოფნის დროს უამრავი რუსი მეგობარი შევიძინეთ. ბოლოს სასტუმროში ნომრის დაქირავება აღარც კი გვჭირდებოდა — ყველგან სიხარულით გვეგებებოდნენ. მეცინება, როდესაც დღეს ზოგიერთი მოსკოვში „დარბის“ და გაიძახის, — რუსებთან ურთიერთობა უნდა აღვადგინოთო. ეგენი მასწავლიან რუსების ხასიათს?!

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ და ამის გამო ყველაფერი არ უნდა დავთმოთ. კაცი, რომელიც იტყვის, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე უნდა დავიწყოთ მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაო, არც პოლიტიკოსად ვარგა და არც მრჩევლები ჰყავს მთლად დალაგებული ჭკუის. ყოველგვარი წინა პირობის გარეშე მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენა იმას ნიშნავს, რომ კრემლი ჩვენს გლეხებს რუსეთში ვაჭრობის საშუალებას კი მისცემს, მაგრამ საქართველოში დაგვისვამს სამ ელჩს — თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში. გარდა იმისა, რომ რუსებთან წლობის განმავლობაში საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებდა, უკვე 30 წელია, რაც საერთაშორისო ურთიერთობებს ვსწავლობ და ზუსტად ვიცი — მოსკოვი საკუთარი ნებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე არც კი იფიქრებს. რუსების ერთადერთი საფიქრალი — ჩვენი მოტყუება და ხაფანგში მომწყვდევაა.

— ამ სიტუაციაში საქართველოს მხრიდან ყველაზე მართებული ნაბიჯი რა იქნება?

— ახლა ყველანაირად უნდა ვეცადოთ, მოვაგვაროთ სოციალური პრობლემები (ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოდან ჯერ ისევ კისრისტეხით გარბიან ქართველები და ქუჩები მათხოვრებითაა სავსე) და ურთიერთობა განვამტკიცოთ დასავლეთთან. დიდი იმედით შევყურებ ამერიკელი მაღალჩინოსნების გახშირებულ ვიზიტებს. ნეტარმორწმუნე დილეტანტი არა ვარ და ვიცი, რომ ისინი აქ მხოლოდ განცხადებების გასაკეთებლად არ დადიან...

— თქვენ სააკაშვილის მრჩეველი იყავით. როგორ ფიქრობთ — შეძლებს ის დღეს არსებული რთული სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანას?

— დიახ, სააკაშვილის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი... იმედი მაქვს, ის შეძლებს ამ რთული სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანას. ძლიერი და პრინციპული პიროვნებაა. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდას, უკვე ნამდვილი პოლიტიკოსისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ჰქონდა.

— მის მიერ რუსეთთან ომში ჩაბმის ფაქტს როგორ აფასებთ?

— პრეზიდენტს მაშინ სხვა გზა ნამდვილად, არ ჰქონდა. თუ წარმოგიდგენიათ მაინც, რა მოხდებოდა, ოსი სეპარატისტების მიერ ქართული სოფლების დაბომბვა სააკაშვილს უპასუხოდ რომ დაეტოვებინა?! რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ტალიავინიც კი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 7 აგვისტოს რუსეთის ჯარი როკის გვირაბში შედიოდა. სააკაშვილის ხელში გაუჭრელი კოზირია — კულახმედოვის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც ის წერს — კოკოითი კი ბომბავს ქართულ სოფლებს, მაგრამ რა ვქნა, მე აღარ მემორჩილებაო... ტალიავინი მიკერძოებული რომ არ ყოფილიყო, რუსეთის ხელისუფლებისთვის უნდა ეთქვა, — თუ თქვენს სამშვიდობო ჯარების გენერალს კოკოითი აღარ ემორჩილებოდა, რატომ არ მიატოვეთო?!. სააკაშვილის პრობლემა ის კი არ იყო, რომ საკუთარი მოქალაქეების დაცვა გადაწყვიტა, არამედ ის ფაქტი, რომ საჭირო მომენტში ქართული არმიის ხელმძღვანელობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ვიცი, რომ აგვისტოს ომში რიგითი ჯარისკაცები გაცილებით მამაცურად იბრძოდნენ, ვიდრე ზედა რგოლის წარმომადგენლები.

— თქვენ ედუარდ შევარდნაძის და ზვიად გამსახურდიას მრჩეველიც იყავით. ამ სამი პრეზიდენტიდან ყველაზე რთული ვისთან იყო მუშაობა?

— შევარდნაძესთან.

— რატომ?

— ფიქრობდა, რომ მრჩეველი არ სჭირდებოდა. ჩვენ მისთვის ავტორიტეტს არ წარმოვადგენდით, ირონიითაც კი გვიყურებდა. ის 5 წლის განმავლობაში უზარმაზარი იმპერიის ყველა საიდუმლოს ფლობდა. გარდა ამისა, ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამერიკის პრეზიდენტთან და ევროპის სხვა ლიდერებთან.

— როდესაც შევარდნაძეს საყვედურობენ იმის გამო, რომ მან ელცინთან შერიგების მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, აფხაზეთში მყოფი ქართული ჯარი განაიარაღა და კბილებამდე შეიარაღებული რუსეთისა და აფხაზი სეპარატისტების პირისპირ დატოვა, ის თავს იმართლებს და ამბობს, — ელცინმა და არძინბამ მომატყუესო. თქვენი აზრით, ასეთი გამოცდილი პოლიტიკოსის ასე მარტივად მოტყუება შესაძლებელი იყო?

— ჩემი აზრით, შევარდნაძე ნამდვილად მოატყუეს, მაგრამ ეს მას ღირსებას არ მატებს: წესით, უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ნამდვილი პოლიტიკოსი, განგსტერი და ბიზნესმენი არავის ენდობა. როდესაც პოლიტიკოსს ასეთ მარტივ კომბინაციაში გატყუებენ, იმას მაინც უნდა მიხვდე, რომ გადადგე.

— ზვიად გამსახურდია თქვენს რჩევებს თუ ითვალისწინებდა?

— ზვიად გამსახურდია ძირითადად, თავისი მეუღლისა და ცოლისდის რჩევებს ითვალისწინებდა. ის პატრიოტი იყო, თავისი ქვეყანა უსაზღვროდ უყვარდა, მაგრამ ძალიან სუსტი მმართველი აღმოჩნდა. მისი ყველაზე დიდი შეცდომა — კადრების არასწორი შერჩევა იყო. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს არც ერთ პრეზიდენტს არ გამოარჩევდა კადრების სწორი შერჩევა.

— როგორ ფიქრობთ — ამის მიზეზი რა არის?

— ჩვენი აზიური მენტალობა: ჩვენთან მაინც, პირადი ურთიერთობაა ყველაფრის გადამწყვეტი.

— ამბობთ, რომ გამსახურდია პატრიოტი იყო, მაგრამ მის სიტყვებს — „დაე, დაეცეს შევარდნაძის აფხაზეთი, ჩვენ მას თავად დავიბრუნებთ“ — როგორ შეაფასებთ?

— ეს დაბნეული კაცის სიტყვები იყო... ვიცი, როდესაც ის ბუნკერში იჯდა, გამუდმებით კითხულობდა სხვადასხვა შენობაზე, — ხომ არ დაინგრაო? ყველაფერს განიცდიდა, კიტოვანისა და იოსელიანის მომხრეების სიკვდილსაც კი დარდობდა, სულ იმას ამბობდა, — ქართველების სისხლის ღვრა არც ერთ თანამდებობად არ მიღირსო, — მაგრამ სამწუხაროდ, დამოუკიდებელი პიროვნება არ იყო... ის თავიდანვე დათანხმდა თენგიზ სიგუას წინადადებას — სისხლის ღვრის გარეშე გასცლოდა თბილისს, მაგრამ ცოლი და ცოლისდა მისცვივდნენ და გადაწყვეტილება შეაცვლევინეს. საოცრად ტრაგიკული პიროვნება იყო... საერთოდ, ქვეყნის პირველპირობა ძალიან რთულია. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება პოლიტიკას ვსწავლობ და ამ დარგში სამეცნიერო ნაშრომებიც მაქვს დაწერილი, ასეთი საპასუხისმგებლო მისიის შესრულებას მაინც ვერ ვიტვირთებდი... ■

დაუსვით
www.mkurnali.ge
კითხვა ექიმს

ძვირფასო ქალბატონებო!

,,ავერსი გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს და 15 მარტის ჩათვლით გთავაზობთ ავერსის აფთიაქებში 25 დან 40%–ძდე ფასდაკლებით ენვიტას, გერმანულ დოლივას, აჰავას მკვდარი ზღვისა და იტალიურ საუგლას საძკურნალო პროდუქციას.

ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და მარადიულ სილამაზეს.

საინფორმაციო სამსახური: 967 227

www.aversi.ge

„სისუსტის უფლებას ჩემი შვილის ხსოვნა არ მაძლევს...“

ქართველი გმირის რუსი დედის ტკივილი და სიამაყე

ქართულ (და არა მარტო ქართულ) პრესაში არაერთხელ დაწერილა, რომ 2008 წლის 11 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სოფელ შინდისთან რუსული კოლონა ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეს გადააწყდა. 17-მა ქართველმა ჯარისკაცმა რუსეთის ასეულს რამდენიმე საათის განმავლობაში წარმოუდგენელი წინააღმდეგობა გაუწია. მაშინ ქართველი ბიჭების გმირობამ რუსი მაიორიც კი შეძრა და მან დაღუპულების წინაშე ქუდი მოიხადა (ვრცლად ამის შესახებ „გზის“ ფურცლებზე უკვე ვწერდით)... სამშობლოსთვის გმირულად დაცემულ ბიჭებს შორის იყო 24 წლის რუსლან წულაძეც, რომელიც საქართველოს სიყვარულით, ეროვნებით რუსმა დედამ აღზარდა. ქართველზე გათხოვილი ქალბატონი, ახლა, შვილის მოგონებით, გურიის სოფელ ქვიანში ცხოვრებას აგრძელებს. იმ ქართველი დედებისთვის ლოცულობს, ვისაც გმირის დედობა ერგო და უფალს საქართველოს გამთლიანებას, იმ საქმის ბოლომდე მიყვანას ევედრება, რასაც ჯარისკაცმა წულაძემ და მისმა თანამებრძოლებმა შესწირეს თავი...

ლალი პაპასკირი


ჩემი შვილი იყო, მაგრამ მიკვირდა – საიდან ჰქონდა ამხელა გული

ქალბატონი ლიდიას წერილი ერთ-ერთმა რეგიონულმა გამოცემამ მოგვაწოდა, სადაც იგი საკუთარ ცხოვრებაზეც ჰყვებოდა.... რუსი ქალბატონი მოუწოდებს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ქართველ დედებს, 11 მარტს შინდისში კიდევ ერთხელ შეიკრიბონ და იმ წმინდა ადგილას სანთლები დაანთონ...

— ჩემი თხოვნაა, 11 მარტს კიდევ ერთხელ მივიდეთ შინდისში. ის ჩემთვის და ჩემსავით გამწარებული დედებისთვის წმინდა მიწაა, რადგან ჩვენი გმირების სისხლით არის გაჟღენთილი — კიდევ ერთხელ დავუნთოთ სანთელი ჩვენს შვილებს...

— **ქალბატონო ლიდია, ალბათ თქვენი შვილის მოგონებით ცხოვრობთ...**

— დიახ, მოსაგონარი და გასახსენებელი კი ძალიან ბევრი მაქვს... 2008 წლის 30 აგვისტოს მას 25 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. ახლა ჩემი შვილის საფლავზე დავდივარ და იქ ვესაუბრები, ასე მგონია, ჩემი ხმა ესმის. მასთან ერთად, იმ ბიჭებსაც ვუნთებ სანთელს, ვინც აგვისტოს ომში დაიღუპა. მე ბედნიერი დედა ვარ, რადგან ჩემი მკვდარი შვილის სხეული მაინც მეღირსა, იმათ რა თქვან, ვინც შვილის ნაქონ ტანსაცმელს დასტირის?!. ამიტომ ვარ ძლიერი, ან ვცდილობ, ძლიერი ვიყო. მე გმირის აღზრდა შევძელი და სისუსტის უფლებას ჩემი შვილის ხსოვნა არ მაძლევს. მისი ხანმოკლე ცხოვრების წინაშე ვალდებული ვარ, ცხოვრება გავაგრძელო. ქართველი დედები ნუ მიწყენენ, მაგრამ ჩემი დღეები უფრო მძიმეა... მზის ამოსვლა მხოლოდ იმიტომ მახარებს, რომ ჩემი შვილის საფლავზე მივიდე. არ ვიცი, რამდენად გადმოვცემ სიტყვებით ჩემს მწუხარებას, მაგრამ ამ მძიმე ჯვრის ტარება უნდა შევძლო, მე ხომ ჯარისკაცის დედა ვარ და ამ „სტატუსით“ სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვიარო... მორწმუნე ადამიანი ვარ. ჩემი მშობლებიც ეკლესიურად ცხოვრობდნენ. ჩემი დიდი ბაბუა მღვდელი იყო, დეიდა კი მონაზონი მყავდა. მკაცრად გვზრდიდნენ. როცა ჩემი თანატოლები ერთობოდნენ, მე ლოცვებს ვსწავლობდი. ჩემი ცხოვრება ამქვეყნიური ჯოჯოხეთია, მაგრამ ღვთის ნების წინაშე ქედს ვიხრი, მხოლოდ მან იცის, რა გზით უნდა ატაროს ადამიანი, უბრალო მოკვდავები ვერასდრის ამოვხსნით მის ნებას. ისღა დაგვრჩენია, დავემორჩილოთ.

— **თქვენს შვილზე მოგვიყევით.**

— ჩემი შვილისნაირი ბიჭები ათასში ერთხელ იბადებიან. სიცოცხლე უყვარდა, სამშობლო უყვარდა, დედას პატივს სცემდა... მასზე საუბარი მიჭირს, მაგრამ არც თავის შეკავება შემიძლია... მაღალი, ძლიერი ბიჭი იყო, წაბლისფერი თმითა და თაფლისფერი თვალებით. ადამიანების უანგარო სიყვარული და გატანა შეეძლო. ჩემი შვილი იყო, მაგრამ მიკვირდა — საიდან ჰქონდა ამხელა გული, როგორ შეეძლო ამხელა სიყვარულის ტარება. სკოლაში მისვლა მსიამოვნებდა, მასწავლებლები ყოველთვის აქებდნენ, — თქვენი შვილისგან მაგალითის აღება შეიძლება, როგორც ფრიადოსანი მოსწავლისგან კი არა, როგორც ჩამოყალიბებული პიროვნებისგანო... რუსლანი შუათანა შვილია, მაგრამ რადგან ისეთი რბილი და დამთმობი იყო, მთელი ოჯახის სიმძიმე მის კისერზე გადადიოდა. თავისუფალ დროს (რაც ძალიან იშვიათად ჰქონდა) ხატავდა, წერდა, კითხულობდა,


პატარა რუსლან წულაძე დედ-მამასთან ერთად



რუსლანის ნახატი

მავთულებისგან სხვადასხვა ფიგურას აკეთებდა. ხშირად ცუდად ვიყავი და რუსლანი დილას ადრე დგებოდა და ყველა საქმეში მეხმარებოდა. მართლა არ ვიცი, რატომ იყო ასეთი თბილი, ჭკვიანი და უპრეტენზიო. ქონება თავზე არ გადაგვდიოდა და ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ საჭმელი ცოტა იყო; ის კუთხეში დაჯდებოდა და მეტყოდა, — დედა, მე არ მშია, შენ და ჩემმა ძმებმა ჭამეთო. თუ დანარჩენი შვილები უამრავ რაღაცას მთხოვდნენ, ის ყოველთვის ჩუმად იყო.

— **სამხედრო საქმით ჯარში წასვლის შემდეგ დაინტერესდა?**

— არა. სკოლის მოსწავლე, პატარა ბიჭი იყო, როცა სამხედრო ფორმის ჩაცმის სურვილი გამოთქვა. არასდროს არაფერს მთხოვდა და რადგან ეს მოინდომა, არ მინდოდა, გული სტკენოდა. ფული არ გვქონდა, რომ გვეყიდა და მისი ზომის სამხედრო ფორმა ერთ ფუთ სიმინდში გადავცვალეთ... ის ფორმა მეათე კლასამდე ატარა. როგორც კი სკოლა დაამთავრა, რაიონის სამხედრო კომისარიატში მივიდა და სთხოვა, ჯარში წასვლა მინდაო, მაგრამ უარი უთხრეს, პატარა ხარო. იმ პერიოდში ჩემი უფროსი შვილი წაიყვანეს, წელიწად-ნახევრის შემდეგ კი რუსლანიც წავიდა. ამასობაში, უფროსმა სავალდებულო სამსახური დაამთავრა, დაბრუნდა. რუსლანი ბედნიერი იყო. კარანტინში ყოფნისას ვინახულე, მუშაობისგან დაკაწრულ ხელისგულებზე „ბებერები“ ჰქონდა, მაგრამ ღიმილით მითხრა, — დედა, ეს მიწის ნაკვეთი ჩვენს ნაწილს ეკუთვნის და იქაურობას მე ვუვლიო. ამ დროს ოფიცერი შემოვიდა და მითხრა, — ჯარისკაცი თავის სამშობლოს ღირსეულად რომ ემსახუროს, პირველ რიგში, კარგი ადამიანი უნდა იყოს; თქვენ ნამდვილად, ღირსეული შვილი აღზარდეთ და მადლობა უნდა გითხრათო. მაშინ ჯარში სამსახური ადვილი არ იყო. ჯარისკაცები დღეში ერთხელ, შავი პურის მეოთხედით იკვებებოდნენ, გათბობაც კი არ ჰქონდათ. რუსლანი გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა, მაგრამ ერთი საყვედურიც არ დასცდენია, პირიქით — შვებულებაში ყოფნისას სამხედრო კურიოზებს ჰყვებოდა... 20 თვე იმსახურა. როცა ცუდი პირობები იყო, იმაზე ვნერვიულობდი, მშიერ-მწყურვალია-მეთქი... როცა ამ მხრივ ვითარება გამოსწორდა, ომის დაწყების მეშინოდა და ჩემს აზრს ვუზიარებდი.

— **სად მსახურობდა?**

— სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროსთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ამის გაკეთების უფლება მივეცი, მაგრამ იმდენად ჭკვიანი და დამოუკიდებელი ადამიანი იყო, ვერ შევეწინააღმდეგე. სენაკის მეორე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა, იქაურობა საკუთარი სახლივით უყვარდა... ძალიან ჭკვიანი და წინდახედული იყო; სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებდი, მას ვეთათბირებოდი. ია-ვარდით მოფენილი გზით არ მივლია, არც ჯანმრთელობა მიწყობდა ხელს — ჰიპერტონია მაწუხებს და როცა გული ყელში მომებჯინებოდა, სიმწრით ვიკითხავდი, — რატომ ჩამოვედი აქ? ამდენი წვალება რომ მენახა-მეთქი?!. ამ დროს რუსლანი გულში ჩამიკრავდა და მეტყოდა, — იმიტომ ჩამოხვედი, რომ მე გყოლოდი, გაგეზარდე, მერე კი ომში მომკლავენო... ერთხელ ვკითხე, — შვილო, ძალიან ვნერვიულობ შენზე, ომი მართლა რომ დაიწყოს, რას იზამ-მეთქი? თავისი ჭკვიანი თვალებით შემომხედა და მიპასუხა, — რა უნდა ვქნა, დედა? მე ხომ ჯარისკაცი ვარო!.. მოუკვდეს დედა, თითქოს გული უგრძნობდა, რამდენჯერმე მითხრა, — ომში მომკლავენო... ახლა ეს ყველაფერი რომ მახსენდება, ყელში მიჭერს. ბოლო დროს შეიცვალა; დასვენების დღეებში, პარასკეობით სახლში რომ მოდიოდა, ძველებურად ხუმარა და ხალისიანი აღარ იყო, სევდიანი და გულჩათხრობილი გახდა. ერთხელ მითხრა, — დედა, მე თუ ომში მომკლეს, შენ პენსიას დაგინიშნავენო... ამის გახსენება მზარავს.

— **არ გეუბნებოდათ, რატომ იყო მოწყენილი?**

— ჩვენ უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. ჩაძიებას ვერიდებოდი, მაგრამ დედის გული თავისებურად გრძნობს ცუდსა და კარგს. ვთხოვე, — მითხარი, რა გაწუხებს, რატომ შეიცვალე, ცუდზე რატომ ფიქრობ-მეთქი? მხოლოდ ის მითხრა, — ცუდ სიზმრებს ვხედავო. ვერ მოვისვენე: მომიყევი, გამიზიარე-მეთქი. — არ მოგიყვები, დედა, მერე შენ ამაზე ინერვიულებო... ყოველ დილით მირეკავდა სენაკიდან, — როგორ ხარ, ასეთი სუსტი ხმა რატომ გაქვს? გეხვეწები, არ ადგე, დასვენების დღეებში ჩამოვალ და ყველაფერს გაგიკეთებო... ყველა შვილს უყვარს დედა, მით უმეტეს, ქართველებს დედაშვილობის გრძნობა გაასკეცებული გაქვთ, ამით ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ ჩვენ მართლაც განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა გვქონდა. ჩემს შვილებს არ ეწყინებათ, თუ რუსლანზე ვიტყვი, გამორჩეული იყო-მეთქი.

— ბოლოს როდის ნახეთ თქვენი შვილი?

— უკანასკნელად, ომის დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე, 20 ივლისს ვნახე. სახლში იყო მოსული. გამთენიისას ადგა და წასვლამდე არაყს ხდიდა, ქორწილისთვის ემზადებოდა. საცოლე ჰყავდა და ნოემბერში მის შერთვას აპირებდა, მაგრამ... 30 აგვისტოს 25 წელი შეუსრულდებოდა; ვერ მოესწრო, მოუკვდეს დედა!.. შვილო, უჭმელი არ წახვიდე-მეთქი, — ვთხოვე. — დამაგვიანდებაო, მითხრა და მაკოცა. მის საწოლთან, სკამზე უფლის ჯვარცმა იდო, რომლის ჯაჭვიც გაშავებული იყო; გულზე ცუდად მომხვდა, — დამიტოვე და გაგიწმენდ-მეთქი. — არაო. მერე ტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო. პერანგებს შორის, შავი ამოარჩია და მომაწოდა, — გქონდესო. გავოცდი და გავბრაზდი, — შავს რატომ მაძლევ-მეთქი? გამიღიმა: მე ამ მაისურს ჩავიცვამ, ჩემს მაკასაც (მის საცოლეს) ასეთი აქვსო. სანამ წავიდოდა, კიდევ ერთხელ მომეხვია და დამშვიდობებისას, დამპირდა, — მალე ჩამოვალ და თხილის კრეფაში მოგეხმარებიო... ყველა მისი სიტყვა, მისი მიმიკა, ღიმილი თვალწინ მიდგას. ერთხელ მითხრა, — დედა, ბევრი ჯარისკაცი ჯარში მაღალი ხელფასის გამო წავიდა, მე კი უბრალოდ, სამხედრო სამსახური მიყვარსო... ჩვენს ბოლო სატელეფონო საუბარზეც მინდა გიამბოთ: ომი უკვე დაწყებული იყო, რომ დამირეკა. პირველ რიგში, ჯანმრთელობის შესახებ მკითხა. კარგად ვარ-მეთქი. მერე ბათუმზე შემეკითხა, — ასე თქვეს, დაბომბეს და მსხვერპლის შესახებ თუ იცი რამეო?.. ბათუმი არ დაუბომბავთ, შენ როგორ ხარ და სად ხარ-მეთქი? — არ ინერვიულო, ოსიაურში ვარ, პოლიგონზე, ტყეშიო. ამ დროს ტანკების ზარბაზნების სროლის ხმა გავიგონე. დამამშვიდა, — ნუ გეშინია, სწავლება გვაქვსო. მივხვდი, სიმართლეს მიმალავდა, მაგრამ საყვედურის თქმას რაღა აზრი ჰქონდა?! ვთხოვე, 90-ე ფსალმუნის წაკითხვა არ დაგავიწყდეს-მეთქი. — არა, დედი, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო. ამ დროს ვიღაცამ დაუძახა — „წულაძე!“ სანამ ტელეფონს გათიშავდა, მთხოვა, თავს გაუფრთხილდიო... ჩვენი საუბარი ამით დასრულდა. მერე კი მითხრეს, შინდისში 17 ბიჭი გმირულად დაიღუპაო. როგორ იპოვა 17-მა ერთნაირი გულისა და ნებისყოფის ადამიანმა ერთმანეთი ან როგორ შეძლო ამდენი მტრის მოგერიება?.. 9 დღე და ღამე იწვნენ ჩვენი შვილები აგვისტოს მცხუნვარე მზის ქვეშ. როცა მოასვენეს, აზროვნების უნარი დაკარგული მქონდა, მაგრამ მაინც ვნახე. ჩემს შვილს სახე და ხელი არ ჰქონდა, მკერდში კი ბომბის ნამსხვრევს უზარმაზარი ჭრილობა დაეტოვებინა... 19 აგვისტოს თუთიის კუბოთი მომისვენეს სახლში და მაშინვე სასაფლაოზე წაასვენეს, გახსნა არ შეიძლებაო... ამას წინათ დამესიზმრა. გამხდარი და მოწყენილი იყო, მკოცნიდა და მეხვეოდა, — ნუ სტირიო. — ასეთი გამხდარი რატომ ხარ-მეთქი? — მე ხომ ჯარში ვარ, დედა, ომია და აბა, ჩვენს გემოზე ვინ გვაცხოვრებს, ნუ გეშინიაო... იმ ქართველ დედებს მინდა, სიყვარულითა და მოკრძალებით მივმართო, — ჩვენ უბედური, მაგრამ ამაყი დედები ვართ, ჩვენი შვილები ქართველი ხალხისთვის, ქართული მიწისთვის დაიხოცნენ. ქედს ვიხრი ყველა იმ ქართველი დედის წინაშე, რომელიც ამ ტკივილს ატარებს და დედაღვთისმშობელს შევთხოვ, მათ გაძლება მისცეს... ქედს ვიხრი თქვენი ხსოვნის წინაშე, შვილებო. შეიძლება, მოკვდე, მაგრამ ხალხისთვის ცოცხალი იყო, შეიძლება, ცოცხალი იყო, მაგრამ ხალხისთვის აღარ არსებობდე.

— ვიცი, რომ თქვენი შვილისა და მისი თანამებრძოლების ცხედრები კათოლიკოს-პატრიარქმა გადმოასვენებინა შინდისიდან...

— დიახ. მინდა, უღრმესი მადლობა ვუთხრა ამ დიდებულ ადამიანს ამისთვის. იმ ბიჭების ცხედრები პროზექტურაში თვით უწმინდესმა და უნეტარესმა გადმოასვენებინა. მე ვლოცულობ მისი ჯანმრთელობისთვის. მადლობა უფალს, რომ ქართველ ერს ასეთი სულიერი მამა ჰყავს!...

■

„...მათ მიერ ჩადენილი გმირობა უპრეცედენტო იყო და ეს თავად რუსმა ოკუპანტებმაც აღიარეს... ცხინვალის მისადგომებთან რუსული ასეულის მიერ აღყაში მოქცეულ, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის სამხედრო-საინჟინრო ასეულის 12 სამხედროს, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა, ტყვია-წამლის მარაგი სრულიად ამოეწურა, ბიჭებმა ტყვეობას სიკვდილი არჩიეს და უკანასკნელი ტყვიით თუ ხელყუმბარით სიცოცხლე თავადვე მოისწრაფეს... შეტაკება 11 აგვისტოს, სოფელ შინდისში, დღის ოთხიდან ხუთ საათამდე მომხდარა. ამ დროს ომი დამთავრებული იყო. ქვეითი ბრიგადა სრული შემადგენლობით მანქანებში ჩასხდა და უკან, ბაზაზე ბრუნდებოდა. რაც უნდა წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ, მათ გზად რუსები შეხვედრიან და ერთმანეთს ხელის აწევით მისალმებიან. ქართველები სოფელ შინდისს როგორც კი მიუახლოვდნენ, რუსებმა ცეცხლი გახსნეს... ბრძოლა ერთი საათი გაგრძელდა...

ყველა პატრიოტი, სულითა და ხორცით მებრძოლი იყო. მათი ახლობლები თითქმის ერთნაირ ამბებს გვიყვებოდნენ. ეს ბიჭები ერთიან, ძლიერ საქართველოზე ოცნებობდნენ, ფულის გამო არც ერთი არ იყო ჯარში წასული...

ალბათ, ასეთ ვაჟკაც ბიჭებს სხვანაირი — სულიერად მტკიცე და ძლიერი დედები ზრდიან. ერთმა მითხრა, — მეამაყება, ჩემი შვილი ომში გმირულად რომ დაიღუპა, მე შესაცოდებელი არ ვარ, საბრალო — ქურდის, ყაჩაღის და ნარკომანის დედა არისო... სხვათა შორის, რუსლან წულაძის დედა რუსია. ძალიან განიცდის, რომ თანამემამულეებმა შვილი მოუკლეს და ამბობს, რომ ის ქართველი ჯარისკაცის დედაა და თუ კიდევ იქნება ომი, მეორე ბიჭსაც საბრძოლველად გაუშვებს...“

„17 გმირი და 17 აკვანი ანუ „საქართველოში გმირები კიდევ გაიზრდებიან“
„გზა“, 2009 წლის №47 (19-25 ნოემბერი)

სახე

თვითმფრინავში დაკარგული ფეხსაცმელი და პილოტის სალონში მოწეული სიგარეტი

„გართობის კულტურა საერთოდ არ გაგვაჩნია“...

მოგზაურობასა და სამოგზაურო თავგადასავლების მოსაყოლად, ანრი ჯოხაძეს დავუკავშირდი, მაგრამ დათქმული ინტერვიუ რამდენჯერმე გადაგვედო. საბოლოოდ, მე და ანრი გადაცემა „ვა-ბანკის“ ჩაწერისას კულისებში შევხვდით ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ თურმე მას აზარტულ თამაშებში არ უმართლებს, გადაცემის ჩაწერაზე მაინც მივიდა...

ელენე გასილიძე

— **ანრი, რამდენი ათასის მოგებას აპირებ?**

— რაც მეტი, მით — უკეთესი, მაგრამ მსგავს თამაშებში არასოდეს მიმართლებს... რა ვიცი, ვნახოთ, ფორტუნა ვის მხარეზე იქნება (*იღიმის*)!

— **მოდი, ახლა მთავარ თემას — მოგზაურობას დავუბრუნდეთ...**

— მოგზაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ სამოგზაუროდ წასასვლელად, ფულის გარდა, განწყობილებაც მჭირდება (*იღიმის*)... ამიტომ არის პერიოდი, როცა სამოგზაუროდ წასვლა სულაც არ მინდა. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ რაიმე გეგმა მაქვს დასახული, და თუ მაინც საქართველოდან გამგზავრება მომიხდა, თავს მოვიკლავ უცხო ქალაქის დათვალიერებით, იქაურ ღირსშესანიშნაობებს გავეცნობი-მეთქი, რომ გითხრა, — მოგატყუებ. შეიძლება, სასტუმროდან გარეთ არც გავიდე...

— **ბოლოს სად იმოგზაურე?**

— ბოლოს ისრაელში ვიყავი... ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა, იქ ბევრი მეგობარიც მყავს.

— **დაახლოებით რამდენ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?**

— 20-მდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი...

— **პირველად სად იმოგზაურე?**

— უკრაინაში (*იცინის*)! იქ დაახლოებით 12 წლის წინ ვიყავი და პირველი შთაბეჭდილება არაქართულ მენტალიტეტთან შეჯახებამ მოახდინა. აბსოლუტურად სხვა კულტურის ქვეყანაში მოვხვდი, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა საქართველოსთან, განსხვავება აშკარად შესამჩნევი იყო. პირველი, რამაც აღმაფრთოვანა, კიევის რკინიგზის სადგური იყო! საქართველოდან ფრენა არ იყო, მატარებლით მომიწია წასვლამ და სადგურზე რომ გამოვედი, აღფრთოვანებული ვიყავი იმ სილამაზით, რომელიც იქ ვიხილე. ძალიან მაგარი არქიტექტურის მქონე, უზარმაზარი და ულამაზესი რკინიგზა იყო. ეს ყველაფერი საბჭოთა დროში იყო შექმნილი, როცა „ხრუშჩოვკებსა“ და საშინელი ტიპის შენობებს აშენებდნენ. მარმარილოთი მოპირკეთებულმა იმ შენობამ მართლაც დამატყვევა. ძალიან დახვეწილი და ესთეტიკური დიზაინი ჰქონდა.

— **რომელმა ქვეყანამ მოახდინა შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?**

— ჩინეთმა! საკუთარი დამოკიდებულებით საკუთარი კულტურისა და ზოგადად ცხოვრებისადმი... მომეწონა მათი ცხოვრების ტემპი და სტილი. ჩინელების სოციალური მდგომარეობა ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იქ მმართველი პარტია კომუნისტურია... მე კონკრეტულად, შანხაიში ვიყავი, ამ ქალაქს აზიის ნიუიორკს უწოდებენ... მოკლედ, ჩინეთი ეგზოტიკური ქვეყანაა, რომელმაც ჩემზე დიდი ეფექტი მოახდინა.

— **მითხარი, განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ საკუთარი კულტურის მიმართო... ეს რაში გამოიხატებოდა?**

— ხალხს რამხელა ამბიცია აქვს, იცი?! ფაქტობრივად, ვერც გაამტყუნებ, მილიარდნახევრიან ქვეყანაში, ქუჩაში იშვითად შეგხვდება ადამიანი, რომელმაც ინგლისური იცის; რატომღაც ჰგონიათ, რომ მთელ მსოფლიოს თავად წარმოადგენენ... სულ გიცინიან, ვერ გაიგებ, ვინაა შენი მტერი და ვინ — მოყვარე (*იცინის*). ღიმილი კარგია, პოზიტიურად განგაწყობს, მაგრამ — სულ?! ჩინეთში, კონკურსზე საპრიზო თანხები არ გადმოგვცეს, ადამიანები, რომლებთანაც პრეტენზია გამოვთქვი, დებულებით — 4.000 დოლარი მეკუთვნოდა პრიზებთან ერთად-მეთქი, — მიცინოდნენ... სპონსორებისგან დაწესებულ საჩუქრებზე მიმითითებენ და ღიმილით მეუბნებოდნენ, — ეს ამდენი ღირს, ის იმდენი და ეს ფული ამ პრიზებში გაიქვითაო... მატყუებდნენ და

ამას სიცილით აკეთებდნენ! რა ვქნა, იმ ყალბ ღიმილს ისევ ქართული „წივილ-კივილა“ დამოკიდებულება მირჩევნია!

— რას აკეთებ უცხო ქვეყანაში ჩასვლისთანავე?

— გააჩნია, სად ჩავდივარ, მყავს თუ არა იქ მეგობრები. თუ ვინმე მეგულება, აეროპორტშივე მხვდება და ვარ ერთ ამბავში... ხოლო თუ ისეთ ადგილას ჩავდივარ, სადაც არავინ მყავს, საკუთარი ძალებით ვცდილობ, გასართობი გზები მოვძებნო. ხშირად კლუბში მივდივარ. მოკლედ, არ მოვიწყენ...

— ხმაურიანი გასართობი ადგილების მოყვარული ხარ?

— გააჩნია განწყობილებას. თუ რომელიმე საკურორტო ზონას ვსტუმრობ, ბულგარეთი იქნება ეს, თურქეთისა თუ საბერძნეთის რომელიმე კურორტი, გასართობი კულტურა მართლაც, მაღალ დონეზე აქვთ და სირცხვილია, იქ კლუბში რომ არ გაერთო... საერთოდ, ღამის ცხოვრების დიდი

ჩინეთში ამებნა გზა და ის გრძნობა, რომელიც დაკარგულს გეუფლება, საშინელება ყოფილა

მოტრფიალე ვარ. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არსებობს ისეთი გასართობი ადგილები, როგორიც საზღვარგარეთ გვხვდება. თბილისში, გულით რომ გინდოდეს, ღამე ვერ გახვალ და ვერ გაერთობი! გართობის კულტურა საერთოდ არ გაგვაჩნია და ეს ნურავის ეწყინება!

— უცხო ქვეყანაში გზა თუ აგბნევია?

— ჩინეთში ამებნა გზა და ის გრძნობა, რომელიც დაკარგულს გეუფლება, საშინელება ყოფილა! ქუჩაში ინგლისურის მცოდნე ვერავინ აღმოვაჩინე, თან, სასტუმროს ბარათი თუ არ გაქვს, მის მიგნებაზე არც უნდა იოცნებო. ვისთვის უნდა გამეგებინებინა?! 17-მილიონიან ქალაქში სად მიპოვიდნენ?! ჭკუა ვიხმარე: ფეხი არ მომიცვლია იმ ადგილიდან, სადაც დავიკარგე და მთელი 45 წუთი ვუცდიდი ჯგუფს, რომელიც ჩამომრჩა, უფრო სწორად, მე ჩამოვრჩი მათ (*იცინის*)... ბოლოს, როგორც იქნა, მომაგნეს... წრეზე დადიოდნენ და გადავრჩი დაკარგვას, თორემ უკვე ისე ვიყავი, ტირილს არაფერი მაკლდა (*იღიმის*).

— რით შეიძლება, უცხო ქვეყანამ მოგხიბლოს?

— უცხო ქვეყანამ შეიძლება, ხალხმრავლობითა და ღამის ცხოვრებით გამიტაცოს. მარტში ნიუ-იორკში მივდივარ, იქ პირველად მივემგზავრები და ზუსტად ვიცი, რომ ეს ქალაქი ჭკუიდან გადამიყვანს (*იღიმის*)!

— ასე რატომ ფიქრობ?

— რა ვიცი, ინტუიციით ვგრძნობ, რომ აუცილებლად ასე იქნება. ინტუიცია კი არასოდეს მღალატობს. მთელი ცხოვრება ოცნებად მქონდა, რომ ოდესმე ნიუ-იორკში აღმოვჩენილიყავი. მომეცა იმის საშუალება, ეს ქალაქი დავათვალიერო. ზუსტად ვიცი, ამერიკიდან „დაცენტრილი“ ჩამოვალ! ნიუ-იორკზე საზოგადოების სხვადასხვა აზრი არსებობს, ზოგი ამბობს, რომ არ მოსწონს, ზოგი კი აღფრთოვანებულია მისი სილამაზით. ვიცი, რომ გამაგიჟებს, რადგან ზუსტად საჩემო ადგილია, არანორმალური ცხოვრების ტემპის ქალაქია, მე კი არასოდეს უნდა მოვდუნდე. ჯერ კიდევ მივიჩნევ, რომ სიცოცხლით სავსე ვარ (*იცინის*).

— ფრენის გეშინია?

— არა, მაგრამ დაძაბული მომენტები მაქვს ხოლმე, როდესაც თვითმფრინავი ტურბულენტურ ზონაში ხვდება. ასეთ დროს შეიძლება, გული გამეპაროს. ხშირად, პილოტების კაბინაში შევდივარ და სიგარეტს იქ ვეწევი, თან ვუყურებ, თუ როგორ მივაპობთ ღრუბლებს... ძალიან „ნაგლი“ ვარ (*იცინის*).

— გიშვებენ ხოლმე პილოტების კაბინაში?

— ერთი-ორჯერ შემიშვეს, მაგრამ მომავალში არც ერთ პილოტს აღარ შევაწუხებ, რადგან სიგარეტის მოწევას თავი დავანებე (*იღიმის*). ფრენაზე გამახსენდა: ისრაელში რომ მივფრინავდით, სალონში მე, ლელა წურწუმია, მამულიჩა, რუსუდან კერვალიშვილი და მაია რჩეულიშვილი ვისხედით. ფრენის დროს ფეხსაცმელმა მომიჭირა და გავიხადე: ვიფიქრე, ფეხებს ცოტა დავასვენებ-მეთქი. მერე ჩამეძინა და ჩაფრენის დროს ერთი ფეხსაცმელი ჩავიცვი, მაგრამ — სადაა მეორე?! ვერსად ვნახე. გადავაქოთე მთელი სალონი, დავდივარ ცალი ფეხსაცმლით და ვეძებ მეორეს. აქეთ მაიამ და ლელამ შეიცხადეს, — უი, ნეტავ, სად უნდა იყოსო?! მოკლედ, კარგა ხანს ვიწვალე, მთელ სალონში ფეხშიშველი დავტანტალებდი და ვყვიროდი, — ფეხსაცმელი მომპარეს-მეთქი (*იცინის*)! ბოლოს გაირკვა, რომ ჩემი ცალი ფეხსაცმელი მამულიჩას მოუპარავს და დაუმალავს (*იცინის*).

— უცხო ქვეყნის სამზარეულოს იოლად ეგუები?

— თუ კარგი საკვებია, მშვენივრად მივირთმევ... აზიზი მჭამელი არა ვარ, მაგრამ ჩინეთში დიდად არ აღვფრთოვანებულვარ საკვებით, გარდა იმისა, რომ უცხო საჭმელი „გაიჩითა“. საზიზღარი მწერები ჰქონდათ, რაც საკმაოდ უგემურიც იყო. აქ, საქართველოში, ჩინურ რესტორანში გაცილებით გემრიელ საკვებს ამზადებენ, ვიდრე — იქ. ბრინჯის მეტს ვერაფერს ვჭამდი, აშკარად არ გამიმართლა იმ მოგზაურობისას (*იცინის*).

— თუ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც არ მოგეწონა?

— გამაკვირვა და აღმაშფოთა მოლდავეთის სოციალურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ. ძალიან საინტერესო და გონებაგახსნილი ხალხია მოლდაველები, მაგრამ რატომ აქვთ ასეთი გაჩანაგებული ქვეყანა — ვერ ვხვდები. ჩადიხარ და იქ ძალიან არაკომფორტულად გრძნობ თავს. მოლდავეთში არაერთი მეგობარი მყავს. მესმის, რომ მათაც ტერიტორიების პრობლემა აქვთ, მაგრამ ჩვენთან რომ ჩამოხვალ, რაღაც სიახლე იგრძნობა, ქვეყანაში რაღაც კეთდება, იქ კი თითქოს ყველაფერი გაყინულია. ქვეყანა, სადაც ადამიანები პარლამენტს ცეცხლს მოუკიდებენ, როგორ მდგომარეობაში იქნება?! ღმერთმა დაგვიფაროს, ქართულ პარლამენტსაც იგივე ემუქრებოდეს, ქართველი გაცილებით გონებაგახსნილია, — რაც უნდა მოვიკოჭლებდეთ ზოგიერთ საკითხში, გენეტიკურად გოიმი ერი არ ვართ. ქართველი გლეხი ასჯერ უფრო მეტს აზროვნებს, ვიდრე ვიღაც „პეროიანი“, ვითომ „გამოსული“ ევროპელი. შინაგანი ინტელექტი გვაქვს, ქართველს რამეს გამოაპარებ?! ჩვენი „დამგოიმებელი“ ჯერ არავინ მინახავს (*იცინის*)! ერთადერთი, რაც გვღუპავს, ეს ჩვენი ტოლერანტობაა.

— მოდი, ისევ მოგზაურობას დავუბრუნდეთ: ქვეყნების მონახულება როგორ გირჩევნია — მარტოს თუ მეგობრებთან ერთად?

— მარტოს! რატომ — არ ვიცი, მაგრამ სამოგზაუროდ წასვლა მარტოს მირჩევნია. ჩემთვის ვარ და უცხო ქვეყანაში საფიქრალი დრო უფრო მეტი მაქვს. ვცდილობ, დავისვენო.

— ოცნებად თუ გაქვს რომელიმე ქვეყნის ნახვა?

— არა, თუ რომელიმე ქვეყნის ნახვა მომინდება, ავდგები და წავალ (*იღიმის*)! ■

SHINE — ერთსულოვანი არჩევანი და ქართველების სამიზნე „ევროვიზიაზე“

მოგეხსენებათ, საქართველოს სახელით, „ევროვიზიის“ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე (რომელიც ნორვეგიის დედაქალაქში ჩატარდება) წელს მომღერალი სოფო ნიჟარაძე წარდგება. ახლახან „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევი კონკურსი ჩატარდა, რომელზეც სოფომ 6 ინგლისურენოვანი სიმღერა შეასრულა. მათ შორის საუკეთესო, ნორვეგიელი კომპოზიტორის — ჰენ სორაგის Shine მაყურებლებმა (სატელეფონო ზარებისა და „ესემესების“ საშუალებით) და სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩიეს. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა მაყურებლების, ჟიურის წევრების და შემსრულებლის გემოვნება ერთმანეთს დაემთხვა...

ეთო ყორღანაშვილი

სოფო ნიჟარაძის ახლობლებს შორის, მომღერლის ბებია — ქალბატონი ჯალალა აბრამიძე შვილიშვილის საგულშემატკივროდ, კონკურსზე თითქმის ყველაზე ადრე გამოცხადდა, — რა ვქნა, ბებია, შინ ვეღარ „დავკავდი“ და მოვედიო...

— დედა, სცენაზე რა პაწაწინა ჩანს? — გაოცებით აღნიშნა ქალბატონმა ჯალალამ სოფოს დანახვაზე, რომელიც სცენაზე რეპეტიციას გადიოდა, — არადა, მაღალი გოგონაა!.. პატარა რომ იყო, სამასწავლებლოში შევიყვანდი ხოლმე, მაგიდაზე შევსვამდი და ვამღერებდი.

— მასწავლებელი ბრძანდებით?

— კი, ბებია, 62-ე სკოლაში ქიმიას ვასწავლი. ჩემს მოსწავლეებს სოფო ძალიან უყვართ, სულ მის ქებაში არიან, რომ მასიამოვნონ, მაგრამ ვეუბნები, — მაღალ ნიშნებს მაინც არ დაგიწერთ-მეთქი! — ასე მათ შესაშინებლად ვამბობ ხოლმე, თორემ ჯერ არც ერთი ბავშვისთვის გული

ექვსივე სიმღერა ჩემს მეორე დისკში აუცილებლად შევა

არ დამიწყეტია. ერთ მოსწავლეს დავემუქრე, — მარჯვენა მომტყდეს, შენ თუ ნიშანი დაგიწერო-მეთქი! ბოლოს მაინც დავუწერე და მარჯვენა ხელი მართლა არ მომტყდა?! სოფო ძალიან ნიჭიერია: სკოლაში ყველა საგანს ერთნაირად კარგად სწავლობდა და თან, სიმღერასაც ასწრებდა. აკვანშიც კი ღიღინებდა...

— საერთაშორისო კონკურსისთვის, შვილიშვილს როგორ ამხნევებთ?

— ჩემი გამხნევება არ სჭირდება, ისედაც მხნედაა: სოფოს მსგავსად ვერავინ მღერის — ეს ნიჭი ღმერთმა აჩუქა! რუსები ცუდად რომ გვექცევიან, აღარ მოინდომა, ბატონო, მათ ქვეყანაში დარჩენა, — რუსებს არ ვუმღერებო! თავისი სამშობლოს ერთგული, პატრიოტი შვილია! სიმღერა კარგად იცის და ღვთის წყალობით, ალბათ, ყველაფერი კარგად იქნება.

მალე ჟიურის წევრებიც მოვიდნენ. კონკურსი დაიწყო და სოფომ 6 ერთმანეთისგან განსხვავებული სტილის სიმღერა განსხვებული სასცენო ჩაცმულობით წარმოადგინა:

— ჩემს ჩაცმულობაზე თეონა ელიზბარაშვილმა იზრუნა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. სიმღერების მსგავსად, სცენაზე ჩემი იმიჯიც და კაბებიც რადიკალურად განსხვავებული იყო. ძალიან მიხარია, რომ კონკურსის შემდეგ ყველა კაბა მე დამრჩება (*იცინის*)! სიმღერებს რაც შეეხება, ყველა მომწონს — გული არც ერთზე არ დამწყდება.

ჟიურის წევრებმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს: მათი აზრით, ნორვეგიელი კომპოზიტორის მიერ დაწერილი სიმღერა სოფოს ბუნებას, მის სენტიმენტალურ ხასიათს ყველაზე მეტად მოუხდა.

მარინა ბერიძე, *ჟიურის წევრი*:

— სოფოს მიერ შესრულებული ყველა სიმღერა ძალიან კარგი იყო, მაგრამ ნორვეგიელი კომპოზიტორის სიმღერამ მომღერლის ნიჭი მთლიანად წარმოაჩინა. ეს უკვე ბევრს ნიშნავს. მგონი, საერთაშორისო კონკურსზე ყველაფერი კარგად იქნება!..

გია ჟანტურია, *ჟიურის წევრი*:

— მთავარია, რომ სოფო და სიმღერა — Shine ერთმანეთს უხდებიან, ავსებენ... მომღერლისა და სიმღერის ასეთ შერწყმას არც ველოდი. „ევროვიზიასთან“ დაკავშირებით, ამბიციური გეგმები გვაქვს — ჩვენი სამიზნე პირველი ადგილია! 27 მაისს ყველანი ძალიან ვინერვიულებთ! ოპტიმისტურად ვართ განწყობილები — გამარჯვების შანსი სოფოს ნამდვილად აქვს!

სოფო ნიჟარაძე:

— აღვნიშნე, გული არც ერთ სიმღერაზე არ დამწყდება-მეთქი, და ეს მართლაც ასეა, რადგან ყველა მათგანი ნიჭიერი კომპოზიტორის მიერაა შექმნილი; ამიტომ ექვსივე სიმღერა ჩემს მეორე დისკში აუცილებლად შევა. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი ემოცია, გრძნობა Shine-ს კონტექსტს, დიაპაზონს განსაკუთრებულად ემთხვევა. ამიტომ გამიხარდა, რომ არჩევანი მასზე შეაჩერეს, თუმცა არც სხვა სიმღერის გამარჯვება მეწყინებოდა (*იღიმის*).

— გასული წლის მსგავსად „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევი კონკურსი მომღერლებს შორის რომ ჩატარებულიყო, მონაწილეობას მაინც მიიღებდი?

— „ევროვიზია“ დიდ ემოციასთან, ნერვიულობასთან, პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, რადგან შენ უკან მთელი ქვეყანა დგას. მაგრამ ალბათ, საკუთარი ინიციატივითაც მივიღებდი მონაწილეობას.

— შენმა ბებიამ გამიმხილა — სოფოს „ევროვიზიაში“ მონაწილეობა დააძალესო.

— არა, უბრალოდ, გადაწყვეტილების მისაღებად გარკვეული პერიოდი დამჭირდა. შემოთავაზება ისეთი მოულოდნელი იყო, რომ კარგად ვერც მოვიფიქრე (*იცინის*), მაგრამ როცა რაღაც ნაბიჯს ვდგამ, არასოდეს ვნანობ: შევეცდები, ჩემი ქვეყანა „ევროვიზიაზე“ ღირსეულად წარვადგინო. ■

თამთა დადეშელი

კარიერა

„როცა ჩემს ფუნქციას შევასრულებ, ესტაფეტას ახალგაზრდა თაობას გადავცემ“

მიხეილ ცაგარელს საზოგადოება მხოლოდ როგორც ასტროლოგს, ისე იცნობს. ბევრმა არ იცის, თუ რამდენად საინტერესო გზა აქვს გავლილი, სანამ „უკონკურენტო ასტროლოგის“ სახელს მოიხვეჭდა...

„ქვეყანაში, სადაც დიდი მეფეები და მწერლები სერიოზული ასტროლოგები იყვნენ, ეს კულტურა არ უნდა დაიკარგოს“

— ბატონო მიშა, გვიამბეთ, როგორი ბავშვი იყავით? რა ინტერესები გქონდათ? სხვა ბავშვებისგან თუ გამოირჩეოდით?

— მშობლებისა და ბებია-ბაბუის გადმოცემით ვიცი, რომ ვიყავი ძალიან მშვიდი, წესიერი, დამჯერი, ზრდილობიანი, უპრეტენზიო ბავშვი; ვიცოდი უფროს-უმცროსი, არ ვიყავი აგრესიული, ამიტომ ჩემით კმაყოფილები იყვნენ და იდეალურ ბავშვად მივიჩნეოდი. გამოვირჩეოდი ალბათ, იმით, რომ საკმაოდ სპორტული ვიყავი, ეზოში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდით თამაშებში.

— ასტროლოგიით როდის დაინტერესდით და საწყის ეტაპზე რაში გამოიხატებოდა ეს ინტერესი?

— სოხუმში ვიზრდებოდი. იქ ძალიან ლამაზი ცაა, ბევრი ვარსკვლავი... ეზოში პატარა ბაღიც გვქონდა და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუყურებდი ამ რომანტიკულ პეიზაჟს. თან კითხვები მებადებოდა ხოლმე — მაგალითად, რატომაა მთვარე ბურთისებრი, უზარმაზარი? საერთოდ, საიდან ჩნდება? ან დღე რატომ იკარგება? ერთი მოხუცი მეზობელი გვყავდა, რომელიც ხშირად მეთამაშებოდა. ის მოულოდნელად გარდაიცვალა. ვერ ვიგებდი — სად წავიდა და რას ნიშნავდა სიკვდილი... უფროსებისთვის კი ცოტა ძნელი იყო, ეს კარგად აეხსნათ.

— დაახლოებით რამდენი წლის იყავით მაშინ?

— 5-7 წლის. შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით, 47-ე სკოლა დავამთავრე და სპორტული გზით წავედი — ახალგაზრდებს შორის, წყალბურთში სპარტაკიადის ჩემპიონი გავხდი; რაგბიზეც დავდიოდი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში ვთამაშობდი. მუსიკალური განათლებაც მივიღე — საესტრადო სიმღერების 3 ფესტივალის (ბაქო, ერევანი, თბილისი) ლაურეატი გახლავართ. წლების განმავლობაში ერთობლივად ვსაქმიანობდი — გია მაჭარაშვილთან, თემურ ყვითელაშვილთან, თამრიკო გვერდწითელთან და სხვა ცნობილ მუსიკოსებთან. საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდი იყო, ბევრს ვმოგზაურობდით... ჩემი ეს საქმიანობა 1989 წლის 9 აპრილამდე გაგრძელდა. მოგეხსენებათ, რა სიტუაციაც იყო ქვეყანაში, აღარავის ემღერებოდა და ჩვენც თავი დავანებეთ.

— ამის შემდეგ რა მიმართულებით განაგრძეთ საქმიანობა?

— 9 აპრილის შემდეგ, სამეცნიერო საქმიანობა დავიწყე. პროფესიით ბიოქიმიკოსი ვარ. დავიცავი დისერტაცია, ასპირანტურაში მოსკოვში ვსწავლობდი და შემდგომ აქ მუშაობა ბიოქიმიის ინსტიტუტში დავიწყე. პარალელურად, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სამეცნიერო საბჭოს მდივანი გახლდით. მოკლედ, წმინდა სამეცნიერო გზით მივდიოდი. მაგრამ როდესაც ჩვენში ცხოვრება გაჭირდა, მივხვდი, რომ მეცნიერება მაინცდამაინც არავის სჭირდებოდა. ინსტიტუტები იხურებოდა და საუკეთესო მეცნიერები უცხოეთში გარბოდნენ... რაკი პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობას მივყვებოდი, 1991 წელს სამედიცინო აკადემიაში დავიწყე მუშაობა და იქ დღემდე ბიოქიმიას ვასწავლი.

— ასტროლოგიაში პირველი სერიოზული ნაბიჯები როდის გადადგით? ვისთან გქონდათ კავშირები იმ პერიოდში?

— 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირში ე.წ. „პერესტროიკა“ დაიწყო, შესაძლებლობა მოგვეცა, გავცნობოდით ეზოტერიკულ, რელიგიურ და საინტერესო ფსიქოლოგიურ ლიტერატურას; კონტაქტები გვქონოდა ამ დარგების საინტერესო ადამიანებთან, რამაც განსაზღვრა ჩემი გზა ასტროლოგიის მიმართულებით. ის ინტერესი, რომელიც ბავშვობის შემდეგ მიძინებული იყო ჩემში, გააქტიურდა. და ამ სფერომ მიმიყვანა ტელევიზიამდე.

— პირველად რომელ წელს გამოჩნდით ეკრანზე და როგორ მოხვდით ტელევიზიაში?

ქართველი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები სანამ რამეს არ დაკარგავენ, მანამდე არ ინტერესდებიან ასტროლოგიით

— 1993 წელს. „მეორე არხზე“ 3 გადაცემა მქონდა, რომელიც მაშინ საკმაოდ წარმატებული იყო. ამ საქმეში დიდად შეგვიწყო ხელი ცხონებულმა ზაზა დარასელმა. პარალელურად, რადიოშიც („პიკის საათში“) ვმუშაობდი. 3 წელი დილის პროგრამა „ალიონში“, ოთარ შაორშაძესთან ვითანამშრომლე; შემდეგ, ტელეკომპანია „ევრიკაში“; შარშან, 6 თვის განმავლობაში, „იმედის“ დილის გადაცემაში ვიმუშავე; ისე კი, როგორც იცით, ჩემი გადაცემა ტელეკომპანია „კავკასიაზე“ გადის. ასევე 7-8 წელია, რაც პრესასთან ვთანამშრომლობ.

— კონკრეტულად რა თემებზე

მოამზადეთ პირველი გადაცემები?

— პირველად გავაკეთეთ გადაცემა „ზოდიაქო“, რომ ადამიანს ზოგადი წარმოდგენა შეჰქმნოდა, თუ რა არის საერთოდ, ზოდიაქო. ბევრი დღესაც ვერ არჩევს, რა განსხვავებაა ზოდიაქოსა და ჰოროსკოპებს შორის. შემდეგ გავაკეთე გადაცემა „ჰოროსკოპი“, რომელიც ცნობილი ადამიანების პირად ასტროლოგიურ რუკებსა და ჰოროსკოპებს ეხებოდა. ჩემს ხელში დაახლოებით ასზე მეტმა ცნობილმა პიროვნებამ გაიარა... ასევე იყო პროგრამები — „ვარსკვლავები გვამცნობენ“, „რა გელით ხვალ“... ადამიანებმა ამ დარგის მიმართ იმთავითვე დიდი ინტერესი გამოავლინეს. თუმცა ზოგი მას მაგიას ეძახდა; ზოგს საერთოდ, ეშინოდა. მაგალითად, ნონა გაფრინდაშვილმა და ნოდარ ნათაძემ თავიდანვე უარი მითხრეს... მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ასტროლოგიაში კარგად ერკვევიან — ოთარ კობერიძე, ლეილა აბაშიძე; ერკვეოდა აწ გარდაცვლილი ლია ელიავა; მათთან ურთიერთობით სიამოვნება მივიღე. ზოგმა ისეთი რაღაცებიც წამაკითხა, რაც მანამდე არ ვიცოდი. მაგალითად, როგორ იყენებდნენ ქართველი მეფეები ასტროლოგიას. გეოლოგმა ზაურ ქოქრაშვილმა საინტერესო მასალები მიჩვენა — 1981 წელს გამოცემული, საქართველოს საპატრიარქოს კალენდარი, სადაც 12 ზოდიაქოს ნიშანია აღნიშნული და მასთან 12 მოციქულია შეხამებული. ისტორიკოსებსაც შევხვდი და აღმოჩნდა, რომ დავით აღმაშენებელი, ვახტანგ VI, გიორგი I არა მარტო დიდი მეფეები იყვნენ, არამედ საკუთარი ხელით ქმნიდნენ ასტროლოგიურ რუკებს. თურმე სანქტ-პეტერბურგში ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი პირადი ჰოროსკოპის ორიგინალი ინახება. მე ასლი ვნახე, სადაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად კარგად ერკვეოდნენ ჩვენი მეფეები ასეთ საკითხებში. ჩემთვის სასწაული იყო, როდესაც ათონის მთიდან ჩამოტანილ ერთ-ერთ თხზულებაში აღმოჩნდა გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილი ფრაზა — „ჩვენ არ გვაქვს მღვდელმთავრების არჩევის უფლება, მათი პირადი ასტროლოგიური რუკების გარეშე“...

— **რამდენად შემოსავლიანი იყო ასტროლოგობა, სანამ სახელს მოიხვეჭდით?**

— მაშინ ამაზე არ მიფიქრია. არც ახლაა დიდად შემოსავლიანი. უფრო სხვა „მომენტი“ მაქვს — მსიამოვნებს, როცა ხალხს ვეხმარები. ძირითადი შემოსავალი ლექციებიდან, გადაცემებიდან და პრესიდან მაქვს. ბევრჯერ თავის დანებებაზეც მიფიქრია, რადგან დრო არ მრჩებოდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ადამიანებს სჭირდებათ.

— **ცნობილი ადამიანებიდან ვისთან გაქვთ ურთიერთობა?**

— ქართველი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები სანამ რამეს არ

დავით აღმაშენებელი, ვახტანგ VI, გიორგი I არა მარტო დიდი მეფეები იყვნენ, არამედ საკუთარი ხელით ქმნიდნენ ასტროლოგიურ რუკებს

დაკარგავენ, მანამდე არ ინტერესდებიან ასტროლოგიით. ისინი ჩემთან არ დადიან, უფრო — შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები და ჩვეულებრივი ადამიანები, მხატვრები, არქიტექტორები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, იშვიათად — ექიმები, უცხოელი ბიზნესმენები. მიხეილ სააკაშვილს სამჯერ ვთხოვე, ტელევიზიის, რადიოს საშუალებით, რომ პუტინს არ შეხვედროდა ივნისში, რადგანაც ეს პერიოდი მთვარის დაბნელებას უკავშირდებოდა; ის მაინც შეხვდა და რით დამთავრდა, ყველამ კარგად ვნახეთ. ახლაც კიდევ ერთხელ გავაფრთხილებ მთავრობას, რომ აპრილიდან ძალიან ცუდი პერიოდი იწყება, ივნის-ივლისში შიდა დაპირისპირებებია მოსალოდნელი, პროვოკაციები, აგვისტო კი 2008 წლისაზე რთული იქნება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაც უეჭველად მოხდება, მაგრამ ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია. მით უმეტეს, ვეფხვის წელიწადია: ვეფხვი მეომარი, მებრძოლია; რევოლუციების ყველაზე დიდი რაოდენობა, სწორედ ვეფხვის წელს ხდებოდა. ამ წელმა შეიძლება, ძალიან მაღალი ეშელონების ადამიანები შეიწიროს...

— **გარდა თქვენი საქმიანობებისა, რისი კეთება გიყვართ?**

— ძალიან მიყვარს ქართული სუფრა, ქეიფი, მოლხენა, მეგობრები, ბუნება, მოგზაურობა, სპორტი, მუსიკა, ხელოვნება... ქართული სუფრა ეზოტერიკული კულტურის მწვერვალია, უდიდესი აკადემიაა... მაგიდა ოვალური უნდა იყოს, რადგან ენერგიას ინარჩუნებს, ტრიალებს და ყველა იქ მჯდომს სიყვარულით ასაზრდოებს. სუფრიდან ალკოჰოლით გათიშული არ უნდა დგებოდე. დაიკარგა ის ტრადიციები, რაც ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ. ჩვენს ორ დიდ აკადემიაში ვარსკვლავთმრიცხველობა, ასტრონომია ისწავლებოდა...

— **როდის დაიწყეთ საკუთარი ლიტერატურის გამოცემა?**

— წიგნების გამოცემა დაახლოებით 5 წლის წინ დავიწყე, ქალბატონ მაკა ბერიძის დაფინანსებითა და ძალისხმევით. ჯერჯერობით ზოდიაქოს ნიშნების 8 ტომია გამოცემული, ვერძიდან — მორიელის ჩათვლით. ასევე გამოვეცი „ვარსკვლავები გვამცნობენ“, „ზოგადი ასტროლოგია დამწყებთათვის“, „საქართველო და ასტროლოგია“; „ასტროლოგია ყველასათვის“, რომელიც აღმოსავლურ ზოდიაქოს ნიშნებსა და მათ მნიშვნელობას ეხება. მისი კიდევ 4 ტომი გამოვა. ასევე ვთანამშრომლობ ჟურნალებთან. სხვათა შორის, ის არარეალური პროგნოზები, რომლებიც ზოგიერთ გამოცემაში იბეჭდება, კაცმა არ იცის, ვისია და ასტროლოგებს სახელს გვიფუჭებს... ასტროლოგების საინტერესო ახალი თაობა მოდის — გიორგი რამიშვილი, ლევან ახვლედიანი, დათო ბუტიკაშვილი, რომელთაც მეტ-ნაკლებად ვენდობი. როცა ჩემს ფუნქციას შევასრულებ, ესტაფეტას ახალგაზრდა თაობას გადავცემ. ისე, მათ გზა გარკვეულწილად უკვე გავუკაფე, საზოგადოებაში ასტროლოგიას რეიტინგი აქვს, დანარჩენი მათზეა დამოკიდებული. ■

ძალიან მიყვარს ქართული სუფრა, ქეიფი, მოლხენა, მეგობრები

პირველი ჰონორარი, რამდენიმე პროფესიის მშვენიერი მსახური და ტანდაბალი პარტნიორები

მომღერალი და მოდელი — თიკა ფაცაცია ბოლო დროს ტელეწამყვანად გარდაისახა. მას ამა თუ იმ გადაცემაში წამყვანად სისტემატურად იწვევენ. როგორც ჩანს, თიკას აღმოაჩნდა უნარი, რომ ტელეგადაცემას წაუძღვეს. ეს საქმე რომ მართლაც ცუდად არ გამოსდის, ამას მისი მისამართით მაყურებლის მიერ გამოთქმული კომპლიმენტები ადასტურებს, რაც მშვენიერ მოდელსა და მომღერალს უდიდეს სტიმულს აძლევს.

„სურვილები თავისით მიხდება ხოლმე"

ლალი ფაცია

— ტელეკარიერა დავიწყე პროექტით — „ემ კოდი", შემდეგ იყო სამედიცინო გადაცემა „ჰიპოკრატეს რეცეპტი", ასევე „ბენეფისი", რომელიც მე და არჩილ სოლოღაშვილს მიგვყავდა, მოგვიანებით — „იმღერე, რამე", სადაც ჩემი პარტნიორი ლევან ხურცია გახლდათ. ახლა კი ეთერში „ნიჭიერი" გადის, სადაც ვანიკო თარხნიშვილთან ერთად ვჩნდები... ვინც ჩემს ბიოგრაფიას მეტნაკლებად იცნობს, ეცოდინება, რომ სულ ახლის ძიებაში ვიყავი და ვარ. თავი ათას პროფესიაში მოვსინჯე. რაც შეეხება ტელევიზიას, ყოველთვის მიზიდავდა და თავი წარმომედგინა კიდეც რაღაც გასართობი გადაცემების წამყვანადაც. საერთოდ, სურვილების ასახდენად არაფერს ვაკეთებ. სურვილები რაღაცნაირად თავისით მიხდება ხოლმე...

— ამა თუ იმ გადაცემის წაყვანისას რა არის შენთვის მთავარი?

— გადაცემას გააჩნია. იმდენად სხვადასხვანაირი პროექტი წავიყვანე, რომ ერთი მკაფიო ხაზი ყველგან არა მაქვს. ზოგან მნიშვნელოვანი ჩემი გარეგნობა იყო. იმიტომ, რომ მხოლოდ გამომცხადებლის ფუნქცია მქონდა. ზოგან ეს მეორეხარისხოვანი გახლდათ, რადგანაც მაქსიმალური ინფორმაცია სტუმრისგან უნდა მიმეღო. რაც შეეხება „ნიჭიერს", ეს სუფთა ემოციებზე დაყრდნობილი შოუა. კონკურსანტებს გულწრფელი თანადგომა უნდა გამოვუცხადო და ვიყო ისეთი, როგორიც სინამდვილეშიც ვარ — აქტიური, ემოციური, ცოცხალი...

— როდესაც „ნიჭიერის" წაყვანა შემოგთავაზეს, რა იფიქრე?

— მე-17 ქვეყანა ვართ, ვინც ეს პროექტი განახორციელა... როდესაც გადაცემას, პროდიუსერებთან ერთად ვუყურე, სიმართლე გითხრა, ცოტათი შემეშინდა, რადგანაც აქამდე მსგავსი არაფერი მომესინჯა. მივხვდი, რომ „ნიჭიერში" მაყურებელი ჩემს რეალურ სახეს ნახავდა, რომელიც მანამდე ასეთი დოზით არ წარმომეჩინა. ჩემი შინაგანი სამყარო უნდა გამომემზეურებინა, რადგანაც ყველაფერი გრძნობებსა და ემოციებზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. ასეც მოხდა — შოუში ხან ვიცინი, ხან ვტირი, ვყვირი... როგორც ცხოვრებაში მაქვს რაღაც განცდები, ემოციები, რომელთაც გამოვხატავ, გადაცემაშიც ანალოგიურად არის... კასტინგი რომ გავიარე, რატომღაც შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჟიურის არ მოვეწონე. თუმცა შევცდი...

უმეტესად ჩემსა და ვანიკოს რეაქციებზე, ქმედებებზე მეცინება

— როდესაც ეკრანზე შენს ნამუშევარს უყურებ, რას ფიქრობ და განიცდი?

— ზოგჯერ ჩემი ემოცია მეზედმეტება. ძირითადად კი ბევრს ვიცინი... უმეტესად ჩემსა და ვანიკოს რეაქციებზე, ქმედებებზე მეცინება. ჯამში კი გადაცემაში ჩვენი — წამყვანების როლი მომწონს, რაღაც საქციელით, ფრაზებით დადებითი განწყობილება იქმნება...

— სულ რამდენი გადაცემაა ჩაწერილი?

— 6 და კიდევ 6 გადაცემა იქნება, რომელიც წინასწარი ჩაწერის გარეშე, პირდაპირ ეთერში გავა და ეს იქნება მეორე ტური. აპრილისთვის კი ყველაფერი დასრულდება.

— როდესაც ადამიანები წარუმატებელი ნომრის შემდეგ სცენას ტოვებენ, შენ და ვანიკო მათ კულისებიდან აცილებთ. მაგ დროს რას განიცდი?

— ზოგი ჩვენთან არც ჩერდება, იმდენად გულნატკენია ხოლმე, რომ პირდაპირ გარბის. ასეთი ადამიანების მერიდება. რა სიტყვებით მივმართო, რითი ვანუგეშო და დავამშვიდო, არც კი ვიცი... ზოგჯერ მეტირება კიდეც...

— შენი ფავორიტები გყავს?

— კი, მაგრამ არ ვიცი, მეორე ტურში რას იზამენ...

— ტირილი ახსენე და პირველი ცრემლი გულნაზ გოლეთიანის გამოსვლისას გადმოგცვივდა, არა?

— კი, და მას მერე კიდევ ბევრჯერ ვიტირე და ცოტა არ იყოს, მტირალას იმიჯიც ჩამომიყალიბდა. მაგრამ ქალბატონი გულნაზის სიმღერამ ჩემზე ძალიან იმოქმედა, საოცარი შესრულება იყო, თან პატრიოტული სიმღერა გახლდათ და ჩემში გრძნობამ ამოხეთქა...

— ვანიკო თარხნიშვილმა ფარული ნიჭი მაშინ გამოავლინა, როდესაც კულისებში სათბურა გახეთქა

და მიკროავტობუსი თითით გასწია... შენი მხრიდანაც თუ გველოდება რაიმე მსგავსი სიურპრიზი? აგურების თავზე გადამტვრევას ხომ არ აპირებ?

— (*იცინის*). ასეთი არაფერი იგეგმება... ყველაფერი, რაც მოხდა, სპონტანური იყო. მაგრამ წინ რა გველოდება, არც ის ვიცი. მივყვები მოვლენებს და შეიძლება, მეც აღმოვაჩინო საკუთარ თავში რაიმე განსაკუთრებული მონაცემი... მაგრამ აგურების თავზე გადამტვრევას ნამდვილად არ ვაპირებ...

— **მოდი, ახლა რამდენიმე სიტყვით შენს პარტნიორებზეც ვთქვათ. სიმაღლეში 182 სმ ხარ (ალბათ ნებისმიერი მამაკაცისთვისაც სასურველი სიმაღლეა)... შენი ტელეპარტნიორები არც ისე ტანმორჩილები არიან ხოლმე, მაგრამ შენ გვერდით, ისინი ყოველთვის დაბლები ჩანან... რას გრძნობ მათ გვერდით?**

— ეტყობა, არის ამაში რაღაც თავისებური ხიბლი... ლევან ხურცია ხომ არის ჩემი სიმაღლე?

— **შეიძლება ითქვას, მაგრამ ერთად რომ იდექით, ვფიქრობ, რომ ცოტათი მაინც შენ უსწრებდი...**

— ხოლო თუ რას განვიცდი მე მათ გვერდით, ამას უკვე მიჩვეული ვარ და ეს ამბავი მომწონს კიდევაც (*იცინის*). ამ განსხვავებამ წარმოშვა ის აზრი, რომ მაყურებელს კიდევ უფრო მაღალი ვგონივარ, ვიდრე რეალურად ვარ. ამასთან დაკავშირებით, სატელეფონო ზარიც ყოფილა და ბევრს ნაძლევი წაუგია... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, კომფორტულია ჩემზე დაბალი მამაკაცების გვერდით დგომა...

— **შენს რომელ პარტნორს გამოარჩევდი?**

— ვერც ერთს... თუმცა ერთს ვიტყვი, რომ აჩიკო სოლოღაშვილი განსაკუთრებულად მიყვარს. ის ჩემი უახლოესი მეგობარია. მგონია, რომ რაღაც ერთმანეთს ვავსებთ.

— **თიკა, რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც საზოგადოებას თავი როგორც მომღერალმა, ისე წარუდგინე?**

— პირველად 10 წლის ვიყავი, სცენაზე რომ გავედი და ვიმღერე... შემდეგ იყო ჯგუფი „სეთი“, რომლის წევრიც ვიყავი. პარალელურად, 14 წლის ასაკში მოდელი გავხდი... მას მერე სერიოზული დრო გავიდა. ახლა კი ტელეწამყვანი ვარ... ვფიქრობ, რომ ჩემში ბევრი რამ შეიცვალა — გემოვნება, მსოფლმხედველობა, გამოცდილება შევიძინე. მგონი, ხასიათიც სხვა მაქვს... სად 13-15 წლის გოგონას ფიქრები, მსჯელობა და სად 28 წლის ქალის? ხედავ, უკვე რამდენი წლის ვყოფილვარ (*იცინის*)?

— **მთავარია, ადამიანი იმაზე მეტად არ გამოიყურებოდე, ვიდრე ხარ. დანარჩენი ნორმალურია...**

— მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვარ ისეთივე ბავშვური, როგორიც ვიყავი. შინაგანად მგონია, რომ სულ 17 წლის ვარ...

— **რომელი პროფესია — მოდელი, მომღერალი, ტელეწამყვანი — არის შენთვის უფრო ახლობელი, კომფორტული და მისაღები?**

— ჩემთვის თითოეულს რაღაც სიამოვნება მოაქვს; ცოტა ხნის წინ გარკვეული პაუზის შემდეგ, დიზაინერის ერთ-ერთ ჩვენებაზე გამოვედი და ბავშვივით მიხაროდა. ასე რომ, ჩემი ყველა საქმე — რასაც „შევეხე“ და გავითავისე, ძალიან მიყვარს. ამ ყველაფერმა სიამოვნებასთან ერთად, წარმატებაც მომიტანა. ჰო, მართლა, მე ხომ მუსიკისა და დრამის თეატრში, მიუზიკლშიც ვმონაწილეობ?!.

— **როგორც ვიცი, ამერიკაში თეატრალური სასწავლებელი გაქვს დამთავრებული და ალბათ ეს გეხმარება ამაში...**

— კი, ასეა...

— **წარმატებული ადამიანი ხარ. თუ გქონია პერიოდები, როცა გარკვეული მარცხი განგიცდია, მაგალითად — კონკურსში სათანადო დონეზე ვერ გამოსულხარ?**

— კი, მქონია ასეთი შემთხვევა; შარშან „ევროვიზიის“ შესარჩევ ტურზე კარგად ვერ ვიმღერე, ამ ფაქტმა უსიამოვნო განცდები დამიტოვა და დიდხანს ვეღარ ვმღეროდი... მოკლედ, იმ დღეს შესაძლებლობის მაქსიმუმი ვერ გავაკეთე და უკმარისობის გრძნობაც დამრჩა.

— **ნებისმიერ ეტაპზე შენთვის ვისი შეფასება ყოფილა მნიშვნელოვანი, რომლისთვისაც ყური დაგიგდია და გაგითვალისწინებია?**

— წარმატებული ადამიანების, ჩემი ოჯახის წევრების — ვისიც მჯერა. ვიცი, რომ ისინი არ მატყუებენ და სიმართლეს მეუბნებიან, რაც მეტ თავდაჯერებულობას მძენს.

— **„ევროვიზია“ ახსენე და გამახსენდა, რომ შარშან, ამ დროს, ამ კონკურსისთვის ემზადებოდი. რაც შეეხება სიმღერას, ამ მიმართულებით რას საქმიანობ?**

— ერთი კვირის წინ რაღაც იდეები გამიჩნდა. ვნახოთ... ამის გარდა, 8 მარტს ფესტივალში — „ოპენ აირ“ მივიღებ მონაწილეობას, ორგანიზატორებისგან (კომპანია „სტეპრეკორდსი“) შემოთავაზება მივიღე. ეს ფესტივალი ქართული როკჯგუფების წინ წამოწევასა და პოპულარიზაციას ემსახურება. მათ ასეთი ექსპერიმენტი გააკეთეს — ქართული „ანდერგრაუნდის“ მუსიკის წარმომადგენლებისა და პოპმუსიკოსებისგან დუეტები შექმნეს. ფესტივალი ფილარმონიაში გაიმართება. პოპმომღერლებს შეგვინარჩუნეს ჩვენი სტილი ანუ მათთან ერთად კი ვმღერით, მაგრამ არა როკს...

— **როგორ გგონია — ძლიერი ქალი ხარ?**

— არა, ბევრი სისუსტე მაქვს, რაც თანდათან ვლინდება ხოლმე. ხანდახან მაქვს ხოლმე ვარდნა და წამოყენება მჭირდება.

— **მაგ დროს ვინ გეხმარება?**

— დედა. მე და მან ერთად გამოვიარეთ ეს გზა. თან ის ჩემი ყველაზე დიდი და გულწრფელი გულშემატკივარია. მისი დამსახურება იყო ის, რომ 10 წლის ასაკში პირველად სცენაზე დავდექი. მაგრამ სიმღერის გარდა მანამდე უამრავ წრეზე დავყავდი — თანამედროვე ცეკვები, ბალეტი, გიტარა, ინგლისური... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ბავშვობაში საოცარი დატვირთვა მქონდა. თუმცა თავისუფალი დროც მქონდა ხოლმე და წრეში ბურთსა და რეზინობანასაც ვთამაშობდი. ამ გადასახედიდან, ჩემი განვლილი ცხოვრებით უკმაყოფილო არ ვარ... თუ იმდენი შევძელი,

იყო ჯგუფი „სეთი“, რომლის წევრიც ვიყავი

რამდენიც დედაჩემმა, წარმატებული დედა ვიქნები. მეც ძალიან ვტვირთავ ჩემს შვილს, თან კი მეცოდება, მაგრამ თან იმასაც ვფიქრობ, ბავშვი რაც უფრო დატვირთულია, მისთვის უკეთესია-მეთქი. ჯერ ერთი — პატარა ყველაფერს უფრო ადვილად ითვისებს...

— **მოკლედ, ხარ თუ არა ისეთივე დედა, როგორიც დედაშენია?**

— ვერა. დედა იყო და არის შვილებისთვის თავდადებული ადამიანი. მან საკუთარი კარიერა ჩვენს აღზრდა-განათლებას შესწირა. პროფესიით ბიოლოგია, დისერტაციის დაცვასაც გეგმავდა, მაგრამ არჩევანი კარიერასა და შვილებს შორის გააკეთა. ყველაფერი გვერდით გადადო. მე ასე ვერ ვაკეთებ, რადგანაც ჩემს კარიერას ბევრი დრო მიაქვს. ამიტომ დედასა და ჩემ შორის პარალელს ვერ გავავლებ. თუმცა ჩემს შვილს მეც ვეხმარები, მაგრამ მშობელი — თიკა ფაცაცია, ჩემი აზრით, დედაჩემივით სამაგალითო ვერ არის. ვცდილობ, ბავშვის ფსიქოლოგიას მეტად ჩავუღრმავდე, რომ შემდგომ თავიდან რაღაც პრობლემები ავირიდო; შვილის მეტად მესმოდეს, გამოვიცნო ისიც, რასაც არ ამბობს ხოლმე. ბავშვები მუდმივად გამოსაცნობს გიტოვებენ, რაღაცებს ბოლომდე არ ამბობენ, ამიტომ უნდა მიუხვდე მათ ემოციებს, გრძნობებს, ფიქრებს... ამისთვის სულ რაღაცას ვაკეთებ. ხან სპეციალურ კურსებზე დავდივარ, ხან ლიტერატურას ვკითხულობ, რომ დედა-შვილი არ გავუცხოვდეთ... ანდრია უკვე 9 წლის არის. დადის იმ წრეებზე, რაც თვითონ უნდა. ხელს ვუწყობ, დათმობებზეც მივდივარ, ზოგჯერ ის მითმობს...

— **ეკრანზე რომ გიყურებს, მოსწონხარ?**

— ვცდილობ ხოლმე, ჩავრთო ამ პროცესში, რომ არ შეიჯავროს საქმე, რომელსაც მე ვაკეთებ, რომელიც დედას რაღაც ეტაპზე, ართმევს ხოლმე. ზოგჯერ რაღაცები არ მოსწონს, უმეტესად კი კმაყოფილია, ნამუშევარს მიწონებს. ბოლო დროს სურვილსაც გამოთქვამს, რომ გადაღებაზე წამომყვეს. ჯერჯერობით სპორტსმენობა უნდა. თუმცა ვნახოთ...

— **თიკა, ბევრ საკითხს შევეხეთ, მაგრამ არ გითქვამს, მოდელი როგორ გახდი...**

— მოდელობა პირველად 12 წლის ასაკში ვცადე და „ნატალიში“ მივედი. სხვათა შორის, მაშინ ჩვეულებრივი სიმაღლე მქონდა. დავიწყე ვარჯიში, მაგრამ მალე თავი დავანებე, თითქოს ეს საქმე არ გამომივიდა. იმ ზაფხულს, არდადეგებზე დასასვენებლად რომ წავედი, უკან გამაღლებული დავბრუნდი, რაღაც უეცრად გავიზარდე... იმის შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩვენი სკოლის დერეფანში ავთანდილი (იგი იქ სტუდიის გასაკეთებლად იყო მოსული) შემომეგება, მომესალმა და მითხრა — ზეგ კოლექციის ჩვენება მაქვს და ხომ არ გამოხვიდოდიო? აზრი მომეწონა, დავთანხმდი და პირველი ჰონორარიც — 50 ლარი — ავიღე, რაც ძალიან მომეწონა. მას მერე „დავიქოქე“... ერთი პერიოდი ლიკა ყაზბეგის სტუდიაშიც დავდიოდი...

— **ვისაც შენი წარმატება არ ახარებს, მათ მიმართ როგორ ხარ განწყობილი?**

— ასეთ ტიპებს ჩემ გარშემო ვერ ვხედავ ხოლმე, თუ მათი ქმედება ძალიან აშკარა არ არის და მაინცდამაინც ფეხს არ წამომიდებენ... მაგრამ შურის მაძიებელი მაინც ვერ ვხდები, თუმცა მათი საქციელი მწყინს ხოლმე. ჩემი სისუსტეა ის, რომ სათანადოდ არ შემიძლია, ბოროტებს პასუხი გავცე, ამას ძირითადად ვერ ვახერხებ.

— **ისე, ბოლო დროს შენი ახალი კლიპი აღარ გვინახავს...**

— კი, მართალია. ცოტა ხნის წინ რაღაც იდეა მომივიდა. ახლა იმაზეა დამოკიდებული, სიმღერა როგორი გამომივა. შემდეგ კლიპსაც იმ ნამუშევარზე გადავიღებ...

— **წარმატებებს გისურვებ.**

ნანული ზოტიკიშვილი

ფილმებში არაპროფესიონალი მსახიობების, ე.წ. ტიპაჟის მოძებნა ან კასტინგზე ხდება, ან ქუჩაში, ან ნაცნობ-მეგობრების წრეში. ფილმ „ჩიორას“ გადამღები ჯგუფის წევრმა — ვაჟა ბასილაიამ ქუჩაში ნახა გოჩა აფციაური და კინოსტუდიაში მისვლა სთხოვა. გოჩას ფოტოსურათები კინოსტუდიაში გადაულეს, მალე კინოსინჯები გაიარა. რომ უთხრეს, — დაგიბარებთო, უფიქრია: მანგლისელი ბიჭი ვის რაში დავჭირდებიო?! ორი კვირის შემდეგ აცნობეს, დამტკიცებული ხარ მთავარ როლზეო. ძალიან გაუკვირდა და თან გაუხარდა. ფილმის გამოსვლის შემდეგ, სახელით მისთვის აღარავის მიუმართავს, ის დღემდე ჩიორაა.

გოჩა ჯარში მსახურობდა, როცა ფილმი კინოეკრანებზე გამოჩნდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, რეჟისორებს ნელი ნენოვას და გენო წულაიას სახლში ესტუმრა და ის პრიზიც ნახა, რომელიც ფილმმა უკრაინაში გამართულ ფესტივალზე დაიმსახურა. მალე, პოპულარობის ტალღის ქვეშ გოჩაც მოექცა. გოგონები ურეკავდნენ, შეხვედრას სთხოვდნენ, წერილებს სწერდნენ. ამის გამო, ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავარდნილა. დრო გავიდა, თუმცა გოჩა — იგივე „ჩიორა“ კვლავ პოპულარულია და ჩვენი სტუმარიც გახლავთ.

„საკუთარ თავს ვთამაშობდი“...

ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად მოსკოვსა და ლენინგრადში ვიყავი ფილმის პრემიერაზე. უკვე 26 წელი გავიდა... სამწუხაროდ, გენო წულაია გარდაიცვალა. ახალხან კი ჩვენგან კომპოზიტორი ალექსანდრე ბასილაია წავიდა, რომელმაც ფილმისთვის დიდებული მუსიკა შექმნა. ხათუნა ჩაგელიშვილი თავისი ოჯახით გერმანიაში ცხოვრობს. ერთადერთი, თენგიზ გიორგაძესთან ვმეგობრობდი, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვერ ვნახულობთ. თბილისში, წლების წინ შევხვდი დიდ მსახიობს და ულამაზეს ქალბატონს ლია ელიავას. ისე გულთბილად მომიკითხა და მომეფერა, ახლაც ვამაყობ ამით.

ფილმს ძირთადად სოხუმში ვიღებდით. რამდენიმე ეპიზოდი — თბილისში, ხოლო მცირე ნაწილი გაგრაში გადავიღეთ. ჯგუფში ერთმანეთს ყველანი კარგად ვუგებდით. მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. გადაღებისას არაფერი გამჭირვებია, თავა-

„აფხაზეთის ომში ტყვედ ჩავვარდი და ცოცხალი გადავრჩი“

პოპულარული ფილმის პოპულარული პერსონაჟი

დაც მიკვირდა. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავს ვთამაშობდი. ველოსიპედს კარგად ვატარებდი, მაგრამ დილაობით მაინც ვვარჯიშობდი. ალგეთზე გავიზარდე და შესანიშნავად ვცურავდი. თავისუფალ ჭიდაობაში პირველი თანრიგი მქონდა. ფეხბურთსაც ვთამაშობდი, საქართველოს პირველობაზე გამოვდიოდი. ერთი სიტყვით, საღამოობით რეპეტიციებს გავდიოდით, ტექსტს ვსწავლობდით. მეორე დღეს კი იმ ეპიზოდს ვიღებდით. რეჟისორი უფლებას გვაძლევდა, რომ გმირისთვის ჩვენი შტრიხები შეგვემატებინა... ერთი სცენაა ასეთი, ქორწილში წასასვლელად ვემზადებით, მე შარვალ-პიჯაკი მაცვია და უხერხულად ვისწორებ. ჩემი ეს უნებლიე საქციელი მოეწონათ და ეს კადრი ფილმში შევიდა. 4 ველოსიპედი გვქონდა და ყველა დაიმტვრა. ავარიის სცენაში, მანქანას მართლა დავეჯახე. ხელები გადამიტყავდა, სისხლი მომდიოდა და სხვა დუბლიც აღარ დაგვჭირდა. სხვათა შორის, მაშინ ყველა შეშინდა, სოფლის ხალხიც მოვარდა.

გადაღებებს შორის შუალედებში ზღვაში ვბანაობდით, ბურთს ვთამაშობდით, გოგო-ბიჭები ერთად ვერთობოდით. ადგილობრივი მცხოვრებლები, ქართველები და აფხაზები ოჯახებში გვეპატიჟებოდნენ, სუფრასაც გვიშლიდნენ. მაშინ აფხაზების მხრიდან აგრესია არ იგრძნობოდა. ერთ დღეს, სოხუმში დისკოთეკაზე წავედით. ხათუნას ნასვამი, უცნობი ბიჭები გადაეკიდნენ და მათთან შეხლა-შემოხლა მომიხდა. ამის მსგავსი ეპიზოდი ფილმშიც არის.

ფილმის გადაღება დამთავრდა, გახმოვანებაც დასრულდა და ჩემი კინოც მორჩა. მართალია, ქალბატონმა ნელიმ მირჩია თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა, ალბათ დამეხმარებოდა კიდეც, მაგრამ მიმაჩნია, რომ სულით არ ვიყავი ამ საქმისთვის მოწოდებული, ამიტომ უარი ვთქვი. ფილმზე მუშაობის პარალელურად, დიპლომზე ვმუშაობდი. ჯობდა, კარგი მეტყევე გავმხდარიყავი, ვიდრე ცუდი მსახიობი.

იღბლიანი ვარ...

ბუნებასთან ურთიერთობა მიყვარს. მეტყევე-ინჟინერი ვარ და ათი წელია, ალგეთის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების უფროსად ვმუშაობ. ჩვენ და რეინჯერები, დღეში 20-30 კმ-ს გავდივართ. დაცულ ტერიტორიებზე ხის მოჭრა აკრძალულია, ამიტომ ისეც ხდება, რომ აქტსაც ვწერთ და დამრღვევს ჯარიმასაც ვაკისრებთ. ჩვენი მთების და ველების შემხედვარეს, ბევრჯერ ლექსის დაწერაც მნდომებია და ხატვის სურვილიც გამჩენია, მაგრამ მაგის ნიჭი არა მაქვს.

ფილმს ძირითადად სოხუმში ვიღებდით

მომავალი მეუღლე მანგლისში გავიცანი

თავს იღბლიანად მივიჩნევ, რადგან აფხაზეთის ომში ტყვედ ჩავვარდი და ცოცხალი გადავრჩი. ჯერ კიდევ ომამდე, ქართული ჯარი რომ იქმნებოდა, საარტილერიო სასწავლებელში, სადაც მე ვმსახურობდი, სპეცდანიშნულების ბატალიონი ჩამოყალიბდა და მისი წევრი გავხდი. 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, მალე ჩვენც წაგვიყვანეს, გაგრაში ვიბრძოდით. ჩვენი ბატალიონიდან ვინც დავრჩით, გაგრის დაცემის შემდეგ, ალყაში მოგვაქციეს. ტყვია-წამალი გაგვითავდა და აგვიყვანეს. ორი თვე გუდაუთაში ტყვედ ვიყავით. იყო — ცემა, შეურაცხყოფა, დაჭრა, ბიჭების დახოცვა. ვიღაცამ მიცნო, ჩიორა რომ ვიყავი და ხუთმა ბიჭმა მაგრად მცემა. ორი თვის შემდეგ აფხაზ ტყვეებში გაგვცვალეს.

მომავალი მეუღლე მანგლისში გავიცანი. აქ გამოგზავნეს პედაგოგად, მუსიკას ასწავლის. ორი შვილი მყავს: 20 წლის ვაჟი — სტუდენტია, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, და 16 წლის გოგონა; პატარები როცა იყვნენ, ამ ფილმის ყურებისას ტიროდნენ. რაც დრო გადის, ფილმის ნახვა მეც მსიამოვნებს. ადრე არ ვუყურებდი...

ადამიანის ცხოვრებაში გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, არასდროს ჩავვარდნილვარ სასოწარკვეთილებაში. როცა ძალიან გამიჭირდება, „მამაო ჩვენოს“ ვკითხულობ და ისედაც, ყოველ დილით, სანამ სახლიდან გამოვალ, ამ ლოცვას ვამბობ. მწამს, რომ ჩემი რწმენა ყოველთვის გადამარჩენს. ■

ეკრანს მიღმა

ცეკვა „შუშის“ ნატეხებზე, გაჭიმული ყირა და საოცნებო როლი

„თეატრალურ უნივერსიტეტში მაგისტრატურის კურსს გავდივარ. შემდეგ კი როგორც ყველა მსახიობს, კარგი როლი მინდა, ვითამაშო“, — ამბობს ეკატერინე აბშილავა, რომელმაც ჯერჯერობით საზოგადოებას თავი იუმორისტული შოუთი გააცნო და დაამახსოვრა. ის დღეს „ქლაბ შოუს“ მსახიობი გახლავთ.



ჩვენი გუნდი ახალ იუმორისტულ გადაცემას აკეთებს

ელენე ბასილიძე

— მე და ჩემმა მეგობარმა მაშომ — გავიგეთ, რომ „ქლაბ შოუში“ ახალი იუმორისტების შერჩევა მიმდინარეობდა და 2 გოგონას აყვანას აპირებდნენ. გადავწყვიტეთ, რომ მონაწილეობა მიგვეღო კასტინგში. სანამ გასაუბრებაზე შევიდოდით, ასე მოვილაპარაკეთ: თუ რომელიმეს დაგვიწუნებდნენ, იქ არც მეორე დარჩებოდა (*იცინის*). კასტინგზეც ერთად შევედით, ყველგან წყვილად დავდიოდით და ალბათ ამანაც იქონია გავლენა და ორივე აგვიყვანეს.

— გაგწურეს კონკურსზე?

— არა. პატარ-პატარა ეტიუდები უნდა შეგვესრულებინა, რომელსაც მეც და მაშოც იოლად გავუმკლავდით.

— იუმორისტების გუნდს იოლად შეეწყვეთ?

— კი, ყველა ძალიან მეგობრული და მშრომელია! მათგან თითოეულს თავისი საქმე აქვს და ერთიმეორის კომპეტენციაში არავინ ერევა. ყოველთვის ზუსტად აქვთ განსაზღვრული დროც... სიმართლე გითხრა, სანამ მათთან დავიწყებდი მუშაობას, მეგონა, რომ სულ სიცილ-ხარხარსა და მხიარულებაში იქნებოდნენ, მაგრამ — შევცდი...

— ამდენი მამაკაცის გარემოცვაში თავს როგორ გრძნობთ?

— (*იცინის*) ძალიან კარგად! თავიდანვე რომ მივედით, ისე მოგვეპყრნენ, რომ უხერხულობა არ გვიგრძნია; როცა საქმე არ გვაქვს, ერთად კარგად ვერთობით, მოკლედ, ხან მე ვაბრაზებ ბიჭებს, ხანაც — ისინი და ვართ ასე (*იცინის*)...

— ეკა, შენ და მაშო სკეტჩებსაც წერთ?

— არა, და ბიჭებმა გვითხრეს, თუ შეგიძლიათ, თავადაც დაწერეთ და მოგვეხმარეთ ამ საქმეშიო... სიმართლე გითხრა, სკეტჩების მოფიქრება არც მიცდია, არ ვიცი, ჩემს იუმორზე საზოგადოებას გაეცინება თუ არა, ხომ ხედავ, როგორი თავმდაბალი ვარ (*იცინის*)? ბიჭების დაწერილ ტექსტს დაახლოებით 2 საათში ვიზეპირებთ და მაშინვე სცენაზე გავდივართ, რომ არაფერი დაგვავიწყდეს. პირველ ჩაწერაზე ისე ვინერვიულე, კინაღამ სცენაზევე მოვკვდი, ალბათ, მეტყობოდა კიდეც... ერთხელ კი ისე ავურიეთ ტექსტი, რომ ჩვენი სკეტჩი გადაცემიდან საერთოდ ამოიღეს (*იცინის*).

— რომელ გადაცემაში გირჩევნია მონაწილეობა — „კომედი შოუსა“ თუ „ქლაბ შოუში“?

— თავიდანვე „კომედი შოუ“ მომწონდა, პროფესიით მსახიობი ვარ და ჩემთვის რომელიმე პერსონაჟის გასახიერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახუმარო ტექსტის წაკითხვა; თანაც, ისეთი პირი უჩანს, რომ სულ მალე, მეც და მაშოც „კომედი შოუში“ გადმოვინაცვლებთ, რადგანაც „ქლაბ შოუმ“ თავისი დრო მოჭამა (*ილიმება*)...

— როგორც ვიცი, „ქლაბ შოუ“ ალარ გავა ეთერში და მას სხვა იუმორისტული გადაცემა ჩაანაცვლებს...

— კი, ჩვენი გუნდი ახალ იუმორისტულ გადაცემას აკეთებს „ქლაბ შოუს“ მაგივრად, რომელიც საკმაოდ საინტერესო და კარგი პროექტი იქნება. იგი არც ერთ ნაცნობ იუმორისტულ გადაცემას არ ემსგავსება (*იცინის*).

— ვიცი, რომ კარგად ცეკვავ...

— 10 წელი დავდიოდი ქართულ ცეკვებზე, თავიდან, ანსამბლ „გორდაში“ ვცეკვავდი, შემდეგ კი „ერისიონში“ გადავედი და როდესაც უკვე ძირითად ანსამბლში უნდა გადავსულიყავი, ზუსტად მაშინ ჩავაბარე თეატრალურ უნივერსიტეტში, 2 საქმის ერთდროულად კეთება ველარ მოვახერხე და გადავწყვიტე, რომ ცეკვისათვის თავი დამენებებინა, რასაც ძალიან ვნანობ... რაც შეეხება ყირაზე გადასვლებსა და მოქნილობას, ეს „მოძრაობის თეატრის“ დამსახურებაა. იქ 1 წელიწადი ვიყავი და პლასტიკა იქ დავხვეწე.

— ალარ აპირებ, რომ ცეკვას დაუბრუნდე?

— ძალიან მინდა! სექტემბერში „სუხიშვილებში“ მივედი, მეორე სემესტრი თებერვლიდან იწყებაო, მითხრეს და ვაპირებ, რომ ცეკვაში მეცადინეობა ისევ დავიწყო. ისე, დროში კი ვარ შეზღუდული და როგორ მოვახერხებ — არ ვიცი...

— მითხარი, რომ მე და მაშო ვმეგობრობთო...

— მე და მაშომ ერთმანეთი თეატრალურ უნივერსიტეტში გავიცანით, მაგრამ ერთმანეთი დანახვისთანავე არ მოგვწონა (*იცინის*). ერთ დღესაც, სასადილოში ყავის დასალევად ერთად ჩავედით და ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, იმ დღიდან მე და მაშო განუყრელი დაქალები გავხდით, ჩვენი ანტიპათია მეგობრობაში გადაიზარდა. ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის. ჩხუბი არასოდეს მოგვდის და ვართ სიამტკბილობაში (*იცინის*).

— ეკა, ცოტა ხნის წინ „კომედი შოუში“ ვნახე, რომ დამტვრეულ შუშებზე ცეკვავდი...

— კი (*იღიმება*), საიდუმლო უნდა გამამხელინო, არა?! ის შუშა კი არა, პლასტმასის ნატეხები იყო, რომელიც ძალიან ჰგავდა შუშას. სხვათა შორის, რეპეტიციის გარეშე ვიცეკვე, ადრე მსგავსი „გმირობა“ არ ჩამიდენია, ყველა მეკითხება, — ცეკვისას ფეხები არ გტკიოდაო? როლში რომ შევიჭერი, არც კი გამხსენებია, რომ შეიძლებოდა, ფეხები მტკენოდა.

— სამომავლოდ რას აპირებ?

— ჯერ, თეატრალურ უნივერსიტეტში მაგისტრატურის კურსს გავდივარ. შემდეგ კი როგორც ყველა მსახიობს, კარგი როლი მინდა, რომ ვითამაშო (*იცინის*).

— კინოში თუ თეატრში?

— თეატრი ძალიან მიყვარს, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთ სერიალში პატარა, ეპიზოდური როლის შესრულებამ მომიწია და კინომაც გამიტაცა... ასე რომ, გამორიცხული არაფერია. წინასწარ ვერ ვიტყვი, სად და როგორ ვიქნები მომავალში. ■

პლასტიკური ქირურგები ანჯელინა ჯოლის უცნაურ ნაოჭს განიხილავენ

ანჯელინა ჯოლის ფოტოსურათმა, რომელზეც მსახიობი საკმაოდ ცუდად გამოიყურება, ინტერნეტში დიდი აურზაური გამოიწვია. როგორც ჩანს, უზადო გარეგნობის მსახიობმა პლასტიკური ქირურგიის დახმარებას მიმართა. 34 წლის ანჯელინა პაპარაცების მსხვერპლი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა. მეუღლესთან ერთად ვენეციაში ვიზიტის დროს გადაღებულ ფოტოსურათებზე მარჯვენა ყურის ბიბილოსთან გაჩენილი უცნაური ნაოჭები გარკვევით მოჩანს. გამოცემა Daily Mail-ის აზრით ანჯელინა ჯოლი ჰოლივუდური პლასტიკური ქირურგიის ბოლო მიღწევების მსხვერპლი გახდა. ამჟამად ძალზე მოდური პროცედურის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქირურგები ყურის ბიბილოსთან გაკეთებული პატარა ჭრილობიდან სახეში ძაფების იმპლანტაციას ახდენენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სახის კანი ხორცდება და იჭიმება, სასწაულთმოქმედი ძაფები კი ქრება. ამ ოპერაციის ღირებულება 4.000 გირვანქა სტერლინგია. ჭორად ამბობენ, რომ პოპის დედოფალმა მადონამ, რომელსაც 51 წლის ასაკში სახეზე ერთი ნაოჭიც კი არა აქვს, ამგვარი ოპერაცია უკვე ჩაიტარა. ანჯელინას, თუკი მან ეს ოპერაცია მართლაც გაიკეთა, ნამდვილად არ გაუმართლა. „როგორც ჩანს, ანჯელინა ჯოლის ოპერაცია ჩაუტარდა, მაგრამ რაღაც შეეშალათ. შესაძლოა, ძაფი გაწყდა და შედეგად ნალის ფორმის ნაოჭი განვითარდა“, — ამბობს პლასტიკური ქირურგი აბელ მუნირი, რომლის მოსაზრებას კოლეგების ერთი ნაწილი ეთანხმება, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ მსახიობის ყელი არაპროფესიონალურად გაკეთებულმა ბოტოქსის ინიექციებმა დაამახინჯა. ასეა თუ ისე, მედიცინის ამ სფეროს ყველა სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ ანჯელინამ ქირურგის ან კოსმეტოლოგის დახმარებას მიმართა. ვენეციაში, სადაც პაპარაცებმა ავბედითი ფოტოსურათების გადაღება შეძლეს, მსახიობი მეუღლესთან, შვილებთან და მამასთან ერთად კერძო თვითმფრინავით ჩაფრინდა. ■

ჯენიფერ ანისტონი – ქმრის ძიებაში

ჯენიფერ ანისტონისა და ბრედ პიტის ქორწინება ხუთი წელი გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც პიტი ანჯელინა ჯოლისთან წავიდა, ჯენიფერს კარგა ხნის განმავლობაში ახალი ურთიერთობის გაგონებაც კი არ სურდა. როდესაც განშორების ტკივილი ოდნავ განელდა, მან რომანის გაბმა რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ოჯახის შექმნა ვერავისთან შეძლო.

როგორც ჩანს, სასოწარკვეთილმა მსახიობმა ცხოვრების თანამგზავრის დამოუკიდებლად პოვნის იმედი დაკარგა და 40 წლის ასაკში დახმარებისთვის საქორწინო სააგენტოს მიმართა. ჰოლივუდის ვარსკვლავს მომავალი რჩეულისადმი მეტად მოკრძალებული მოთხოვნები აქვს: იგი ერთგული და პატიოსანი უნდა იყოს. ასეთი საქმროს საპოვნელად ჯენიფერმა 1 მილიონი დოლარის გადახდაც კი არ დაიშურა! ■

„მაგარია, როდესაც დისკომფორტს არ გაურბიხარ“

რენე ზელვეგერმა მაყურებელთა გულები რომანტიკული კომედიის — „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ სასაცილო და გულუბრყვილო გმირის როლით დაიპყრო, ბოლოს კი მისტიკურ ტრილერში — „საქმე №39“ ითამაშა... სურათის წამყვანმა ვარსკვლავებმა — რენე ზელვეგერმა, ბრედლი კუპერმა და იენ მაკშეინმა აღნიშნული ფილმის გადაღებების დროს მიღებული შთაბეჭდილებები მკითხველს გაუზიარეს.

რენე ზელვეგერი:

— ჩემი გმირი — ემილი ჯენკინსი — ბავშვებზე მეურვეობის სამსახურის სოციალური მუშაკია. იგი სახიფათო სიტუაციაში ჩავარდნილი გოგონების საქმეებს უძღვება. ემილი გოგონას საქმეს ჰკიდებს ხელს, რომელსაც მისი აზრით, საფრთხე ემუქრება. ის მეურვეობას კისრულობს... სიუჟეტის განვითარებასთან ერთად, სიტუაცია უარესობისკენ იცვლება და გმირს ძალზე უჭირს იმის გარკვევა, მართლაც ხდება ზებუნებრივი ამბები თუ არა?

— მოგწონთ მისტიკური ტრილერის ჟანრი?

— ვფიქრობ, მაგარია ისეთი ფილმის ყურება, რომელსაც ემოციური დისკომფორტის მდგომარეობაში შეჰყავხარ, მაგრამ ამას არ გაურბიხარ დ ფილმის ყურებას განაგრძობ.

— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ რეჟისორ კრისტიან ალვარტთან მუშაობისას?

ბრედლი კუპერი:

— მას ყველაფრისადმი ძალზე პირდაპირი მიდგომა ახასიათებს და ზუსტად იცის, თუ რა უნდა. ფილმში ბევრი რთული სცენაა და მის გადასაღებად თავდაჯერებული და მტკიცე რეჟისორია საჭირო. ფილმში განსაკუთრებით კრაზანების სცენა მომეწონა, სადაც მრავალი მცირე პაუზაა. სცენას განსაკუთრებული რიტმი აქვს.

იენ მაკშეინი:

— ამ ჟანრის ფილმები მთლიანად რეჟისორზეა დამოკიდებული. კრისტიანს კარგად შეუძლია იმ მასალის გაკონტროლება, რომელზეც მუშაობს.

„ისე გამოვიყურები, როგორც პლასტიკური ოპერაციის შემდეგ“...

დღეს პლასტიკური ოპერაციები ვარსკვლავური თავყრილობების საყვარელი თემაა, მაგრამ თავად ვარსკვლავები იშვიათად ბედავენ იმის აღიარებას, რომ მათ გარეგნობაში პლასტიკური ქირურგის ხელი ურევია. პოპულარული ტელეწამყვანი თინა კანდელაკი კი უკვე მერამდენედ, ჭორების გაქარწყლებას ცდილობს და დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემას თავს არიდებს. უკანასკნელ მტანჯველ შეკითხვას: „მართალია, რომ ტუჩები გაიდიდეთ?“ თინამ მშვიდი ღიმილით უპასუხა — „სიცრუეა“... მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მაყურებელს და მისი ბლოგის მკითხველებს მოულოდნელი შეკითხვით მიმართა: „როგორ ფიქრობთ, როდესაც ადამიანი სახის პლასტიკურ ოპერაციას იკეთებს, ღირს ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადოს?“ რამდენიმე დღის წინ ტელეწამყვანმა ახალი ინტრიგა შემოგვთავაზა. ინტერნეტში საკუთარი ფოტოსურათი განათავსა წარწერით: „ისე გამოვიყურები, როგორც პლასტიკური ოპერაციის შემდეგ“...

და მაინც, შეიცვალა თუ არა გარეგნობა თინა კანდელაკმა? ვიდრე ტელეწამყვანი ახალ ინტრიგებს ხლართავს, ჩვენს მკითხველს შესადარებლად ორ ფოტოსურათს ვთავაზობთ. დაე, მან თავად გადაწყვიტოს, მართლა მიმართა თუ არა თინა კანდელაკმა პლასტიკური ქირურგიის დახმარებას?

უბინაოდ დარჩენილი თინა კანდელაკი

ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — ბორის ეზბეევმა ცნობილ ტელეწამყვან თინა კანდელაკს შეპირებული ცხენი და ბინა აღარ აჩუქა. როგორც ცნობილია, იანვარში ტელევარსკვლავი სტავროპოლში დახურულ წვეულებაზე იყო დაპატიჟებული. ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გახურებული ქეიფის დროს ტელეწამყვანს ცხენი აჩუქა, შემდეგ კი ბინასაც შეჰპირდა, მაგრამ პრეზიდენტმა ეზბეევმა მოგვიანებით განაცხადა: „დღეს გაოცებული დავრჩი, როდესაც ინტერნეტში წავიკითხე ინფორმაცია, რომ ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მეთაურმა ვიღაცას ცხენი თუ ბინა აჩუქა. ასეთი საჩუქარი არავისთვის მიმირთმევია, მათ შორის არც თინა კანდელაკისთვის“. ტელეწამყვანმა გაზეთ „Комсомольская правда“-ს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ დასრულდა ეს ამბავი: ერთი ფრიად პატივსაცემი ადამიანის იუბილეზე სტავროპოლში ვიყავი მიწვეული. წვეულებას ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ებზეევის ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც ესწრებოდა. ჩვენ, კავკასიელები ხმაურიანი ხალხი ვართ. მათ იუბილარს ცხენი აჩუქეს, შემდეგ მითხრეს, რომ ცხენს მეც მჩუქნიდნენ. მე ცხოველებზე ყოველთვის ვზრუნავ, ამიტომ ვიხუმრე, რომ კარგ რაშს კარგი ბინა სჭირდება. მითხრეს, რა პრობლემაა, ცხენს ბინასაც ვჩუქნითო... შემდეგ კი გაირკვა, რომ ებზეევი ადმინისტრაციის მეთაურივით გულუხვი არ არის... საბოლოოდ ცხენისა და ბინის გარეშე დავრჩი, მაგრამ მე ხომ მეგობრები მყავს, ეს კი გაცილებით მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა თინა კანდელაკმა. ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

ერთ დროს ყველასთვის სასურველი საპატარძლოს უცნაური ბედისწერა

ოდესღაც ერთი, ძალიან ლამაზი ახალგაზრდა გოგონა მთელ საქართველოს „ცისფერი ეკრანიდან“ გაეცნო და მოხიბლა კიდეც. თბილისში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ საპატარძლოდაც კი მიიჩნევდნენ, მაგრამ დღემდე არ გათხოვილა. ერთ დროს ფორტეპიანოზე კლასიკის შესანიშნავ შემსრულებელს დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მუსიკასაც დაემშვიდობა. ხელსაქმის გასაოცარი ნიჭი აღმოაჩნდა: ულამაზესი ნაქარგები, ასევე ულამაზესი სამკაულები, გაახლებული და საკუთარი დიზაინით შეკერილი სამოსი, ძველი ნივთებისგან შექმნილი ფიგურები ნებისმიერს გააოცებს და აღაფრთოვანებს. ლალი ხვედელიანს შინ ვეწვიე და ბინაში შესვლისთანავე ძალიან ლამაზმა და საინტერესო ნახატებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

ირმა ხარშილაძე

მამისგან გამოყოლილი ნიჭი

— ეს მამაჩემის — შოთა ხვედელიანის ნახატებია. მამა ეკონომისტი და ერთ დროს ძალიან ცნობილი ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი გახლდათ. მართალია, თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ მის ნამუშევრებს უდიდეს შეფასებას აძლევდნენ პროფესიონალებიცა და მოყვარულებიც. მისი ერთ-ერთი ნამუშევარი „თბილისობა“ ჰანს დიტრიხ გენშერსაც (*გერმანიის საგარეო საქმეთა ექსმინისტრი. — ავტ.*) კი აჩუქეს.

თურმე თავადაც კარგად ხატავდა — მამისგან გამოჰყვა ნიჭი. თუმცა მას უფრო გრაფიკა იტაცებდა და, ძირითადად, პორტრეტებზე მუშაობდა.

— დედაც ძალიან ნიჭიერი მყავს — ყველანაირი ხელსაქმე გამოსდის, თანაც გასაოცრად კარგად. მე და ჩემს დას ქურქებსაც კი თვითონ გვიკერავდა, ჩვეულებრივი სამოსის შეკერვასა და ქარგვაზე რომ არაფერი ვთქვა.

დედისგან კერვისა და ქარგვის ნიჭი გადმოეცა. დედის შეკერილი და მოქარგული ულამაზესი გადასაფარებლები მაჩვენა — ყავლი გასულია და თვითონ გაუახლებია, ახალი დეტალებიც დაუქარგავს. საერთოდაც, ძალიან საინტერესო წინაპრები ჰყოლია. ხვედელიანები თურმე რაჭის სოფელ ქრისტესში ცხოვრობდნენ. ლალის ბაბუა რომ დაღუპულა, ბებიას საგვარეულო სასაფლაოზე აკლდამასავით სასაფლაო გაუკეთებია და საფრანგეთიდან ჩამოტანილი იებით შემკული გვირგვინი დაუდგამს. ლალიმ მითხრა: ისეთი ლურჯი იებია, დღესაც ცოცხალი გეგონებაო. მერე ბებიაც იქ დაუსაფლავებიათ, მაგრამ გისოსიანი „აკლდამის“ გასაღები დაკარგვიათ, საკეტი კი გასატეხად ენანებათ, ამიტომ გარეთ ანთებენ ხოლმე სანთლებს. რაჭის სახლიც, სამწუხაროდ, უკვე უპატრონოდაა მიტოვებული. წინაპრების ნაქონი უძველესი ნივთები კი წამოუღიათ და იერშეცვლილს დღეს შინ ინახავენ.

— ეს, მაგალითად, ერთ დროს გადასახსნელი ხავერდგადაფარებული კარტის სათამაშო მაგიდა გახლდათ. საკუთარი დიზაინით გადავაკეთე: სარკე ჩავადგმევინე, ვიტრაჟები შევაცვლევინე და ახლა ორიგინალურ და ძალიან ლამაზ ტუალეტის მაგიდად ვაქციე.

ეს, მაგალითად, ერთ დროს გადასახსნელი ხავერდგადაფარებული კარტის სათამაშო მაგიდა გახლდათ

„საექსპოზიციო დარბაზი“

ლალის „საექსპოზიციო დარბაზი“ დიდი არაა, მაგრამ ექსპონატების სიუხვისა და მრავალფეროვნების გამო მის



მართალია, თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ მის ნამუშევრებს უდიდეს შეფასებას აძლევდნენ პროფესიონალებიც

დასათვალიერებლად საკმაო დრო დამჭირდა. გზადაგზა კი ჩემი ძალიან სასიამოვნო მასპინძელი საკუთარ ცხოვრებაზე მიამბობდა.

— მუსიკალური სასწავლებელი მქონდა დამთავრებული და მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანოზე დაკვრას ვასწავლიდი. ჯემალ გოკიელის დირიჟორობით სახელმწიფო ორკესტრთან ერთად ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოცარტის, ჰაიდნის, გრიგის, შოპენის, რახმანინოვის ნაწარმოებებსაც ვასრულებდი. ძალიან წარმატებულ და ნიჭიერ პიანისტად მიმიჩნევდნენ და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ ჩემზე. ამას წინათ ნათია კავსაძემ მითხრა: შენი დაკრული რახმანინოვის კონცერტი ახლაც ყურში ჩამესმისო.

მაინც არ გაჰყოლია პიანისტობას. თურმე თითოეულ კონცერტს მძაფრად განიცდიდა — მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან სცენაზე გამოდიოდა, შიში ვერ დაუძლევია. კონსერვატორიაში ჩაბარება მაინც გაურისკავს, მაგრამ მისაღებ გამოცდაზე მარცხენა ხელი გაჩერებია. ამიტომ კონსერვატორია გადაუფიქრებია და იმავე წელს უცხო ენათა ინსტიტუტში ჩაუბარებია. არც ნანობს: მუსიკოსობით თავის გატანა გამიძნელდებოდა, გერმანულის ცოდნა კი ძალიან გამომადგა — მოსწავლეები მყავს. ცხოვრების ყველაზე ლამაზ და კარგ დროდ ტელევიზიაში გატარებულ დღეებს მიიჩნევს. თუმცა არ მალავს, რომ ტელევიზიამ „ჩაძირა“ — პროფესიულ წინსვლაზე, თუნდაც დისერტაციის დაცვაზე აღარც მიფიქრიაო. სატელევიზიო ეკრანზე კი სრულიად შემთხვევით აღმოჩენილა.

ტელეეკრანის ხიბლი

— 1985 წელი იყო და ჩემი ბავშვობის მეგობარი ჟურნალისტი და წმყვანი მარინე ჯაში უკვე ტელევიზიაში მუშაობდა, მე კი იმხანად მუსიკალურ სკოლაში ვასწავლიდი. ვგრძნობდი, ეკრანის კომპლექსი მქონდა და ვთხოვე, რადიოში დიქტორად მიმიყვანე-მეთქი. მარინემ წარმადგინა ბატონ ედნარ გიორგობიანთან, რომელმაც მოახლოებულ ტელედიქტორთა კონკურსში მონაწილეობა შემომთავაზა. 200-კაციან კონკურსში 8 გოგონა და ერთი ვაჟი შეგვარჩიეს და ერთი წლის განმავლობაში გვამზადებდნენ.

ტელევიზიაში საკმაოდ გამოცდილი დიქტორები დახვდნენ: დონარა კინწურაშვილი, ჟანეტა არჩვაძე, ქეთი მითაიშვილი, ირინა მათიაშვილი... ამიტომ თავის გამოსაჩენად ახალბედებს ბევრი შრომა დასჭირვებიათ.

— 1986 წლიდან მონაცვლეობით ვჩნდებოდით ეკრანზე. მახსოვს, პირველად რომ ჩამრთეს პირდაპირ ეთერში, ისე ვნერვიულობდი, ლამის ტირილი დავიწყე: დედა მინდა-მეთქი. თუმცა არც კი წავბორძიკებულვარ, ისე გამოვაცხადე სატელევიზიო პროგრამა. მერე და მერე მივეჩვიე ცოცხალ ეთერში მუშაობას: გადაცემების ანოტაციებს ვწერდი და მაყურებელს ვაცნობდი, განცხადებებს ქართულ და რუსულ ენებზე ვკითხულობდი. თუ დილის მორიგე ვიყავი, 9 საათზე იხსნებოდა პროგრამა და წინა ღამეს, ფაქტობრივად, ვათენებდი: მთელი ღამის განმავლობაში წამდაუწუმ შევყურებდი საათს, დრო რომ არ გამომპარვოდა — ასე ვიტანჯებოდი ყოველთვის...

1990-91 წლებიდან ტელევიზიაში დიქტორთა ინსტიტუტი გაუქმდა და ლალი ახალგაზრდული პროგრამების მთავარ რედაქციაში, შემოქმედებით გაერთიანება „არსში“ გადაუყვანიათ. იქ გადაცემებს ამზადებდა. მერე ცოტა ხნით კინორედაქციაშიც უმუშავია — გადაცემა „კვირადღე“ მიჰყავდა და თანაავტორიც იყო. შამილ ჭიაბრიშვილთან, ალფრედ ადვაძესთან და გიორგი ლიფონავასთან ერთად მუშაობდა. სასაცილო თუ სატირალი კი ის გახლდათ, რომ გადაცემას გაგანია ენერგეტიკული კრიზისის დროს ამზადებდნენ და კვირას, საღამოს 6 საათზე გადიოდა ეთერში, მაყურებელი კი, ფაქტობრივად, არ ჰყავდათ — სინათლე პრაქტიკულად არავის ჰქონდა...

— 1993 წელს ტელევიზიიდან ჟურნალისტთა ფედერაციაში გამიშვეს — სი-ენ-ენის ფილიალისთვის გერმანულის მცოდნე ჟურნალისტების კონკურსს ატარებდნენ. თურმე დსთ-ის თითო ქვეყნიდან თითო ადამიანი უნდა შეერჩიათ. გამესაუბრნენ და 9-კაციანმა ჟიურიმ ერთსულოვნად მომიწონა, მომილოცეს კიდეც, თუმცა საბოლოოდ მაინც სხვა გაუშვეს. არადა, დარწმუნებული ვარ, იქ რომ წავსულიყავი, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლებოდა.

ხანდახან ერთი წუთი ცვლის ცხოვრებას — ან აგაშენებს, ან დაგაქცევს.

ლალის კი თურმე არასდროს უმართლებდა. მთელი ჩემი ცხოვრება მირაჟიაო, — დანანებით ამბობს... 2000 წელს ტელევიზიიდან საკუთარი განცხადებით წამოსულა და გერმანიაში გამგზავრებულა. იქიდან დაბრუნებული უშტატო თანამშრომლად მაინც მიუღიათ ტელევიზიაში.

— საინტერესო ბრაზილიურ სერიალს, „ზაფხულის საიდუმლოს“ ვახმოვანებდი. მახსოვს, ტელევიზიის მეორე არხზე გადიოდა. ძალიან მომეწონა გახმოვანება. თავსაც ლაღად და თავისუფლად ვგრძნობდი.

ლამაზ ქალებს სიყვარულში არ უმართლებთ

თუმცა მას შემდეგ ფილმის გახმოვანება არავის შეუთავაზებია... უსაქმოდ ხომ ვერ გაჩერდებოდა და ერთხანს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრშიც კი მუშაობდა, მერე გერმანიის ატაშესთან საკონტაქტო ოფიცერიც იყო. გერმანიაშიც ხშირად დადიოდა — სემ-

ლალის და, ბებია-ბაბუას საფლავთან

ინარებზე უშვებდნენ. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი იქიდანაც წამოსულა, — ყველა მეგობარი წამოვიდა და მე ხომ არ დავრჩებოდიო. კმაყოფილია, რომ გერმანული კარგად შეისწავლა, — ეს რომ არ მცოდნოდა, არ ვიცი, რა მეშველებოდაო. არადა, ღმერთმა მრავალმხრივი ნიჭით დაადაჯილდოვა. — ასე ფიქრობენ, მაგრამ რაში გამომადგა ეს ნიჭიო, — გულისწყვეტით ამბობს. თუმცა ცხოვრება არ დასრულებულა, ამასთან, ახლაც არაჩვეულებრივად ლამაზად გამოიყურება. ყოველთვის სასურველ საპატარძლოდ მიიჩნევდნენ და...

— ჩემი მეგობრები ახლაც ასე ფიქრობენ, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს. თუმცა, ჩემი ორი წლით უმცროსი და სამი თვეა, გათხოვდა მაგრამ ჩემს პირად ცხოვრებაში ჯერჯერობით არაფერი ხდება. ადრე თითქოს კი ხდებოდა, მაგრამ მაშინ ასე რატომ ვარ?.. ესე იგი, არაფერი მომხდარა...

თუმცა ამბობს, რომ ჰყვარებია, მაგრამ ყველა ურთიერთობა სევდიანად

ექსპონატების სიუხვისა და მრავალფეროვნების გამო მის დასათვალიერებლად საკმაო დრო დამჭირდა

დასრულებულა. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საკუთარ თავს თვითონვე აფერხებს. ამბობს, ბედისწერის მჯერა, მის გარეშე ნაბიჯს ვერ ვდგამო.

— ხომ ამბობენ, ცოტას შენც უნდა მიეშველო ბედსო, — რამდენჯერაც ვცადე, არაფერი გამოდის. ამასთან, ძალიან პასიური და დეპრესიული ადამიანი ვარ — ეს ჩემი ნაკლია.

რატომღაც ხშირად ლამაზ ქალებს სიყვარულში არ უმართლებთ, ვერ პოულობენ შესაფერის პარტნიორ მამაკაცს, რომელიც მათ ბედნიერებასა და დიდ სიყვარულს აჩუქებს... იქნებ იმიტომაც, რომ სილამაზით გამორჩეულები, გამორჩეულად პრეტენზიულებიც არიან.

— არც უმაგისობაა. თუმცა ორმხრივი სიყვარულიც მქონია, მაგრამ მაინც ვერ აეწყო ურთიერთობა... ვნახოთ, ეგებ მომავალში რაღაც მაინც შეიცვალოს... უკეთესობისკენ. ■

ჟოლოს მურაბის ბავშვობის გემო

მარი ჯაფარიძე

გამოფენის გახსნის საღამოს, როდესაც ა-ლა-ფურშეტიც დამთავრდა, ჩემმა ქმარმა სასტუმროსთან ჩამომსვა.

— შენ მას უნდა შეხვდე. თავისი ჩამოსვლა შენი დაბადების დღეს ტყუილად ხომ არ დაამთხვია?

აი, რატომ მიყვარს ჩემი გენიალური ქმარი... ლექსოს ყოველთვის ესმოდა ჩემი... არასოდეს ვინანებ ცხოვრებაში, ივლისის იმ ცხელ ღამეს საბურთალოს ქუჩაზე, იმ პატარა ბინაში რომ დავრჩი...

კარიდანვე შევნიშნე ფანჯარასთან მჯდარი ზაზა და მისი უფროსი შვილი, ელენე.

ზაზამ დამინახა თუ არა, წამოდგა. შეცვლილიყო... ცოტა გასუქებულიყო, საფეთქლებთან თმა გაჭაღარავებოდა, მაგრამ კიდევ იყო რაღაც, რაც მას სხვანაირს ხდიდა. ალბათ კანის ფერი... ძველებური, ქართული ფერი აღარ ედო. ამერიკული იერი დასდებოდა. ღიმილიც სხვანაირი ჰქონდა. რაღაცნაირი, ჰოლივუდური... მაგიდის შუაგულში პატარა ლარნაკში მინდვრის ყვავილების თაიგული იწონებდა თავს... როგორც ჩანს, არ დავიწყნია...

ზაზა დაჯდომაში მომეხმარა და მენიუ გამომიწოდა.

— მოიცადე, კარგად შემოგხედო, რამდენი წელია, არ მინახავხარ?

— 1979-დან 2009-მდე...

— ნუთუ 30 წელი გავიდა?

— მე 93-შიც ვიყავი ჩამოსული, მაგრამ შენი ქმარი ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში იყო და შენც თან ახლდი. მე კი სულ 3 დღე მქონდა.

— მომიყევი, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ...

— მართალია, აქედან მოულოდნელად წავედი, მაგრამ ამერიკაში უპატრონოდ არ დავრჩენილვარ. ბიძაჩემი დიდი ხნის წასული იყო, ჯერ კიდევ სამამულო ომის დროს და მისი იმედი მქონდა. მას პურის საცხობი ჰქონდა, ქართულ პურს აცხობდა. მართალია, ამერიკელები ასეთ პურს არ ჭამენ, მაგრამ ქართველებს მის გარეშე არ შეუძლიათ. მასთან დავიწყე მუშაობა და ვინაიდან ის უკვე საკმაოდ მოხუცი იყო, საქმე მე ჩამაბარა. ეს კარგი ბიზნესია. მე სხვა კუთხით მივუდექი და შემოსავალიც გაიზარდა. თავიდან თავს მთლად კარგად ვერ ვგრძნობდი, მაგრამ შემდეგ მივეჩვიე. ელენე დაიბადა... სახლიც ვიყიდე...

გავუღიმე. საკმაოდ უცნაური აქცენტი ჰქონდა. ქართულ-ამერიკული... წმინდა სისხლის ქართველ კაცს ისეთი აქცენტი ჰქონდა, თითქოს ახლა სწავლობდა ქართულს.

— შენი ცოლი? ნანა რას აკეთებს?

— ის თავიდან თეატრში მოეწყო, სასცენო კოსტიუმებს კერავდა. შემდეგ, როცა ელენე წამოიზარდა და მატერიალურადაც მყარად დავდექით ფეხზე, ტურისტული ფირმა გახსნა. აქედან ჩამოსულ ტურისტებს ნიუიორკს ათვალიერებინებდა...

ზაზამ მენიუს ჩახედა და მიმტანს უხმო. ხილის სალათა და პორტუგალიური ღვინო შეუკვეთა. ელენესთვის კი — ნაყინი.

— იმ დღეს, 11-ში, დილით, 8 საათზე ერთ-ერთი ჯგუფი „ტყუპის“ დასათვალიერებლად წაიყვანა... ისინი მოგვიანებით იპოვეს... ფილებს შორის... ჩემი ცოლი ვეღარ ვიცანი... რამდენიმე წუთში გაჭაღარავებულიყო... დარეკვა მოასწრო და მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა: „მშვიდობით“ და კავშირი გაწყდა. როდესაც იპოვეს, ტელეფონი გულზე ჰქონდა მიკრული.

ზაზას ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა... როდესაც ჩემი და ნანას ბავშვობა გამახსენდა, როგორ ვთამაშობდით ერთად, როგორ ვჩხუბობდით, ვერც კი წარმოვიდგინე, რომ ის ამ ტერაქტის მსხვერპლი გახდა.

სასმელი გადამცდა და ღამის დავიხრჩე.

— ზაზა, მაპატიე, ჩვენ ხომ აქ თქვენ შესახებ არაფერი ვიცოდით...

ელენეს ძილი მოერია და ზაზამ ცოტა ხნით მარტო დამტოვა, რათა გოგონა ნომერში აეყვანა.

— ჩვენ პირველში მივფრინავთ და უკვე სამუდამოდ. მე ინფარქტი გადავიტანე, შემდეგ რთული ოპერაცია. აქ ვეღარ ჩამოვალ, რადგან ექიმი არ გამომიშვებს. ნიუ-იორკის სასაფლაოზე ადგილი მაქვს, ნანას გვერდით. ხშირად დავდივარ იქ... მარმარილოზე ხელს დავადებ ხოლმე და ყინულივით სიცივეს ვგრძნობ... თუმცა, ვიცი, რომ ნანას აღარ სცივა.

— როდისაა რეისი? ღმერთო ჩემო, რას გეკითხები? შენ ხომ სახლიც გაყიდე... თითქოს ჭიპლარი გადაჭერი. რატომ მოიქეცი ასე?

— მე ნანას გვერდით უნდა დამასაფლავონ...

— სახლი?

— აეროპორტში მოხვალ? — კითხ-

ვაზე კითხვით მიპასუხა ზაზამ.

— არ ვიცი. თუ შეგიძლია, ტაქსი გამომიძახე. უმანქანოდ ვარ.

აღარ შემეძლო ამ საუბრის გაგრძელება. ის თითქოს მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ იწვებოდა ცოლის გვერდით მიწაში. მეგონა, გული ამერეოდა. გარდაცვლილი ნანას ხსენებაც კი არ მსიამოვნებდა. „მაპატიე, ზაზა“...

თითქოს ჰაერი აღარ მყოფნიდა და მეგონა, გონს დავკარგავდი.

* * *

სახლის უკან, პატარა ბაღში ვიჯექი და შვილზე, ანაზე ვფიქრობდი. ის ახლა ძალიან შორსაა ჩემგან. წარმატებული კაცის ბედნიერი ცოლი და 3 ულამაზესი შვილის დედაა. ის დედამიწის მეორე ბოლოში, მონრეალში ცხოვრობს და ყოველ წელს კაკლის მურაბასა და ალუბლის კურკებისგან აწყობილ მძივს ვუგზავნი ხოლმე. ასეთ მძივებს ბავშვობაში ვაკეთებდით...

ამ ადგილიდან, სადაც ახლა ვიჯექი, ხეებს შორის ავტობუსის გაჩერება ჩანს. ბავშვობაში ჩვენად მქონდა ავტობუსების ყურება. განსაკუთრებით საღამოობით, როდესაც სამსახურიდან მომავალ მშობლებს ველოდი... ისინი აღარ დაბრუნდებიან, მაგრამ ეს ჩვენა დღემდე შემომრჩა.

30 წელი გავიდა... მე კი ავტობუსიდან ჩამოსული ადამიანების სახეებს მაინც ვაკვირდები... ახლა ავტობუსით იმდენი ხალხი აღარ მგზავრობს, როგორც წინათ... ახლა ყველა ოჯახს მანქანა ჰყავს... მაშინ კი მსუბუქი მანქანა ჩვენს ქუჩაზე სულ რამდენიმე ოჯახს ჰყავდა...

ეს იყო დიდი ხნის წინ...

ეს იყო გუშინ...

* * *

...ზაფხულობით მშობლებს სოფელში, ბებიასთან მივყავდი ხოლმე. ერთ საღამოს მე, ზაზა და ნანა ტყიდან ვბრუნდებოდით. მე და ზაზა თითქმის ერთად გავიზარდეთ, ერთმანეთს 1 წლიდან ვიცნობდით. ნანა იმ ზაფხულს პირველად ჩამოვიდა სოფელში არდადეგებზე და მაშინ გავიცანით. ზაზა ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ ამას საკუთარ თავსაც არ ვუმხელდი. პატარა, ქერა ბიჭუნასგან ლამაზ, ათლეტური აღნაგობის მამაკაცად ისე გადაიქცა, ვერც კი შევნიშნე. ის ჩემზე 2 თავით მაღალი იყო და ზედა ტუჩს ულვაშიც უმშვენებდა.

ნანა კი შავგვრემანი, ფეხებმოღრეცილი გოგონა იყო, ოთხკუთხედი თავითა და წვრილი ტუჩებით. თავისი გარეგნობის გამო სოფელში გამოჩენის პირველივე დღიდან ბოშა შეარქვეს. ამ ყველაფერთან ერთად, ძალიან პრეტენზიული და ცოტა ისტერიკულიც იყო. მარცხენა ხელზე ახალი, წითელი ნაიარევი ეტყობოდა. როგორც გავიგეთ, იმ წელს თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდებზე ჩაჭრილა და ამის გამო ვენები გადაუჭრია. ახლა დედის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყო და იძულების წესით, ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს საათობით სვამდა. აბების დალევის შემდეგ ნანა უცნაურად იქცეოდა ხოლმე. ჯერ ჩუმდებოდა, შემდეგ თითქოს გამოცვალესო, დაიწყებდა ხმამაღლა სიცილს, ხარხარს, თავის ქებას...

ნანა დედამ შუახნის ასაკში, უქმროდ გააჩინა. მამაკაცმა იცოდა შვილის არსებობის შესახებ და ხანდახან მატერიალურადაც ეხმარებოდა. თუმცა, ოფიციალურად შვილად არ ცნო. შემდეგ ნანას დედა ინვალიდ მამაკაცს გაჰყვა ცოლად. მას ორივე ფეხი მოჭრილი ჰქონდა... მამაკაცმა ნანა იშვილა და გვარიც მისცა. ეს ყველაფერი დედასა და ბებიას საუბრიდან გავიგონე. როცა ნანას ისტერიკა ემართებოდა, მამობილს გერზე მეტად ცოლი უფრო ეცოდებოდა.

ყველაზე საწყენი და უცნაური კი ის იყო, რომ ზაზას სწორედ ეს გოგო შეუყვარდა. ის მას ველოსიპედით ასეირნებდა, მდინარეზე ცურვას ასწავლიდა, საკუთარი ხელით აჭმევდა ბებიაჩემის ბაღში, მისთვის დაკრეფილ ჟოლოს. მაშინ ზაზა ერთადერთ, რეალურ ადამიანად მყავდა წარმოდგენილი, ვინც პირველ კოცნას მაჩუქებდა. ჩვენ ერთად გავიზარდეთ, 12 წლის ასაკამდე ვჩხუბობდით და ერთმანეთს ვცემდით კიდეც. დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს და-ძმასავით ვუყურებდით. ერთ საღამოს მაშინ 15 წლისები ვიყავით, ბავშვები „დამალობანას“ ვთამაშობდით. მე და ზაზა შემთხვევით ერთად მოვხვდით პატარა საქათმეში. ერთმანეთზე მიკრულები ვისხედით. თბილოდა. დედაჩემის შეკერილი, ჩითის სარაფანი მეცვა. ზაზა წელს ზემოთ შიშველი იყო. მხოლოდ ჯინსის შარვალი ეცვა. იოლად დავაფიქსირე, როგორ აუჩქარდა სუნთქვა და ოფლმა დაასხა. მთელი სხეული დაეჭიმა. სარაფანის სამხრე ჩამომივარდა და ლამის მკერდი მომიშიშვლდა. ზაზამ თვალი ამარიდა, სამხრე გამისწორა და გამიღიმა. როგორც ჩანს, თავბრუ ისე დაეხვა, რომ ნაბიჯის გადადგმაც გაუჭირდა. მეც სული შეგეხუთა... თითქოს ერთმანეთს მივეწებეთ... კარგა ხანს ვიდექით ასე. ვერც ვერავინ გვიპოვა. გონს ზაზას დედის ხმამ მოგვიყვანა, რომელიც შვილს სავახშმოდ უხმობდა. თავი რომ ავწიე, დავინახე, თვალდახუჭული იდგა, თავი უკან გადაეგდო. საფეთქლებიდან ჩამონადენ ოფლს კი მის მტვრიან სახეზე კვალი დაეტოვებინა. ზედა ტუჩი ისე ჰქონდა მოჭმული, რომ სისხლი სდიოდა. ისე შემეშინდა, საქათმიდან ტყვიასავით გამოვვარდი და სახლისკენ გავიქეცი. ისე მივრბოდი, გვიან აღმოვაჩინე, ჭინჭრებში მირბენია და სულ დასუსხული ვიყავი.

ბებიას ბაღის ერთ კუთხეში ჟოლო ჰქონდა გაშენებული და მათ შორს მომცრო, მოშიშვლებული ადგილი იყო, სადაც მხოლოდ მე ვეტეოდი, ისიც, ფეხებმოკეცილი. იქ ჯდომა მიყვარდა. მწიფე ნაყოფს ხელის გაუწვდენლად, ტუჩებითაც კი ვწვდებოდი ხოლმე და ამჯერადაც სწორედ იქით ავიღე გეზი. ბუჩქებში შევძვერი, ბალახზე მოვიკეცე და ავტირდი. თავად არ ვიცოდი, რატომ ვტიროდი. ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი, რომ სწორედ იმ დღეს, იმ საქათმეში დასრულდა ჩემი ბავშვობა და მე „დიდ გოგოდ“ გადავიქეცი.

ახალგაცნობილი გოგო კი ჩემს გეგმებს შლიდა... მეჩვენებოდა, რომ ნანა ჩემ მიერ აშენებულ გეგმას ფუნდამენტიდან სათითაოდ აცლიდა ქვებს, რომლებიც მე ასეთი დიდი ძალისხმევით დავალაგე.

* * *

...სახლთან მისულებმა ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ და უეცრად, გავჩუმდით. რაღაცნაირი, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ ჩვენ შორის ერთ-ერთი ზედმეტი იყო.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ზაფხულის ღამე გულახდილობის სურვილს იწვევდა.

— მე აუცილებლად ჩავაბარებ თეატრალურ ინსტიტუტში და მსახიობი გამოვალ, — რაღაცნაირად, პრეტენზიული ხმით თქვა ნანამ.

— შენი ბოდვით გული ნუ გაგვიწყალე, — თავი ვერ შევიკავე.

ზაზა კი პირდაღებული უყურებდა ნანას.

მისი მზერა რომ დავიჭირე, თავი უხერხულად ვიგრძენი. ყელში გაჩხერილი ბურთი უხმოდ გადავყლაპე.

— მე კი ჩემს ინსტიტუტს დავამთავრებ და ფულს შევაგროვებ, რომ კაბრიოლეტი ვიყიდო, — ნიშნის მოგებით ვთქვი, — ხვალ ჩვენთან მოხვალ? ბებია ჟოლოს მურაბას აკეთებს, — ხელი დავადე მხარზე ზაზას.

ის შეკრთა.

— რაში მჭირდება თქვენი ჟოლოს მურაბა? ჯობია, შინ წახვიდე, თორემ ბებიაშენი გეჩხუბება, — გველივით ასისინდა და საზიზღარი ხმით თქვა.

მისმა ნათქვამმა გამაოგნა.

რა, მე მაგდებს?

მე?

სიმართლე რომ ვთქვათ, აქ თუ ვინმე ზედმეტი იყო, ის მე ნამდვილად არ ვიყავი. ვიდრე იმაზე ვფიქრობდი, რა მეთქვა ზაზასთვის ისეთი, რომ გამემწარებინა, მან ნანას ხელი ჩაჰკიდა და სახლისკენ გაემართა.

უცებ, ადგილს მოვწყდი, დავეწიე და მეტოქეს მთელი ძალით ჩავცხე

მუშტი ყურში. გრძელი ფრჩხილები მქონდა და ნანას ლოყაზე სისხლიანი კვალი დარჩა. მან რაღაცნაირად დაიწრიპინა და თმაში ჩამაფრინდა.

კატებივით ვჩხაოდით და ერთმანეთს თმაში ჩაფრენილები ვიბრძოდით. ამ ძიძგილაობაში, მიწაზე დავეცით და დაღმართზე დავგორდით. ზაზა ჩვენს გაშველებას ცდილობდა და მასაც მოხვდა.

ხმაურზე ქუჩაში ნანას მამობილი გამოვიდა და დედაჩემმაც ფანჯრიდან გამოიხედა. როგორც იქნა, ავიგლიჯე ნანა, ხელი ვკარი, მტვერში წავაქციე, მე კი წამოვხტი, დაკარგული, ცალი ფეხსაცმელი მოვძებნე, ჩავიცვი და გზაზე, მდინარისკენ დავეშვი...

რატომღაც იმედი მქონდა, რომ ზაზა დამედევნებოდა, მაგრამ ნახევარი გზა რომ გავიარე, მივხვდი, ტყუილად მქონდა იმედი. მდინარესთან რომ მივედი, კაბა გავიხადე და წყალში გადავეშვი. წყალი ძალზე თბილი იყო და მესიამოვნა. ვყვინთავდი და ვყვინთავდი. თითქოს, ამ ჩხუბის „ჩამორეცხვას“ ვლამობდი, რადგან მრცხვენოდა. არასოდეს მიჩხუბია სხვა დროს და ახლაც, რა დამემართა, ვერ ვხვდებოდი. ჩემს მხრებზე მთვარის სხივი ათამაშდა. მომხდარი ჩხუბი დამავიწყდა კიდეც და წარმოვიდგინე, როგორ ბანაობს მთვარის სხივებში ქალთევზა. მომეჩვენა, რომ ძალიან ლამაზი ვიყავი და გადავწყვიტე, რომ ამას აუცილებლად დავხატავდი...

კარგა ხანს ვიცურე მდინარეში, შემდეგ ამოვედი და რიყის ქვებზე გავწექი. ქვები თბილი იყო. წყენა ისევ გამახსენდა და ცრემლი თავისით ჩამომიგორდა ღაწვზე. მას მეორე მოჰყვა და მთელი ხმით ავტირდი. ნამტირალევს ლამის იქვე ჩამეძინა. წვიმის წვეთებმა გამომაფხიზლა. უკვე თენდებოდა. ავდექი და შინისკენ გავემართე. თან სახეს წვიმის თბილ წვეთებს ვუშვერდი... კაბა დამისველდა და ტანზე მომეკრო.

— დაბრუნდი? — ძალიან მშვიდად მკითხა მამამ. — მიდი, დედას მიეხმარე, ხომ არ დაგავიწყდა, დღეს თბილისში მივდივართ? მთელი ღამე სად იყავი?

— ბავშვები კოცონთან ვისხედით და ვლაპარაკობდით, — ვუპასუხე და სველი სარაფანი გამოვწიე, რომ ტანიდან მომეშორებინა.

საათი დილის 9 საათს უჩვენებდა. სახლში ისეთი ფუსფუსი იდგა, როგორც ჩანს, ჩემი არყოფნა ვერც კი შენიშნეს. დედა და ბებია ბარგს ალაგებდნენ, ჩემოდნებს დაათრევდნენ.

მოპირდაპირე სახლში ნანას მამობილი ძველ „მოსკვიჩში“ ბარგს ალაგებდა. ცოტა ხანში ყველანი ჩალაგდნენ მანქანაში და დაიძრნენ. მტვრის ღრუბელი მანქანასთან ერთად გაქრა თვალსაწიერიდან.

* * *

...გზაზე უამრავი მანქანა მოძრაობდა და ასფალტიდან საშინელი მტვერი ადიოდა მზისგან გახურებულ ჰაერში. კაბრიოლეტის „კაპიუშონი“ ავწიე და კონდიციონერი ჩავრთე.

ზაზას რეისზე რეგისტრაციის დასრულებამდე 45 წუთი რჩებოდა.

შორიდან ალბათ უცნაური დასანახავი ვიყავი. ქალი, უკან შებრუნებული, „კეპკიანი“ ქუდით აეროპორტის დარბაზში მირბის და გულზე მინის

ქილა აქვს მიხუტებული. ქილა ჟოლოს მურაბითაა სავსე... ეს მურაბა გუშინ მოვხარშე. ქილა ჯერ კიდევ ცხელი იყო და მუცელს მიწვავდა.

ისინი შორიდანვე დავინახე. გვერდიგვერდ იდგნენ და გოგონას, რომელთანაც რეგისტრაციას გადიოდნენ, რაღაცას ელაპარაკებოდნენ. თან, გულისყური დაბრაზისკენ ჰქონდათ. მე მელოდნენ. ზაზას არ შევპირებივარ, რომ აუცილებლად მივიდოდი, მაგრამ მათი გამოხედვით აშკარად მივხვდი, რომ მელოდნენ. ზაზას ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

მძიმე ქილა სარეგისტრაციო მაგიდაზე დავდე და მაშინვე ზაზას მკლავებში აღმოვჩნდი. ის რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ სიტყვებს დარბაზის ხმაური და ოპერატორის ხმამაღალი ლაპარაკი ახშობდა, რომელიც განცხადებებს რამდენიმე ენაზე კითხულობდა. შემდეგ თაიგული გამომიწოდა.

ზაზა სამუდამოდ მემშვიდობებოდა. თვალები დავხუჭე და უეცრად, თავი ისევ იმ საქათმეში წარმოვიდგინე, სადაც „დამალობანას“ თამაშის დროს დავიმალეთ. მაშინდელისგან განსხვავებით, თითის წვერებზე ავიწიე, მკლავები შემოვხვიე და ვაკოცე. შემდეგ შებრუნდი და გასასვლელისაკენ ისე წავედი, უკან აღარ მიმიხედავს.

ის გავაკეთე, რაზეც 30 წლის წინ ვოცნებობდი და სანანებელი არაფერი მქონდა.

ჩემი კაბრიოლეტი მორჩილად მელოდა აეროპორტის ავტოსადგომზე. ეს ყვითელი მანქანა ქმარმა მაჩუქა, როცა 45 წლის გავხდი. მან ამით ბავშვობის ოცნება ამისრულა. მე ხომ ასეთ მანქანაზე ჟოლოს ბუჩქებში ჩამჯდარი ვოცნებობდი.

კაბრიოლეტის „კაპიუშონი“ ისევ გადავწიე, ორივე ხელი საჭეს ჩავჭიდე და თავი საჭეზე დავდე. თავში ის ფრაზები მიტრიალებდა, რომელსაც ნახევარი საათის წინ, ზაზა მეუბნებოდა.

უეცრად, ერთი ფრაზა ამოტივტივდა: — ყველაზე საუკეთესო შედეგი იქ, ჟოლოს ბუჩქებში შექმენი... ის ჩემს ოცნებას გულისხმობდა.

ჯიბეში აწკრიალებულმა ტელეფონმა გამომაფხიზლა.

— შენ ყველაზე საუკეთესო ცოლი ხარ დედამიწის ზურგზე. მიყვარხარ უზომოდ. ქვეყნად ყველა სიყვარული, ერთად „შეკრული“ მომიძღვნია შენთვის, — ქმრის ხმა გავიგონე ყურმილში, მაგრამ ჩემმა ტელეფონმა დაიწკარუნა და გაითიშა. ელემენტი დაჯდა.

გული დამწყდა. გვერდით სავარძელზე დადებულ ყვავილების თაიგულს გადავხედე და მანქანა ადგილიდან მოვწყვიტე.

სახლამდე 20 წუთში მივედი. თვითონაც არ ველოდი, რომ ქალაქში ასეთი დიდი სისწრაფით ვივლიდი. სახლთან მოვბრუნდი და უკან წამოვედი. აქსელერატორის პედალს ფეხი ბოლომდე მივადგი. ყოველ მოსახვევში ჩემი მანქანის უკან დამწვარი საბურავების შავი კვამლი რჩებოდა. ისევ უკან მობრუნება გადავწყვიტე და სახლისკენ მიმავალ გზას იმავე სიჩქარით დავადექი. გონს მხოლოდ საკუთარ ავტოფარეხთან მოვედი. გავიფიქრე, რომ ჩემი ცხოვრება ისევ ისეთი ლამაზია, როგორც მაშინ, ჟოლოს ბუჩქების ძირში მჯდომს წარმომედგინა და ასეთი ლამაზი იქნებოდა მანამ, სანამ ჩემ გვერდით საყვარელი ადამიანი იარსებებდა და მის სიყვარულს ვიგრძნობდი. „ბარდაჩოკიდან“ პულტი ამოვიღე და ფარეხის კარი გავაღე... ავტოფარეხის შუაგულში უდიდესი და ულამაზესი თაიგული მელოდა და მე ვიცოდი, რომ ეს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მამაკაცმა დამიტოვა, რომელიც საღამოს შინ დაბრუნდებოდა და გულში ჩამიკრავდა.

■

ულტრა კოლექციონერი...

ინგა ჯაყელი

კოლექციონერობა რომ აზარტია, ეს ჩემზე უკეთესად გეცოდინებათ და ისიც, რომ მსგავსი გატაცება ხშირად გენეტიკურადაც გადაეცემა თაობიდან თაობას, მით უმეტეს, თუ კოლექციის შეგროვების მსურველს საამისოდ ფულიც მოსდევს და შეძლებაც...

ნიკოზე ვერავინ იტყვის მდიდარიაო, მაგრამ თავისი და ოჯახის რჩენა არასოდეს გასჭირვებია მამაპაპისეული ხელობის გამო. სკოლაში სწავლით არასოდეს მოუკლავს თავი, არც ვინმეს დაუძალებია, რადგან წიგნს არ თვლიდნენ თავის მოწოდებად კოპალიანები — მათი წიგნი და აკადემია მანქანის ძრავასთან იყო ყოველთვის დაკავშირებული, ყველაზე უიმედო მანქანასაც კი გამოაბრუნებდნენ საამქვეყნოს. ჰოდა, კლიენტიც არასოდეს აკლდათ, შესაბამისად, ფულიც და მომავლის გარანტიაც.



კოლექციის შეგროვება ჯერ კიდევ ნიკოს პაპამ დაიწყო და მცირე დანაზოგით სხვა რომ ოქროსა და ვერცხლს ყიდულობდა, ის ისევ ძველებურ მანქანებს ეძებდა, რომლებსაც პატრონები იოლად ელეოდნენ, ოღონდ კი ვინმეს ზედმეტად ქცეული ჯართი მოეშორებინა მათთვის. თავისუფალ დროს ძველ მანქანებს ღებავდნენ, არემონტებდნენ და მეორე სიცოცხლეს უბრუნებდნენ — ასე აღმოჩნდა კოპალიანების ეზოში უძველესი „პობედა“, ორი „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, „ვოლგა 21“, „ვოლგა 24“ და ეგ რა სახსენებელია იმ ორ „ფოლკსვაგენთან“, თავის დროზე ვიღაც ცნობილ გენერალს რომ მიუყვანია გერმანიიდან ომის დამთავრების შემდეგ და თავივითაც უფრთხილდებოდა, მაგრამ მოკვდა თუ რა, მისმა კუდაბზიკა შთამომავლებმა დაუფიქრებლად გაუცვალეს ნიკოს მამას — ვახტანგს საბჭოთა წარმოების ახალთახალ „ჟიგულში“...

ნიკოს ბაბუა რომ კვდებოდა, შვილსაც და შვილიშვილსაც შეეხვეწა:

— ამ კოლექციას არაფრის ფასად შეელიოთ, თავის დროზე შეიძლება, ისეთი ფასი დაედოს, მილიონერები გახდეთი!..

შვილმა კიდევ დაუჯერა, მაგრამ შვილიშვილმა რატომღაც უღალატა ბაბუის დანაბარებს: ცოტა ხნის წინ შავი „ვოლგა 21“ ისეთ ფასად დაუთმო მოყვარულ კოლექციონერს, მის საფასურში მზითევში ქალიშვილს ახალთახალი ჯიპი გაატანა და საფიცარი სიმამრიც გახდა.

ისე გაუტკბა იოლად ნაშოვნი ფული, ხმა გაავრცელა, სხვა მანქანებსაც შეველევიო, მაგრამ საბჭოთა ჯართით აღარავინ დაინტერესებულა. პირიქით, ახალი ეგზემპლარებითაც შეავსო ნიკომ, როცა ნაავარიები მანქანები ჩალის ფასად დაუტოვეს პატრონებმა და აღდგენის შემდეგ ვეღარც იცნეს. მაინც კოლექციონერების შთამომავალი იყო და მცირე დოზით აზარტი სისხლსაც უფორიაქებდა.

მალე მისი კოლექცია პატარა ქალაქის ღირსშესანიშნაობადაც იქცა და თუ უცხოელი ტურისტი ინდომებდა, ორიოდე ლარის საფასურად, არავის ეუბნებოდა უარს მცირე ექსკურსიაზე. ის ორი გერმანელიც ასე აღმოჩნდა მის ეზოში და ომისდროინდელი „ფოლკსვაგენებით“ მათ წინაშე თავის მოწონება ნიკოს ერთ რამედ უღირდა. განსაკუთრებით ჭაღარა გერმანელი დაინტერესდა, რომელიც აშკარად 60 წელს გადაშორებული იქნებოდა. მანქანები გულდასმით დაათვალიერა და ნიკოს ძრავის ნომრების ჩვენება სთხოვა. რაზე დაამადლიდა და ხელში გამადიდებელი ლუპაც კი შეაჩეჩა...

დახედა გერმანელმა ნომერს. გულდაგულ შეადარა თავის უბის წიგნაკში ჩანიშნულ ციფრებს და მუხლებზე დავარდა — „მაინ-გოტ“-ის ძახილით (ღმერთო ჩემოო!..), გულიც კი გაუხდა ცუდად და ცოტა რომ მოსულიერდა, ნიკოს შეევედრა:

— ეს ბაბუაჩემის მანქანაა, რომელიც ომის დროს წაართვეს რუსმა ჯარისკაცებმა, ოჯახური რელიკვიაა, ოღონდ დამიბრუნე და რასაც დამიფასებ, გადამხდელი ვარ!..

ნიკომ თავი მოიქექა და არავინ იცის, რატომ მაინცდამაინც 30, მაგრამ ეს ციფრი მოუვიდა თავში:

— 30 ათას ევროზე ნაკლებად ვერ დავთმობ!..

— ასე ცოტა? — გაუკვირდა გერმანელსაც კი და ნიკომ ინანა, რომ მეტი არ უთხრა, მაგრამ უკან აღარ დაიხია:

— ცოტაა, მაგრამ ხომ არ გაგძარცვავთ?!.

გერმანელმა ის ფული ნიკოს მეორე დღესვე ჩაუთვალა, თან პოლიციელები და ნოტარიუსიც მოიყოლა, რაიმე გაუგებრობა არ მომხდარიყო და მანქანის ნასყიდობა კანონიერად გადაიფორმა. როცა ყველა პროცედურას მორჩნენ, მანქანა გვერდზე გადააყენებინა, ბასრი დანა მოიმარჯვა და უკანა სავარძელი გაფატრა. შიგთავსის ამოღებაში ნიკოც დაიხმარა და ძირში გამოჩენილ ლითონის უჯრას დაჟანგული გასაღები მოარგო. იქედან მოგრძო ყუთი ამოიღო და როცა ისიც გახსნა, მარტო ნიკო კი არა, პოლიციელებიც მოსაბრუნებლები გახდნენ: ყუთი ძვირფასეულობით იყო სავსე და მარტო ქალის დიადემა ღირდა ალბათ მილიონი, რომელიც ბრილიანტის თვლებით იყო მოოჭვილი და ცენტრში ჩასმული ცისფერი ბრილიანტი მზის სხივებსაც კი აფერმკრთალებდა...

— ეს ჩვენი საგვარეულო განძია, რომელიც XII საუკუნიდანაა ჩვენს მფლობელობაში. 1945-ში, როცა ბერლინი დაეცა, ბაბუაჩემი მის გადარჩენას ცდილობდა, საფრანგეთში გაჰქონდა, არადა, საზღვარზე დააკავეს და რუსებმა წაართვეს მანქანა. სად არ ვეძებეთ მას შემდეგ, გაზეთებით, ინტერნეტით ვიხვეწებოდით შეეტყობინებინათ, თუ ეს მანქანა მუზეუმს მაინც შემორჩა, რადგან იშვიათი ეგზემპლარია თავადაც, ასი ცალიც არ გამოუშვიათ თავის დროზე. რას წარმოვიდგენდი, რომ შემთხვევით საქართველოში აღმოვაჩენდი — ეს მისტიკაა, ნამდვილი მისტიკა! — გაჰყვიროდა აღტაცებული გერმანელი. წავიდა და წაიღო თავისი ალალი ქონება..

ეცა გამწარებულ ნიკო დარჩენილ მანქანებს და სულ ჭანჭიკებად დაშალა, მაგრამ სასწაული აღარ მომხდარა და რადგან აღარც მათი ხელახლა აწყობისთვის ეყო ნებისყოფა, ის ხეირიღა ნახა, რომ ჯართად გაყიდული კოლექციის სანაცვლოდ, მეორე სიძესაც უყიდა (კარგად) ნახმარი „ბეემვე“ და მამობრივი მოვალეობაც საბოლოოდ მოიხადა. ამის შემდეგ კი ისე შესძულდა მანქანების სახსენებელი რატომღაც, კარგა ხანია, აღარ გაუღია დაბოქლომებული პროფილაქტიკის კარი... ■

ადვოკატი ქალისა და „პატარა ბიჭის“ სიყვარულის ამბავი

ბევრი უცნაური, არაორდინარული ამბავი მომისმენია, ხანდახან სიხარულით, უმეტესად კი — ტკივილით გაჯერებული. როცა ადამიანს რაიმე აწუხებს, მაშინ უნდა მას მწუხარების გაზიარებაც და თანაგრძნობაც. სიყვარული ყველა ასაკში მოდის. თანაც ყველგან. არა აქვს იმას მნიშვნელობა, რამდენი წლის არის ადამიანი, რა რჯულისა ან სად იმყოფება... („შეუფერებელი წყვილის ამბავი“, „კვირის პალიტრა“, 2009 წლის 2 თებერვალი).

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
მოულოდნელი გულახდილობა

ამ წერილში ადვოკატისა და პატიმრის ურთიერთობაზე გიამბობთ, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ბოლოს კი ბედნიერებით დაგვირგვინდა. მათი რომანი კარგა ხანს იყო საზოგადოების კრიტიკის თემა... ასეთ დროს, ურთიერთობაში ბზარიც ჩნდება და წყვილი ვერ უძლებს ჩასაფრებული ადამიანების ქილიკსა და ცერად ყურებას. ამ წერილის „გმირებმა“ კი ყველანაირი ბარიერი გადალახეს...

თუმცა, სჯობს, მათი ამბავი თავიდან დავიწყო, სახელებს კი, შევცვლი, რათა ძლივს მიყუჩებული ტკივილი ხელახლა არ გავახსენოთ წყვილს.

თინამ კარგი ავტორიტეტი მუშაობის დაწყებისთანავე მოიპოვა. ბრალდებულთა ახლობლები მას ხშირად აკითხავდნენ და თავიანთი პატიმრის დაცვას სთხოვდნენ. არც ჭკუა აკლდა, არც გარეგნობა, მაგრამ პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა და 40 წლის ასაკამდე ისე მივიდა, გულთან ახლოს არავინ მიიკარა.

...თინას გოგონა მაშინ ოთხი წლის იყო, როცა ქმარი მის საუკეთესო მეგობართან წავიდა. ის მაშინ უნივერსიტეტს ამთავრებდა. ორი უახლოესი ადამიანის ღალატმა მძიმე დღეში ჩააგდო ქალი. ვეღარც სწავლას უდებდა გულს, ვეღარც ბავშვს აქცევდა ყურადღებას. რომ არა მშობლებისა და ძმის თანადგომა, დარდით ლოგინად ჩავარდებოდა. მოგვიანებით მიხვდა, რომ ამ კაცისთვის არ ღირდა ნერვიულობა. მერე რა, რომ იგი პატარა თამარის მამა ბრძანდებოდა...

ძალები მოიკრიბა და გადაწყვიტა, კარიერაზე ეზრუნა. მივიდა ერთ ძალიან ცნობილ ადვოკატთან და სთხოვა, — თანაშემწედ ამიყვანეთო. პედაგოგებმა კარგი რეკომენდაცია გაუწიეს და დაიწყო კიდეც მუშაობა. ის დღე იყო და ის დღე, დაიწყო მისი აღმასვლა. 40 წლამდე არც კი გახსენებია პირადი ცხოვრება... ალბათ, არც მერე გაახსენდებოდა, რომ არა ერთი „ჯიუტი ბიჭი“.

27 წლის კახას მკვლელობა ბრალდებოდა. იგი რამდენიმე წლის წინ ნარკოტიკის მოხმარებისას დააპატიმრეს. მაშინ მალე გათავისუფლდა. არ გასულა ბევრი დრო და უბანში, ჩხუბში, კაცი მოკლეს. მკვლელმა რაღაც საშუალებებით თავი დაიძვრინა და საქართველოს ფარგლებს გარეთ გააღწია. კახა მისი მეგობარი გახლდათ და სამართალდამცველებმა მას სტაცეს ხელი... თინამ მაქსიმუმი გააკეთა. შესაძლებელი 9 წლის ნაცვლად შვიდი მიუსაჯეს...

აქედან დაიწყო თინასა და კახას ურთიერთობაც. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ასეთი სიმკაცრე საპატიმროებში, კოლონიებში — მით უფრო. კახას მობილური ჰქონდა და თავის ადვოკატს ყოველდღე ურეკავდა. თავდაპირველად საქმეს იმიზეზებდა (მისჯილი ვადა შეიძლება განახევრებოდა), მერე კი მიხვდა, საბაბს ეძებდა, რომ თინასთან დაერეკა და ეს უცნაური ურთიერთობა ადვოკატთან მიჩვევა კი არა, უფრო სხვა რამე იყო. ერთხელაც, გაბედა, დაურეკა და 14 წლით უფროს ქალს სიყვარულში გამოუტყდა. თინა ყურს არ უჯერებდა. პატიმრისგან, მით უმეტეს, „პატარა ბიჭისგან“ არ ელოდა სიყვარულის ახსნას, თუმცა თავისი კოლეგებისგან ბევრჯერ ჰქონდა გაგონილი მსგავსი ამბავი. კახას, რადგან მთავარი სათქმელი უკვე ნათქვამი ჰქონდა, დღე არ გავიდოდა, თინასთან არ დაერეკა. სასიყვარულო მესიჯებით გადატვირთული იყო ადვოკატის მობილური. ქალი ქალია და გულში ის მგრძნობიარე სიმი შეერხა, რომელიც ეგონა, რომ საბოლოოდ ჩასწყდა ქმრის ღალატის შემდეგ...

ამბავი მეორე
გაქცევა

კახამ იმდენი ქნა, თინას გული გაათბო და პატიმარს ცოტა ხნით რომ დაჰგვიანებოდა მისი მოკითხვა, ნერვიულობას იწყებდა. ოთხი წელი მიილია. ამ ხნის მანძილზე თინას, როგორც ადვოკატს, მასთან შესვლის უფლებასაც აძლევდნენ. დღითი დღე იზრდებოდა თინას მოუსვენრობა და წუხილი. ახლოვდებოდა კახას გათავისუფლების დღე. ქალს ძალიან აწუხებდა საზოგადოების აზრი, არც კახა ემეტებოდა გასაწირად. სანამ კოლონიაში იყო, უფრო ეადვილებოდა მასთან ურთიერთობა... გავიდა კიდევ ორი წელი და კახა გათავისუფლდა. რეალობა პრობლემებით აღსავსე აღმოჩნდა. გათავისუფლებულმა პატიმარმა ადვოკატი იმ დღესვე მოინახულა და ცოლობა სთხოვა. ქალისთვის ასაკობრივი სხვაობაც და პროფესიაც დიდ ბარიერს წარმოადგენდა. ხანდახან საკუთარ თავს საყვედურებით ავსებდა, — ეს რა შარში გავყავი თავიო, მაგრამ მერე თვითონაც მიხვდა, ამ დიდ და უცნაურ სიყვარულზე უარი არ უნდა ეთქვა. ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად აშინებდა, მისი შვილი იყო. თამარი უკვე დიდი გოგო გახლდათ და არ იცოდა დედამ, როგორ მიიღებდა იგი ასეთ სიახლეს. მისდა გასაკვირად, გოგონამ უთხრა — თუკი იცი, რომ კახასთან ბედნიერი იქნები, ხალხის აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევო. საკუთარ ყურს არ უჯერებდა თინა. შვილთან საუბრის მერე გული მოეცა და თავის უფროსსაც დაელაპარაკა. ბატონი გიორგის აზრი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მანაც იგივე უთხრა, რაც საკუთარმა ქალიშვილმა. უფროსის კაბინეტიდან ფრთაშესხმული გამოვიდა თინა. მართალია, ხანში შესული მშობლები და ნათესავები ისევ ბობოქრობდნენ, მაგრამ ქალმა აღარ მიაქცია ამ წინააღმდეგობას ყურადღება. იმისათვის, რომ მოყაყანე ხალხს გარიდებოდნენ, თინამ ათენში მყოფი მეგობრის მოწვევა მიიღო და კახასთან ერთად ათენში გაემგზავრა.

უკვე მეოთხე წელიწადია, რაც იქ იმყოფებიან. მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდნენ თბილისში. ისიც თამარის ქორწილზე. ერთი კვირის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ საბერძნეთში. კახა სამშენებლო ფირმაშია დასაქმებული, თინას კი იქაც გამოადგა იურიდიული განათლება. მართალია, თავდაპირველად ბერძნული არ იცოდა, მაგრამ მალევე ისწავლა და იმავე სამშენებლო ფირმაში იურისტად დაიწყო მუშაობა.

როგორც ვიცი, დიდხანს მაინც არ აპირებენ იქ ყოფნას. თინას და კახას საქართველოში დაბრუნება სურთ და იმედი აქვთ, ქართველი საზოგადოება გაცილებით მშვიდად დახვდება „შეუფერებელ წყვილს“. ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

მიცვალებულებთან დასახლებული მოხუცის ამბავი

ნათესავებზე, მეგობრებსა და მეზობლებზე განაწყენებულმა, 68 წლის მამაკაცმა ბებია-ბაბუის საფლავზე დაიდო ბინა. მკითხველისთვის შესაძლოა, ძნელი დასაჯერებელი იყოს, მეც გამიჭირდა ამის დაჯერება, ვიდრე საკუთარი თვალით არ ვნახე: ბორის გეგენავა სენაკის რაიონის სოფელ გეჯეთში, არა სასაფლაოს ეზოში ან სადმე მის სიახლოვეს, არამედ ზედ საფლავზე დაშენებულ ქოხში ცხოვრობს...

ნათელა ბახტურიძე

ცოცხალ ადამიანებზე ისე ამიცრუვდა გული, რომ მიცვალებულებთან ყოფნა ვარჩიე

„კუნძულად“ ქცეული ფიცრული

როგორც გავარკვიე, ბატონ ბორისს თავისი საფლავის ქვა წინასწარ გაუკეთებია, ახლა ფულს სასახლისთვის აგროვებს... შეშლილი არ გეგონოთ, სრულიად საღ ჭკუაზეა, ხუმრობს კიდეც, — შინ ისეთი გამხმარი პური მაქვს, ებრაელს თავში რომ ჩაარტყა, იტყვის, ქრისტიანი ვარო. გაგიკვირდებათ და, უმაღლესი განათლება ლენინგრადში აქვს მიღებული, თავის დროზე საკმაოდ შეძლებული ოჯახიც ჰქონია. თავის დღევანდელ საქციელს კი ასე ხსნის: „არ მინდა, ნათესავები ჩემ გამო შეწუხდნენ. როდესაც მოვკდები, მხოლოდ მიწის გათხრა და ამ ფიცრულის მოშლა დასჭირდებათ, სხვა დანარჩენზე წინასწარ ვიზრუნე. ჩემი ძმები ლენინგრადში ცხოვრობენ, ჩემს სანახავად მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდნენ და ცალყბად შემომთავაზეს, ჩვენთან წამოდიო...“ ირწმუნება, რომ დამადლებული შვილებისგანაც კი არაფერი უნდა... ყველაზე საოცარი კი ის გახლავთ, რომ კაცი, რომელმაც ქოხი საკუთარი ხელით ააგო (თუმცა რაღაც-რაღაცებში მუშებიც დაიხმარა), საფლავი წინასწარ გაიკეთა, სადილსაც იმზადებს, ტანსაცმელსაც ირეცხავს და სათევზაოდაც დადის, ინვალიდია — 8 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნის შემდეგ ყავარჯნების გარეშე ვეღარ დადის, ვერც მარჯვენა ხელს ამოძრავებს...

მის შესახებ სენაკში მცხოვრები ირაკლი ხოშტარიასგან შევიტყვეთ. მარტოხელა მოხუცის ყოფით შეძრწუნებული, ის სენაკში ჩასულ ჟურნალისტებს ტაქსით დაგვხვდა და ბატონი ბორიას სამყოფლამდე გაცილება შემოგვთავაზა. სოფელ გეჯეთისკენ მიმავლებს, მოხუცი გზაში შემოგვხვდა, თავისი ყავარჯნები და ანკესი ინვალიდის ეტლზე შემოედო და სადღაც მიდიოდა... სიმართლე გითხრათ, ჩვენი დანახვა დიდად არ გახარებია — რა ძალა გადგიათ, ჩემი უბედურების მოსმენით თქვენი ჟურნალის მკითხველები რატომ უნდა დააღონოთო?! ძლივს დავარწმუნე, — ჩვენი მიზანი — მკითხველის დაღონება კი არა, თქვენი გაჭირვებისთვის საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობაა-მეთქი...

ჩემს კითხვაზე — თუ რატომ აირჩია ბებია-ბაბუის საფლავი საცხოვრებლად, ასეთი პასუხი გამცა:

„ცოცხალ ადამიანებზე ისე ამიცრუვდა გული, რომ...“

— გეჯეთში ჩემი გამზრდელი ბებია-ბაბუა ცხოვრობდა. მე ცოლ-შვილთან ერთად ფოთში ვიყავი. უკვე მეექვსე წელია, აქ ვცხოვრობ. ბებია-ბაბუის გაზრდილი ვარ: ჩემს დედ-მამას ძალიან უჭირდა და ჩემი გაზრდა დედის მშობლებმა იკისრეს. ცოცხალ ადამიანებზე ისე ამიცრუვდა გული, რომ მიცვალებულებთან ყოფნა ვარჩიე. დილით რომ ვიღვიძებ, მათ ველაპარაკები, დღის გეგმების შესახებაც ვუამბობ და ჩემს აზრებსაც ვუზიარებ... მათთან უფრო მშვიდად ვარ, განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობ. თქვენ სამარე ცივი და მდუმარე გგონიათ, მე კი განსაკუთრებულად თბილად მეჩვენება და იმასაც ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტყველია...

ახლობლების მიმართ გული მას შემდეგ აუცრუვდა, რაც დაინვალიდდა. ძმებმა, შვილებმა და ნათესავებმა, ნებით თუ უნებლიედ, აგრძნობინეს, რომ ზედმეტი და მძიმე ტვირთი იყო. თავადაც ამბობს და ჩემი თანამგზავრი — ირაკლი ხოშტარიაც ადასტურებს, რომ ვიდრე ჯანმრთელი იყო და მუშაობა შეეძლო, საკმაოდ შეძლებული გახლდათ. ფოთში წაბლის ხისგან ორსართულიანი სახლიც ედგა. ნათესავებისა და მეგობრებისთვის პატივსაცემი ადამიანი იყო. ხელოსანი გახლდათ. რუსეთში, მშენებლობაზე მუშაობის დროს 8 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და კუდუსუნის ძვალი დაუზიანდა. მას შემდეგ, ვეღარც მარჯვენა ხელს ამოძრავებს. სინანულით ამბობს, რომ ახლა, დავრდომილსა და უსახლკაროს არათუ პატივს არ სცემენ, ყურადღების ღირსადაც აღარ მიიჩნევენ. მხოლოდ 80-ლარიანი პენსიისა და 30-ლარიანი დახმარების იმედადაა დარჩენილი. ეს ფული წამლებისთვისაც კი არ ჰყოფნის... მიუხედავად იმისა, რომ სოფლის გამგებელს არაერთხელ სთხოვა, არც შუშა მისცეს და არც უფასო სასადილოში შესვლის უფლება. ამბობს, რომ ქოხის ასაშენებლად ფიცრები თავად იყიდა და მუშაც საკუთარი ხარჯით დაიქირავა... ეს საქმე სულ 500 ლარი დაუჯდა.

— 500 ლარი პენსიით შემოვაგროვე. ამის შემდეგ ცოტაოდენ ფულს კიდევ მოვუყარე თავი, აბაშაში ველოსიპედი ვიყიდე და ჩემი ხელით, წვალებ-წვალებით, ინვალიდის ეტლად გადავაკეთე. ახლა სასახლის ფულს ვაგროვებ, ჯერ 50 ლარი მაქვს გადადებული...

„არ მინდოდა, რუსეთში მოვმკვდარიყავი...“

— რუსი ცოლი მყავდა, ურალიდან ჩამოვიყვანე. უარესის ღირსი ვარ!.. ქართველი გოგონები უკან დამდევდ-

ნენ... იცი, რა კარგი ბიჭი ვიყავი?! ერთმანეთს მანამდე დავშორდით, ვიდრე ეს საბედისწერო ამბავი შემემთხვეოდა. დაშორების მიზეზზე ლაპარაკი არ მინდა, მაინც ჩემი შვილების დედაა. ერთს კი გეტყვით: რუსის ქალი სახლში შემოსაშვები არაა... ისე კი ძალიან მიყვარდა, ჭკუა დამაკარგვინა... მერე რუსეთში წავიდა და შვილებიც თან წაიყვანა. 3 გოგო მყავს... 17 წელი მარტო ვიცხოვრე ფოთში, მეტი ვეღარ გავძელი — შვილები ძალიან მენატრებოდნენ. გავყიდე სახლი და მეც რუსეთში წავედი. ყოფილი ცოლის ნახვა არც მიცდია. შვილებს ვნახულობდი, ვმუშაობდი, თან მათ ვეხმარებოდი და თან სახლის საყიდლად, ფულს ვაგროვებდი, მაგრამ იმ ავბედითმა შემთხვევამ ჩემი ცხოვრებიც ჩარხი სულ უკუღმა დაატრიალა... თავიდან შვილები მივლიდნენ, მაგრამ მერე ჩემ გამო, თავიანთ ქმრებთან შეექმნათ პრობლემები... რუსი საკუთარ მშობელს არ მიხედავს, ცოლისას კი არა!.. აბდალი ხომ არა ვარ, შვილებს ოჯახებს ხომ არ დავუნგრევდი?! თან — არც ის მინდოდა, რუსეთში მოვმკვდარიყავი... აქ რომ ჩამოვედი, ბებია-ბაბუის სახლი გაყიდული დამხვდა. სოფლის გამგებელს პატარა მიწის ნაკვეთი ვთხოვე, მაგრამ არ მომცა. სხვა რა გზა მქონდა?.. წამოვედი და აქ დავსახლდი. ცოტა ხნის წინ სოფლის გამგებელი დამემუქრა, — საფლავზე კაცის ცხოვრება ვის გაუგია?! ან შენი ნებით

შვილები მივლიდნენ, მაგრამ მერე ჩემ გამო, თავიანთ ქმრებთან შეექმნათ პრობლემები...

იქვე, საწოლთან ახლოს საფლავის ქვაც ღევს, საიდანაც ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი იმზირება...



გამოდი მაიდან, ან საგიჟეთში „ჩაგაბარებო“!.. საგიჟეთში „ჩასაბარებელი“ თვითონ არის... მომცეს მიწა და შეველევი ბებია-ბაბუის საფლავს — მალე მაინც იმათთან მომიწევს გამგზავრება... ჩემი ცოდვა მიეცეს მაგას! ვიწვალე, ვიჯახირე, როგორღაც ქოხში დენი შემოვიყვანე. მაგან კი მეორე დღესვე მომიგზავნა ინკასატორები, რომლებმაც მრიცხველი დამიყენეს და მკაცრად გამფრთხილეს, რომ თუ მოხმარებული ელექტროენერგიის ფულს არ გადავიხდიდი, დენს ჩამიჭრიდნენ. გასულ თვეში 14 ლარი გადამახდევინეს. კი გავაპროტესტე, — 14 ლარის ელექტროენერგიას როგორ დავხარჯავდი?! მხოლოდ ერთი ნათურა და შავ-თეთრი ტელევიზორი მაქვს-მეთქი, — მაგრამ უცებ განმიმარტეს, — სოფელს დავალიანება აქვს და როგორც ყველამ, შენც ისე უნდა გადაიხადოო. რადგან აქ „ჩაწერილი“ არა ვარ, მეუბნებიან, რომ არც მიწა მეკუთვნის და არც არაფერი, საერთო გადასახადებს კი მახდევინებენ.

სასხოვრისი და წინასწარ გამზადებული საფლავის ქვა

თავადაც აღნიშნა და მისი საფლავის ქვაზე დახატული სურათიც იმაზე მეტყველებს, რომ ახალგაზრდობისას საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი იყო... როგორც ამბობს, მეორედ იმიტომ არ დაოჯახდა, რომ არ უნდოდა, შვილებისთვის მამისეული სახლი დაეკარგა. ახლა იმას განიცდის, რომ მათ ვერც სახლი შეუნარჩუნა და ვერც სხვა რაიმე ღირებულს უტოვებს...

ბოლოს იმითაც დავინტერესდი, თუ როგორ ახერხებდა სადილის მომზადებას ან ტანსაცმლის გარეცხვას? როგორც მითხრა, ძირითადად თევზით, მჭადითა და პურით იკვებება... თევზს ცალი ხელით ასუფთავებს და ისე ხარშავს, მჭადს კი კოვზით ზელს... საბრალოს, ტანსაცმლის რეცხვის თავისებული მეთოდი შეუმუშავებია: გასარეცხ ტანსაცმელს სარეცხ ფხვნილს აყრის, ზემოდან წყალს ასხამს, ჯერ ჯოხით ჭეჭყავს, შემდეგ კი მდინარესთან ჩააქვს და ყავარჯნებზე დაყრდნობილი, ფეხებით მის გავლებას ცდილობს... ხანდახან სათევზაოდაც დადის... უზომოდ ემადლიერება ადგილობრივ მეწარმეს, გერმანე კუპრეიშვილს იმის გამო, რომ მის ტბაში თევზაობის უფლება დართო. ეს მისთვის ერთადერთი გასართობიცაა და იმის შანსიც, რომ პურს ან მჭადს რაღაც სხვაც მიაყოლოს...

საუბრის დასასრულს ბატონ ბორისს მისი ქოხის დათვალიერების უფლება ვთხოვე... ნანახმა გაგონილს გადააჭარბა: რკინის საწოლი, გახუნებული და დაფლეთილი თეთრეული, ფიცრებისგან შეკრული მაგიდა, რამდენიმე ჯორკო, კედლებზე ჩამოკიდებული ტომრები, პატარა გაზქურა, ქვაბი, ტაფა, თითო წყვილი თეფში, ჭიქა, კოვზი და თქვენ წარმოიდგინეთ, ტელევიზორი — აი, სულ ეს არის მარტოხელა მოხუცის მთელი ავლადიდება. თუმცა არა, ერთი რამ გამომრჩა: იქვე, საწოლთან ახლოს საფლავის ქვაც დევს, საიდანაც ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი იმზირება...

P.S. ტაქსის მძღოლმა, ემილმა ჯერ ჩვენ დაგვიწყო ჩხუბი, — ამ დილაადრიანად სად წამომიყვანეთ, ეს რა მაჩვენეთო?! — მერე მოხუცის ნათესავებსა და სოფლის გამგებელზე გაბრაზდა, — რა უგულო ხალხი ყოფილაო! — ბოლოს კი ჟურნალისტები შეეცოდეთ — ეს რა მძიმე სამუშაო გქონიათ, აწი ერთი თვე მაინც არ დამეძინება, თქვენ ამ ყველაფერს როგორ უძლებთო?!. ჩვენ რა გვჭირს, ბატონო ემილ?! საბრალო მოხუცმა რაღა უნდა თქვას?! ამიტომ მივმართავთ მათ, ვისაც მისი მდგომარეობის თუნდაც მცირედით შემსუბუქება შეუძლია: თუ მათთვის სიბრალულის გრძნობა უცხო არ არის, იქნებ, რაღაც იღონონ მის დასახმარებლად... ■

როგორ გამოვიდეთ კრიზისიდან ანუ რა მოგების მოტანა შეუძლია 20 ლარს

დასაწყისი იხ. „გზა“ №8

მარი ჯაფარიძე

დაპირებისამებრ, ვაგრძელებ „სიტუაციის“ თხრობას იმის შესახებ, როგორ ვიყავი ტაქსის მძღოლი ერთ საღამოს. მათთვის, ვისაც პირველი ნაწილი არ წაუკითხავს, განვმარტავ, რომ მეგობრებთან „ჯოკერში“, რესტორანში ქეიფი წავაგე, ხარჯის დასაფარავი ფული კი მათივე მოთხოვნით, ტაქსის მძღოლობით უნდა გამომემუშავებინა. თხრობა იქ შევწყვიტე, როდესაც მანქანაში 2 მამაკაცი ჩამიჯდა და მცხეთაში წაყვანა მთხოვა. გზაში კი ჩემი გართობა ანეკდოტებით გადაწყვიტეს. ერთი ანეკდოტის შემდეგ ჩემი „ანკეტის“ შევსება მოინდომეს.

— რა გქვიათ?

— მარი.

— პროფესიით ვინ ხართ? — თავისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა დასვა ერთმა.

— ჟურნალისტი, — გულახდილად ვუპასუხე.

— მერე, სამსახური ვერ იშოვეთ პროფესიით? ისე, იმდენი ჟურნალისტია, რომ ალბათ ძნელია ამ სფეროში სამსახურის პოვნა. თქვენ არ გიცდიათ? — მეკითხებოდა და თავადვე პასუხობდა შეკითხვებს, მაგრამ ბოლო კითხვის შემდეგ გაჩუმდა და მივხვდი, მე მელოდა.

— კი, როგორ არა, მიცდია და ვმუშაობ კიდეც.

— მართლა? — ისე გადაიხარხარა ერთ-ერთმა, მივხვდი, რომ არ დაიჯერა. — მერე, ტაქსისტად რატომ მუშაობ? ცოტას გიხდიან ალბათ.

— ეს ისე, „ჯოკერში“ წავაგე.

— კაააი, ერთი, — არაფრით უნდოდა დაჯერება.

არა, უცნაურია, არა? სიმართლეს არავინ მიჯერებს, როგორც კი ტყუილის თქმას დავიწყებ, მაშინვე ყველას სჯერა. გადავწყვიტე, ჩემი დასკვნა იქვე გადამემოწმებინა.

— ეჰ, — ძალიან ღრმად და სევდიანად ამოვიოხრე, — სამსახური რომ მეშოვა, ტაქსის მძღოლად ხომ არ ვიმუშავებდი? უნიჭო აღმოვჩნდი მაგ საქმეში. სამაგიეროდ, შოფრის ნიჭი აღმომაჩნდა და აგერ, ვმუშაობ კიდეც. ჩემს საგვარეულოში ყველა შოფერია... ეს პროფესია შთამომავლობით გადმომეცა, — ძალიან ამაყად ვთქვი.

— ვა, „მალადეც“, — ყასიდად შემაქო კლიენტმა, — შენა და, ფულს შოულობ?

— ჰო, აბა, ოჯახს ამით ვინახავ, — აკი ვთქვი, ტყუილს უფრო დაიჯერებენ-მეთქი!

— ვა, „მალადეც“, — ეს ფრაზა როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა დამუღამებული, — ისე, რა მაინტერესებს...

და ამის შემდეგ მისი ნათქვამიდან არაფერი გამიგონია, რადგან რადიოს ბოლომდე ავუწიე და უკანა ხედვის სარკეში რომ ვუყურებდი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს თევზივით, უხმოდ აღებდა პირს ან დათო ხუჯაძის (სწორედ მისი „მახინჯი ვარ“ ტრიალებდა რომელიღაც რადიოტალღაზე) პაროდირებას ცდილობდა. ეს გასართობი მომეწონა და კარგად ვიხალისე კიდეც.

კლიენტები მცხეთაში, სალობიესთან მივიყვანე. როგორც ჩანს, იქ მათ მხიარული კომპანია ელოდა, რადგან ამათ დაურეკეს, ახლოს ვართ, 2 წუთში მანდ ვიქნებით და ტაქსის ფული გამოგვიტანეთ, ვერ გადავაგდებთ (ჰმ!), რადგან ქალიაო. ჩემს სანახავად რამდენიმე ადამიანი გამოვიდა რესტორნიდან (იშვიათი ეგზემპლარი ვიყავი, როგორც ჩანს). მერე, როგორც მთვრალების წესია, სუფრასთან მიმიწვიეს, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი, თავაზიანად გამოვემშვიდობე და წამოვედი.

იქიდან მომავალი დიღმის შემოსასვლელთან ორმა ახალგაზრდა გოგონამ გამაჩერა. ჩასხდნენ, ჩემთვის ყურადღება არც მოუქცევიათ, ერთმა ჩანთიდან ფული ამოიღო და განაწილება დაიწყო.

— ეს 250 დოლარი — შენ, ეს 250 — მე, ეს 100 დოლარი თენგოს, 50 — მანანას და 50 დოლარიც ზაირას, — ჩამოთვალეს ჩემთვის უცნობი ადამიანების სახელები.

— მე? — ვკითხე განაწყენებულმა.

— შენ? — ახლაღა მომაქციეს ყურადღება. — შენ რამდენი გინდა?

— გააჩნია, სად მიდიხართ, — პროფესიონალივით ვუპასუხე.

— მთაწმინდის უბანში, ზემოთ.

— მაშინ 15 ლარი, — ალალბედზე ვთქვი.

— კარგი, 20 იყოს, ცოდო ხარ, — ძალიან შევეცოდე ერთს და რომ არა ზომაზე მეტად „დატუშული“ თვალები, ალბათ ცრემლსაც ჩამოყრიდა.

— ეს, ხელფასი გაინაწილეთ? — ისევ გაიღვიძა პროფესიულმა ჭიამ, რადგან გუმანით მივხვდი, რა პროფესიისანი იქნებოდნენ.

— ჰო.

— ეს მთელი თვის გამომუშავებაა?

— რას ამბობ? ეს 2 საათის გამომუშავებაა, — ლამის სიცილით ჩაბჟირდნენ.

— აუჰ, — გულწრფელად გამიკვირდა.

— აბა, შენ 250 დოლარს რამდენ ხანში აკეთებ? — დაინტერესდა ერთი.

— თვეში, — ისე მტკიცედ ვთქვი, ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ სიმართლეს ვამბობდი, — თქვენ სად მუშაობთ?

— ჩვენ კერძო ბიზნესი გვაქვს.

— ანუ როგორც ვხვდები, მამაკაცებს ემსახურებით, არა?

— ჰო, ასე ვთქვათ, მაგრამ ყველა კატეგორიის მამაკაცს — არა... მხოლოდ მათ, ვისაც ფული აქვს და საათში 150 დოლარს გადაიხდის.

— თვეში რამდენს გამოიმუშავებთ?

— ბევრს...

— სარფიანი საქმე ყოფილა, ამდენი ფული სად მიგაქვთ?

— ტანისამოსს ვყიდულობთ, თავს ვუვლით, აბა, ისე როგორ იქნება? იმისათვის, რომ საათში 150 დოლარი გადაგიხადონ, კარგად უნდა გამოიყურებოდე...

— მაშასადამე, გამოდის, იმისათვის, რომ კარგად გამოიყურებოდე, საჭიროა, კარგი კლიენტი გყავდეს და ბევრი გადაგიხადოს და კარგ კლიენტს რომ მოემსახურო, ამისთვის კარგად უნდა გამოიყურებოდე... ასეა?

— ჰო, ასეა, — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მიპასუხეს, რადგან როგორც ჩანს, ცოტა რთულად გამომივიდა ნათქვამი და გვიან „მოხარშეს“.

ამის შემდეგ ხმას აღარ იღებდნენ. ალბათ ჩემს ნათქვამზე ფიქრობდნენ ან „სამსახურით“ გადაღლილებს, ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდათ.

ესენი რომ ჩავიდნენ, ბენზინის რაოდენობის მაჩვენებელ სკალას შევხედე. თითქმის აღარ მქონდა საწვავი. ფული გადავთვალე...

არც მეტი, არც ნაკლები, 160 ლარი მქონდა ნაშოვნი. უფრო სწორად — 140, რადგან 20 ლარი ბენზინის ხარჯი იყო. ჩემ უკან მომავალი ჩემი მეგობრები თავზე სწორედ ფულის თვლის დროს დამადგნენ.

— რამდენია? — მკითხა ვახომ და

მანქანის სახურავზე ხელებდაყრდნობილმა სალონში „ჩამოიხედა“.

— 160.

— არ გვეყოფა, — თავი გადაქნია.

— გვეყოფა, რაა, დანარჩენი დავამატოთ.

— არა, პირობა პირობაა, უნდა გავაგრძელოთ.

მას დანარჩენებიც დაეთანხმნენ, მანქანაში სიცილით ჩასხდნენ და ისევ უკან გამომყვნენ.

საწვავი ჩავასხი და შემდეგი კლიენტის ძებნაში გართული შუქნიშანთან გავჩერდი.

თუ იცით, რამდენია წამის მეასედი? ეს ზუსტად ის დროა, რომელიც შუქნიშნის ყვითელი შუქის ანთებიდან, შენ უკან მდგარი მანქანის მიერ სიგნალის მიცემამდე სრულიად საკმარისია. სანამ გაჩერებული ვიყავი, იქვე ახალგაზრდა მამაკაცი ჩამიჯდა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, კაიფში იყო.

— ძმაო, გლდანში გავიდეთ, — მითხრა და მერე შემომხედა, — აუ, ბოდიში, დაია, არასწორად ჩავჯექი? ტაქსი არაა?

— კი, ტაქსია.

— გლდანში გამიყვანე, რა... შენა, მართლა ქალი ხარ თუ მეჩვენება?

— არ გეჩვენება, — მოკლედ მოვუჭერი.

— ვაა, საღოლ, რა... შენა, ახლა პატრულმა რომ გაგაჩეროს, არ გაუჩერო, რა, დააწექი და სანამ არ გეტყვი, არ გააჩერო, მოსულა?

— კარგი, — დავთანხმდი, მაგრამ გულში ღმერთს შევთხოვე, პატრულს არ გავეჩერებინე.

— აუ, ნელა „დვიჟენიობ“, რა, მიაწექი ცოტა.

— ბევრი მანქანაა, სწრაფად ვერ ვივლი...

— აუ, გადაასწარი, რა ამ მანქანას, — წინა მანქანაზე მიმითითა.

— ვერ გავასწრებ, არ შეიძლება, მარცხენა ზოლში ვართ, თუ გასწრება გინდა, ეგეც ტაქსია, გადაჯექი იმ წინა მანქანაში და გადასწრებული იქნები, — იდეა ჩავაწოდე.

— არა, აქ მირჩევნია, შენ უფრო ჯიგარი ხარ...

ამ დროს საპატრულო მანქანა მომადგა და დამიძახა, გააჩერეო.

კლიენტი რომ მიხვდა, გაჩერებას ვაპირებდი, გადაირია.

— აუ, არ გააჩერო, რა ძმურად, არ გააჩერო.

მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, უკანა ხედვის სარკეში ჩემი მეგობრები მოვათვალიერე, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი იმედი მქონოდა.

პატრულის თანამშრომელმა მანქანაში რომ შემოიხედა და ის ტიპი დაინახა, ჩემთვის საბუთების მოთხოვნაც კი გადაავიწყდა.

— ახალგაზრდავ, აბა, თქვენი საბუთები მაჩვენეთ, თუ შეიძლება, — ხელი შემოყო სალონში.

— ე, მძღოლი ესაა, ვერ ხედავ? აუ, მეჩქარება, რაა, ძმურად, გაგვიშვი, აგერ, ჩემი მეუღლე მოგცემთ საბუთებს, — ჩემზე მიუთითა.

— მე ამის მეუღლე არ ვარ, პირველად ვხედავ და არ ვიცი, ვინაა, — მაშინვე გავაპროტესტე.

— აუ, დედას გეფიცები, ნაღდად ჩემი მეუღლეა, — თავისას არ იშლიდა ნარკომანი.

— არ ვარ, არა! — ლამის ისტერიკა დამემართა.

— კია, კი!

— საბუთები გვაჩვენეთ და მანქანიდან გადმოდით, — პატრულის თანამშრომელი მისი მხრიდან მოადგა მანქანას.

მეტი გზა არ ჰქონდა, საბუთები მიაწოდა. პატრულმა მგზავრი მანქანიდან გადაიყვანა და მე დამემშვიდობა. სამწუხაროდ, არ ვიცი, როგორ დასრულდა მათი ამბავი და ვერც თქვენ მოგიყვებით.

შემდეგი მგზავრი ღვთის მსახური გახლდათ. მხიარული და ხუმარა მოხუცი. რომ დამინახა, გაეცინა.

— ესაა ემანსიპაცია...

— მაგრამ ცოდვა ალბათ — არა, ხომ, მამაო?

— არა, ცოდვა ნამდვილად არაა, შენ ფულს პატიოსანი გზით შოულობ და ამიტომ, ცოდვა არაა.

— კი, მაგრამ... — გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა, რადგან სინდისმა შემაწუხა და ყველაფერი გულახდილად მოვუყევი.

მამაომ გულიანად იცინა...

— ეგ არაფერი, მოძღვარი თუ გყავს, მიდი და მოინანიე... ბანქოს თამაში არ შეიძლება, — დამმოძღვრა ბოლოს.

მამაოს ფული არ გამოვართვი, მართლა ტაქსის მძღოლი ხომ არ ვიყავი, რომ დახარჯული საწვავის ამოღებაზე მემუშავა?

შემდეგი მგზავრი, ახალგაზრდა წყვილი აღმოჩნდა, რომლებიც როგორც ჩანს, საყვარლები იყვნენ.

— შენი ქმარი სად დარჩა? — ჰკითხა მამაკაცმა, ქალს ხელი გადახვია და იღლიაში ამოიჩარა.

— იქ, რესტორანში, — გაინაზა ქალი.

— რამდენი გვაქვს დრო?

— 2-3 საათი.

— მანამდე არ მოგიკითხავს?

— ვუთხარი, საქმეზე მივდივარ-მეთქი, თანაც იქ, გვერდით სუფრასთან ახალგაზრდა ქალები ისხდნენ და ჩემი იქ ყოფნის დროსაც კი იმათ უტრიალებდა თვალებს ბუღასავით და რაც გვიან მივალ, მისთვის უკეთესია. ამიტომ, არ მომიკითხავს.

— გენაცვალე, ნამდვილი ჭკუის კოლოფი მყავხარ, ტყუილად კი არ მიყვარხარ, — აღფრთოვანებული დარჩა მამაკაცი, ქალის მოხერხებით.

— მეც მიყვარხარ, — ისევ გაინაზა ქალი.

— შვებულებაზე რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ? მე რაღაცას მოვახერხებ, შენ იკითხე — ცოლი მარტო არ გაგიშვებს დასასვენებლად.

— მერე, ავდგეთ და ერთად წავიდეთ, მე ოჯახს წამოვიყვან, შენც იქ იქნები და ყოველდღე გნახავ.

— მაშინ მეც ოჯახთან ერთად წამოვალ.

— ჰო, ქმარი არ დაგავიწყდეს, აუცილებლად წამოიყვანე და საწოლშიც ჩავიწვინოთ.

— ისედაც არ გვიწევს?

— ენა გააჩუმე, — საბოლოოდ გაბრაზდა მამაკაცი.

— არ გავაჩუმებ, რა გინდა ჩემი ქმრისგან? დადის თავისთვის სამსახურში ბულკივით, ოჯახს ინახავს, არაფერს გვაკლებს, შენს გასაკეთებელსაც ის აკეთებს, შენ კი მის ცოლთან წევხარ და კიდევ უკმაყოფილო ხარ? — აფეთქდა ქალი.

როგორც ჩანს, ამ ხალხს ტაქსის მძღოლი ადამიანად არ მიაჩნია. აბა, უცხოს თანდასწრებით როგორ შეიძლება ასეთ თემაზე ლაპარაკი? მაგრამ ქალი არ ცხრებოდა.

— მითხარი, ხმა ამოიღე, მაგრამ არ გაქვს ხმა ამოსაღები.

„ნეტავ, ამის გასაკეთებელი საქმე რა არის, რასაც ქმარი აკეთებს? ვკითხო?“ — ვფიქრობდი ჩემთვის.

— მითხარი, შენ რას აკეთებ? გაგიკეთებია ჩემთვის რამე? — თითქოს ჩემს გულში იჯდა, ისე ჰკითხა ქალმა. — არა ხარ ვალდებული, საჩუქარი მაინც მიყიდო დაბადების დღეზე? გამევსო სახლი შენი ნაჩუქარი, 5-ლარიანი პლუშის სათამაშოებით. ერთი სუნამოს ღირსი არ ვარ? მითხარი! — ქალი პასუხს მოითხოვდა, მაგრამ მამაკაცი დუმდა. — არაფერი გაქვს სათქმელი, ხედავ? ჩემს ქმარზე კიდევ რამეს თუ იტყვი, ეგ ჩვენი ბოლო პაემანი იქნება, გასაგებია?

— შენ რა ხმას აუწიე, ქალო? ტონს დაუკელი და ფრთხილად იყავი, არაფერი გამომტყუო. მოუნდა ქმრის დაცვა... ჩემთვის არ უნდა „მოგეცა“ და გყოლოდა ის ქმარი და გეცხოვრა ტკბილად და ბედნიერად, — როგორც ჩანს, მამაკაცმა გაუეჟილს გატეხილი ამჯობინა და ხმა აიმაღლა თავისი უფლებების დასაცავად, — შენ არ იყავი, რომ ამბობდი, არაფერი მაკლია, ქმარი ყველაფერს მიკეთებს, მარტო სექსი მინდაო? ჰოდა, ახლა სექსი გაქვს და კიდევ რაღაცებიც მოგინდა? თანაც, უცხო ადამიანის თანდასწრებით მოგინდა საქმის გარჩევა? — როგორც იქნა, გაახსენდა, რომ მეც იქ ვიყავი.

— ამას უყურე, ერთი! გააჩერე აქ, გენაცვალე, მე აქ ჩავალ.

გავუჩერე, ქალი გაბრაზებული გადავიდა მანქანიდან, კარი ისე მოაჯახუნა, გული მომეწურა (მანქანა დამენანა). არადა, ყველაფერი რა კარგად დაიწყო... მეგონა, ერთმანეთის ალერსში ამოხდებოდათ სული...

მამაკაცს წარბიც არ შეუხრია. ტელეფონი ამოიღო, კარგა ხანს რაღაცას ჩაჰკირკიტებდა და მერე სადღაც დარეკა.

— ალო, ნატალი, როგორ ხარ, ჩემო სიხარულო? რას აკეთებ? კი, მინდა... რომ მომენატრე, იმიტომ გირეკავ... სადმე წავიდეთ... მოვიფიქრებ... 10 წუთში მანდ ვიქნები, — როგორც იქნა, დაასრულა ლაპარაკი, — მოაბრუნე მანქანა და უკან წავიდეთ. შენ არ ინერვიულო, გულს არ დაგწყვეტ, გადაგიხდი, რასაც დაწერ.

— მე „სიტუაციას“ დავწერ, აუცილებლად, — გამბედაობა მოვიკრიბე და გადავიხარხარე. არადა, დიდი ხანია, სიცილს ვიკავებდი და ამის გამო ვიტანჯებოდი.

— რას დაწერ?

— „სიტუაციას“.

— ეგ რა არის?

— მაგას მერე გაიგებთ, ახლა მნიშვნელოვანი სულაც არაა, სად მიგიყვანოთ, ის მითხარით.

მის მიერ ნაკარნახევ მისამართზე მალე მივედით, ცოტა ხანს ეზოში გავჩერდით და ქალს დაველოდეთ.

მშვენიერი ქალბატონი აღმოჩნდა. მხიარულად მომესალმა და მამაკაცს გვერდით მიუჯდა.

— როგორ ხარ, საყვარელო?

— კარგად, შენ? შენი ქმარი სადაა?

და აქ ისევ მომინდა სიცილი, ვინაიდან საუბარი ამ შემთხვევაშიც ისევე დაიწყო, როგორც წინა ქალბატონთან.

— რესტორანში, — ეს მე ვთქვი... თავს უფლება მივეცი და მათ საუბარში ჩავეჭერი.

— თქვენ რა იცით? — ქალმა გაოცებულმა შემომხედა.

— გენაცვალე, რაც მე ტაქსის მძღოლად ვმუშაობ, იმდენ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, უკვე ყველას შუბლზე ვკითხულობ, სად ჰყავს ქმარი, ცოლი, სად ისვენებს, რას ჭამს და რას წარმოადგენს. აი, თქვენც რომ დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რომ ქმარი რესტორანში გყავდათ.

მამაკაცი გულიანად იცინოდა, ხითხითებდა და დროდადრო სარკეში თვალსაც მიკრავდა.

— ვაა, — გაოცება ვერ დამალა ქალმა, — მართლა ასეა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ჩემი ქმარი მართლაც რესტორანშია, მეც იქ ვიყავი და 1 საათის წინ წამოვედი.

— კი, მაგრამ გვერდით მაგიდასთან ახალგაზრდა ქალები რომ ისხდნენ და თქვენი ქმარი მათ უთვალთვალებდა, არ იეჭვიანეთ?

— ბა-ტო-ნოოოო? — თვალები ბუდიდან ამოუცვივდა ქალს. — ეგ საიდანღა იცით?

მამაკაცი ხარხარებდა. ისე იცინოდა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა...

— ვიცი! — მოკლედ ვუპასუხე.

— რა გაცინებს? ამან საიდან უნდა იცოდეს, ჩემი ქმარი რას აკეთებდა? რესტორნიდან მაგიტომ წამოვედი: მე გვერდით ვუზივარ, ის კი სხვა ქალებს აბამს. ვიჩხუბე და წამოვედი.

— უკაცრავად, მაგრამ სამაგიეროდ, თქვენც ხომ გაბამენ სხვები? — უკვე გავშინაურდი ქალთან.

— ჰო, მაგრამ ეს სულ სხვა რამეა...

— რა თქმა უნდა, თქვენ ქმარი უზრუნველგყოფთ, მშვენივრად გაცვიათ და თავმოვლილიც ბრძანდებით, ყველაფერი კარგად იყო თქვენ შორის, სექსის გარდა.

— ესეც იცით? ეს ყველაფერი ტაქსის მძღოლობის შედეგია? — ქალი ლამის ისტერიკაში ჩავარდა.

— დიახ, სწორად მიხვდით.

— აუ, ჩემზეც გეცოდინებათ რამე, — მამაკაცმა სული ძლივს მოითქვა.

— არა, მე მხოლოდ ქალების ამბები ვიცი.

— ჩემზე კიდევ რა იცით? — მოიწადინა ქალმა და პროფესიონალი მკითხავივით დამისვა კითხვა.

— არაფერი. აგერ, მოვედით, სადაც მოვდიოდით და სხვა დროს გეტყვით დანარჩენს.

მგზავრები ჩავიდნენ და მამაკაცი კარგა ხანს მიქნევდა ხელს, დიდი ხნის ნაცნობივით.

მოკლედ, გადავწყვიტე, ფული დამეთვალა. მანქანა მოხერხებულ ადგილზე გავაჩერე. ჩემს მეგობრებს დაველოდე, რომლებიც კარგა მანძილით იყვნენ ჩამორჩენილი და ერთად დავთვალეთ ჩემი ნაშრომ-ნაოფლი ფული. ხელთ 230 ლარი მქონდა.

— არ გვეყოფა, — თქვა ისევ ვახომ, მაგრამ ისეთი თვალებით გადავხედე, ენა მუცელში ჩაუვარდა საწყალს.

— გვეყოფა! მე ჩემი მოვალეობა თქვენ წინაშე პირნათლად მოვიხადე და რესტორანში წასასვლელი ფული კეთილსინდისიერი შრომით მოვიპოვე.

— რა თქმა უნდა, ეს გაცილებით კეთილსინდისიერი გზაა, ვიდრე ჟურნალისტობით ნაშოვნი ფული, — არ ისვენებდა ვახო.

— კარგი, ცოდოა, დაიღალა დღეს, — მხარი გაჰკრა ნათიამ.

— დაიღალა, რაა, მართალს არ ვამბობ?

— გაჩერდი, თორემ გავსვანდები, — დავემუქრე ვახოს, — ჩავაბარე წაგებული თუ არა? — დაზუსტება მოვითხოვე.

— კი, ნაღდია, ჩააბარე...

— ჰოდა, მაშინ წავედი სახლში, დღეს ქეიფის თავი ნაღდად არ მაქვს, ისე დავიღალე.

შევეცოდე მეგობრებს და გამიშვეს, ქეიფი კი მეორე დღისთვის დაგეგმეს, მაგრამ მე სულაც არ ვიყავი დაღლილი და სხვა მეგობრები დავპატიჟე რესტორანში.

კარგადაც მოვულხინეთ და როცა მეგობრების სადღეგრძელოს დრო დადგა, მაშინ დავურეკე ყველას სათითაოდ (ჩემს მტანჯველებს) თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენს სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით ვსვამ-მეთქი.

ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გავუმხილე, რომელ რესტორანში ვიყავი და ისინიც მოვიდნენ...

ასე დასრულდა ჩემი, როგორც ტაქსის მძღოლის კარიერა... თუმცა, ვინ იცის, როდის გამომადგება შეძენილი გამოცდილება. სარფიანი საქმე ყოფილა, თურმე. 40 ლარის საწვავით 190 ლარი გამოვიმუშავე, კარგადაც ვიხალისე, ვიქეიფე კიდეც და „სიტუაციაც“ გამოვაცხვე... ■



სამყარო

პაპარაცის ხვედრი

კადრი ფილმიდან „ტკბილი ცხოვრება“

1960 წელს ეკრანებზე ფედერიკო ფელინის ფილმი — „ტკბილი ცხოვრება“ გამოვიდა. მისი ერთ-ერთი გმირი ფოტოგრაფი, რომელიც პოპულარულ ადამიანებს დასდევდა და მათ ფოტოებს უღებდა, გვარად პაპარაცო იყო (სიტყვა „პაპარაცო“ მომაბეზრებელ, მოზუზუნე კოღოს ნიშნავს). მისი პროტოტიპი რეჟისორის მეგობარი, ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფი ტაციო სეკიაროლი გახლდათ. საინტერესოა, რომ ფილმის გამოსვლის შემდეგ, ტაციო ვარსკვლავების დევნას შეეშვა და კარიერა სტუდიური გადაღებებით გაგრძელა. იტალიაში პაპარაცები გასული საუკუნის შუა წლებში გაჩნდნენ. პირველი პაპარაცული ფოტო 1928 წელს, ვაშინგტონის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა: ტომ ჰოვარდმა ქმრის მკვლელი ქალის სიკვდილით დასჯა აღბეჭდა — მას ფოტოაპარატი ფეხზე ჰქონდა მიბმული და საჭირო დროს სურათის გადაღება შეეძლო. პაპარაცობა არც ისე ადვილი პროფესიაა — სასურველი ფოტოს გადასაღებად, „მსხვერპლს“ საათობით უნდა ჩაუსაფრდე. თანაც, შეიძლება, ამ დროს ვინმემ ცხვირ-პირიც დაგილეწოს.

გალელა ონასისის დაცულ კუნძულზე შეიპარა

ყველაზე ცნობილი, მდიდარი და ვარსკვლავებისთვის აუტანელი პაპარაცი ამერიკელი რონ გალელაა. ერთხელ ის მარლონ ბრანდოს ჩაუსაფრდა, რის გამოც, მსახიობმა მას ყბა გაუტეხა და ოთხი კბილი ჩამოულო. მას რიჩარდ ბარტონისა და ლიზ ტეილორის მცველების მუშტიც ხშირად უგემია. ფოტოგრაფის „ყველაზე დიდი სიყვარული“ ამერიკის პრეზიდენტის ქვრივი — ჟაკლინ კენედი იყო. პაპარაცი 5 წლის განმავლობაში, მას ყოველდღე დასდევდა; ერთხელ მებაღის ფორმაც ჩაიცვა, ფოტოაპარატს კი ნაგვის ურნაში მალავდა. მას არც ონასისის დაცულ კუნძულზე შეღწევა და ფოტოების გადაღება გაუჭირდა. ერთხელ კი სასამართლოში აღძრა საქმე და ჟაკლინ კენედის ბრალი დასდო, რომ მისი ბრძანებით, ფოტოგრაფზე ჯაშუშობა მიმდინარეობდა, მაგრამ საქმე წააგო და მოსამართლემ კენედის ქვრივთან, მის შვილებთან მიახლოებაც კი აუკრძალა.

ჟაკლინ და ჯონ კენედები

სხვათა შორის, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სწორედ პაპარაცები არიან დამნაშავეები 1997 წლის 31 აგვისტოს, პარიზში მომხდარ ავტოკატასტროფაში, რომლის დროსაც ინგლისის პრინცესა დაიანა დაიღუპა. ■

რონ გალელა ფოტოაპარატს ნაგვის ურნაში მალავდა

მსოფლიოს 7 ბუნებრივი საოცრება

* ევერესტი (მას მეორენაირად ჯომოლუნგმასაც უწოდებენ) — დედამიწის უმაღლესი წერტილია (8848 მეტრი). სახელი პირველი დამპყრობლის პატივსაცემად დაარქვეს.



* დიდი ბარიერული რიფი — ავსტრალიის მახლობლად, დაახლოებით, 2 ათას კმ-ზეა გადაჭიმული. იქ ოკეანის ფლორისა და ფაუნის უამრავი ნიმუში მოიპოვება, რის გამოც, დღეს მას საზღვაო პარკსაც ეძახიან.

* მდინარე კოლორადოს კანიონი — დამთვალიერებლებისთვის ღიაა და რაც ყველაზე მთავარია, მდიდარია მინერალებითა და იშვიათი ბუნებრივი მასალით.

* ჩანჩქერი ვიქტორია — ადამიანებს უხსოვარი დროიდან იზიდავდა ულამაზესი სანახაობით, ტყითა და ველური ცხოველებით. დღეს ჩანჩქერის მახლობლად ტურისტული ბაზები და გასართობი კომპლექსებია შექმნილი.



* გუანაბარას ყურე — რიოდე-ჟანეიროში მდებარეობს. იგი დედამიწაზე ყველაზე დიდი ყურეა, რის გამოც, მისმა აღმომჩენებმა მდინარედ მიიჩნიეს.

* პარკუტინი მექსიკაში მდებარე ვულკანია, რომლის ამოფრქვევამ ახლომდებარე სოფელი შეიწირა. იგი ყველაზე ახალგაზრდაა.

* ჩრდილოეთის ციალი — ცაში სხვადასხვა ფერის ბრჭყვიალა ნაპერწკალი და სხივი ინთება. მისი ნახვა შეიძლება პოლუსებთან ახლოს, ჩრდილოეთის ქვეყნებში. ■

მუმიის საიდუმლო

მუმია საგანგებოდ შენახული ადამიანის სხეულია. თავდაპირველად, მუმიებს ბუნებრივი მეთოდით ამუშავებდნენ: ცხედარს უდაბნოს ცხელ ქვიშაში ფლავდნენ და გამოაშრობდნენ — ბაქტერია, რომელიც ლპობას იწვევს, ტენის გარეშე იღუპება და სხეული არ იხრწნება. ძველეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ ადამიანის სული უკვდავი იქნებოდა, თუკი ცხედარს კარგად შეინახავდნენ და ამიტომაც, თითქმის 3000 წლის განმავლობაში, შეძლებული ეგვიპტელები მიცვალებულების მუმიფიცირებას ახდენდნენ, ცხედრებს ქურუმები ამუშავებდნენ და ეს პროცესი 70 დღეს გრძელდებოდა.

დაბალზამების შემდეგ, მუმიას თავს სპეციალური ქსოვილით უხვევდნენ, შინაგან ორგანოებს კი ტილოში ხვევდნენ და გამომშრალი ცხედრის მუცლის ღრუში აბრუნებდნენ ან სპეციალურ საცავებში ინახავდნენ. ძველი ეგვიპტელები ფიქრობდნენ, რომ ტვინი უსარგებლო რამ იყო და ამიტომაც, თავის ქალადან კაუჭით გამოჰქონდათ და აგდებდნენ. შინაგან ორგანოებს: ნაწლავებს, ღვიძლს, კუჭსა და ფილტვებს სხეულის მარცხენა მხარეს გაკეთებული ხვრელიდან იღებდნენ, მერე ორგანოებს მარილს აყრიდნენ და აშრობდნენ. გული სხეულში რჩებოდა, რადგან ძველეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ გული გონების ცენტრი იყო. მუმიფიცირებისთვის აუცილებელ კომპონენტს, ნატრიუმის მარილს მლაშე ტბის ნაპირებზე მოიპოვებდნენ,



ცხედარს აყრიდნენ და 40 დღის განმავლობაში აშრობდნენ. ბალზამირებისთვის განკუთვნილ დაქანებულ მაგიდაზე დადებული, დაბალზამებული გვამიდან სითხე დაუბრკოლებლად გამოდიოდა და ცხედარი კარგად შრებოდა. დაბინტულ სხეულს ტილოს ქსოვილში ახვევდნენ და ვიდრე მუმიას კუბოში მოათავსებდნენ, მოოქრულ ნიღაბს უკეთებდნენ. კუბოს ადამიანის სხეულის ფორმა ჰქონდა, იცავდა სხეულსაც და სულსაც. გარდაცვლილის სახეს კუბოს თავზე გამოსახავდნენ. მასში ჩასვენებულ მუმიას ყველა იმ ნივთთან ერთად მარხავდნენ, რომელიც გარდაცვლილს შესაძლოა, იმ ქვეყნად დასჭირვებოდა, მათ შორის, სამკაულებსა და ავგაროზებს, რომლებზეც ხშირად, ლოცვები იყო ამოკვეთილი. სამარხებს ავსებდნენ საკვებით, სასმლით, ტანსაცმლით, ავეჯით, ეტლით, ნელსაცხებლებით, სამკაულებით, მოსამსახურეთა ფიგურებით. მდიდრულ სამარხებში ჩატანებული ნივთები მძარცველთა ყურადღებას იპყრობდა და ბევრი მათგანი მალევე გაიძარცვა. ხშირად, წმინდა ცხოველების მუმიფიცირებაც ხდებოდა და მათ ტაძრებთან ახლოს, საგანგებოდ გამოყოფილ სასაფლაოზე მარხავდნენ. ისინი მსხვერპლშეწირვისთვის განკუთვნილი ცხოველები იყვნენ და არა გარდაცვლილის საკუთრება, მაგრამ ერთ-ერთი პრინცესა მის საყვარელ ბაბუინთან ერთად დამარხეს.

რამზესის მუმიის აღმოჩენის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ იგი მაღალი, დიდცხვირიანი და წითური უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მუმია ძველეგვიპტურ კულტურასთან ასოცირდება, ადამიანების დაბალზამების წესი სამხრეთ ამერიკაშიც იყო გავრცელებული. ჩინჩორათა მუმია ჩვენს ერამდე, VII-IX საუკუნეშია დამზადებული. ■

პირანია — ადამიანის მოლოდინში

ყველაზე საშიში, „ეშმაკისკბილებიანი“ თევზი მდინარე ამაზონში ბინადრობს. ევროპელებმა პირანიების შესახებ კონკისტადორებისგან შეიტყვეს. ოქროსა და თავგადასავლების მაძიებელმა გონსალო პისარომ საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ შეჭამეს თევზებმა კანოედან წყალში გადავარდნილი ორი ინდიელი. ბუნებაში 30 სახეობის პირანია არსებობს, მაგრამ ყველაზე საშიში — წითელი და შავი შეფერილობისაა. მათ რამდენიმე წუთში შეუძლიათ ხარისა და ადამიანის შეჭმა. თევზები განსაკუთრებულ საფრთხეს გვალვის დროს წარმოადგენენ და ამ დროს ერთმანეთის შეჭმაზეც არ ამბობენ უარს. მათ ალიგატორებიც კი უფრთხიან.

პირანიის მსხვერპლი ძირითადად, მეთევზეა, რომელიც მათზე ნადირობს — ამ თევზის ხორცი ბრაზილიაში

დელიკატესად მიიჩნევა. პირანიებს სქელ მავთულზე წამოცმული ხორცით იჭერენ და თუ მეთევზეს მოკლე მავთული აქვს, შეიძლება, თითის გარეშეც დარჩეს. სხვათა შორის, მკვდარი თევზიც კი საშიშია — თითის შეხებისას, ის რეფლექსურად აღებს პირს. მას კბილები ისე აქვს განლაგებული, რომ ელვის მსგავსად იკეტება. საშიშროების მიუხედავად, პირანიასაც ჰყავს მტერი — მდინარის დელფინი, კაიმანი და მსხვილი თევზები, მაგრამ მის შეჭმამდე, მოძალადე უნდა დარწმუნდეს, რომ თევზი ნამდვილად მკვდარია, რადგან მუცელში მოხვედრის შემდეგ, ცოცხალი პირანია ცირკულარული ხერხივით მოქმედებს და შეუძლია, თავდამსხმელი შიგნიდან გამოჭამოს.

პირანია „მდინარის სანიტრის“ როლსაც ასრულებს, როგორც მგლები არიან „ტყის სანიტრები“. წვიმების სეზონის დროს მრავალი ცხოველი აღმოჩნდება ხოლმე წყლის ქვეშ და ეპიდემია რომ არ განვითარდეს, პირანიები მდინარეში მოხვედრილი მსხვერპლისგან მხოლოდ ძვლებს ტოვებენ. სხვათა შორის, გუარანის ტომის ინდიელები მიცვალებულებს აღარ მარხავენ — გვამს მდინარეში ტოვებენ, ხოლო როცა პირანიები მათ ხორცს შეჭამენ, დარჩენილი ძვლები სპეციალურ ქოხში მიაქვთ და ბუმბულებით რთავენ. ინდიელები პირანიის კბილებს მაკრატლის მაგივრად იყენებენ.

პირანიებზე უამრავი საშინელებათა ფილმია გადაღებული. ინდიელებს შორის კი მათზე ანეკდოტიც არსებობს, რომლის მოსმენისას, გულუბრყვილო ევროპელებს შიში ეუფლებოდათ: „მამაჩემს მტრები მოსდევდნენ, სველ მიწაზე ფეხი გაუცურდა და მდინარეში ჩავარდა. მართალია, მალევე ამოვიდა, მაგრამ სიცივემ შეაწუხა და როცა საკუთარ სხეულს დააკვირდა, გაოგნდა — მხოლოდ ძვლებიღა შერჩენოდა. მას შემდეგ, ცხოვრებაში ამაზე საშინელი არაფერი მოსვლია“. ■



RS5 „აუდისაგან“

კომპანია „აუდიმ“ მოდელ RS5-ის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. სიახლეს 4,2-ლიტრიანი

ატმოსფერული, 8-ცილინდრიანი ძრავა აქვს, რომელიც მას კუპესგან — R8 — ერგო. მოტორი 420-დან 450 ცხ.ძ-მდეა ფორსირებული და S-tronic-ის სიჩქარის გადაცემათა წინასელექციური 7-საფეხურიანი კოლოფით მუშაობს. გერმანული ავტომწარმოებლის მონაცემებით, ასეთი მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,6 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ იქნება. კლიენტის მიერ დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში, Audi-ს ინჟინრები ავტომობილის მაქსიმალურ სიჩქარეს 280 კმ/სთ-მდე გაზრდიან. Audi RS5-ის კუპე აღჭურვილი იქნება Torsen-ის ხიდებშორისი დიფერენციალის მქონე, Quattro-ს სრულამძრავიანი ტრანსმისიით, რომელიც წინა და უკანა ხიდებს შორის მომენტს 40:60-ზე პროპორციით გაანაწილებს. ამასთან, სიტუაციისდა მიხედვით, წინა ხიდზე შესაძლებელი იქნება მომენტის 70%-ის გადაცემა, ხოლო უკანაზე — 85%-მდე. განახლებულ ავტომობილს წინა ბამპერზე გაზრდილი ჰაერშემაკავებელი, რადიატორის განსხვავებული ცხაური, შეცვლილი წინა სპლიტერი და უკანა დიფუზორი ექნება. Audi RS5-ის პრემიერა მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. ევროპულ ბაზარზე მანქანის გაყიდვის დაწყება მიმდინარე წლის გაზაფხულზევე იგეგმება. სავარაუდოდ, საბაზო კომპლექტაციის მქონე სიახლის ფასი დაახლოებით, 77,7 ევრო იქნება. ■

„შკოდას“ ახალი ოჯახი ჟენევის მოტორშოუზე

ჟენევის ავტოსალონზე კომპანია „შკოდა“ Fabia-ს განახლებულ ოჯახსა და რესტაილირებულ კომპაქტვენ Roomster-ს წარადგენს. ყველა მოდელი მსუბუქ რესტაილინგს გადაიტანს: გამოჩნდება ახალი ბამპერები და რადიატორის ცხაურები, ბორბლების დისკების ახალი ხაზი, შეცვლილი წინა და უკანა შუქფარები; მოტორების გამაც შეიცვალა: ატმოსფერულმა 1,4-მა და 1,6-მა ადგილი დაუთმეს 1,2-ის ოჯახს. 1,2-იანი მოტორის ატმოსფერული ვერსია 86 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს (ზოგიერთ ბაზარზე ხელმისაწვდომი იქნება ამ ძრავას 70 ცხ.ძ. ვერსიაც), ხოლო ტურბინირებული — 105 ცხ.ძ-ს. მანქანის ოპციური ტრანსმისია — DSG-ის 7-საფეხურიანი რობოტია. შეიცვალა დიზელის აგრეგატების თაობაც: 1,4 და 1,9-ლიტრიანმა მოტორებმა ადგილი დაუთმო 75 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე 1,2-ლიტრიან დიზელს, აგრეთვე — 1,6-ლიტრიან ძრავას, რომელიც 90 და 105 ცხ.ძ. სიმძლავრის ვერსიებად იქნება ხელმისაწვდომი. ახალი Fabia-სა და Roomster-ის ევროპული პრეზენტაცია მარტში შედგება. ■

ჟენევის გამოფენისთვის „ინფინიტიც“ ემზადება

კომპანია Infiniti ჟენევაში კროსოვერ EX-ისა და FX-ის დიზელის ვერსიებს წარადგენს. ორივე მოდელს ერთნაირი — 3-ლიტრიანი, 238 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოდიზელი ექნება. ისინი სიჩქარის გადაცემათა 7-საფეხურიანი ავტომატური კოლოფით აღიჭურვება. უფრო კომპაქტური EX30 100 კმ/სთ სიჩქარეს 7,9 წამში განავითარებს, ხოლო FX30D — 8,3 წამში. ამ ავტომობილების მიერ საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე 8,4 და 9 ლიტრია. ახალი მოტორის დასაყენებლად ორივე მოდელის ძრავას სათავსი გადააკეთეს და ახალი ბამპერები შეიმუშავეს, რაც კაპოტის შიგნითა სივრცეს საუკეთესო ვენტილაციით უზრუნველყოფს. მოგვიანებით, ეს ტურბოდიზელი სედან Infiniti M-ზე გამოჩნდება. ■

„ნისანის“ ახალი მოდელები

კომპანია „ნისანმა“ Pikap Navara-სა და არასაგზაო Pathfinder-ის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ორივე ავტომობილის ექსტერიერი მცირედითაა შეცვლილი. მანქანებს ახალი წინა და უკანა ბამპერები, ფარები, დიდი თხევადკრისტალური წინა პანელი აქვთ, რომელზეც უკანა ხედვის კამერებისა და სანავიგაციო სისტემის მონაცემები აისახება. გარდა ამისა, მანქანებს ახალი საჭეც დაუმონტაჟდებათ (Nissan Qashqai-სთან უნიფიცირებული), მთავარი ტექნიკური სიახლე კი მოტორების გამაში 3-ლიტრიანი ტურბოდიზელის გამოჩენაა, რომელიც 231 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. იგივე აგრეგატი მოგვიანებით, Infiniti-ს კროსოვერებსა და სედანებსაც დაუყენდებათ. განახლების შემდეგ, საბაზო 2,5-ლიტრიანი დიზელი 19 ცხ.ძ-ით გაძლიერდება. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელების დებიუტი ჟენევის ავტოსალონზე, მარტში შედგება, ხოლო ბაზარზე ისინი აპრილში გამოჩნდება. ამ ეტაპზე მანქანების ფასები უცნობია. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

რეალისტი ხართ თუ ფანტაზიორი?

ქალის ნივთებში არის ისეთი წვრილმანები, რომლებიც პატრონის ხასიათზე მეტყველებს. ამჯერად, ჩანთის სტილსა და მისი ტარების მანერაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

● ვინც პატარა ზომის ხელჩანთას ატარებს, თავდაჯერებული ეგოისტია. მასთან ურთიერთობა არცთუ ისე იოლია. ამ ტიპის ქალს მამაკაცები მასწავლებლებს ადარებენ და არც მაინცდამაინც სწყალობენ.

● ის, ვინც მდიდრულ, დახვეწილ ჩანთას ატარებს, თვითონაც დახვეწილი მანერებით გამოირჩევა; დიდ დროს უთმობს ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე ზრუნვას. სამუშაოს მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებს. სიყვარულში რეალისტია და არა ფანტაზიორი.

● დიდი ზომის ჩანთები უმეტესწილად კარიერისტი ქალის გატაცებაა. განსაკუთრებით სიამოვნებს, როცა მის ჩანთას სასიამოვნო „კომპლიმენტით ამკობენ“.

● მკაცრი სტილის ჩანთას კონსერვატორი ქალი ირჩევს. ის ელეგანტური ჩაცმის სტილს ანიჭებს უპირატესობას, ჭკვიანია და მასთან ურთიერთობა საინტერესოა.

● თუ ქალი ჩანთას გულზე მიკრულს ატარებს, შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანს მალავდეს და გარშემო მყოფთ არ ენდობოდეს.

● თუკი ქალს ჩანთა ცალი კუხით უჭირავს, იგი თავდაჯერებულია. ჩანთის ამგვარი ტარების მანერა, უმეტესწილად, პრეტენზიულ ქალებს ახასიათებს.

● მხარზე გადაკიდებულ ჩანთას ძირითადად მხიარული ქალები ატარებენ. საერთო ჯამში, ამ ტიპის ქალი კმაყოფილია საკუთარი თავით და ზოგადად, ცხოვრებითაც.

● წელზე მიბჯენილ ჩანთას, კარგი მეოჯახე ქალები ატარებენ.

● ქალი, რომელიც ჩანთას იღლიაში ამოჩრილს ატარებს, საკუთარ თავში ჩაკეტილი და უთქმელია. ■

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი...

თუ გგონია, რომ მისი მეგობრების გაცნობა არაფერში გჭირდება, სასტიკად ცდები: შენი რჩეული თუ შენზე დაქორწინებას გადაწყვეტს, ამის შესახებ მეგობრებს უფრო ადრე აცნობებს, ვიდრე შენ. მათ კი თუ არ მოეწონე, ყველანაირად ეცდებიან, მეგობარს გადაწყვეტილება შეაცვლევინონ. მაგრამ შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად მოხდეს, ეს კი შენზეა დამოკიდებული:

პანიკაში არ ჩავარდე

აუცილებელი არ არის, ყველა მათგანი უცებ მიიღო და შეიყვარო. პირველ ხანებში შესაძლოა, გაგიჭირდეს ურთიერთობის აწყობა, მაგრამ ხომ გსურს, რაც შეიძლება მეტი გაიგო მამაკაცზე, რომელიც გიყვარს?! გახსოვდეს: მის მეგობრებთან ურთიერთობით გაცილებით მეტს შეიტყობ მასზე.

დაინტერესე

შეიძლება თავიდან, მათ ყურადღება არც მოგაქციონ, გამოგცადონ. მხოლოდ მოთმინებისა და დიდი ძალისხმევის შედეგად მოიპოვებ მათ ნდობას. დაინტერესე იმით, რაც არ იციან: შენი თვალსაწიერით, ჰობით... ერთი ცდით არ დაკმაყოფილდე — იბრძოლე მათი ყურადღების მოსაპოვებლად.

შენს რჩეულს მისი მეგობრების შესახებ პირველი შთაბეჭდილებები გააცანი

ისეთი რამ უთხარი, რაზეც იფიქრებს, დაიმახსოვრებს და ამის შესახებ, დაინტერესებულ პირებსაც აცნობებს. შენი შეფასება უნდა შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ არც ძალიან რთულს. მეგობრები უნდა შეუქო, ოღონდ ზომიერების ფარგლებში, რათა მასში ეჭვიანობის გრძნობა არ აღძრა.

შენს რჩეულს შესთავაზე, მეგობრები შეკრიბოს

მოძველებული, მაგრამ უტყუარი მეთოდია: ამით ერთბაშად რამდენიმე კურდღელს დაიჭერ: 1. ყველას ისეთი შეგრძნება ექნება, რომ შენი შეყვარებული ძველებურად „ხელმისაწვდომია“; 2. მეგობრები შეიტყობენ, რომ მის მიმართ წრფელი და ნაზი გრძნობა გაქვს; 3. შენი რჩეული დიდად გაიხარებს; 4. შეგეძლება უკეთ გააკონტროლო სიტუაცია; 5. რომელ მამაკაცს არ მოსწონს, როცა ქალი გემრიელად ამზადებს?

უკიდურეს შემთხვევაში მოთმინებით აღიჭურვე

თუ მისმა მეგობარმა აგითვალწუნა, არ დაღონდე, მიზეზი შენში კი არა, მასშია. ამას მსუბუქად მიუდექი. მოიქეცი ისე, როგორც კარგად აღზრდილ ადამიანს შეეფერება და „ზავიც დაიდება“.

დაუმატე „ორი წვეთი“ ფლირტი

თუ, რა თქმა უნდა, სწორად გესმის სიტყვა — „ფლირტი“. საუბარი წარმართე და კითხვები დასვი. ფლირტის დროს მთავარი იარაღი ადამიანისადმი ინტერესის დემონსტრირებაა. უნდა აგრძნობინო, რომ ის პიროვნულად გაინტერესებს. ამისთვის გამოიყენე მხოლოდ „ორი წვეთი“ ფლირტი, მაგრამ — ისე, რომ გაუგებრობა არ მოხდეს.

მათ დახმარება სთხოვე

მისი მეგობრები რომ შეიჩვიო, ამისათვის გამოიყენე უკვე ბევრჯერ ნაცადი ქალური რეცეპტი: თავი სუსტ და უმწეო ქალად მოაჩვენე. დაურეკე მის საუკეთესო მეგობარს და უთხარი: „შენი დახმარება მჭირდება: როგორ ფიქრობ, მოეწონება თუ არა მას...“ ეს ნიშნავს, რომ შენი შეყვარებულის მეგობრებს აფასებ და მათ აზრს პატივს სცემ.

ზოგჯერ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინე

მისი მეგობრები მოსვენებას არ გაძლევენ? სავარაუდოა, რომ ისინი, უბრალოდ, ვერ შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მეგობარი პრაქტიკულად „დაკარგეს“: რომ ის მარტო აღარ ცხოვრობს; გამოსასვლელ დღეებში მობილური გამორთული აქვს და ნებისმიერ დროს, როცა მოეპრიანებათ, მასთან სტუმრად მისვლას ვეღარ მოახერხებენ. თუ გრძნობ, რომ ისინი ზურგს უკან შენი რჩეულის დაგესვლას ცდილობენ, მათთან მტკიცედ დალაპარაკება მოგიწევს, მაგრამ არ გადაამლაშო — გაიხსენე, რომ მეგობრები შენც გყავს. ■

სახის კანის ტიპები და მათი მოვლა

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, სახის კანს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ. საოჯახო პირობებშიც შესაძლებელია დაადგინოთ, თუ როგორი ტიპის სახის კანის გაქვთ: ცხიმიანი, მშრალი, ნორმალური და შერეული.

ამისათვის გაისუფთავეთ სახე ოთახის ტემპერატურის წყლითა და საპნით. მოგშორდებათ მტვერი, ოფლი და კანის ცხიმი. დაბანიდან 1-2 საათის შემდეგ სახეზე კვლავ წარმოიქმნება ცხიმის ფენა. აიღეთ თხელი ქაღალდი (ხელსაწმენდი გამოდგება) და დაიფინეთ სახეზე ისე, რომ იგი სახის ყველა უბანს ეხებოდეს. თუ ქაღალდზე გაჩნდება ცხიმის ლაქები, ე.ი. სახე ცხიმიანია, თუ ოდნავ, თანაბრად შეიმჩნევა ცხიმის კვალი, სახე ნორმალურად მიიჩნევა. მშრალი ტიპის კანი ქაღალდზე არავითარ ლაქას არ ტოვებს. თუ ცხიმის ლაქა მხოლოდ ზოგიერთ ადგილზე გაჩნდა, კანი შერეული ტიპისაა.

ამჯერად ცხიმიანი კანის მოსავლელ საშუალებებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

გამწმენდი საშუალებები

ლიმონი

√ ცხიმიან სახის კანს დღეში რამდენჯერმე იწმენდენ ლიმონის წვენში დასველებული ბამბის ტამპონით ან ლიმონის ნაჭრით.

√ სახეს იწმენდენ ლიმონის წვენისა და წყლის ნარევით (1 ჩ/კ ლიმონის წვენი 1/4 ჭიქა წყალზე).

გვირილა

1 ს/კ გვირილას ასხამენ 10 ს/კ არაყს, აჩერებენ 7 დღე მუქ მინის ჭურჭელში, წურავენ და იწმენდენ სახეს კვირაში 2-ჯერ.

მარილიანი პროცედურები

თუ ცხიმიან სახეზე კომედონები (შავი წერტილები) და ფერიმჭამელებია, რეკომენდებულია მარილიანი პროცედურები. ბამბის ტამპონს ასველებენ საპნის ქაფში, მოაფრქვევენ გაცრილ მარილს და წრიული მოძრაობით იწმენდენ სახეს 1-2 წუთის განმავლობაში. მარილის კრისტალები შლის ცხიმის ჯირკვლის საცობს. ამ პროცედურის შემდეგ სახეს იწმენდენ ლოსიონით და იბანენ წყლით. პროცედურა დასაშვებია კვირაში 2-3-ჯერ.

ალოე

ცხიმიან, ფორებიან, ფერიმჭამელებიან კანს იწმენდენ ალოეს კონსერვირებული წვენით. კონსერვაციისთვის 4 წილ ალოეს წვენს უმატებენ 1 წილ სპირტს და ინახავენ გრილ, ბნელ ადგილას.

ფორთოხალი

√ ერთ ცალ ფორთოხალს ხეხავენ, უმატებენ 1/2 ჩაის ჭიქა არაყს, აჩერებენ 5-7 დღით ბნელ ადგილას, შემდეგ წურავენ და უმატებენ 1 ჩ/კ გლიცერინს. ამ ლოსიონით ცხიმიან კანს ყოველ საღამოს იწმენდენ. ავიწროებს ფორებსაც.

√ მინერალურ წყალს (1 ჩ/ჭ) უმატებენ 1 ს/კ გრეიფრუტის წვენს და იწმენდენ ცხიმიან, ფორებიან კანს.

ნიღბები

სტაფილო

1 ცალ მოზრდილ, წვნიან სტაფილოს ხეხავენ. უმატებენ ცოტა ბავშვის პუდრას და მიღებულ მასას იდებენ სახეზე. უხდება ცხიმიან, ფერიმჭამელებიან, მოდუნებულ, ფერმკრთალ კანს.

პომიდორი

პამიდორს ჭრიან სიბრტყეზე და იდებენ სახეზე. რეკომენდებულია ცხიმიანი, დიდფორებიანი კანისათვის.

კომბოსტო

კომბოსტოს ფოთლებს ატარებენ ხორცსაკეპ მანქანაში, ამ ფაფას ურევენ ათქვეფილ კვერცხის ცილასა და იდებენ სახეზე 25-30 წუთით.

თიხა და პუდრა

იღებენ თანაბარი რაოდენობით (5-10 გ) თეთრ თიხას და პუდრას, უმატებენ 1-2 ს/კ რძეს. მიღებულ ნიღაბს იჩერებენ სახეზე 20 წუთით. ნიღაბი უკეთესად მოაშორებს სახეს ცხიმს, თუ რძის მაგივრად შემდეგ ხსნარს გამოვიყენებთ: 5 გ გლიცერინი, 15 მლ სპირტი და 4 მლ წყალი. ეს ნიღაბი უხდება დიდფორებიან, ცხიმიან კანს.

ქატო

ცხიმიანი კანისთვის ეფექტიანია ქატოს ნიღაბი. ამისათვის ქატოს ურევენ რძეში და იდებენ სახეზე. ნიღაბი რომ გახმება, სახეს იბანენ თბილი წყლით.

საფენები

გვირილა

კარგ ეფექტს აძლევს გვირილის ნაყენის საფენები ცხიმიან, ფერიმჭამელებიან კანს. იღებენ 1 ს/კ გვირილის ყვავილებს, ასხამენ 2 ჩ/ჭ მდუღარეს, აჩერებენ 10-15 წთ. წურავენ, ასველებენ რამდენიმე ფენა მარლას და იდებენ სახეზე ზომიერად თბილ საფენს (10-15 წთ). უკეთესი იქნება, თუ საფენი ხელახლა დასველდება თბილ ნაყენში ყოველ 5 წუთში ერთხელ, ზედიზედ 6-ჯერ. 2 კვირის განმავლობაში პროცედურები ტარდება ყოველდღე, შემდეგ კი დღეგამოშვებით. საჭიროა სულ 25 პროცედურა.

მარილი

1 ლ წყალში ხსნიან 1 ჩ/კ მარილს, ასველებენ საფენს და იდებენ სახეზე 10-15 წუთით.

კიტრი

2 კიტრს ხეხავენ, უმატებენ 100 მლ არაყს. ურევენ და აჩერებენ მინის ჭურჭელში 7 დღის განმავლობაში. წურავენ. ასველებენ მარლას და იფენენ სახეზე 15 წუთით. ეს ნარევი ავიწროებს ფორებს და აშორებს სახეს ცხიმს.

■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

„საქართველოს მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკიდან“ — ილიას მკვლელობამდე

1905-1907 წლებში რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ვითარება ძალზე დაიძაბა — მეფის თვითმპყრობელურ რეჟიმს, რომელსაც 1904 წელს, იაპონიასთან ომში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ, ქვეშევრდომთა შორის ავტორიტეტი გვარიანად შეერყა, შიდა მოწინააღმდეგეებთან გამკლავება ძლიერ გაუჭირდა. ეს პერიოდი რუსულ ისტორიოგრაფიაში „რევოლუციური სიტუაციის აღმავლობის“ სახელითაა ცნობილი.

მიხეილ ლაბაძე

„რევოლუციური სიტუაცია“ საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობისთვის შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. ბრძოლის პირველ ეტაპზე, დამოუკიდებლობის მომხრეებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და ყველაზე რევოლუციურ მხარეში — გურიაში „საქართველოს მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკა“ გამოცხადდა. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, ამ რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ბრძოლა ე.წ. „ავტონომისტებმა“ განაგრძეს...

1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისას, სანქტ-პეტერბურგში ცოტა ვინმე თუ ხვდებოდა, რომ რომანოვების ვრცელი იმპერია დასამარცხებლად იყო განწირული. რუსეთი ისევ შუა საუკუნეობრივი მეთოდებით იმართებოდა და მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება დროს ვერ ერგებოდა — იმპერატორის კარზე ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ თუ ახალი გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით იმპერიის მოდერნიზაციას ვერ მოახდენდნენ, რუსეთის სახელმწიფო არსებობას შეწყვეტდა. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ რუსეთის იმპერიაში დაპყრობილი არარუსული მიწების ფართობი დიდად აღემატებოდა საკუთრივ რუსული მიწების ფართობს და იმპერიის ცალკეული ნაწილებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული. ასეთ ფონზე, ცხადია, ძნელი იყო ამ უზარმაზარი ქვეყნის ეფექტურად მართვა.

რუსეთისგან განსხვავებით, იაპონია უზარმაზარ ტერიტორიებს არ ფლობდა, მაგრამ მისი მესვეურები ითვალისწინებდნენ XX საუკუნის დასაწყისის გეოპოლიტიკურ ვითარებას, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ინტერესებს და რუსეთში იმ დროისათვის არსებულ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, ტოკიოში ომის სავარაუდო დასასრული იმთავითვე ბრწყინვალედ გათვალეს და არც შემცდარან — 1905 წლის იანვარში რუსეთში დაწყებულმა საყოველთაო გამოსვლებმა წყალი იაპონიის წისქვილზე დაასხა: სანქტ-პეტერბურგი ტოკიოს ზავზე დათანხმდა.

იმპერატორი ნიკოლოზ II, რომელსაც 1905 წლისათვის ომის საწარმოებლად საკმარისი სახსრები აღარ ჰქონდა (მისი გაანგარიშებით, იაპონიასთან გამარჯვებისთვის საჭირო იყო მილიარდი მანეთი, 200 ათასამდე დამატებითი სამხედრო ძალა და მინიმუმ, ერთი წელი სამხედრო მოქმედებებისთვის), ქვეყნის შიგნით რევოლუციური სიტუაციის აღმავლობამ იმდენად შეაწუხა, რომ იაპონიის ყველა პრეტენზია დააკმაყოფილა — რუსებმა ფეხი ამოიკვეთეს ჩინეთიდან, კორეიდან, სამხრეთ სახალინიდან და კურილის კუნძულებიდან. საგარეო პოლიტიკაში ასეთი კრახის გამო, სანქტ-პეტერბურგში კარგა ხანს ვერ შეძლეს შიდა პრობლემებისთვის მიეხედათ — იმპერატორის კარმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე კონტროლი დაკარგა.

„საქართველოს მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკის“ მესვეურთა შეიარაღებული რაზმი. 1905 წელი

ამავდროულად, როგორც წესი, ვითარება მეტად დაიძაბა არარუსულ მხარეებში, კერძოდ — კავკასიაში. თუ ჩრდილოეთ კავკასიაში რევოლუციური ვითარების აღმავლობა აბრაგობის ფაქტების გახშირებით გამოიხატა, ამ ყველაფერმა საქართველოში თანდათანობით, კარგად ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლების სახე მიიღო, რომელსაც სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური პარტიები ედგნენ სათავეში. სხვათა შორის, ქართველ საზოგადოებაში სწორედ ამ პერიოდში გაჟღერდა რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის დიდ ნაწილს რუსეთთან კავშირის გაწყვეტა საქართველოსთვის არახელსაყრელად მიაჩნდა — ისინი ფიქრობდნენ, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიას მოიპოვებდა. ამგვარად, ქართველ საზოგადოებრიობაში მკვეთრად გამოიკვეთა ორი დაჯგუფება — „ავტონომისტები“ და „სამოსტოინიკები“ ანუ დამოუკიდებლობის მომხრეები.

დამოუკიდებლობის მომხრეები განსაკუთრებით დიდი პოპულარობით დასავლეთ საქართველოში სარგებლობდნენ — 1905 წლის დასაწყისში გურიაში, ოზურგეთის მაზრაში მოსახლეობამ შექმნა სასოფლო თემები და დამოუკიდებლად აირჩია მოსამართლეები; გლეხმა ქალებმა მიიღეს სპეციალური რეზოლუცია მამაკაცებთან თანასწორობის შესახებ; ჩამოყალიბდა შეიარაღებული ძალებიც — ე.წ. „ერთობის რაზმები“; მაზრის მართვაგამგებლობისათვის შეიქმნა გლეხთა სპეციალური კომიტეტი, რომლის გავლენამ სულ მალე, ისეთ დიდ მასშტაბს მიაღწია, რომ ოფიციალური ხელისუფლების ორგანოების მუშაობა უკიდურესად შეფერხდა. 1905 წლის თებერვლის თვეში ოზურგეთის მაზრის უმაღლესმა მესვეურებმა კავკასიის მთავარმართებელს აცნობეს, რომ „გურიის გლეხთა კომიტეტის“ ქმედებათა გამო იძულებულნი იყვნენ, მუშაობა შეეწყვიტათ.

იმავე პერიოდში, სიტუაციის აღგილზე გასაცნობად გურიას კავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს წევრი, სულთან კრიმ-გირეი ეწვია. იგი გურულებს სოფელ ბახვში შეხვდა და როცა გლეხებმა მას სოციალური და პოლიტიკური უფლებების გაზრდა მოსთხოვეს, რუსმა მაღალჩინოსანმა პირობა

დადო, რომ ამ ყველაფრის თაობაზე უშუალოდ სანქტ-პეტერბურგს ჩააყენებდა საქმის კურსში, სამაგიეროდ, გურულებს უნდა დაეშალათ შეიარაღებული რაზმები, გლეხთა კომიტეტი და გაეუქმებინათ „თვითნებურად“ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რაც რუსეთის იმპერიის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. რასაკვირველია, შეთანხმება ვერ მოხერხდა და სულთან კრიმგირეი იმედგაცრუებული გამობრუნდა უკან.

მთავრობამ ურჩი გურიის დასასჯელად სასწრაფოდ მიიღო ზომები — ოზურგეთის მაზრის ტერიტორიაზე, 1905 წლის მარტში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით 10-ათასიანი სადამსჯელო ექსპედიცია გაგზავნა. გურულებმა მომხდურებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და იმავე წლის ივლისის თვეში იძულებული გახადეს, მაზრის ტერიტორია დაეტოვებინათ. გურული მეამბოხეების წინააღმდეგობის მიუხედავად, ალიხანოვ-ავარსკის რაზმელებმა გურიის სოფლები მაინც ააოხრეს და მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები იმსხვერპლეს. გურიის დასაცავად აღდგა მთელი საქართველო, განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია ქართველმა ინტელიგენციამ, რომლის პოლიტიკური აქტიურობის შედეგად, მთავრობა იძულებული გახდა, ალიხანოვ-ავარსკი უკანვე გაეწვია.

რევოლუციური სიტუაციის დასარეგულირებლად, 1905 წლის ოქტომბერში რუსეთის იმპერატორმა, ნიკოლოზ II-მ გამოსცა საგანგებო ბრძანება „სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების შესახებ“, რომლის თანახმადაც, მეამბოხეთა ასალაგმავად მთავრობას ქმედითი ზომები უნდა მიეღო და საჭიროების შემთხვევაში, სისხლის ღვრასაც არ უნდა მორიდებოდა. იმპერატორის ხსენებულმა ბრძანებამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია — მის საპასუხოდ გურიის გლეხთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეტიათ მაზრის ცენტრისათვის და გაეთავისუფლებინათ იგი. 16-დან 19 ოქტომბრამდე მეამბოხეებმა გაანადგურეს პოლიციისა და კაზაკების ქვედანაყოფები ჩოხატაურის საბოქაულოში, 20 ოქტომბერს ნასაკირალთან დაუხვდნენ სადამსჯელო რაზმს, რომელიც ჩოხატაურისკენ მოემართებოდა და მას სასტიკი დამარცხება აგემეს. ნოემბრის თვეში გურულებმა ქალაქი ოზურგეთიც აიღეს, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს კიდეც და შეიქმნა მრავალპარტიული რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც სათავეში სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი ჩაუდგა. მან კომიტეტის სახელით, გურიის სოფლებში გაავრცელა მიმართვა, რომ გურიაში იქმნებოდა „საქართველოს მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკა“. ცოტა ხანში, ბენია ჩხიკვიშვილი ამ რესპუბლიკის პრეზიდენტადაც აირჩიეს. მოკლედ, გურიაში რეალურად დამყარდა რესპუბლიკური წყობა, რასაც ცარიზმის იმდროინდელი მოწინააღმდეგეები აიდეალებდნენ. ამიტომაც, „გურიის რესპუბლიკის“ შექმნას რუსეთის იმპერიაში საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა — მაგალითად, ვლადიმირ ლენინმა საკუთარ მომხრეებს მოუწოდა, ცარიზმთან ბრძოლისას მაგალითი გურული რევოლუციონერებისგან აეღოთ.

გურიაში მიმდინარე ამბებმა მთელ საქართველოში დიდი მღელვარება გამოიწვია — გურულების მხარდასაჭერად, კახეთის, ქართლის, თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობამ იარაღი აიღო ხელში. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, შეიარაღებული გამოსვლების პარალელურად, დაიწყო ე.წ. „ფიცზე შედგომის“ პროცესი: მთიელები საჯარო ფიცით აღუთქვამდნენ ერთმანეთს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლომდე იბრძოლებდნენ. სხვათა შორის, ამ პროცესში მონაწილეობდნენ პანკისელი ქისტებიც, ხოლო საქართველოში მცხოვრები ოსები ფიცის დადებაზე უარს აცხადებდნენ. ამასთან დაკავშირებით, პანკისში ამგვარი კურიოზიც მოხდა: ფიცის საჯაროდ წარმოთქმისას, ერთ-ერთმა ქისტმა წამოიძახა: „ჰირიი ცა ღოორჰუშ!“ — „ოსების ჩაუთვლელად, ყველას ვუფიცავო“. საქართველოსადმი ერთგულებაზე დაიფიცეს მითხოელმა, მაისტელმა და ხიღდეჰაროელმა ჩეჩნებმაც — მთიანი ჩეჩნეთის ეს სამი თემი მაშინ თიანეთის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა.

1905 წლის ნოემბერში, როდესაც საქართველოში დამსჯელი რაზმების გამოჩენას ელოდნენ, „ფიცზე შემდგარმა“ არხოტელმა ხევსურებმა ღილღოს თემის ინგუშებთან გამართეს მოლაპარაკება — ხევსურები ითხოვდნენ, რომ იმპერიის მესვეურთა მიერ საქართველოში გამოგზავნილ დამსჯელ რაზმებში არ გაწევრებულიყვნენ ის ინგუშები, რომელთაც ხევსურთა შორის მოსისხლეები ჰყავდათ. ხევსურებისა და ღილღველების წარმომადგენლები ერთმანეთს 1905 წლის 25 ნოემბერს, ტერღისკარში (ადგილი ხევსურეთისა და ინგუშეთის ღილღოს თემის მიჯნაზე) შეხვდნენ. ხევსურთა მხრიდან მოლაპარაკებას წარმართავდნენ სისკართან იონეური, ხირჩლა ნაროზაული და აპარეკა გიგაური, ხოლო ღილღველთა მხრიდან იყვნენ მაჯლიგა ალხასტაშვილი, იჩო ჭეგაიშვილი და ისთაბარ ფარეშაშვილი. მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა დიდი გაჭირვებით მოხერხდა — როცა მხარეებმა ტრადიციულად, სისხლის აღების ნიადაგზე მოკლულთა რაოდენობა ერთმანეთს შეადარეს, ჩეჩენ-ინგუშთა მხარეს მეტი მოკლული აღმოჩნდა. ქართველებმა ჩეჩენ-ინგუშებს გამოსასყიდი გადაუხადეს და საქმეც ამით მოგვარდა. ამგვარი მოლაპარაკებები გაიმართა დიდოელებთან, ხუნძებთან, ბალყარელებთან და ოსებთანაც. ჩრდილო კავკასიის ხალხებმა ქართველებს აღუთქვეს, რომ საქართველოს წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ და სამთავრობო ძალებს საქართველოსკენ გადაადგილებაში ხელსაც კი შეუშლიდნენ.

იმდროინდელი ევროპული პრესა კავკასიაში, კერძოდ — საქართველოში მიმდინარე მოვლენებს დიდ ყურადღებას უთმობდა. 1906 წელს ფრანგული გაზეთი — „ფიგარო“ წერდა, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში არსებული საერთო ვითარებიდან გამომდინარე, ქართველებს ნამდვილად ჰქონდათ საბაბი „სამართლიანი აჯანყებისათვის“. ამას კარგად ხვდებოდნენ სანქტ-პეტერბურგშიც, სადაც საქართველოს გარდა, ბევრი სხვა პრობლემა ჰქონდათ — 1905 წლის დეკემბერში მოსკოვში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, რომელიც ლამის სამოქალაქო ომში გადაიზარდა. იმპერატორის კარმა კვლავაც ძალისმიერი პოლიტიკის გატარებას დაუჭირა მხარი და თბილისის გუბერნიის მმართველად გენერალი ალიხანოვ-ავარსკი დანიშნა. ერთი თვის შემდეგ, დროებით მასვე ჩააბარეს ქუთაისის გუბერნიაც — ფაქტობრივად, ალიხანოვ-ავარსკი საქართველოში რუსული პირსისხლიანი რეჟიმის უმაღლეს მესვეურად იქცა. მის წინააღმდეგ ქართველმა „სამოსტოინიკებმა“ რვაჯერ მოაწყვეს ტერაქტი, მაგრამ გენერალი რვაჯერვე უვნებლად გადარჩა. ალიხანოვ-ავარსკიმ

პოლკოვნიკ კრილოვის ჯარისკაცები გურიაში. 1906 წელი

გენერალი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი

თითოეულ ამ ტერაქტს ენით აუწერელი სისასტიკით უპასუხა — მისმა გაგზავნილმა დამსჯელმა რაზმებმა დაარბიეს და ააოხრეს საქართველოს სხვადასხვა კუთხე. ეროვნებით ხუნძი გენერალი XX საუკუნის დასაწყისის კავკასიაში რუსული თვითმპყრობელობის სიმბოლოდ იქცა.

1906 წლის 10 იანვარს, პოლკოვნიკ კრილოვის სადამსჯელო რაზმმა, რომელიც ალიხანოვ-ავარსკის ბრძანებით, გურიას სრულიად მოულოდნელად დაესხა თავს, ფიცხელი ბრძოლის შედეგად აიღო „საქართველოს მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკის“ დროებითი ადმინისტრაციული ცენტრი — ოზურგეთი; „ერთობის რაზმების“ წევრებმა გურიის ტყეებს შეაფარეს თავი, ხოლო ოზურგეთის მაზრაში რუსული იურისდიქციის აღდგენა ოფიციალურად გამოცხადდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსებმა პრეზიდენტ ბენია ჩხიკვიშვილის ხელში ჩაგდება ან ლიკვიდაცია ვერ მოახერხეს — მან მიმალვა მოასწრო. უკვე 1906 წლის მარტიდან, მთავრობამ კავკასიის სამეფისნაცვლოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე კონტროლი აღადგინა. თუმცა, მეამბოხეების ნაწილი ძველებურად განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას.

ამგვარად, საქართველოში „სამოსტოინიკებმა“ ნელ-ნელა, ასპარეზი „ავტონომისტებს“ დაუთმეს — რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის შესახებ საკითხი ჯერ კიდევ 1905 წლის აპრილში, თბილისში შემდგარი ქართველ თავად-აზნაურთა ყრილობის მონაწილეებმა წამოაყენეს, მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი ისე შეფასდა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში უკან დახევა და „სამოსტოინიკთა“ გასანეიტრალებელი ნაბიჯი. ავტონომიის იდეა მართლაც, მთავრობის მესვეურთაგან იყო შემოგდებული, თუმცაღა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დამარცხებით დასრულდა, ქართველი პატრიოტები თავადვე დაინტერესდნენ ავტონომიის იდეით — მათი გაანგარიშებით, საქართველოს ავტონომია უნდა ყოფილიყო შუალედური ნაბიჯი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

1906 წელს სოხუმის ქალაქისთავმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ნიკოლოზ თავდგირიძემ მოსკოვში საერო და საქალაქო წარმომადგენელთა საიმპერიო ყრილობაზე პირველად გამოთქვა მოთხოვნა — რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის შექმნის თაობაზე. იგი აცხადებდა, რომ ავტონომიის ძირითადი პრინციპები უნდა დაყრდნობოდა 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატს“ — კერძოდ, რუსეთს უნდა უზრუნველეყო საქართველოს დაცვა გარეშე მტრებისაგან, დათანხმებულიყო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და ქვეყნის შიდა საქმეებში არ ჩარეულიყო. თავდგირიძის ამ მოთხოვნას იმავე ყრილობაზე წარმოდგენილი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუციაც ეხმაურებოდა.

ქართულ პოლიტიკურ პარტიათა შორის საქართველოს ავტონომიის იდეის უპირველესი მხარდამჭერი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გახლდათ, რომელიც 1905 წელს, წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) ინიციატივით შეიქმნა. ეროვნულ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს რუსეთთან კავშირი თანდათანობით უნდა გაეწყვიტა და ამიტომაც, საქართველოს დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციისათვის აუცილებელი იყო იმპერატორისაგან ავტონომიის მიღება. 1906 წლიდან ეროვნულ-დემოკრატებს ამ საკითხში სოციალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ — მათ მიაჩნდათ, რომ საქართველო რუსეთის გარეშე განვითარებას ვერ შეძლებდა და ამიტომაც, ქართველები უპირველესად, იმით უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, რომ მთლიანად რუსეთში შეცვლილიყო სახელმწიფოებრივი წყობა და ცხოვრების პირობები. ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი — ნოე ჟორდანია, ეროვნულ-დემოკრატებისგან განსხვავებით, წინა პლანზე სწევდა სოციალურ და არა ეროვნულ საკითხს. უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატებიც და ეროვნულ-დემოკრატებიც ხალხში თანაბარი პოპულარობით სარგებლობდნენ, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს „შეურიგებელთა“ რეპუტაცია ჰქონდათ დამკვიდრებული და მართლაც, ცარიზმისადმი ბრძოლის რადიკალური მეთოდებით გამოირჩეოდნენ მაშინ, როდესაც ეროვნულ-დემოკრატებს უკიდურესობა ნაკლებად ახასიათებდათ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიუღებლად მიიჩნევდა ტერორსაც და სოციალ-დემოკრატთაგან განსხვავებით, შეიარაღებული რაზმები არ ჰყავდა.

1907 წელს ჰააგაში სამშვიდობო კონფერენცია გაიმართა, სადაც ქართულმა ეროვნულმა ძალებმა „ქართველი ერის მემორანდუმი“ წარადგინეს, რომლითაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოსთვის ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭება მოითხოვეს. „მემორანდუმში“ აღნიშნული იყო, რომ რუსეთის იმპერიამ უხეშად დაარღვია 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატი“ და ფაქტობრივად, საქართველო დაიპყრო. ამიტომაც, საქართველოს ავტონომიის გარანტი საერთაშორისო საზოგადოებრიობა უნდა ყოფილიყო — რუსეთი უნდა აეძულებინათ, რომ მას საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ეცნო, რომელიც მხოლოდ ნომინალურად დაემორჩილებოდა რომანოვთა დინასტიას. აღსანიშნავია, რომ ჰააგის კონფერენციაზე „ქართველი ერის მემორანდუმი“ დაწვრილებით არ განუხილავთ — ამას რუსეთის წარმომადგენელმა, ნელიდოვმა შეუშალა ხელი იმ მიზეზით, თითქოსდა, მემორანდუმი კონფერენციაზე წესების დარღვევით იყო წარდგენილი. მიუხედავად ამისა, იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული გახდა, საგარეო საქმეთა მინისტრისთვის დაესვა შეკითხვა, — რის საფუძველზე მოხდა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია?

ამავდროულად, უშუალოდ საქართველოში, რუსულმა საიდუმლო სამსახურებმა „ავტონომისტთა“ წინააღმდეგ მუშაობა გააქტიურეს. მათ იდეურ წინამძღოლად, როგორც წესი, წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) მიიჩნეოდა, რომლის დისკრედიტირების მიზნით, ცარისტული „ოხრანკა“ არაფერს იშურებდა. საქართველოს უგვირგვინო მეფეს განსაკუთრებით მტრობდნენ სოციალ-დემოკრატები — ისინი ილიას, არისტოკრატიული წარმომავლობის გამო, „შავრაზმელ თავადად“ ნათლავდნენ და უვრცელებდნენ ჭორებს, თითქოს გლეხებს ცუდად ეპყრობოდა. ამგვარი ბინძური ჭორების გავრცელებას „ოხრანკა“ ყველა საშუალებით უწყობდა ხელს და ილიას მკვლელობისათვის ნიადაგს ამზადებდა.

„ოხრანკის“ მზაკვრული ჩანაფიქრი სწორედ ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის მიმდინარეობისას განხორციელდა — 1907 წლის 30 აგვისტოს, წიწამურთან, დაქირავებულმა მკვლელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ილია ჭავჭავაძე. ამ ვერაგული მკვლელობით, მისმა შემკვეთებმა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს: ილიას გზის ღირსეულად გამგრძელებელი საქართველოში არავინ აღმოჩნდა და ქართული ეროვნული მოძრაობის სადავეები ხელში კოსმოპოლიტ სოციალ-დემოკრატებს ჩაუვარდათ. ■

სასტიკი „მტირალა ბიჭუნა“

არაერთი იდუმალი დამთხვევიდან ცოტა თუა ისეთი შიშის მომგვრელი და თვით ყველაზე რაციონალური გონების შემაშფოთებელი, როგორიც „მტირალა ბიჭუნას“ პორტრეტთან დაკავშირებული უცნაური ხანძრები, რომლებმაც 1985 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე თითქმის მთელი ჩრდილოეთ ინგლისი მოიცვა.

სასტიკი ხანძრების მთელი სერიის შემდეგ, რომელთა მიზეზიც პრაქტიკულად, ვერავინ ახსნა, ერთი კანონზომიერება მაინც გამოიკვეთა: უკლებლივ ყველა ხანძრის შემდეგ სრულიად უვნებელი რჩებოდა იაფფასიანი რეპროდუქცია, რომელზეც მტირალა ბიჭუნა იყო გამოსახული.

თუმცა, ამ უცნაური მოვლენის შესახებ საზოგადოებამ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც ერთ-ერთი ცნობილი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში იორკშირელმა მეხანძრე პიტერ ჰოლმა განაცხადა, რომ მეხანძრეთა ბრიგადები მთელ ჩრდილოეთ ინგლისში პოულობდნენ ამ ნახატის ეგზემპლარებს, რომლებიც გაურკვეველი მიზეზის გამო, არ იწვოდა.

თავად პიტერ ჰოლმა ამ ამბის გამხელა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მისმა ძმამ — როიმ, რომელსაც ამ ამბის ოდნავადაც არ სჯეროდა, განზრახ იყიდა და სახლის ერთ-ერთი ოთახის კედელზე საკუთარი ხელით დაკიდა „მტირალა ბიჭუნას“ ასლი. ამ ამბიდან მცირე ხანში იორკშირის სამხრეთში, სვალონესტში მდებარე მისი სახლი გაურკვეველი მიზეზების გამო, ბოლომდე დაიწვა. როცა როი ჰოლმა დანახშირებული სახლის ნანგრევებში სრულიად უვნებელი „მტირალა ბიჭუნა“ დაინახა, ისე გაცოფდა, რომ ნახატს ფეხებით შესდგა.

ამ ინტერვიუს გამოქვეყნებისთანავე, ერთ ბრიტანულ ყოველკვირეულ გამოცემას „ბიჭუნას“ მიერ დაზარალებული ადამიანების წერილებისა და სატელეფონო ზარების ნაკადი მიაწყდა: მიტჩემელმა (სურეის საგრაფო) დორა ბრანდმა საკუთარი თვალით იხილა, როგორ იქცა მისი სახლი ფერფლად მას შემდეგ, რაც მან ცნობილი სურათი იყიდა. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ მას სახლში ასობით სხვა ნახატიც ჰქონდა, სწორედ ეს ერთადერთი გადარჩა; კილბურნელი სანდრა კრასკეს ცნობით, მას, დედამისს, მის დასა და მათ მეგობარს სახლები „ბიჭუნას“ ყიდვიდან სულ მცირე ხანში დაეწვათ; ჰერინგტორპელი (სამხრეთ იორკშირი) გოდბერების სახლიც ცეცხლის ალში სწორედ „ბიჭუნას“ ყიდვის შემდეგ გაეხვია. თანაც, ხანძრის შედეგად, მათი სასტუმრო ოთახის კედელზე ჩამოკიდებული რეპროდუქცია უვნებლად გადარჩა, ყველა სხვა სურათი კი ფერფლად იქცა; ჰესოუპლში (მერსისაიდის საგრაფო) ამოსების ოჯახის სასტუმრო და სასადილო ოთახებში გამოფენილი „ბიჭუნას“ ორი რეპროდუქცია დაწვას გადაურჩა, ხოლო თავად სახლი, გაზის აფეთქების შედეგად, ნანგრევებად იქცა. ამ ამბიდან ერთი დღე-ღამეც კი არ იყო გასული, რომ ტელფორდელი (შროშირის საგრაფო) ყოფილი მეხანძრის, ფრედ ტაუერის სახლსაც იგივე ბედი ეწია. ამის შემდეგ ერთ-ერთმა გაზეთმა სურათის ყველა მფლობელს მისი დაწვა ურჩია.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელთა უმეტესობა მთელ ამ ისტორიას მხოლოდ გაჭიანურებულ ხუმრობად მიიჩნევდა, „ბიჭუნას“ ყოფილ მფლობელებს ნამდვილად აღარ ეხუმრებოდათ. ბევრ მათგანს უკვე ნერვებმაც უმტყუნა, რადგან გამუდმებით იმის შიშში იყვნენ, რომ მათ მიერ განადგურებული ნახატის „სული“ შურს იძიებდა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა ლიდსელმა ქალბატონმა ქმრისა და სამი ვაჟიშვილის სიკვდილშიც „ბიჭუნა“ დაადანაშაულა; ფორესტჰილელი (ლონდონი) მისის ვუდვორდიც იმ აზრზე იყო, რომ მისი ქალ-ვაჟის, მეუღლისა და დედის ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებული სიკვდილიც სასტიკი სურათის „ნახელავი“ იყო, რადგან ყველა ეს ადამიანი ხანძრით გამოწვეულ უბედურ შემთხვევებს ემსხვერპლა, ხოლო როცა საინფორმაციო საშუალებებმა რამდენიმე მეხანძრეთა ბრიგადას „ბიჭუნასთან“ დაკავშირებით კომენტარი სთხოვეს, მათ ამ საკითხზე მსჯელობაზეც და სურათის მასობრივ დაწვაში მონაწილეობაზეც მტკიცე უარი განაცხადეს.

ამასობაში კი „ბიჭუნა“ „შავ საქმეს“ აგრძელებდა. გლოსტერშირელი მალკოლმ ვოგანი მეზობელს „მტირალა ბიჭუნას“ დაწვაში დაეხმარა, შინ დაბრუნებულს კი მისი სახლის სასტუმრო ოთახი ცეცხლში გახვეული დახვდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, ვესტონ-ნადმაროიელი (ევონის საგრაფო), 67 წლის უილიამ არმითიჯი საკუთარ სახლში გამოიწვა. საბრალო მოხუცის ამბავი ლამის, ყველა გაზეთმა გააშუქა, რადგან მეხანძრეებმა მისი დანახშირებული სხეულის გვერდით სრულიად უვნებელი „მტირალა ბიჭუნას“ პორტრეტი აღმოაჩინეს... „წყევლის არასდროს მჯეროდა, მაგრამ როცა ბოლომდე ჩამწვარ ოთახში სრულიად უვნებელი სურათი დავინახე, გავოგნდი“, — განაცხადა ერთმა მეხანძრემ, რომელიც უილიამ ართიმიჯის სახლში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას ამაოდ ცდილობდა... ■

1971 წლის ზაფხულის ერთ დილას, სამხრეთ ესპანეთის პატარა სოფელ ბელმეზ-დელა-მორელადას მკვიდრმა — მარია გომეს პერეირამ საკუთარი სამზარეულოს იატაკზე უცნაური პორტრეტი აღმოაჩინა. თავად გამოსახულებამ ნაკლებად, მაგრამ სეირის მოყვარულებმა, რომლებიც ამ უცნაური მოვლენის სანახავად მოზღვავდნენ, ქალი ძალიან შეაშფოთა და ამიტომაც, პორტრეტის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მან კაფელის ფილიდან პორტრეტის წაშლა სხვადასხვა საშუალებით სცადა, მაგრამ ვინაიდან ვერაფერს გახდა, ვაჟიშვილ მიგელს ფილის ამოგდება და ახლის დაგება სთხოვა. მიგელმა დედას სურვილი შეუსრულა, მაგრამ მარია პერეირას ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს სულ ცოტა ხნით თუ დაუბრუნდა — ახალდაგებულ ფილაზე მალე სრულიად ახალი და ბევრად მკაფიო გამოსახულებები გაჩნდა. მათ შორის იყო მამაკაცის სახე, რომელიც ბელმეზის უხუცესმა მცხოვრებლებმა იცნეს. მათი თქმით, ეს ადამიანი მრავალი წლის წინ გარდაცვლილი მათი თანასოფლელი იყო, რომელიც სწორედ იმ მიტოვებულ სასაფლაოზე გახლდათ დაკრძალული, რომლის ადგილზეც ახლა სენიორა პერეირას სახლი იდგა.

ბელმეზის ფენომენმა პარანორმალური მოვლენების მკვლევართა ყურადღება მიიპყრო. ერთ-ერთმა ექსპერტმა — გერმან დე არგუმოსამ მარიას სამზარეულოში ფილების დასაგებად გამოყენებული ბეტონის შემადგენლობა შეისწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ ნივთიერება, რომლითაც პორტრეტები იყო დახატული, არც ერთ ცნობილ საღებავსა თუ პიგმენტს არ ჰგავდა. ამიტომაც, ნოემბერში გამოსახულება იატაკიდან მაქსიმალურად ფრთხილად ამოიღეს, შემდეგ სამზარეულოს მთელი იატაკიც აყარეს და ფუნდამენტის ქვეშ, რამდენიმე მეტრის სიღრმეში, ადამიანის ძვლები აღმოაჩინეს, რითაც ძველ სასაფლაოსთან დაკავშირებული ვერსია დადასტურდა. მეტიც, სოფლის უწინდელ მცხოვრებთა ძველი ფოტოების დათვალიერების შემდეგ ადგილობრივთა ის ვარაუდიც გამართლდა, რომ მარია პერეირას სახლის იატაკზე სწორედ მიტოვებულ სასაფლაოზე დაკრძალული ადამიანების სახეები ჩნდებოდა. ამ ამბის შემდეგ, ბელმეზის არც ერთ მკვიდრს არ ეპარება ეჭვი, რომ ადამიანის სიცოცხლე მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგაც გრძელდება.

1897 წელს უელსში ლანდაფის ტაძრის წინამძღვარი, ჯონ ვოპსენი გარდაიცვალა. დაკრძალვიდან ორი კვირის შემდეგ, ტაძრის კედელი ზუსტად იმ მხარეს დასველდა, სადაც ღვთისმსახურს წესი აუგეს. სულ მალე, კედელზე გაჩენილმა ლაქამ გარდაცვლილის სახის მოხაზულობა მიიღო, მის ქვემოთ კი მისივე ინიციალებიც — J.V. — გამ-

ხელთუქმნელი პორტრეტები

ოიკვეთა. თვითმხილველთა თქმით, უელსის ფენომენად წოდებული ეს გამოსახულება ტაძრის კედელზე სულ რამდენიმე დღე ჩანდა.

ბევრად ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო შესაძლებელი ინგლისში, ოქსფორდის მაცხოვრის ტაძარში მომხდარი მოვლენის დაკვირვება. 1923 წლის ზაფხულში, ვიქტორიანული ეპოქის კარგად ცნობილი ოქსფორდელი მღვდლის, წინამძღვარ ჰენრი ლიდელის პროფილი ტაძრის თეთრ, მობათქაშებულ კედელზე იმ ფირფიტის გვერდით გამოჩნდა, რომელიც მისი ხსოვნის პატივსაცემად, 1898 წელს ამოკვეთეს. 1926 წელს პირველი პორტრეტის გვერდით ტაძრის სხვა წინამძღვრების გამოსახულებებიც გამოჩნდა და ისიც ცნობილი გახდა, რომ მსგავსი პორტრეტები წინა საუკუნეებში, ტაძრის სხვა ნაწილებშიც ჩნდებოდა. ფიზიკური კვლევების ბრიტანეთის საზოგადოების პრეზიდენტ ჰიუვეტ მაკენზის თქმით, ლიდელის პორტრეტი 1931 წელსაც მკაფიოდ ჩანდა, მომდევნო წელს კი კედელთან აგებულმა ახალმა საკურთხეველმა გამოსახულება სრულად დაფარა. ასე რომ, შემორჩა თუ არა პორტრეტი დღემდე, აღარავინ უწყის. ■

უცნაური და ავი ბედისწერა

1975 წლის 21 ივლისს გაზეთმა — „ლივერპულ ექომ“ მკითხველს ორი ახალგაზრდის — ტყუპი ძმის ფრიად უცნაური სიკვდილის შესახებ აუწყა. ძმები ზუსტად ერთი წლის შუალედში, ზუსტად ერთსა და იმავე დროსა და ადგილზე, ავტოკატასტროფის შედეგად დაღუპნენ; ორივე ახალგაზრდა, მოტოციკლს მართავდა და ორივეს დაეჯახა ტაქსი, რომელსაც ერთი და იგივე მძღოლი მართავდა. კიდევ უფრო გამაოგნებელი კი ის იყო, რომ ორივე შემთხვევაში, ტაქსიში ერთი და იგივე მგზავრი იჯდა, რომელიც იმავე ადგილას მიდიოდა, სადაც ერთი წლის წინ მოუხდა წასვლა. აღსანიშნავია, რომ ეს მგზავრი ტაქსით ძალზე იშვიათად თუ სარგებლობდა და ამ ორი საგზაო შემთხვევის შუალედში, ამ გზაზე საერთოდ არ გაუვლია.

1975 წელს მომხდარი მეორე უცნაური შემთხვევაც ტყუპ ძმას — ჯონ და არტურ მაუფორტებს უკავშირდება, რომლებიც ერთსა და იმავე დღესა და საათს გარდაიცვალნენ. 1975 წლის 22 მაისის გვიან საღამოს, ბრისტოლში მცხოვრებმა 56 წლის ჯონ მაუფორტმა გულის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო და ექიმებმა ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროს მისგან 80 მილით დაშორებულ უინძორში მყოფმა არტურ მაუფორტმა, რომელმაც ძმის მდგომარეობის შესახებ არაფერი იცოდა, მოულოდნელად, თავი ასევე ცუდად იგრძნო. ორივე ძმა იმავე საღამოს, პრაქტიკულად, ერთსა და იმავე დროს ისე გარდაიცვალა, რომ ერთმანეთის ამბავი არ გაუგიათ.

ფილმი — „ომენიც“ 1975 წელსაა გადაღებული. ის ანტიქრისტეს მოსვლაზე გვიამბობს და ეკრანებზე გამოსვლისთანავე, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფილმადაც იქცა. აი, მისი გადამღები ჯგუფი კი საბედისწერო მოვლენების, ავადმყოფობებისა და სიკვდილის სამიზნე გახდა. სცენარის ავტორი, დევიდ ზელტცერი სიკვდილს სასწაულით გადაურჩა: თვითმფრინავს, რომლითაც ის მგზავრობდა, მეხი დაეცა. იმავე ღამეს და ასეთსავე ავიაკატასტროფაში (ოღონდ — სხვა რეისზე) მოჰყვა მსახიობი გრეგორი პეკიც; რეჟისორი დიკ დონერი და სპეცეფექტების სპეციალისტი — ჯონ რიჩარდსონიც სერიოზულ ავტოკატასტროფებში მოყვნენ.

უარესი დამართა ფილმში მონაწილე ორ კასკადიორსა და ფილმის დირექტორს: კასკადიორები გადაღებების დროს ცხენებმა გადათელეს, დირექტორი კი გააფთრებულმა ლომმა იმსხვერპლა. ერთი სიტყვით, ფილმის დასრულებისას, გადამღები ჯგუფის წევრებისა და მსახიობების უმეტესობას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ წარუმატებლობები და ავი ბედისწერა მათ სწორედ ამ ფილმის გამო აედევნა... ■

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

ლათინურ-პაპისტური ცდომილებები და სწავლება რომის პაპის უცოდველობაზე

XI საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთის ეკლესია დედაეკლესიის წიაღს გამოეყო და ცალკე, მწვალებლური გზით წავიდა. ლათინურ-პაპისტური ეკლესიის ცდომილებები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა — მათ ცვლილება შეიტანეს პირჯვრის გამოსახვაშიც.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი *(აბესაძე):*

— დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის არსებული განხეთქილების შესახებ და დასავლეთის ეკლესიის მიერ მიღებულ ცდომილებათა სამხილებლად, მსოფლიო საეკლესიო კრება არ გამართულა. XI საუკუნის პირველ ნახევარში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებული იყო ლათინურ-პაპისტური ერესი ანუ დასავლეთის ეკლესია დედაეკლესიის წიაღს გამოეყო და ცალკე, მწვალებლური გზით წავიდა. ლათინურ-პაპისტების ძირითადი დოგმატური ცდომილებებია: „მრწამსის“ ერთ-ერთ მუხლში შეტანილი ცვლილება სულიწმიდის გამომავლობის შესახებ და სწავლება რომის პაპის უცოდველობაზე, რაც შეეხება დანარჩენ ცდომილებებს ზიარების საიდუმლოს აღსრულებისას ხმიადის უფუარი პურის გამოყენება, სამღვდელოებათა უქორწინებლობა, იყო ტრადიციული და არა — დოგმატური. შემდგომ საუკუნეებში, ლათინურ ეკლესიაში ამგვარი ცდომილებები კიდევ უფრო გამრავლდა — რადგან დასავლეთის ეკლესიამ მიიღო დოგმატი, რომ პაპი საღვთისმეტყველო საკითხებში უცდომელია, სარწმუნოებრივ სწავლებამოძღვრებაში თითოეულ პაპს რამდენიმე ახალი სწავლება შეჰქონდა და შესაბამისად, მართლმადიდებლობასა და ლათინურ-პაპისტებს შორის დღეისათვის სხვაობა გაცილებით დიდია, ვიდრე XI საუკუნეში იყო...

როგორც ვთქვით, ლათინურ-პაპისტური ეკლესიის ცდომილებები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა — ამგვარად ჩამოყალიბდა ინდულგენციების საკითხი, ცვლილება შეიტანეს პირჯვრის გამოსახვაშიც. ვიცით, რომ კათოლიკურ ჯვარცმაზე მაცხოვარს ფეხები გადაჯვარედინებული აქვს, რენესანსის ხანაში კი ცვლილება ხატწერაშიც შეიტანეს...

— რატომ ეწოდა რომის, დასავლეთის ეკლესიას კათოლიკური? სიტყვა „კათოლიკე“ ხომ მსოფლიოს, საყოველთაოს ნიშნავს, ასეთი კი მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა. „მრწამსის“ ერთ-ერთ მუხლში, სადაც ლაპარაკია ეკლესიის თვისებათა შესახებ, წერია: „ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“...

— ჭეშმარიტად კათოლიკე, საყოველთაო თავისი არსით, მართლაც, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა, რადგან ის მთელ მსოფლიოშია განფენილი. არ არსებობს ადგილი, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია არ არის: „ეკლესიები, რომლებიც ყველგან არიან განფენილნი, არიან ერთნი, ისინი ქმნიან ერთ კათოლიკე მთლიანობას სულიწმიდის საკრველით“, — წერს წმინდა კირილე იერუსალიმელი. მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკეა იმიტომაც, რომ არ განისაზღვრება ადგილით, იგი მოიცავს ცასა და ქვეყანას, რადგან ეკლესიას ეკუთვნიან არა მხოლოდ დედამიწაზე მყოფი მორწმუნენი, არამედ გარდაცვლილებიც, რომლებიც ჭეშმარიტი უფლის რწმენითა და სასოებით მიცვალნენ და ზეციური ეკლესიის წევრობის უფლება მოიპოვეს.

მხოლოდ მართლმადიდებელმა ეკლესიამ შემოინახა მსოფლიო ეკლესიასთან რწმენის ერთობა და ამიტომაც არის ის ჭეშმარიტად კეთოლიკე-საყოველთაო, თუმცა დასავლეთის ეკლესია მიიჩნევდა, რომ თითქოს მართლმადიდებლები გამოეყვნენ ჭეშმარიტ, საყოველთაო ეკლესიას და მწვალებლობაში ჩაცვივდნენ და ამიტომაც უწოდეს თავიანთ ეკლესიას კათოლიკური, საყოველთაო, რაც ცხადია, არამართებულია. როდესაც მათ შესახებ ვსაუბრობთ, არ უნდა გამოვიყენოთ სიტყვა „კათოლიკე“.

დასავლეთის ეკლესია იხსენიება ლათინურად ან პაპისტურად, მათ მიმდევრებს კი ლათინებად ან პაპისტებად, ან ლათინურ-პაპისტებად იხსენიებენ. ისინი პაპისტებად იხსენიებიან იმის გამო, რომ პაპის მიმდევრები არიან და მის უცდომელობას აღიარებენ, ლათინებად კი იმის ნიშნად, რომ მათი მსახურება ყველგან ლათინურ ენაზე აღესრულება.

— საინტერესოა, რატომ არ ჩატარდა მსოფლიო საეკლესიო კრება რომის, დასავლეთის ეკლესიის ცდომილებათა სამხილებლად?

— როგორც ვიცით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილებისა და საბოლოო გამყოფის — ერთმანეთისგან გამიჯვნის დროდ არ შეიძლება მივიჩნიოთ კონკრეტულად 1054 წელი, მაგრამ ამის შემდეგ, მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა და გაცივდა ანუ ფაქტობრივად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები ერთმანეთს დასცილდნენ — ეს მოხდა ყოველგვარი კრებისა და კრების მიერ გამოტანილი დადგენილებების გარეშე. პაპისტური ერესის სამხილებლად საეკლესიო კრების ჩატარება, ერთი მხრივ, არც იყო საჭირო, რადგან მათ მიერ მიღებული დოგმატური ცდომილება — „მრწამსში“ შეტანილი ცვლილება სულიწმიდის გამომავლობის შესახებ, უკვე მხილებული იყო, რამეთუ მათ პირველ და მეორე მსოფლიო კრებებზე მიღებულ „მრწამსში“ შეიტანეს ცვლილება. ნიკეა-კონსტანტინოპოლის კრებებზე მკაცრად იქნა დადგენილი, რომ „მრწამსში“ ერთი ასოს მიმატებას ან გამოკლების უფლებაც იკრძალებოდა — ამდენად, როდესაც ლათ-

ინურ-პაპისტებმა „მრწამსში“ დოგმატური ცვლილება შეიტანეს, ეს დოგმატი უკვე ჩამოყალიბებული იყო და მათი სწავლების საწინააღმდეგოდ, ახალი დოგმატის ჩამოყალიბება აღარ იყო აუცილებელი; რაც შეეხება მეორე დოგმატურ დარღვევას — საღვთისმეტყველო საკითხებში რომის პაპის უცდომელობის შესახებ, არც ამის წინააღმდეგ იყო საჭირო ახალი დოგმატის ჩამოყალიბება, რადგან ნებისმიერმა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა იცოდა, რომ ერთი რომელიმე ადამიანის აზრი არ შეიძლებოდა, ჭეშმარიტება, უცდომელი ყოფილიყო. მოციქულთა შორისაც კი, რომლებიც თავად უფალმა გამოარჩია, ერთ-ერთი — იუდა ცდომილებაში ჩავარდა და გამცემი შეიქმნა. პეტრე მოციქულმაც კი, რომელსაც კლდესავით მტკიცე სარწმუნოება ჰქონდა, შიშის გამო, მაცხოვარი უარყო... უცდომელი არის მხოლოდ კრება, კრებული, რადგან ეკლესიის კრებულში აბსოლუტური ჭეშმარიტებით, სრულყოფილად მოქმედებს სულიწმიდა. რა თქმა უნდა, სულიწმიდა პიროვნებაშიც მოქმედებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მისი აზრის საბოლოო განხორციელებას ეშმაკიც უშლის ხელს, მაგრამ კრებულში ეს ვერ ხდება... მოციქულებიც კი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ქადაგების დაწყების შემდეგ, დროდადრო იერუსალიმში იკრიბებოდნენ და თავიანთ ნაქადაგებს ამოწმებდნენ. თავად პავლე მოციქული გვაუწყებს: ჩავედი იერუსალიმში და მოციქულებს ვუამბე, რასაც ვქადაგებდიო — ანუ პავლე მოციქულმაც კი გადაამოწმა თავისი ნაქადაგები მოციქულთა ანუ კრებულის წინაშე. სწორედ ამ ორმა დოგმატურმა დარღვევამ გამოიწვია დედაეკლესიაში პაპისტური ერესის წარმოშობა.

რომის ეკლესია არათუ ცდილობდა მოსულიყო ერთობაში მართლმადიდებლობასთან, არამედ პირიქით — მან წლების განმავლობაში კიდევ უფრო განავრცო ჭეშმარიტ ქრისტიანობასთან თავისი განმასხვავებელი ნიშნები. დღეისათვის მართლმადიდებლობასა და ლათინურ-პაპისტურ ეკლესიას შორის 20-მდე არსებითად განმასხვავებელი სარწმუნოებრივი „ნიშანი“, ცდომილება არსებობს.

მეორე მხრივ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილების დროს არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარება შეუძლებელიც იყო — ხელისუფლება ყველა მსოფლიო საეკლესიო კრებაში, აქტიურად მონაწილეობდა. ეს ხელისუფლება ყოველთვის ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოების — მართლმადიდებლობის მიმდევარი, მტკიცე დამცველი იყო და სწორედ ამგვარი საერო ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელშეწყობით ხერხდებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებების მოწვევა. იმ დროს კი, როდესაც დედაეკლესიაში განხეთქილება მოხდა, ეკლესიაში ჭეშმარიტების გამოკვლევა საერო ხელისუფლების სურვილი არ იყო — ბიზანტიის იმპერატორებს სხვა ინტერესები ამოძრავებდათ: ცდილობდნენ, აღმოსავლეთიდან — არაბული, შემდეგ თურქ-სელჩუკთა ტომებიდან და ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხეებისგან თავის დასაცავად რომის პაპის და ევროპელი მეფეების მხარდაჭერა მოეპოვებინათ, ამიტომაც, საერო ხელისუფლება, მართლმადიდებლური ეკლესიისგან განსხვავებით, რომის ეკლესიასთან დათმობაზე მიდიოდა. თუკი ოდესმე, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებისა და რომის პაპის სურვილი იყო, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა გასაერთიანებლად საეკლესიო კრება მოეწვიათ, ეს ხდებოდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მართლმადიდებლობა წასულიყო დათმობაზე რომის ტახტის წინაშე.

თავად რომის ეკლესია მართლმადიდებლებისგან რომის პაპის პრივილეგიების აღიარებას ითხოვდა — რომ რომის პაპი იყო თავი მსოფლიო ეკლესიისა და ყველა ადგილობრივი ეკლესია მის მორჩილებაში უნდა ყოფილიყო. ასევე, ითხოვდნენ „მრწამსში“ მათ მიერ შეტანილი ცვლილების აღიარებას ანუ რომის ეკლესია დედაეკლესიისგან იმ ცდომილებების მიღებას ითხოვდა, რაც თავად ჰქონდა და რაშიც მათ მართლმადიდებლები სდებდნენ ბრალს. ■



რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა

ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში

მუცლის ტკივილი უამრავი დაავადების სიმპტომი შეიძლება იყოს, იგი ხომ გულისა და ღვიძლის მსგავსად, ერთ ორგანოს არ წარმოადგენს, თავადაა სავსე სხვადასხვა ორგანოთი, ქსოვილით, სტრუქტურით და შესაძლოა, ნებისმიერი მათგანის დაზიანება მუცელში ტკივილის გაჩენის მიზეზი გახდეს.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მუცელში მოულოდნელად აღმოცენებულ მკვეთრ ტკივილს, რადგან შესაძლოა, იგი გადაუდებელ სამედიცინო ჩარევაზე მიმანიშნებელი პირველი სიმპტომი იყოს. მაგალითად: თუ კუჭი, ნაწლავები ან ნაღვლის ბუშტი დაზიანდება, კერძოდ — დაიხშობა ან გასკდება, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნება. თუ მოულოდნელად აღმოცენებული მკვეთრი ტკივილი ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა, აუცილებლად უნდა გამოუძახოთ „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადას ან თავად წახვიდეთ საავადმყოფოში. გახსოვდეთ, ასეთი ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს მწვავე ქირურგიული დაავადებები, რაც დაუყოვნებლივ სამედიცინო ჩარევას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგები სავალალო იქნება.

იმის გასარკვევად, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს მუცლის ტკივილი, უნდა იცოდეთ, სად რა ორგანო მდებარეობს. პირობითად, მუცელი ოთხ კვადრატად (სეგმენტად) იყოფა: მარჯვენა ზედა (ე.წ. მარჯვენა ფერდქვეშა არე), მარცხენა ზედა (ე.წ. მარცხენა ფერდქვეშა არე), მარჯვენა ქვედა და მარცხენა ქვედა. ამა თუ იმ სეგმენტში ლოკალიზებული ტკივილი შეიძლება გამოწვეული იყოს აქ მდებარე ორგანოების პათოლოგიით, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტკივილს ირადიაცია (გადაცემა) ახასიათებს. მაგალითად, მარცხნივ მდებარე ორგანოს პათოლოგიის შედეგად აღმოცენებული ტკივილი შესაძლოა, მარჯვენა მხარეს გამოვლინდეს ან ზურგში გადაეცეს და ა.შ. მუცელში აღმოცენებული ტკივილის მრავალფეროვან ეტიოლოგიაზე მეტყველებს ისიც, რომ ზოგჯერ, სტენოკარდიული შეტევა მუცელში ტკივილით და დისკომფორტით ვლინდება, კუჭის წყლული კი — გულის არეში ტკივილით.

ამჯერად მხოლოდ მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილზე გესაუბრებით. მუცლის ზედა მარჯვენა კვადრატში ადამიანს განლაგებული აქვს ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ნაწლავის ნაწილი, კუჭქვეშა ჯირკვალი, დიაფრაგმის მარჯვენა ნაწილი.

ღვიძლი

მუცლის ზედა მარჯვენა სეგმენტში ტკივილი შეიძლება, ღვიძლში ანთებითი პროცესების დროს (ჰეპატიტი) აღმოცენდეს. ეს ტკივილი ძირითადად, ყრუ ხასიათისაა. ბევრმა არ იცის, რომ ღვიძლი პარენქიმული ორგანოა და ტკივილი არ ახასიათებს, მაგრამ ამ ორგანოში ანთებით პროცესებს ახლავს მისი გადიდება, გადიდების შედეგად კი იჭიმება ღვიძლის კაფსულა და ეს ტკივილს იწვევს... ყველაზე ხშირად, ღვიძლზე მოიერიშე ინფექციური აგენტი არის ვირუსი. აქედან მომდინარეობს დაავადების სახელწოდება — ვირუსული ჰეპატიტი. მისი სამი ძირითადი ტიპი არსებობს: ვირუსული ჰეპატიტი A, B და C. ჩვეულებრივ, ადამიანები ჰეპატიტით მას შემდეგ ავადდებიან, რაც ინფიცირებულ საკვებს ან წყალს გადაყლაპავენ; B ჰეპატიტი განსაკუთრებით ჰომოსექსუალებში, ნარკომანებსა და მათთან ახლო კონტაქტში მყოფ პირებშია გავრცელებული. თუმცა, ზოგჯერ ინფიცირებული სამედიცინო ხელსაწყოთი ან სისხლის გადასხმით ვრცელდება; C ჰეპატიტი მეტწილად, ინფიცირებული სისხლის და სისხლის შემცველი პროდუქტების გადასხმით ან დაბინძურებული სამედიცინო იარაღებით გადადის. ვირუსის გარდა, ადამიანის ღვიძლი შესაძლოა, სხვადასხვა ქიმიურმა აგენტმა ან რომელიმე პრეპარატმა დააზიანოს — ამ დროს ყალიბდება ე.წ. ტოქსიკური ჰეპატიტი. ღვიძლისთვის ყველაზე საშიში შხამი ალკოჰოლია და მისი რეგულარული მიღება ალკოჰოლურ ჰეპატიტს იწვევს. ღვიძლი შეიძლება დაზიანდეს ღვიძლის უკმარისობის გამო, კერძოდ მაშინ, როცა გულის კუნთი ცუდად გადატუმბავს სისხლს, ამის შედეგად სისხლის ნაწილი გუბდება ფილტვებში და აღმოცენდება სუნთქვის უკმარისობა, ნაწილი კი გუბდება ღვიძლში, წელავს მას და იწვევს ტკივილს.

დაიმახსოვრეთ! ვიდრე ქრონიკული ჰეპატიტი ან ციროზი ჩამოგიყალიბდებათ, მიმართეთ ექიმს. გახსოვდეთ, ადრე დაწყებული მკურნალობა უფრო ეფექტიანიცაა და შედარებით იაფიც!

ნაღვლის ბუშტი

მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილი შეიძლება, ნაღვლის ბუშტთან (ის ღრუ ორგანოა) იყოს დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ორგანიზმში ნაღვლის წვენი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს — იგი გამომუშავდება ღვიძლში და საჭმლის მონელებას უწყობს ხელს. ინფექცია, ღვიძლის არასრულფასოვანი ფუნქცია ან ნაღვლის ბუშტში კენჭის არსებობა, მუცლის ზედა მარჯვენა კვადრატში აღმოცენებულ ტკივილზეა პასუხისმგებელი. ნაღვლის ბუშტის პათოლოგიებით აღმოცენებული ტკივილი შეიძლება, იყოს ყრუ, რომელიც რამდენადმე მცირდება პირღებინების ან საკვების მიღების შემდეგ (ნაღვლის ბუშტის დაცლის გამო) და შეიძლება, შეტევითი ხასიათიც ჰქონდეს — კენჭების დროს.

კუჭი და 12-გოჯა ნაწლავი

კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის პათოლოგიამ შესაძლოა, გამოიწვიოს ტკივილი მუცლის ზედა მარჯვენა მეოთხედში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ტკივილი ეპიგასტრიუმის (მკერდის ძვლის ქვემოთ) არეში ლოკალიზდება და ირადიაციას განიცდის მარჯვნივ, მარცხნივ ან ზურგში. ტკივილთან ერთად, თავს იჩენს სხვა სიმპტომებიც. მაგალითად: გულისრევს შეგრძნება, ბოყინი, დისკომფორტი და სიმძიმე მუცელში, შებერილობა, ღებინება და სხვა. კუჭისმიერი ტკივილი შეიძლება, მუდმივი ან პერიოდული იყოს: მუდმივი ტიპის ტკივილი უწყვეტად გრძელდება დღეების ან სულაც, თვეების განმავლობაში. იგი ხან ძლიერდება, ხან — შედარებით სუსტდება. ასეთი მუდმივი ტკივილი ახასიათებს კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას და კუჭის კიბოს... პერიოდული ტკივილი აღმოცენდება კუჭის მჟავე წვენით წყლულის ზედაპირის გაღიზიანების გამო, ასევე პილორუსის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის სპაზმის შემთხვევაში. დიაგნოსტირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტკივილის აღმოცენების დროს. მაგალითად, საჭმლის მიღებიდან ნახევარი ან 2-3 საათის შემდეგ გაჩენილი ტკივილი

ახასიათებს კუჭის წყლულს. ღამის საათებში გამოწვეული ტკივილის მიზეზი ხშირად, 12-გოჯა ნაწლავის წყლულია — ასეთი ტკივილი გაივლის საკვების მიღების შემდეგ.

პანკრეასი

მუცელში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორგანო მდებარეობს — კუჭუკანა ჯირკვალი ანუ პანკრეასი. ის ჯირკვლოვან ორგანოს წარმოადგენს, მუცელში ღრმად მდებარეობს და გამოიმუშავებს საჭმლის მომნელებელ ფერმენტებს, წვენსა და ინსულინს. პანკრეასი მუცელში მარჯვნიდან მარცხნივაა „გადაჭიმული". მისი „თავი" მდებარეობს მუცლის ზედა მარჯვენა კვადრატში, „სხეული" -— მუცელზე, თეთრ ხაზთან, „კუდი" კი მუცლის ზედა მარცხენა კვადრატში. პანკრეატული ხასიათის ტკივილის ყველაზე ხშირი მიზეზია ამ ორგანოს ანთება, ე.წ. პანკრეატიტი. ამ დაავადებისკენ განსაკუთრებით მიდრეკილნი არიან ალკოჰოლიკები და ნაღვლის ბუშტის პათოლოგიის მქონე ადამიანები. მწვავე პანკრეატიტის შეტევას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს: შეტევა ძალიან მტკივნეულია, თან ახლავს გულისრევა, ღებინება და ჭარბი რაოდენობით ცივი ოფლის გამოყოფა. ტკივილი ავადმყოფს ზურგშიც გადაეცემა. ის ძლიერდება მწოლიარე მდგომარეობაში, ხოლო თუ ავადმყოფი წამოჯდება და წინ გადაიხრება, მისი მდგომარეობა უმჯობესდება ანუ ავადმყოფი შვებას გრძნობს. პანკრეატიტის დიაგნოზი უნდა დადასტურდეს ლაბორატორიული ანალიზებით და უნდა განისაზღვროს დაზიანებული ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ზოგიერთი ფერმენტის რაოდენობა.

თირკმელი

ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში ზოგჯერ, თირკმლის (პარენქიმული ორგანოა) პათოლოგიითაა გამოწვეული. ადამიანს აქვს ორი — მუცლის მარჯვენა და მარცხენა კიდეში განლაგებული თირკმელი. მუცელში ტკივილი აღმოცენდება იმ მხარეს, რომელი თირკმელიცაა დაზიანებული. იმ შემთხვევაში, თუ მარჯვენა თირკმელია ინფიცირებული, მასში ჩირქგროვაა, აბსცესი ან კენჭი, მაშინ შესაძლოა, ტკივილი აღმოცენდეს მუცლის ზედა მარჯვენა კვადრატში და ამავე მხარეს — ზურგში; თუ თირკმელში არსებული საშუალო ზომის ქვა „დაიძრა" და შარდსადენში აღმოჩნდა, მაშინ ტკივილი ტალღისებურად ვრცელდება, ძლიერდება და ხშირად, გადაეცემა საზარდულში, მამაკაცებს კი — სათესლე ჯირკვალში. ■

სარძევე ჯირკვლის კისტა

სარძევე ჯირკვლის კისტა არის ღრუსებრი წარმონაქმნი, რომლის კედელი შემაერთებელი ქსოვილია, შიგთავსი კი გამჭვირვალე სითხეა. კისტა შეიძლება იყოს ერთკამერიანი ან მრავალკამერიანი. სარძევე ჯირკვლის კისტა საშუალო კონსისტენციისაა, აქვს გლუვი ზედაპირი, სარძევე ჯირკვლის ქსოვილისგან განსხვავებით, ნაკლებად მოძრავია და როგორც წესი, უმტკივნეულოა.

პატარა და დიდი კისტა

კისტებს დიდს უწოდებენ, თუ ის ხელის შეხებით ისინჯება, ხოლო კისტები, რომელთა აღმოჩენაც მხოლოდ ექოსკოპიური კვლევით ან მამოგრაფიითაა შესაძლებელი, პატარად მიიჩნევა.

კისტის მიზეზები

სარძევე ჯირკვალში კისტის გაჩენის მიზეზი ფიბროზო-კისტოზური დაავადება ანუ მასტოპათიაა. ქალის ორგანიზმში მიმდინარე დისჰორმონული პროცესები სარძევე ჯირკვლის ქსოვილის ქმედუნარიანობის დარღვევას იწვევს, რის შედეგადაც, ფიბროზული კერები და კისტები ვითარდება.

სხვადასხვა ორგანოში არსებულ კისტებს შორის კავშირი

სარძევე ჯირკვალში კისტის გაჩენა სხვა ორგანოებში კისტის (თირკმლის, ღვიძლის, საკვერცხის და სხვა კისტა) გაჩენაზე არაა დამოკიდებული. თუმცა, საკვერცხის კისტის შემთხვევაში, მათ შორის არაპირდაპირი კავშირი მაინც არსებობს. მაგალითად, თუ საკვერცხის პოლიკისტოზი და კისტა დისჰორმონულ პროცესებთანაა დაკავშირებული, მაშინ ამ პროცესებმა შეიძლება, ფიბროზულ-კისტოზური დაავადებაც განაპირობოს, რაც თავისთავად, სარძევე ჯირკვალში კისტის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს.

კისტის გადაგვარების საშიშროება

სარძევე ჯირკვლის კისტის სიმსივნედ გადაგვარება ძალზე იშვიათად ხდება და ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ჩნდება ეჭვი — ხომ არ განვითარდა კიბო კისტის პარალელურად? თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეპიდემიოლოგიური მონაცემებით, სარძევე ჯირკვლის კისტის არსებობისას კიბოს განვითარების რისკიც მაღალია.

რამდენად საშიშია სარძევე ჯირკვლის კისტა

სარძევე ჯირკვლის კისტა სიცოცხლისთვის საშიში არ არის. იშვიათად, მაგრამ მაინც, კისტა დიდ ზომებს აღწევს და სარძევე ჯირკვლის დეფორმაციას იწვევს.

კისტის მკურნალობა

კისტა ფიბროზულ-კისტოზური დაავადების გამოვლინებაა, ამ უკანასკნელის მკურნალობა კი აუცილებელია. მკურნალობის ტაქტიკა დამოკიდებულია კისტის ზომასა და რაოდენობაზე. მაგალითად, მრავალი წვრილი კისტის არსებობის შემთხვევაში, კონსერვატიული მკურნალობა ხდება; დიდი კისტის დროს უნდა ჩატარდეს პუნქცია და მისგან სითხის გამოტუმბვაც აუცილებელია (შემდეგში კი ამ სითხის ციტოლოგიური კვლევა ხდება). პუნქციის შემდეგ კისტის კედელი სკლეროზირდება და როგორც წესი, მისი ხელმეორედ სითხით ავსება აღარ ხდება. ზოგჯერ კისტის ღრუში შეჰყავთ ეთილის სპირტი, რაც სკლეროზირების პროცესს აჩქარებს, მაგრამ ამის შედეგად კისტის ადგილას განვითარებული ნაწიბური მამოგრაფიაზე სარძევე ჯირკვლის კიბოს ჰგავს. ■

სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ საიტზე: www.mkurnali.ge.

P.S. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.

ახალი ნომერი
ოჯახის
მეუნარეული
ცხონამ იჭიმთონ მიხეკვლ...

ადამიანი

„სკოლაში 50 წელია ვმუშაობ, ჩემს ხელში უამრავ თაობას გაუვლია“

„განათლების სამინისტროში პროფესიონალებს რომ დაგვიძახონ და აზრი გვკითხონ — რა უნდა შეიტანონ პროგრამაში, უკეთესი არ იქნება?! მინდოდა, ეს პრეზიდენტისთვის პირადად მეთქვა, მაგრამ რატომღაც თავი შევიკავე“, — ამბობს თბილისის 61-ე საშუალო სკოლის ქართულ ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ქალბატონ თინა ჯიშიაშვილი. ამ ადამიანს ნახევარი საუკუნე სკოლაში აქვს გატარებული და საყვარელ პროფესიას კვლავაც დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით ემსახურება.

თანამედროვეობასაც უნდა ავუწყოთ ფეხი

ნათია ჟვანია

— ქალბატონო თინა, როგორც ვიცი, თქვენ ერთ-ერთი იმ დამსახურებული მასწავლებელთაგანი ხართ, რომელიც შარშან საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ხომ ვერ გაიხსენებთ იმ დღეს?

— საუბარს იმით დავიწყებ, რომ 20 წლის წინ მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც მთელი საქართველოს მასშტაბით ორი მასწავლებელი უნდა დაეჯილდოებინათ. იმ ორიდან ერთ-ერთი მე ვიყავი და გადმომცეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ მედალი, რამაც ძალიან გამახარა... ახლა კი ღირსების ორდენოსანიც გახლავართ. იმ დღეს რა დამავიწყებს?!. გვითხრა: მასწავლებელი ჩემთვის ღვთაებაა და ეს მართლაც გულწრფელად თქვა. როგორც იცით, ჩვენი შეხვედრა მის სასახლეში შედგა. მოგვიანებით სუფრასთანაც მიგვიპატიჟა. ისეთი ლამაზი სასახლეა, ვერ წარმოიდგენთ... უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და მსგავსი სილამაზე არსად მინახავს. თბილისელებიდან 4 მასწავლებელი ვიყავით, დანარჩენები სხვადასხვა რაიონიდან იყვნენ. პრეზიდენტმა მართლა დიდი პატივი გვცა. მინდოდა, მისთვის რაღაც მეთქვა, მაგრამ ამ დროს მასთან რომელიღაც სოფლის მასწავლებელი მივიდა და უთხრა, — ბატონო პრეზიდენტო, ვახტანგურად დავლიოთო. ის ქალი ძალიან დაბალი იყო, ბატონი მიშა დაიხარა, მაგრამ მასწავლებელზე იმდენად მაღალი იყო, რომ ჭიქა პირთანაც კი ვერ მიიტანა; შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა, ამისთანა რამ ცხოვრებაში არ დამმართვიაო... მოკლედ, იქიდან ისეთი კმაყოფილი წამოვედი, რომ ეს დღე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

— ქალბატონო თინა, თქვენი ახალგაზრდობა გაიხსენეთ და მითხარით — სულ თავიდან რატომ გადაწყვიტეთ, მასწავლებელი გამხდარიყავით?

— სკოლა „ოქროს მედალზე“ დავამთავრე და სამედიცინო ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩავირიცხე. მაშინ ლექსებსა და მოთხრობებს ვწერდი. ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც უნივერსიტეტში მუშაობდა, ჩემი ნაწერების წაკითხვის შემდეგ მითხრა — ექიმობა შენი საქმე არ არის, მგონი, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე უნდა სწავლობდეო. მაშინვე დავეთანხმე. ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ბავშვების გარემოცვაში მემუშავა... ამიტომ გამოვიტანე საბუთები სამედიცინო ინსტიტუტიდან და ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გადავიტანე. ჩემი მაშინდელი არჩევანით კმაყოფილი ვარ. ერთხელაც არ მინანია... სიყმაწვილის ულამაზესი წლები უნივერსიტეტის კედლებს უკავშირდება. მაშინდელი კორიფეები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და ბევრი ღვაწლმოსილი მეცნიერი მიკითხავდა ლექციებს... საერთოდ, სკოლაში 50 წელია ვმუშაობ, ჩემს ხელში უამრავ თაობას გაუვლია. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ყველა მათგანი საუკეთესო ადამიანი დადგა. მაგალითად, ჩემი მოსწავლე იყო ნანა ალექსანდრია, რომელიც ყოველთვის წინა მერხზე, ბაფთადამშვენებული მეჯდა ხოლმე. ამას წინათ ერთ-ერთი მოსწავლე — ვაჟა შუბლაძე შემხვდა, რომელმაც მადლობა იცით, რისთვის გადამიხადა? ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მესამე თავი ზეპირად მითხრა. ვერ წარმოიდგენთ, ეს ჩემთვის რამხელა სიხარული იყო. სხვათა შორის, რთული ბავშვებიც მყავდნენ, მაგრამ ახლა ბევრი მათგანი ცნობილი ბიზნესმენია.

— ბავშვებთან ურთიერთობის ასეთი რა საიდუმლო გაქვთ?

— არაფერი განსაკუთრებული. ყველა მათგანთან ვმეგობრობ. მეთერთმეტე კლასში ერთი მოსწავლე ბიჭი

მყავს, რომელიც ძალიან ზარმაცია, არ სწავლობს. ამას წინათ, რატომღაც გადაწყვიტა, რომ მოცემული დავალება მოემზადებინა. ლექსი ზეპირად მითხრა და მისი დედააზრიც მომიტანა დაწერილი. ავდექი და ჟურნალში მაშინვე სამი 9-იანი ჩავუწერე. მისი გაბრწყინებული თვალები არასოდეს დამავიწყდება. მე ხომ ამით მას სწავლის სტიმული მივეცი!.. გუშინ იმავე კლასში ორმა ბავშვმა ძალიან გამაბრაზა და ვთქვი, აქ აღარ შემოვალმეთქი. მათ საქციელი მაშინვე ინანეს და მითხრეს, თუ არ შემოხვალთ, ყველა გაკვეთილს გავაცდენთ და სკოლის ეზოში აქციას მოვაწყობთო (*იცინის*). მეორე დღეს ორივემ გაკვეთილი ზეპირად ჩამაბარა. აქამდე არ მახსოვს მათი ზეპირად ნათქვამი ლექსი...

— პედაგოგობას ალბათ უარყოფითი მხარეც აქვს...

— თუ მასწავლებელს შემოქმედებითი გაკვეთილი აქვს (და რატომღაც, ყველა ჩემი გაკვეთილი შემოქმედებითი მგონია), ყველანაირ სირთულეს გაართმევს თავს. თუ მასალა არ არის ისეთი, რომ გაკვეთილი შემოქმედებითი გამოვიდეს, მაშინ მართლწერის საკითხებზე გადავდივარ, ამით კი ბავშვები თან სწავლობენ და თან საკუთარ თავს ცდიან. ეს მათთვის სახალისოც კია... თანამედროვეობასაც უნდა ავუწყოთ ფეხი. ადრე სხვანაირი პროგრამა იყო, ახლა ყველაფერი გართულდა. კლასიკოსი მწერლები აღარ ისწავლება. პროგრამაში XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის მწერლების შემოქმედება შეიტანეს. მათგან ზოგი ნაწარმოები მართლაც კარგია... განათლების სამინისტროში პროფესიონალებს რომ დაგვიძახონ და აზრი გვკითხონ — რა უნდა შეიტანონ პროგრამაში, უკეთესი არ იქნება?! მინდოდა, ეს პრეზიდენტისთვის პირადად მეთქვა, მაგრამ რატომღაც თავი შევიკავე... ისე, ჩემთვის ტრაგედია ის არის, რომ თანამედროვე ბავშვები წიგნებს აღარ კითხულობენ. წიგნი ტელევიზორმა და კომპიუტერმა შეცვალა...

— ქალბატონო თინა, როგორ ფიქრობთ — თქვენი მოსწავლეების მესაიდუმლე ხართ?

— ახლანდელი XII კლასის დამრიგებელი 4 წლის განმავლობაში ვიყავი. იქ ერთ გოგონასა და ბიჭს ერთმანეთი უყვართ. მე ყველაფერს მეუბნებიან ხოლმე, საკუთარ გრძნობებს მიმხელენ. მათ ბევრ რამეს ვურჩევ. სხვათა შორის, მიჯერებენ... ერთმა მოსწავლემ შემომჩივლა, მამაჩემი ოჯახში ცუდად იქცევაო. დავაწყნარე და დავარიგე, როცა მამა იყვირებს, არ შეეპასუხო: ყველა რომ გაჩუმდება, მას თავისი ყვირილის შერცხვება-მეთქი. მოკლედ, ბავშვები თავიანთ საიდუმლოს ხშირად მიმხელენ... დღეს ჩემს კლასს რომელიღაც გაკვეთილი უცდებოდა და მათთან ისევ მე შევედი. იმ კლასში მყავს ერთი ბიჭი — გიორგი აბაშიძე, რომელიც ლექსებს წერს. ბავშვებს დავპირდი, რომ მომავალში ჩავატარებ გაკვეთილს — „45 წუთი მშვენიერების სამყაროში“, რომელსაც გიორგის მივუძღვნი; მას შემდეგ, გიორგის ყოველდღე თითო ლექსი მოაქვს. გაოცდებით, ისეთი ლექსები აქვს. ამას წინათ ვუთხარი, — გიორგი, გაკვეთილი მომიყევი-მეთქი. მიპასუხა — თინა მასწავლებელო, გაკვეთილი არ ვიცი, რადგანაც გუშინ „ღრუბლებში“ ვიყავიო (*იცინის*). საყვედურს ვერ ვეუბნები, რადგან მართლა ძალიან ნიჭიერია. დავპირდი, რომ მოგვიანებით, ყველა მის ლექსს გამოვაქვეყნებ.

— როგორ ჩემთვის ცნობილია, 61-ე სკოლის ისტორია გაქვთ დაწერილი...

— მართალი ხარ. ამ სკოლის შენობაში ადრე ლაზარეთი იყო, სკოლა კი 1947 წელს გაიხსნა. მასალები მოვიძიე და სკოლის ისტორია დავწერე. თავიდან სკოლას მთელი 25 წლის განმავლობაში ლავრენტი ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა. 25 წელია, რაც გარდაიცვალა და სულ ახლახან მისი გახსენების საღამო გვქონდა. მე კი ამ სკოლაში 30 წელია, ვმუშაობ... პრეზიდენტთან სტუმრად რომ ვიყავით, იქ მაშინდელმა განათლების მინისტრმა — ნიკა გვარამიამ, დირექტორებს გამოუცხადა, რომ ეს მასწავლებლები ვიდრე მუშაობას შეძლებენ, მანამდე ამუშავეთ, სამსახურიდან არც ერთი არ გაათავისუფლოთო. ძალიან გამიხარდა, რადგან მიმაჩნია, როგორი გონებაც მქონდა ამ სკოლაში მოსვლისას, ისევ ისეთი გონება მაქვს. გარეგნულად კი შევიცვალე, მაგრამ გული არ შემცვლია... ■

განათლების სამინისტროში პროფესიონალებს რომ დაგვიძახონ და აზრი გვკითხონ — რა უნდა შეიტანონ პროგრამაში, უკეთესი არ იქნება?! მინდოდა, ეს პრეზიდენტისთვის პირადად მეთქვა, მაგრამ რატომღაც თავი შევიკავე...

ელენე გასილიძე

მისი ქუჩაში გამოჩენა, საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს, მულატი, დრედიანი (წვრილად დაწნული თმა) ბიჭი თბილისში, რომელიც ქართულად კარგად ლაპარაკობს, საზოგადოების ყურადღებას იქცევს. 23 წლის სამორი ბალდე, იგივე სემი, ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში შემხვდა. როგორც გაირკვა, ის ჩემი თანამგზავრის ნაცნობი აღმოჩნდა და მისი ქართული ლაპარაკის მოსმენისას, სასიამოვნოდ აღტაცებული დავრჩი. როდესაც ინტერვიუსთვის დავუკავშირდი, გაეცინა, — ახალი რა უნდა მოგიყვე? საქართველოში გაზრდილი მულატი ვარო! — თუმცა მოსაყოლი ბევრი ჰქონია...

— როგორ აღმოჩნდი საქართველოში?

— დედაჩემის მამა ქართველია, ბებია — უკრაინელი. ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი მოსკოვში სწავლისას გაიცნეს და რუსეთშივე დაქორწინდნენ, ორივენი გეოლოგები არიან, მამაჩემი აფრიკელი ფერადკანიანია — გვინეიდან. 3 წლამდე, საქართველოში დედასთან ერთად პერიოდულად ჩამოვდიოდი; 3 წლის შემდეგ კი, როცა დედა და მამა ერთმანეთს დაშორდნენ, საქართველოში ვცხოვრობ.

— ოდესმე აფრიკაში თუ ყოფილხარ?

— სამწუხაროდ, არა, მაგრამ იქ წასვლის დიდი სურვილი მაქვს. მამაჩემი აფრიკაში ცხოვრობს, იქ ბევრი ნათესავიც მყავს, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე გამგზავრება... ამ სურვილს აუცილებლად ავიხდენ.

— დედმამიშვილები თუ გყავს?

— არა, მაგრამ დედის მხრიდან და და ძმა მყავს, ხოლო მამის მხრიდან — ძმები და და; მათთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს და აფრიკაშიც მელოდებიან (*იღიმის*).

— უცხო გარეგნობა გაქვს, რა რეაქცია აქვთ ქართველებს შენი დანახვისას?

— აბა, როგორ გითხრა, ამას წინათ, ავტობუსში რომ ავედი, ერთმა ბებომ პირჯვარი გადაიწერა (*ხარხარებს*). უკვე ერთი წელია, რაც დრედი მაქვს. როცა ასეთ ვარცხნილობას არ ვატარებდი, ბევრს ალბათ ალაზანზე გაშავებული კახელიც ვეგონე (*იცინის*). ისე, ბევრი ქართველი დიდი „ფითქინობით“ არ გამოირჩევა და მათ ფონზე, ვფიქრობ, რომ ჩემი კანის ფერიც ნაკლებად შესამჩნევია.

ქართულად მოლაპარაკე დრედიანი მულატი

ანუ რატომ იწერენ მოხუცები პირჯვარს სამორი ბალდეს დანახვისას?

თან, ქართულად რომ ვლაპარაკობ, ბევრს ქართველიც ვგონივარ, რადგან გამოკვეთილი აფროიდული ნაკვთები არ მაქვს. მას შემდეგ, რაც დრედი გავიკეთე, ამან ჩემი აფრიკელობა უფრო „გაამწვავა“. ბევრს ჩემი დანახვა ქუჩაში უკვირს; ლაპარაკს რომ დავიწყებ, მაშინ უნდა ნახო მათი გაკვირვება! ხშირად, ჩემზე ლაპარაკობენ — ჰგონიათ, რომ ქართული არ ვიცი და მჭორავენ (*იცინის*). მსგავსი ფაქტი ჩემს ცხოვრებაში ყოველდღე ხდება. აი, ახლაც, ავტობუსით რომ მოვდიოდი, მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდი.

— **რას ლაპარაკობენ შენზე?**

— რა ვიცი, რასაც ფიქრობენ, ალბათ იმას ლაპარაკობენ. ძირითადად, კარგს, თუმცა საკუთარ თავზე ცუდიც მესმის (*იცინის*). შემდეგ, პასუხს რომ გავცემ ან გამოველაპარაკები ქართულად, რა დღეში ცვივდებიან, იცი?! ადრე ზოგადად მჭორავდნენ, ახლა ყურადღებას ჩემს თმას აქცევენ. რომ დამინახავენ, მაშინვე იმაზე მსჯელობენ — ჩემი ვარცხნილობა ნამდვილია, მატყლისაა თუ პარიკი მახურავს?! ვარაუდობენ, რომ თავს არ ვიბან, ტილები მყავს და თმას საერთოდ არ ვივარცხნი... მინდა, ყველა დავამშვიდო, რომ თავს ძალიან ხშირად ვიბან და არც ტილები მყავს (*იცინის*).

— **ამ ვარცხნილობით ვინ „დაგაჯილდოვა“?**

— ქართველმა ძმაკაცმა გამიკეთა, მან დრედის გაკეთება ჩემს თმაზე ისწავლა, მისი საცდელი „ბაჭია“ ვიყავი (*იცინის*). უკვე წელიწადზე მეტია, ამ ვარცხნილობით დავდივარ და დროდადრო ვაახლებ. როგორც გითხარი, ჩემი დრედი ბევრს პარიკი ჰგონია. განსაკუთრებით, მოხუცების დარწმუნება მიჭირს ჩემი ვარცხნილობის ბუნებრიობაში. ერთი ბებო, რომ ვერ დავაჯერე, ადგა და თმაზე ისე მომქაჩა, კინაღამ სკალპი ამაძრო (*იცინის*). დარწმუნებული იყო, რომ არ მეტკინებოდა. — კარგად გაქვს მიწებებულიო! — მაინც მეკამათებოდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული

— **რა პროფესიის ხარ?**

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული. საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ ჩემი პროფესიით არასოდეს მიმუშავია. ფეხბურთს ვთამაშობდი და მინ-

დოდა, სპორტისათვის მეტი დრო დამეთმო.

— **ახლა აღარ თამაშობ?**

— ახლა ინტენსიურად აღარ ვთამაშობ, მაგრამ სულ ვვარჯიშობ. ერთი პერიოდი თურქეთშიც ვიყავი, იქ ვთამაშობდი; შემდეგ, ტრავმის გამო ოპერაცია გავიკეთე და ნელ-ნელა ფეხბურთს ჩამოვშორდი, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სპორტს ისევ დავუბრუნდე. მხოლოდ ფეხბურთით ცხოვრება რთულია, სხვა შემოსავლის წყاროცაა საჭირო.

რომ გითხრა, მაგარი ხმა მაქვს-მეთქი, მოგატყუებ

ქართველების გარდა, სხვა გოგონები არ მინახავს

— **ქართულის გარდა, რამდენ ენას ფლობ?**

— რუსულ და ინგლისურს, საუბარი ორივე ენაზე თავისუფლად შემიძლია.

— **ვიცი, რომ ღამის კლუბში მუშაობ...**

— კი (*იღიმის*). კვირაში 2 დღეა კლუბში წვეულება და მეც სტუმრების „დაქოქვას“ ვცდილობ ხოლმე.

— **მუსიკალური სასწავლებელი გაქვს დამთავრებული?**

— არა, მუსიკას პროფესიონალურ დონეზე არასოდეს დავუფლებივარ და დღეს ამას ძალიან ვნანობ. ყოველთვის მეგონა, რომ არც ხმა მქონდა და არც — სიმღერა შემეძლო. ბოლო დროს, მე თვითონ ვსწავლობ გიტარაზე დაკვრას. საკმაოდ გვიან აღმოვაჩინე, რომ მაქვს მუსიკალური და რიტმის გრძნობაც; რომ გითხრა, მაგარი ხმა მაქვს-მეთქი, მოგატყუებ. მამაჩემიც ძალიან მუსიკალურია და როგორც ჩანს, მისი გენი გამომყვა. მრავალმხრივად მინდა განვვითარდე და ამიტომ მუსიკაში საკუთარ თავს ვცდი. სიმართლე გითხრა, კლუბში ნაცნობს რომ არ მივეწვიე, არც მივიდოდი. იქ მისული კი, სიტუაციით დავინტერესდი, ძალები მოვსინჯე, საზოგადოების აყოლიება გამომივიდა და მას შემდეგ იქ ვარ...

— **კლუბში შენს ფუნქციებში რა შედის?**

— იმპროვიზაციას ვაკეთებ; წინასწარ არც ვიცი ხოლმე, რომელი დიჯეი უკრავს, მაგრამ მუსიკის, საზოგადოებისა და სიტუაციის გათვალისწინებით, ხან ვმღერი, ხან — ხალხს ვამხნევებ, ვართობ, ვლაპარაკობ... ურთიერთობას ვამყარებ მსმენელთან და მათ განწყობილებაზე ვზრუნავ. ძნელია, ჩემს საქმიანობას რაიმე სახელი დაარქვა, როცა მეკითხებიან, რას აკეთებ კლუბშიო? — ვპასუხობ, რომ ჩემი საქმიანობა სრული იმპროვიზაციაა.

— **საქართველოში გაიზარდე. რას ნიშნავს ეს ქვეყანა შენთვის?**

— საქართველო ჩემი სახლია, სამშობლო... ეს ქვეყანა ჩემთვის ისეთივეა, როგორიც დანარჩენი ქართველებისთვის. აფრიკისადმი მსგავსი განცდა ნამდვილად, არა მაქვს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იქ არასოდეს ვყოფილვარ (*იღიმის*). დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილს, თუ სად იზრდები და ყალიბდები... ამიტომ საქართველო ჩემთვის მშობლიური და კომფორტული ადგილია!.. ამის შემდეგ, სადაც უნდა წავიდე საცხოვრებლად, საქართველო მაინც ჩემი სახლი და ქვეყანა იქნება.

— **აქ მცხოვრებ აფრიკელებს იცნობ?**

— კი, მათ უმეტესობას ვიცნობ და ხანდახან ვნახულობთ კიდეც ერთმანეთს. აფრიკელი მეგობრებიც მყვანან, რომლებიც საქართველოში სასწავლებლად ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს ჩამოვიდნენ.

— **მოდი, ქართველ გოგონებზეც ვისაუბროთ...**

— (*იღიმის*) ამ შეკითხვას ხშირად მისვამენ... იცი, ქართველების გარდა, სხვა გოგონები არ მინახავს (*იცინის*). ისინი მეც ისევე მომწონს, როგორც სხვა ქართველ ბიჭებს (*იცინის*).

— **მათში ალბათ დიდი პოპულარობით სარგებლობ...**

— რა ვიცი, ზოგს მოვწონვარ, ზოგს — არა. ვერ ვიტყვი, რომ თაყვანისმცემელთა არმია მახვევია გარს.

— **მარტო ცხოვრობ?**

— არა, ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ვცხოვრობ, დედა ამჟამად საზღვარგარეთაა. ხანდახან მარტოსაც მიწევს ცხოვრება. საკმაოდ კარგად ვუმკლავდები საოჯახო საქმეებსაც, გარეცხვაც შემიძლია და სადილების მომზადებაც. კარგია მარტოობა (*იღიმის*).

— **როგორც ამბობენ, ყოფილი სპორტსმენები არ არსებობენ; დღემდე ვარჯიშობ?**

— კი, მაგრამ პერიოდულად რეჟიმიდან ამოვვარდები ხოლმე და ამ დროს დიდ დისკომფორტს განვიცდი, „ჯანზე მოსასვლელად“ აუცილებლად ვვარჯიშობ.

— **სამომავლო გეგმებზე არაფერს მეტყვი?**

— რა ვიცი, არ მიყვარს წინასწარ გეგმების დაწყობა, როგორც წესი, დაგეგმილი რაღაცები არასოდეს მისრულდება... ვიცი, ცხოვრებაში რისი გაკეთებაც მინდა, კმაყოფილი ვარ დღევანდელი მდგომარეობით. დიდი ბედნიერებაა, როდესაც საყვარელი საქმე შემოსავლის წყაროც ხდება. ბედნიერი ვიქნები, ფულს მთელი ცხოვრება საყვარელი საქმიანობით თუ ვიშოვი. ■

საქართველო ჩემი სახლია, სამშობლო...

„ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მეც ემიგრანტი გავხდებოდი“...

მეუღლესთან ერთად

ნინო ჭურჭელაური დედის მონატრებამ და დანაშაულის გრძნობამ საზღვარგარეთ წაიყვანა. ის ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა... დაამთავრა სკოლა, ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში, ჰყავდა მეგობრები, მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, წერდა ლექსებს, ოცნებობდა, უყვარდა... ბოლოს კი საბერძნეთში აღმოჩნდა. საკუთარ ცხოვრებაზე, ტკივილებზე, გრძნობებსა და ოცნებებზე ის თავად გვიამბობს.

თამუნა კვირკველია

— რატომ გადაწყვიტეთ საზღვარგარეთ წასვლა?

— ჩემი საბერძნეთში გამგზავრება გარკვეული მიზეზების გამო მოხდა. სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდი ცხოვრებაში, რომ ოდესმე მეც ემიგრანტი გავხდებოდი. ყოველთვის მეცოდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც სამშობლოს ჰაერს ვერ სუნთქავდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, თავად აღმოვჩნდი ამ საშინელი წამების მსხვერპლი. საბერძნეთში წასვლა უპირველესად დედის მონატრებამ გადამაწყვეტინა. მონატრების გრძნობამ 6 წლის განმავლობაში გამანადგურა.

— მიამბეთ, როგორ ცხოვრობდით და რა სირთულეები გადალახეთ?

— არ მინდა იმ სიმწარის გახსენება, რაც გამოვიარე... დაახლოებით ნახევარი წელი შოკში ვიყავი, აქეთ დედის ნახვა მიხაროდა, იქით ჩემს ცხოვრებას მივტიროდი. შეგნებულად არაფერს ვყვები გზაში გადატანილ ტანჯვაზე. სიკვდილის ტოლფასი იყო ვიღაცის ოჯახში მოსამსახურედ მუშაობა, გამუდმებით ვტიროდი... მაგრამ ყველაფერს ნელ-ნელა შევეგუე. კაბინეტში არავინ დამსვამდა და დედას გვერდში უნდა ამოვდგომოდი იმ იმედით, რომ სულ მალე ორივენი საქართველოში დავბრუნდებოდით...

— რა საქმიანობას ეწეოდით და რას აკეთებთ ამჟამად საბერძნეთში?

— დამლაგებლად და ბავშვის მომვლელად მიმუშავია, საქართველოში ყოფნისას ასეთი შრომა სირცხვილად მიმაჩნდა... ამჟამად კი უმუშევარი ვარ, ჩემს პატარას ვზრდი.

— როგორც ვიცი, საბერძნეთში გათხოვდით. თქვენი მეუღლე ქართველია? სად და როგორ გაიცანით?

— დიახ, აქ გავთხოვდი, მეუღლე ქართველია, სხვანაირად არც შეიძლებოდა, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე: სხვა ერის მამაკაცებს კაცებად ვერ აღვიქვამ. გიო ერთ-ერთ სუფრასთან გავიცანი. სტუმრად ვიყავით და იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთპატივისცემა. ორ წელიწადში მივხვდი, რომ ჩემი მეორე ნახევარი და ცხოვრების თანამგზავრი გიო უნდა გამხდარიყო.

— როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე?

— ვცხოვრობ ისე, როგორც ჩვეულებრივი დიასახლისი — ვუვლი ჩემს პატარას და უსაყვარლეს მეუღლეს. მთელი დღე ერთი სული მაქვს, დაღლილი გიო როდის შემოაღებს კარს. მეუღლის სამსახურის გამო ამჟამად ათენიდან შორს ვცხოვრობთ. მეგობრები და ნათესავები ათენში არიან, აქ კი თითზე ჩამოსათვლელი ვართ ქართველები.

— აპირებთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას?

— რა თქმა უნდა, ოღონდ არ ვიცი, როდის...

— ალბათ ძალიან გენატრებათ საქართველო, თბილისი...

— საქართველოს მონატრება თუ როგორ მტკივა, ამას ვერ გადმოვცემ. იმ რწმენით ვარსებობ, რომ ოდესმე დავაბიჯებ ფეხს ქართულ მიწას და ყველა ჩემი ტკივილის წამალიც სწორედ ეს იქნება. რომ დავბრუნდები, მანამდე ვიბორიალებ თბილისის ქუჩებში, სანამ ძალა არ გამომელევა. ყველას და ყველაფერს სათითაოდ ჩავეხუტები.

— დედაზე მიამბეთ რამე — როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები და ახლა სად იმყოფება?

— ერთი რამ მინდა გიამბოთ: როცა პირველად დედიკომ ფული გამომიგზავნა საქართველოში, დიდხანს არ დამიხარჯავს... ვუყურებდი და ვტიროდი... ეს ფული იყო ჩემი ცხოვრების ამრევი და ჩემი ტანჯვის მიზეზი... იმ მომენტში მარტო დედაზე ვფიქრობდი... პატარა ვიყავი, სულ 16 წლის, როცა დედა წავიდა; სკოლიდან რომ მოვიდოდი და სახლის კარს შევაღებდი, ინსტინქტურად დედას ვეძახდი... როცა რეალობას შევეჩეხებოდი, უსიტყვოდ ვბრუნდებოდი უკან. გარეთ, ჭიშკართან საათობით ვიჯექი და გზას გავყურებდი. სახლში ყველაფერი უიმედო და ცივი იყო. მართალია, სიმარტოვეს მამაც ჩემთან ერთად განიცდიდა და მაქსიმალურად ცდილობდა, ჩემთვისაც უდედობა შეემსუბუქებინა, მაგრამ ეს ოდნავი შვება იყო და სხვა არაფერი. დედიკოს საბერძნეთში წასვლა ჩემ გამო გადაწყდა: მაშინ „ჯავახიშვილში“ მოხვედრას ფული სჭირდებოდა ან კიდევ რეპეტიტორებთან უნდა გევლო და მომზადებულიყავი... ვხვდებოდი, რომ დედას წასვლა ჩემი ბრალი იყო და თავს ამას ვერ ვაპატიებდი. შემდეგ კი ისე ჩავაბარე, არავის გაუგია, ყოველგვარი მომზადებისა და რეპეტიტორების გარეშე (უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე)... ამჟამად დედა ათენშია, ისევ მარტო დავტოვე. ჩვენს სანახავად 2-3 თვეში ერთხელ ჩამოდის. დღესასწაულებს სულ ერთად ვხვდებით.

— თქვენს ლექსებზე რას მეტყვით? ძირითადად, რა თემაზე წერთ?

— ლექსებს 8 წლის ასაკიდან ვწერ. ესაა ჩემი სამყარო, ჩემი სტიქია. მე არანორმალურად პესიმისტი ვიყავი, ლექსებიც უმეტესად, პესიმისტურია. აქ იბეჭდება სხვადასხვა ქართულ ჟურნალში, ემიგრანტ პოეტთა ლექსების კრებულებში... საკუთარი კრებული ჯერ არ გამომიცია, რადგან ეს ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული.

— რას აპირებთ მომავალში?

— ჩემი ცხოვრება ასეთი პასიური არასოდეს ყოფილა. ყოველთვის საათებს, წუთებს ვანაწილებდი, რისთვის რამდენი წუთი დამეთმო, მაგრამ ახლა მთელი დღე ერთფეროვანია, არავითარი გეგმა არა მაქვს, ცხოვრების დინებას მივყვები და იმედი მაქვს, რომ უფალი არ გამწირავს. ■

ნინოს მცირეწლოვანი გოგონა

ლექს-სენზე ბაბრაზებული ჩუისპირი და „გზის“ მეუვეოპით ნაპოვნი დები

გასულ კვირას რედაქციაში რუბრიკის — „ყველა ერთი-სათვის“ აქტიური მგზავნელი, 17 წლის გიორგი ჯიქური, იგივე რუისპირი გვესტუმრა, რომელიც პოპულარული ადამიანების „გადაგვარებით“ აღშფოთებულია და იმასაც გვიმხელს, რომ ცნობილ რეპერზე ანუ ბიძამისზე — ლექს-სენზე ძალიან გაბრაზებულია, რადგანაც მან ქორწილში არ დაპატიჟა. რუისპირი დუტა სხირტლაძესაც ხმამაღლა აკრიტიკებს, რადგანაც მისი აზრით, მსახიობი კახელებს დაუზოგავად დასცინის.

მეც ვმუშაობ, მაგრამ ჩემს შემოსავალს, ძირითადად, საკუთარ თავს ვახმარ

„დუტა გამუდმებით დაგვცინის, გვეღადავება“

ლიკა ქაჯაია

— ვცხოვრობ თელავის რაიონში, სოფელ რუისპირში. მყავს ბებია, პაპა და ორი და — უმცროსი 6 წლისაა, უფროსი — 14-ის. მამაჩემი თბილისში ცხოვრობს, მაგრამ მასთან ურთიერთობა არა მაქვს.

— თქვენი ოჯახი თავს რითი ირჩენს?

— ბებია და პაპა პენსიას იღებენ, მეც ვმუშაობ, მაგრამ ჩემს შემოსავალს, ძირითადად, საკუთარ თავს ვახმარ.

— როგორც ვიცი, კაფე-ბარში მუშაობდი, მაგრამ სამსახურიდან წამოხვედი... ახლა რას საქმიანობ?

— დიახ, კაფეში ვმუშაობდი, მაგრამ ერთ-ერთ კლიენტთან შელაპარაკება მომიხდა, მან შეურაცხყოფა მომაყენა და თავში სინი ჩავარტყი. ამის გამო, ფაქტია, სამსახურიდან წამოსვლა მომიხდა.

— ფიცხი ხარ?

— არა, ეგ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ზოგიერთი ადამიანი, რომელიც ბარში შემოდის და შენ მას ემსახურები, თავს ბევრის უფლებას აძლევს; ჰგონია, რომ შეუძლია, შეურაცხყოფაც თავისუფლად მოგაყენოს. ზოგს ისიც არ ესმის, რატომ უნდა იმუშაოს 17 წლის ბიჭმა ბარში, მაგრამ მათი აზრი ნაკლებად გაინტერესებს, როცა შენ უკან დგას ოჯახი. უსაქმურად ყოფნა რომელ თინეიჯერს არ უნდა, მაგრამ მე ამის უფლებას ოჯახური მდგომარეობა არ მაძლევს. ჩემს დებს ბევრი რამ სჭირდებათ და არ მინდა, ოჯახს მეც მძიმე ტვირთად დავაწვე კისერზე... ახლახან ჩვენთან გაიხსნა რაღაც ჟურნალი, გაიმართა კასტინგი, სადაც დაგვაწერინეს თემები და სამუშაოდ მიმიღეს. ვნახოთ, შევძლებ თუ არა ჟურნალისტურ საქმიანობას.

როცა ეს კახელი კაცი თავის მშობლიურ კუთხეში ჩამოდის, გამუდმებით დაგვცინის

— ანუ ჩემი მომავალი კოლეგა ხარ?

— თუ შეიძლება, ასე ითქვას. მაქვს მიზანი, რომლისკენაც ჯიუტად მივიწევ და ვნახოთ, რა გამოვა... პირველიდან მეათე კლასამდე თელავის მეოთხე საჯარო სკოლაში ვსწავლობდი, წელს კი სასწავლებლად სოფლის სკოლაში გადავედი და ჩემს ამ ნაბიჯს ძალიან ვნანობ, ახალ სკოლას ვერ ვეგუები..

— რატომ?

— ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, რაც ყველას გაგაკვირვებთ, რადგან შენ და „გზის“ მკითხველები სოფლელების დამცველად მიმიჩნევთ, მაგრამ ფაქტია, რომ სოფლის სკოლაში სწავლის დონე ისეთი მაღალი არაა, როგორიც თელავის სკოლაში იყო. ამასთან, მოსწავლეებს სიახლეების მიღება არ შეუძლიათ ან არ უნდათ, ზოგი მართლა გოიმია, ზოგი კი თავს ასაღებს გოიმად. თელავის სკოლაში ყველაფერი სხვაგვარად იყო იმიტომ, რომ ის მაინც, ქალაქია და იქ სხვანაირი ხალხი ცხოვრობს.

— ანუ აღიარებ, რომ ქალაქელები უფრო...

— (*მაწყვეტინებს*) უფრო განვითარებულები არიან.

— კი, მაგრამ შენც ხომ სოფელში გაიზარდე ანუ სოფლელი ხარ?

— ვერ ვიტან სიტყვა „სოფლელს“. შეიძლება, სოფელში ცხოვრობდე, მაგრამ ვაკეში გაზრდილი შენზე „სოფლელი“ იყოს. სოფელში ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ისინი არ აკეთებენ იმის მაქსიმუმს, რაც შეუძლიათ. ამის მიზეზი ისიცაა, რომ არა გვაქვს კომპიუტერი, ინტერნეტი, მხოლოდ 2 არხის — „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ ყურების შესაძლებლობა გვაქვს, სადაც გამუდმებით, სერიალი გადის. ჩვენ, ახალგაზრდებს მათი ყურება დიდად არ მოგვწონს (თუმცა, გამონაკლისებიც არსებობენ) და ამას თავი რომ ავარიდოთ, წიგნის კითხვას ვიწყებთ... სოფლის მცხოვრებლები ქალაქელებისგან ლაპარაკის მანერითაც ბევრად განსხვავდებიან.

— ქალაქელებში მხოლოდ თბილისელებს მოიაზრებ, არა?

— კი, ასეა! რატომ? — თბილისელები, მიუხედავად იმისა, რომ თელავი ქალაქია, მას მაინც, სოფელს ეძახიან. „ჩათში“ ქალაქელები სოფლელებს მიწასთან ასწორებენ და ასე მგონია, სულ მალე, თბილისში ჩამოსასვლელად ვიზის აღება დამჭირდება.

— შენი აზრით, როგორი ქცე-

ვა, ლაპარაკის მანერა უნდა ჰქონდეს განათლებულ ადამიანს?

— ის დახვეწილი უნდა იყოს, კარგი მეტყველება უნდა ჰქონდეს. როდესაც სერიოზული განათლების მქონე ადამიანი დამახინჯებული ქართულით ლაპარაკობს, ეს საშინელებაა.

— **ქალაქელები რომ უცხო სიტყვებს იყენებენ, ეს არაა საშინელება?**

— ეს ყველაფერი პოლიტიკოსების ბრალია — ისინი ისეთ სიტყვებს ამბობენ, რომ მერე, ლექსიკონებში ვიქექები ხოლმე. შემდეგ ეს ყველაფერი ტვინში გიჯდება და შენც, ძალაუნებურად იყენებ...

— **ასე მგონია, თბილისში დაბადებულ-გაზრდილი რომ იყო, სოფლის მოსახლეობაზე ისევე ცუდად ილაპარაკებდი, როგორც ახლა ვიღაც-ვიღაცები ლაპარაკობენ...**

— ცდები, მე სხვანაირი ვიქნებოდი!.. ზოგიერთი ქალაქელი შესაძლოა, „სვეტსკურად“ ლაპარაკობს, მაგრამ როცა სოფელში ჩამოდის, ისეთ სისულელეს ამბობს, რომ თავს იბანძებს.

— **მაგალითად?**

— შინაურ ცხოველებს ერთმანეთისგან რომ ვერ გაარჩევ, ბანძი ხარ, აბა, რა! ქათამზე რომ იტყვი, — ინდაურიაო, ეს საშინელება და სასაცილო არაა?! გასულ ზაფხულში ალავერდში ჩამოსული სტუმარი ვირზე ამბობდა: ძროხააო.

— **მერე, მოწველა ხომ არ დაუპირა?**

— საქმე აქამდე არ მისულა (*იცინის*). ზოგმა იცის, რომ ის ვირია, მაგრამ სპეციალურად ამბობს, რათა თავის ქალაქელობას კიდევ უფრო გაუსვას ხაზი და ვერ ხვდება, რომ ამით საკუთარ თავს ეკაიფება... არ შემიძლია, ჩემს ყოფილ მეგობარზე, eko boy-ზე არ ვთქვა ერთ-ორი სიტყვა, რადგან მისი მესიჯის წაკითხვის შემდეგ, ხალხს ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება შეექმნა. ის ძალიან კომპლექსიანია, მაგრამ ამბობს, რომ უკომპლექსოა. მიუხედავად ამისა, ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით. მან გამაცნო ერთ-ერთი ჩათელი, ქუთაისიდან და „სასტავში“ ისიც შემოვიდა, მაგრამ მოგვიანებით, ჩვენ შორის გაუგებრობა მოხდა. მახსოვს, პირველი აპრილი იყო და ეკომ მომწერა: შე სოფლელო, საცოდავო, წუნკლიანო, გაუნათლებელო, აღარ მომწეროო. რა თქმა უნდა, პასუხი დავუბრუნე და ერთმანეთს დავშორდით კიდეც. გარდა იმისა, რომ შეურაცხყოფა მომაყენა, ის ხშირად მატყუებდა და მასთან ურთიერთობა ამიტომაც აღარ მსურს. ტყუილი მეც მითქვამს, მაგრამ ისეთი არა, რომ ამით ვინმესთვის ზიანი მიმეყენებინა. რაც შეეხება ჩვენს ქუთაისელ მეგობარს, ზუსტად ვიცი, რომ მისი თავი ვიღაცებს აცემინა.

— **eko boy-ზე ლაპარაკს შევეშვათ. საინტერესოა, რაზე ოცნებობს რუისპირელი ბიჭი?**

— მერწმუნეთ, მე მაქსიმუმს გავაკეთებ იმისათვის, რომ სოფლის ფარგლებს გამოვცდე და ცხოვრებაში საკუთარი ადგილი დავიმკვიდრო. მინდა, ჩემმა ნაცნობებმა სიამაყით თქვან: ეს ბიჭი რუისპირში ცხოვრობდაო... ყოველთვის ვოცნებობდი ჟურნალისტობაზე, მაგრამ ამის სურვილი დამეკარგა.

— **რატომ?**

— ქართულ ტელესივრცეში გზას ისე ვერ გაიკვლევ, ნაცნობი თუ არ გყავს. მთავარია, ერთჯერ გახდე ცნობილი და მერე შენთვის კარი ყველგან ღიაა — ანუ მოდელი შესაძლოა გახდეს მსახიობიც, ჟურნალისტიც, პოლიტიკოსიც... ნუკი კოშკელიშვილი, მარი ასათიანი, ლიკა ქორქია ლამაზი გოგონები არიან, მაგრამ არანაირი ჟურნალისტური განათლება არა აქვთ და არ მესმის, ტელევიზიაში რა უნდათ?..

— **ამინდის პროგნოზის წამყვანს, მგონი, ჟურნალისტური განათლება არ სჭირდება, ხოლო რაც შეეხება ნუკის, ვფიქრობ, ის თავის საქმეს მშვენივრად ართმევს თავს...**

— ჩემი აზრით, ტელეწამყვანმა მაყურებელი თავისი გარეგნობით კი არა, ლაპარაკის მანერით, ქცევის კულტურით და უბადლო ქართულით უნდა მოაჯადოოს... აი, მაგალითად, გადაცემის — „ღამე შორენასთან ერთად“ ანონსი რომ ვნახე, გამიხარდა, — კარგი იქნება-მეთქი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, უხარისხო გადაცემა გამოუვიდათ. მერწმუნეთ, თინეიჯერები ამ გადაცემის მეშვეობით ვერაფერს ისწავლიან.

— **არა მგონია, ეს გადაცემა თინეიჯერებზე ყოფილიყო გათვლილი.**

— მე კი დარწმუნებული ვარ, გადაცემის ავტორებმა წინასწარვე იცოდნენ, რომ მოზარდების 90%-ს მაინც მიიზიდავდნენ. შორენა ბეგაშვილი ძალიან მაგარი ქალია და ზოგიერთ ჟურნალს მის გამო ვყიდულობ ხოლმე, მაგრამ ამ გადაცემამ მართლა გააბანძა... სხვათა შორის, ზოგიერთი ქართული ჟურნალი არ მომწონს, უფრო მეტიც, მაღიზიანებს, რადგანაც მასში ჩემთვის საინტერესოს, გარდა შორენას ფოტოებისა, ვერაფერს ვპოულობ.

— **„გზა“ არ გაღიზიანებს?**

— „გზა“ ყვითელი არაა, მასში უბრალო ადამიანების ცხოვრებაზეც ბევრი რამის წაკითხვაა შესაძლებელი და კიდევ, თინეიჯერებს გვეძლევა საშუალება, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, აზრი გამოვთქვათ.

— **სოფელში ახალგაზრდები როგორ ერთობით?**

— არავითარი გასართობი საშუალება არა გვაქვს და ამიტომაც, მოზარდები ე.წ. სოფლის ბირჟაზე იკრიბებიან, სადაც პირადად მე, ვერ ვერთობი, მაგრამ მათ ზოგჯერ მაინც რომ არ შევუერთდე, სხვანაირად დამიწყებენ ყურებას.

— **შენ ხომ ამბობ, რომ ხალხის აზრი ნაკლებად გაინტერესებს...**

— კი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არავის მოსაზრება არ მაინტერესებს. ადამიანმა რაც უნდა თქვას, — ყველა „მკიდიაო“, შანსი არაა, ყველას და ყველაფერს ვერ „დაიკიდებს“, ვიღაცის აზრი მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება... ზოგჯერ, სოფლის მოსახლეობას კონკერტითაც გვანებივრებენ. მაგალითად, ახლახან კახეთში „ჯეოსტარელები“ გვესტუმრნენ და ცხადია, მათ დუტა სხირტლაძეც ახლდა. სხვათა შორის, როცა ეს კახელი კაცი თავის მშობლიურ კუთხეში ჩამოდის, გამუდმებით დაგვცინის, გვეღადავება, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვპატიობთ, „ვყლაპავთ“. ჩვენს რაიონში ერთი „ჭკვიანი“ კაცი ცხოვრობს, რომელმაც „განსაკუთრებული ანბანი“ იცის ანუ სულ „ლკლკლ“-ს ამბობს და ბოლოში, ერთ „ჰ“-ს უმატებს. ჰოდა, დუტამ სწორედ მას, ამ „ანბანით“ გაახსნევინა „ჯეოსტარელების“ კონცერტი და მერე, მთელი 4 საათის განმავლობაში, ხალხს „ჰ“-ს აყვირებდა და ისინიც, ამ ასოს ისეთი მონდომებით გაყვიროდნენ, ცოტა არ იყოს, „გამიტყდა“, იქ რომ ვიყავი.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, აღარ გვეხმიანება

მოკლედ, ქართველ ხალხს წარმატება თავში უვარდება და ეს ჩვენი, უბრალო ხალხის ბრალიცაა — ქართველებმა სხვანაირი სიყვარული ვიცით, ძალიან ემოციურები ვართ. მე მყავს ნათესავი, რომელიც მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, აღარ გვეხმიანება. მესმის, ძალიან დაკავებულია, მაგრამ ხომ შეიძლება, წელიწადში ერთხელ მაინც მოიკითხოს ადამიანი, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა? სხვათა შორის, მისი ქორწინების ამბავი ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანიდან შევიტყვე და გული დამწყდა...

— თუ საიდუმლო არაა, ვის გულისხმობ?

— მას თუ არაფრის რცხვენია, მე რატომღა უნდა შემრცხვეს მისი დასახელების? — ლექს-სენს ვგულისხმობ, ის ბიძაჩემია — მამაჩემის დედა და მამამისი და-ძმანი არიან. ბებიაჩემი ცხადია, თავის ძმისშვილს კბილებით იცავს, მაგრამ ვხვდები, გული მასაც ძალიან სწყდება. მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდა, მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა ჩვენს სოფელში და ისიც, ნათესავის დაკრძალვაზე...

— საქართველოში თუ მოიძებნება ისეთი ცნობილი ადამიანი, რომელიც შენს სიმპათიას იმსახურებს?

— როგორ არა, ასეთი ინგა გრიგოლიაა — ის მომწონს როგორც ქალი, როგორც ჟურნალისტი. ეს ქალბატონი თავისი საქმის პროფესიონალია, მაგრამ ამ ბოლო დროს მანაც „გამიტეხა“, რადგან გავიგე, რომ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა... ქართველების პრობლემა ისაა, რომ სამსახურს ირჩევენ არა საკუთარი სიამოვნების, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენი შემოსავალი ექნებათ.

— დაბოლოს, რას უსურვებ „გზას“?

— „გზას“ მინდა ვუთხრა ძალიან დიდი მადლობა იმისათვის, რომ მაპოვნინა ჩემთვის ძვირფასი 2 ადამიანი — უსაყვარლესი ჭრიჭინა და ძალიან სერიოზული, არაჩვეულებრივი კლეოპატრა. ადრე მხოლოდ ორი და მყავდა, ახლა კი ოთხი მყავს. მადლობა „გზას“ იმისთვისაც, რომ უბრალო ადამიანების მოსაზრებებით ინტერესდება. დაბოლოს, მინდა, ჩემს საყვარელ ჟურნალს ტირაჟის მატება, წარმატებები ვუსურვო! ■



ადრე მხოლოდ ორი და მყავდა, ახლა კი ოთხი მყავს

თინეიჯერული პონტები

მარტოსული, საბერძნეთიდან:

„ძალიან მიხარია, საბერძნეთში რომ ჩამოაქვთ ისეთი ჟურნალი, როგორიც „გზაა“, მაგრამ მაინტერესებს, „ქართული პროზის საგანძური“ თუ მოაღწევს ჩვენამდე? აქ ქართულ ლიტერატურას მოკლებულები ვართ და ძალიან გაგვიხარდება, თუ წიგნებსაც მოგვაწვდიან. „გზა“ მართლაც რომ ჩვენი ცხოვრების მეგზურად იქცა და მადლობა მას ამისთვის. ქართველებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ“.

სალი:

„არ ვიცი, როგორ გამოვხატო ის მადლიერება, რომელსაც თქვენ მიმართ ვგრძნობ. ჟურნალი, რომელიც ცხოვრებას მიხალისებს და ხუთშაბათობით ჩემამდე აღწევს, მართლაც რომ მიმსუბუქებს ტკივილსა და დარდს — მე ხომ სახლიდან ვერ გამოვდივარ, რაღაც მიზეზის გამო. ახლა მინდა, ჩემი სიხარული გაგიზიაროთ — მახარებს ის ფაქტი, რომ ჩემი ბიბლიოთეკის განახლებას შევძლებ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენს ოჯახში წიგნი არავის შემოუტანია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კითხვას გადავეჩვიეთ, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ძვირი ღირს. ახლა კი 4 ლარად წიგნსაც შევიძენთ და იმ ჟურნალსაც, რომლის ქებადიდებით არასდროს დავიღლები. „გზის“ თითოეული თანამშრომლის წინაშე ქედს ვიხრი და იცოდეთ, უზომოდ მადლიერი ვარ თქვენ მიერ გაწეული შრომისათვის“.

თინეიჯერები გვწერენ

ყაზახი:

„მე არ ვიცი, თქვენი ჟურნალი რატომ სარგებლობს პოპულარობით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი სანათესავო გადარიეთ. ჯერ მარტი არ დამდგარა და უკვე დარბიან, სადღაც რეკავენ, რათა წიგნები იაფად ჩაიგდონ ხელში. მე არც წიგნების მოყვარული ვარ და არც ჟურნალ-გაზეთების, სამაგიეროდ, ინტერნეტის მეშვეობით ვკვებავ საკუთარ გონებას და ახლა, სურვილი გამიჩნდა, გიჩივლოთ იმ ზიანისთვის, რასაც მაყენებთ ანუ — თქვენ წამართვით დედა, მამა, და და უახლოესი მეგობარი. თუ ქართველ მოსამართლეებს მოისყიდით და პროცესს ვერ მოვიგებ, იცოდეთ, სტრასბურგში გიჩივლებთ და სერიოზულ მაყუთსაც „აგახევთ“. აი, ასე, ჩემი გეშინოდეთ და კარგად დაიმახსოვრეთ სახელი — ყაზახი :)). ისე, ხუმრობა იქით იყოს და, ოჯახის წევრებმა „გზით“ მეც დამაინტერესეს. ახლა ჩემს პირველ მესიჯს გიგზავნით და იმედი მაქვს, მომავალშიც გამიჩნდება ამის სურვილი. წარმატებები!“ ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-8

არისა არაბ. — ხორციანი კორკოტი.

არიფი არაბ. — 1. (ძვ.) ამხანაგი, ტოლი, თანამესუფრე. 2. (საუბ.) გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი.

არიფანა — ერთმანეთში შეგროვებული ფულით პურის ჭამა, ქეიფი.

არმაღანი სპ. (ძვ.) — ძვირფასი საჩუქარი.

არნადი — კალოზე ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი.

არტალა — ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი, ამ ნაწილისაგან დამზადებული წვნიანი შეჭამანდი.

არტაშანი — 1. ნაღრძობის ან მოტეხილის შესაკვრელი. 2. არტახი.

არტახი — 1. ქსოვილის გრძელი და ფართო ნაჭერი, რომლითაც ბავშვს აკვანში აკრავენ. 2. იგივეა, რაც არტაშანი.

არტელი რუს. — ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება რაიმე სამეურნეო საქმის შესასრულებლად.

არული (ძვ.) — შეძახილი ჭიაკოკონობის დროს ვითომდა მავნე სულების დასაფრთხობად (ჩვეულებრივ გამოთქმაში: არული კუდიანებსა!).

არქი — რკინის ნაჭერი, რომელიც ჩასმულია წისქვილის ზედა ქვაში (დოლაბში). მისი საშუალებით ბორბალი აბრუნებს დოლაბს, — წისქვილის თოხი.

არქიელი — იგივეა, რაც მღვდელმთავარი.

არჩივი (კუთხ.) — ვისიმე, რისამე ნაწილი.

არხლი — თოვლის ფიფქი დნობის შემდეგ შეყინული.

არჯალი არაბ. (საუბ.) — 1. უკანასკნელი დღე, აღსასრულის დღე. 2. მეტისმეტად ავი, „ურცხვად ანჩხლი“ (საბა).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა

შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა და რარიგად დაგშვენდებოდა,
შენს ერთ სიტყვაზე ქალაქები აშენდებოდა
და დაიწყებდა უდაბნოში შრიალს წალკოტი.
ერთი შეხედვით ვაჟკაცების გულებს დაჰკოდდი
და მზის თინათინს დაჩრდილავდი თვალთა ციალით.
დალოცდი ლაშქარს და იმ
ღვთიურ ლოცვის გამგონეს
არ ექნებოდათ სპათა
შენთა მტერთან ზიანი.

შენ ხატაური აბრეშუმი
დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა... ეჰ,
რარიგად დაგშვენდებოდა.
შენს ნატიფ სახეს ნიავიც
რომ არ შეჰხებოდა,
სპილოს ძვლისაგან
ულამაზეს ჯოშკს აგიგებდნენ.
ცისკარზე, როცა ქაშუეთის
ზარებს დარეკდნენ,
აღიგზნებოდა შენის ლოცვით
წმინდა ტაძარი
და შენს გვირგვინთან
მოკრძალებით ქედს მოიდრეკდნენ
ორბელიანი და ამაყი ამილახვარი.

შენ რუსთაველის სიყვარული დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა და რარიგად დაგშვენდებოდა.
ბევრი თაობა გაივლიდა ჟამთა შარაგზას,
შენ ჯი ლექსებში იცოცხლებდი, ჯარგო, მარადჟამს...
დიდი პოეტი მიგიყვანდა ხალხის გულებთან,

იოსებ ნონეშვილი

მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი

„Всё обнажённое прекрасно, лишь раздетое смешно!“
(Юкио Мисима)

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 8

ეს ხომ შენი წინაპრების მიწაა, სამშობლო. ეს ხომ შენი სამშობლოა, ეს ხომ შენი შვილების მიწაა, ეს ხომ შენი შვილიშვილებისა და შთამომავლობის სამშობლოა. ეს ხომ ის მიწაა, სადაც უნდა იარსებონ შენი და შენი სახეობის სულებმა.

მაშ, გაუფრთხილდი მას!

გაიხსენე ის, რაც შენშია და დაგავიწყდა. რამდენი ხანია, არ გაგხარებია მზის ამოსვლა?! რამდენი ხანია, არ შეგიხედავს მონუსხულს, ფიქრებსა და განცდებში წასულს ჩამავალი მზის ალში გახვეული ცისთვის, ღრუბლისათვის, მთის მწვერვალისათვის?!

დაფიქრდი და გაიხსენე!

რამდენი ხანია, სილამაზით გაცისკროვნებული ყვავილის, ბუჩქის, ხის, წყაროს, ჩანჩქერის, გოროზი მწვერვალის ან დილის ნისლში მთის ძირში გადაშლილი ველის, ან მთაში მერცხლის ბუდესავით შეყუჟული სახლებისათვის არ შეგიხედავს, გული არ აგჩქროლებია და არ გადაგიწყვეტია, იმავ წუთს ხელში აიღო კალამი და ლექსი დაწერო; ჩანახატი გააკეთო, სიმღერა, მუსიკა შექმნა. იყივლო: ხალხნო, შეხედეთ, რა სილამაზეა! ხალხნო, ერთად ვუყუროთ აი, ამ წერტილიდან, სადაც მე ვდგავარ, იმიტომ, რომ აქედან უფრო დიდებულია, უფრო ღამაზი, უფრო მომნუსხავია, უფრო მეტი მაცოცხლებელი ენერგია იფრქვევა. ხალხნო, მოიწიეთ, შევმჭიდროვდეთ, ერთად დავდგეთ, ვაკეთოთ სიკეთე.

სიკეთე, სიკეთე, სიკეთე ვთესოთ!

რამდენი ხანია, არ გქონია სურვილი, აფრენილიყავი მაღლა, მაღლა, ზევიდან გადმოგეხედა შენი მიწისათვის, შენი სიწმინდისათვის, შენი საღოცავისათვის, ამ სილამაზისათვის? აფრენილიყავი იმ ადგილებში, სადაც შენი შესაქმნელი „თიხა“ მოიზილა, სადაც შენი აკვანი დაირწა, სადაც შენ პირველად ფეხი აიდგი, სადაც შენ პირველად წარმოთქვი „დედა“; სადაც ყოველი ყვავილი, მცენარე, ქვა, წყარო, მთა, ველი, სახლი, ხალხი შენია და შენშია. აკი ხანდახან სიზმარშიც გელანდება და გული ტკივილით იქით გაგიწევს, რაღაცა გაკლია, რაღაცა გინდა: გინდა, რომ დრო უკან დაბრუნდეს, ისევ მოხვდე იმ შენს ბავშვობაში, მზრუნველობაში, სიყვარულში, სულიერ სისუფთავეში, სიმშვიდეში, სიკეთეში; გაფრინდე, რომ ზევიდან გადახედო იმ ადგილს, სადაც ახლა ხარ, სადაც შენი ცხოვრების ქვაკუთხედი დაიდგა, საიდანაც იწყებდი ცხოვრებასთან ჭიდილს, სადაც სიხარულიცა და სიმწარეც ბევრი იყო, სადაც შენი ნავსაყუდელია; სადაც შენ ბრძოლის შემდეგ ისვენებ და ბრძოლა-ჭიდილში ჩასაბმელად შეიმართები. შეიაბჯრები, სიყვარულს, სიქველეს, სიკეთეს აისხამ და გადიხარ შენი ცხოვრების გზაზე ამაყად შემართული. იმიტომ, რომ იცი ის ფაქიზია, დასაცველი. დასაცველია ის, რაც შენი შთამომავლობისათვის მისი ადგილია, მისი აკვანია, მისი სამშობლო.

მაშ, გაუფრთხილდი მას!

რამდენი ხანია, არ დაგინახავს, არ მიგიქცევია ყურადღება, არ გაუხარებიხარ, არ გაგჩენია სურვილი და მოთხოვნილება შენს ნავსაყუდელშიც, შენს გარემოცვაშიც, შენს კუთხესა და სამშობლოშიც მრავლად იყივლოს სიცოცხლის დაბადებამ, მრავალმა ახალფეხადგმულმა ბავშვმა თავისი შიშველი, ბუნჩულა ფეხისგულებით შეიგრძნოს შენი მიწის მზრუნველი სითბო, სიყვარული, სიკეთე, მადლი?!

რამდენი ხანია, არ შეგიხედავს კეთილი ღიმილით, სულში ჩაღვრილი სითბოთი, შენი წარსულის გახსენებით, მიწაზე არამყარად მიმავალი ბავშვისათვის, რომლის გაცისკროვნებულ სახეზე მხოლოდ ფართოდ გახელილი, გაკვირვებული, სიყვარულისა და ნდობის ცეცხლია ანთებული და ხარბად შთანთქავს, იწერს, აგროვებს, იმახსოვრებს ამ სილამაზეს, სიკეთეს, მრავალფეროვნებას, სიყვარულს, სიყვარულს, სიყვარულს?!

რამდენი ხანია, გული არ გტკენია, არ მივარდნილხარ, ხელში არ აგიყვანია, გულში არ ჩაგიხუტებია?! შენი გატეხილი შუბლი, გადაყვლეფილი მუხლები არ გაგხსენებია, ტანში ჟრუანტელს არ დაუვლია, როცა ბავშვს მისთვის დიდი ლოდი — კენჭი დახვედრია და წაქცეულა. რამდენი ხანია, გაზაფხულის გამოდარებასავით ცრემლიდან უცბად სუფთა, კეთილი, სანდო ღიმილით გაცისკროვნებას შენში იგივე რეაქცია არ გამოუწვევია? არ დაგისვამს ბავშვი, თავზე ხელი არ მოგითათუნებია და ბედნიერებით ამსუბუქებულს, გაამაყებულს, სიკეთისთვის შემართულს გზა არ გაგიგრძელებია შემდგომი განცდებისაკენ: სიყვარულისაკენ, სიკეთისაკენ. ეს ყველაფერი ხომ შენშია? ნუ ჩააქრობ, ნუ მიჩქმალავ, დასძლიე ყველაფერი. გამოაჩინე, დაინახოს სხვამაც, რომ გათავისუფლდეს!

გათავისუფლდი, გათავისუფლდი, გესმის?!

რამდენი ხანია, არ გაგხარებია, შენში თბილად არ ჩაღვრილა, არ მორიდებიხარ, სურვილი არ გაგჩენია, დაგეცვა, მოჰფერებოდი, სიკეთე შეგეთავაზებინა, დაგელოცა შეყვარებული წყვილი?!

დათრგუნე შენში გაღიზიანება და აღივსე სიყვარულით შენც!

რამდენი ხანია, მორიდებით ფეხზე არ წამომხტარხარ, ქუდი არ მოგიხდია, მარჯვენა არ შეგითავაზებია? შენი მოხუცები არ გაგხსენებია, ქუჩაზე არ გადაგიყვანია, გზა, ადგილი, სიტყვა არ დაგითმია; ხელშეუხებლად არ მოჰფერებიხარ, შენი სითბო არ გაგიგზავნია შორიდან მოხუცისათვის, შენ ხომ მისთანამ მოგცა სიცოცხლე, შენც ხომ იქნები მისთანა...

იფიქრე, იფიქრე, იფიქრე!

რამდენი ხანია, ფეხი არ გაგყინვია სივრცეში: „ჭიაღუა არ გავჭყლიტო“, „ყვავილი არ გავთელო“, „ბუდე არ დავუნგრიო“; „ჩემი და ჩემი წარსულის ძეგლის ერთი კენჭიც არ დაკარგოს ჩემი ფეხის დადგმამ. რაიმე არ ვატკინო ჩემს ადგილს, ჩემს მიწას, ჩემს სამშობლოს“. რამდენი ხანია, სხვისი ტკივილი შენი ტკივილი არ გამხდარა, მის მწუხარებას შენთვის ძაძები არ ჩაუცმევია? რამდენი ხანია, სხვისი სიხარული შენი ბედნიერებისა და სიხარულის წყაროდ არ მიგიჩნევია, ხარბად არ დასწაფებიხარ და არ გაბრწყინებულხარ?

მაშ, იყავი ფაქიზი, მგრძნობიარე, გახსნილი, განათლებული!

რამდენი ხანია, შენი ხელით დარგულის მზისაკენ, ცისაკენ, სიცოცხლისაკენ აფეთქებულ სწრაფვას არ აუჩქროლებია შენი გული და არ აუვსიხარ სიხარულს, სიყვარულს, სიწმინდეს — ეს ჩემია, ეს ჩვენია! მე მივეც მას სიცოცხლე თქვენთვის.

რამდენი ხანია, ყვავილი არ გაგიხარებია, ყვავილი, რომელიც თავისი ფორმით, ფერით, სურნელით, ენერგეტიკით გამოხატავს, თუ რა ლამაზია სიცოცხლე, სიყვარული, სიწმინდე, სამყარო?!

შექმენი, დაბადე, ადიდე სიცოცხლე!

რამდენი ხანია, სხვის ნაშრომს, ნაცოცხლარს არ მიალერსებიხარ, არ გაგხარებია, ფოთლებიდან ნაზად მტვერი არ ჩამოგიცილებია, არ გაგიფურჩქნია, სარი არ შეგიყენებია, მაცოცხლებელი წყალი არ დაგისხამს და შენში არ აღძრულა სურვილი — შენ უფრო მეტი დარგო, დათესო, აცოცხლო, ააყვავო, გაამრავლო, რადგან ეს ყველაფერი შენია, შენი შვილების, შენი მოდგმისაა: მათი სიცოცხლისათვის, ბედნიერებისათვის, სიყვარულისათვის, სიწმინდისათვის!

რამდენი ხანია, შრომით არ დაქანცულხარ, მერე არ შეგიხედავს შენი ნამოქმედარისათვის და სასიამოვნო დაღლილობა კმაყოფილების გრძნობას არ შეუცვლია?!

რამდენი ხანია, ქვა ქვაზე არ დაგიდვია, ნიში, ეკლესია, საცხოვრებელი, საბავშვო სახლი, სკოლა, საქველმოქმედო სახლი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, საყდარი არ აგიშენებია? ის ხომ შენი იქნება, შენს შვილებს დარჩება. შენი ხალხის საკუთრება იქნება. ის ხომ მათი წარსული და მომავალია.

შეიგენ, იშრომე, იღვაწე!

რამდენი ხანია, მოყვასს, ნათესავს, მეგობარს, მეზობელს, ნაცნობს, უცნობს არ მოჰფერებიხარ, არ გაგიხსენებია, არ მიალერსებიხარ, სიტყვა არ მიგიცია-შეგისრულებია, ძღვენი არ მიგირთმევია, თავი არ შეგითავაზებია, არ გიკითხავს: „რა გიჭირს, რა გილხინს, რა შემიძლია გავაკეთო შენთვის? მე მზად ვარ, მზად ვარ, მიმსახურე მე“.

რამდენი ხანია, სიტყვა არ გაგიტეხია, დანაპირები არ შეგისრულებია, ფარულად სიკეთე არ გაგიკეთებია, რადგან იცი, სიკეთე უნდა თესო იმიტომ კი არა, რომ შენ მოიმკი, არამედ იმიტომ, რომ გეთესება.

რამდენი ხანია, ცხოველს არ მოჰფერებიხარ, ლუკმა არ გაგიყვია, მეგობრად არ მიგიღია, მასზე არ გიზრუნია?! მასთან არ გისაუბრია, გული არ გადაგიშლია, საიდუმლო პირველად მისთვის არ გაგინდვია. ის ხომ შენთვის არის, შენიანისთვის არის, შენზე ზრუნავს, შენს ტვირთსა და ჭაპანს ეწევა, შენს სიმშვიდესა და ჯანმრთელობას იცავს! ის ხომ შენთვის და შენიანებისთვის არსებობს!

დაუდექ მათ მფარველად და დაფარულ იქნები თვით!

რამდენი ხანია, უხეში სიტყვისათვის, ქმედებისათვის უხეშობით არ გიპასუხია, ბოღმა არ ჩაგიხშვია, არ მიგიტევებია, არ შეგინდვია, არ გადაგიხდია, ლანძღვაგინება, წყევლა არ წამოგცდენია?! შენს სიტყვას, ფიქრს, ქცევას არ დაჰკვირვებიხარ. თავი არ შეგიკავებია. სიკეთით არ გადაგიხდია, სიკეთით არ გიპასუხია: შენ ხომ ასე ხარ შექმნილი, აგებული, აღზრდილი, სიკეთე ხომ უფრო ადვილი საკეთებელია?! რამდენი ხანია, წიგნი ხელში არ აგიღია, ბწკარედებს შორის წაკითხული არ ამოგიკითხავს, არ გაგკვირვებია, არ დაფიქრებულხარ, არ გაგხარებია, სხვისი აზრისთვის თაყვანი არ გიცია და შენს გონებაში არ ჩაგიბეჭდავს, რათა გაითავისო, გადაამუშაო, შენი დაამატო, ისწავლო და ასწავლო. რამდენი ხანია, არ გქონია მოთხოვნილება, ვაჟასათვის მიგემართა, მოსდებოდი მთა-ველს, ცასა და ვარსკვლავებს, სულიერსა და უსულოს, სოფელსა და ოჯახებს: ქვასთან, წყაროსთან, ყვავილთან, მთასთან, ღრუბელთან, მზესთან არ გისაუბრია, გიპაექრია, გისწავლია, გისწავლებია... რამდენი ხანია... რამდენი ხანია, შოთას ქმნილებას ისევ და ისევ არ დაჰბრუნებიხარ, ყოველი სტრიქონი არ ჩაგიმღერია, ანდაზად არ მოგიყვანია, სიყვარულში არ გამოგიყენებია, ის ხომ შენი შექმნილია, ის ხომ შენშია?! შენ ხომ მითი ხარ აგებული და ჩამოყალიბებული, მასზე ხომ მრავალი საუკუნის შრომაა დახარჯული შენი ხალხისა, შენი სულისა, შენი აზრისა?!

მაშ მიიღე, ისწავლე, გადაეცი, ასწავლე!

რამდენი ხანია, ვაზს არ მიჰფერებიხარ, ჩაჰკონებიხარ, მიალერსებიხარ, ვაზის წალმიდან ჯვარი არ გაგიკეთებია? მოჩუხჩუხე ბადაგისათვის ჯვარი არ დაგიწერია, არ გილოლიავებია, დასადუღებლად, დასაღვინებლად გამზადებული შენი მიწის, შენი ცის, შენი მზის, შენი და შენიანების ოფლითა და ენერგიით გავსებული მაცოცხლებელი სითხე, რომელიც დაღვინების დროს კამკამაა და სუფთა ყოველი ცუდისაგან, ყოველი ბოროტისა და უწმინდურისაგან. რამდენი ხანია, არ ამოგიღია ქვევრიდან, მზეზე არ გაგიხედავს, ღვთისათვის შენდობა არ გითხოვია. სამშობლოსათვის, ცოცხალთათვის, გარდაცვლილთათვის, დოვლათისათვის, სიწმინდისათვის, სიცოცხლისათვის, სახსენებლისათვის სადღეგრძელო არ წარმოგითქვამს? შიგადაშიგ არ გიღიღინია, არ გიმღერია, არ დაგიქუხებია სიმღერა, რომელიც სიცოცხლის უკვდავებაა... მარადიულობაა...

მაშ აჰყევი, აროკდი, იცეკვე, აცეკვე სხვა!

რამდენი ხანია, არ მოგისმენია შენი, შენი წინაპრების, შენი შთამომავლობის საგალობლები, რომელიც მაცოცხლებელი მალამოსავით ჯერ მოეფინება გარემოს, დაიღვრება ქვაზე, წყარო-

ზე, ყვავილზე, მთა-ველზე, შეარხევს, გამოაღვიძებს, გამოაცოცხლებს, აამღერებს და აიცეკვებს, მერე ადამიანთა სულში ჩაიღვრება, განწმენდს, გაანათებს და იწყებს შეპარვით, მორიდებით, მოწიწებით, შეთხოვნით, ფრთხილად ზეასვლას, მერე სვეტივით დაყუდდება, ზეაღიმართება, სამყაროს ცენტრისკენ


რამდენი ხანია, ჩოხა-კაბაში არ გამოწყობილხარ, ხანჯალ-სამკაული არ აგისხამს, მხრებში ამაყად არ გამართულხარ

გაქროლდება, მორიდებულად ღმერთს გვერდით დაუდგება, გაუტოლდება, შენობით მიმართავს, მასსავით სიწმინდეს ესწრაფება და მერე? მერე ზევიდან გადმოიღვრება, გადმოჰქუხდება. გარემოს მოედება. სიყვარულს დათესავს და სივრცეში მიილევა, რათა მოვარდეს ახალი ძალით, ახალი ენერგიით, ახალი სიყვარულითა და ახალი სილამაზით, რათა იგრძნო, რომ შენ ხარ ადამიანი, შენ ხარ ღმერთში და ღმერთია შენში.

რამდენი ხანია, არ გიღიღინია „მუმლი მუხასაო“? სწორად არ ჩაგცინებია, არ შემართულხარ, არ გამხედრებულხარ, „მხედრული“ არ დაგიქუხებია. მტერს არ შეჰბმიხარ შენი მიწის, შენი აკვნის, შენი ოჯახის, შენი ნაშრომის, შენი ნაგების, შენი ძეგლების, შენს წინაპართა ძვალ-სულების, მომავალ-აწყმოწარსულის სიწმინდის, მარადიულობის დასაცავად? რამდენი ხანია, ამ ბრძოლაში არ დაღუპულხარ, წმინდა ვალი არ შეგისრულებია, არ გადაგიხდია, არ გაფრენილხარ, მამულისათვის თავგანწირულ, თავდადებულ, აქედან იქ, გარდაცვლილ, ამაღლებულ ნათელში მყოფ რაინდთა რიგებს არ შეერთებიხარ და ზეციდან არ გადმოგიხედავს შენს სამშობლოში გამეფებული სიმშვიდისათვის, სიწმინდისათვის, სიყვარულისათვის, გამრავლებისათვის, აღზევებისათვის?

იმღერე, ამღერე, უმღერე შენს ერს, შენს სამშობლოს, მის ნათელ მომავალს!

რამდენი ხანია, ჩოხა-კაბაში არ გამოწყობილხარ, ხანჯალ-სამკაული არ აგისხამს, მხრებში ამაყად არ გამართულხარ, შენი სხეულის ყოველი ნაწილი არ გამოგიფხიზლებია, შეგიმართავს, მოგითოკავს, ნარნარად არ აჰყოლიხარ სამყაროს უსაზღვრო ოკეანის ველთა რხევებს? არ შეცურებულხარ უწონადობაში, არ აფრენილხარ აღმაფრენისაკენ, სივრცეში არ შეყოვნებულხარ, მზერა, ხელ-ფეხი არ გაგიშლია, ყველა მხრივ „მე შენში ვარ და შენ ჩემში ხარ“ — ეს ყველაფერი ჩემია და ჩემთვისაა. მერე?! არ დაშვებულხარ, არ დამხტარხარ, არ მიზიდულხარ, მუხლებით არ შეხებიხარ, ხელი არ დაგიკრავს, არ მოჰფერებიხარ, მიალერსებიხარ შენს მიწას, შენს ადგილს, შენს დედას, შენს დროებით ამქვეყნიერებას, ამ სამშობლოს, ადგილის დედას, გული და სული არ მიგიახლოებია მისთვის, რათა შეერწყა მის ველს, მის სხეულს და ისევ შემართულს მის დასაცავად გორდა არ გიშიშვლებია, ელვასავით არ მოგიქნევია, არ დაგვიკვესებია, წყდიადი არ გაგინათებია, მანდილი არ ჩაგიგდია, არ დაგიშოშმინებია, დაგიწყნარებია, სიყვარულს, სიქველეს, მიმტევებლობას შენში არ უფეთქია და ისევ ზეშეფრენილს, ამაღლებულს ყივილი არ ამოგხდენია, ყივილი სიყვარულისა, დიდებისა, დაუტეველი გრძნობებისა, მისწრაფებებისა, შეცნობილ-შეუცნობლისა, მზრუნველობისა, სიცოცხლის დასაბამისა.

რამდენი ხანია, არ გიცეკვია? ის ხომ შენ ზეცამ მოგცა, ის ხომ შენშია? შენ უნდა გადასცე, ასწავლო, აჩუქო სხვას. ისწავლოს, აღიქვას, შეითვისოს, გაითავისოს, შეგედავოს ეს ხომ ჩემი და ჩემიანების სულის ყივილია?! ეს ხომ ჩემი ხალხის ისტორიასა და ტრადიციებს ასახავს, ეს ხომ ჩვენი ილეთებია? მას ხომ ჩვენ ყოველთვის ვიყენებთ: შრომაში, სიყვარულში, ბრძოლაში. გიხაროდეს, რომ ის შენსას იღებს, ითვისებს, იჩემებს. შენ ხომ იცი, რომ ის ღმერთმა შენ მოგცა, შენ განდო, შენ დაგავალა, აჩვენო, აღზარდო, გადასცე სხვას.

მაშ აჰყევი, აროკდი, იცეკვე, აცეკვე სხვა!

რამდენი ხანია, სიცოცხლის დასაბამზე არ ჩაფიქრებულხარ, შენი აზრი არ ჩამოგიყალიბებია, სხვისი არ გაგიზიარებია? აღთქმა არ მიგიცია შენი თავისთვის, გაგეხსნა ეს საიდუმლო და არ გეკლა, გეცოცხლებინა.

აცოცხლე, ამრავლე სიცოცხლე!

რამდენი ხანია, „ოქროს ვერძში“ არ ჩაგიხედავს, მასში ხომ შენი და შენი ერის გული, გონება, აზრია ჩადებული, გადაფურცლე, შეისწავლე, შეავსე შენი გონების ნაყოფით: იმიტომ, რომ მისი გვერდები განუსაზღვრელია, შესავსებია, მას ხომ კაცობრიობის წინსვლა-განვითარება ჰქვია? ის ხომ უნდა დაეხმაროს ადამიანს, სწრაფად ამაღლდეს, განათლდეს, ავიდეს ახალ საფეხურზე, რათა იქიდან გაუწოდოს სხვას ხელი...

იღვაწე, შეავსე, ასწავლე, უშველე სხვას!

რამდენი ხანია, ღმერთი არ გაგხსენებია, არ შეჰღაღადებიხარ მას, ნიშს, სალოცავს, წმინდა ადგილებს არ მიახლებიხარ, მუხლი არ მოგიხრია, არ გათავისუფლებულხარ ბოროტისაგან, არ განწმენდილხარ, არ ამაღლებულხარ, არ გავსებულხარ სიმშვიდით, სიყვარულით, სიკეთით, პატივი არ გიცია სხვისი კულტურისათვის, მისწრაფებისათვის, მიზნისათვის? რამდენი ხანია, არ გაგხსენებია, რომ სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად შეჰღაღადებს, უმღერის, თაყვანს სცემს ღმერთს, ხოლო ღმერთი ერთია ყველასათვის, ღმერთი მფარველობს ყველას.

შეიყვარე ღმერთი!

რამდენი ხანია, არ გაგხსენებია, არ გაგიმეორებია, არ შეგითვისებია, არ გადაგიცია, არ გაგიცნობიერებია, არ ჩამოგითვლია, არ გისწავლებია, რაც შენშია, შენს გენშია, რაც შენს აღზრდაში დევს, რაც შენს სულშია, რისი მივიწყებაც არ შეიძლება.

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნეს შენდა ღმერთი სხუანი თვინიერ ჩემსა;

2. არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსებაი, რაოდენი არს ცათა შინა ზე. რაოდენი ქვეყანასა ზედა-ქუე და რაოდენი წყალთა ქუეშეთ ქვეყანასა, არა თაყუანი სცე მათ, არცა ჰმსახურო მათ;

3. არა მიიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა;

4. მოიხსენე დღე შაბათთა წმიდა-ყოფად მისსა, ექუსთ დღეთა იქმოდე და ჰქმნე ყოველნი საქმენი. ხოლო დღე მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღმერთისა შენისა;

5. პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ იქმნეს შენდა და რათა გრძელ ჟამ იყო

ქვეყანასა ზედა კეთილისასა, რომელმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ.

6. არა კაც-ჰკლა;

7. არა იმრუშო;

8. არა იპარო;

9. არა ცილი-სწამო მოყვასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა;

10. არა გული გითქუმიდეს ცოლსა მოყუასისა შენისასა, არცა აგარაკსა მისსა, არცა მონასა მისსა, არცა მხევალსა მისსა, არცა ხარსა მისსა, არც კარაულსა მისსა, არცა ყოველსა საცხოვარსა მისსა, არცა რაოდენი რაი არს მოყვასისა შენისა.

და თუ ეს ყველაფერი შენშია და გამოსავალს ეძებს, ამოუშვი, გამოაფრქვიე, გამოასხივე, განაბნიე, გადაჰფინე. მიეცი და გააჩუქე, თესე და თესე სიკეთე, სიყვარული, სათნოება, სიწმინდე. განათლდი! განათლდი! განათლდი!

დაწვი და დაიწვი სამი წმინდა სანთელივით და იქნება მშვიდობა, სიწმინდე, ჰარმონია ჩვენს პატარა, ლურჯ სახლში, ჩვენს გარემოში, ჩვენს სამშობლოში, ჩვენს ოჯახში, ჩვენს სულში!

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

თალესი

ჩვენი ეზო

უმუშევრობასა და ნიჰილიზმს ხშირად სავალალო შედეგამდე მივყავართ. გახანგრძლივებული აპათია, როგორც წესი, მძიმედ დასაძლევი და ძნელად განსაკურნავია. მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო დავიდარაბაში ინსტიტუციურად და კონსტიტუციურად ცამდე მართალი ვიყავი, ჩემს ტელეეკრანზე დაბრუნებას არავინ ჩქარობდა, მით უმეტეს, რომ ჩემი საეთერო ადგილი ერთი წუთითაც არ დარჩენილა ვაკანტური, როგორც ამბობენ, „Свято место пусто не бывает“.

— ნუ ინერვიულებ, დედიკო, — მაწყნარებდა შავით შემოსილი დედაჩემი და თითქოს ამით მეუბნებოდა, — კარგი რა, რა დროს ეკრანია, მე მთელი ცხოვრება დავკარგეო.

თალესის სიკვდილის მერე მანანა ერთხანს თითქოს სულ გამოეთიშა გარე სამყაროს. დადიოდა მზერაარეული, ტანსაცმლის ქვემოთ თალესის საცვალი ეცვა და უმეტესად მის პორტრეტს ესაუბრებოდა. ერეკლე სამთავრობო დაცვაში მსახურობდა და საგუშაგოზე მარტოდ დარჩენილი ტკივილს გულში იკლავდა. ნანა ბებია მისთვის უჩვეულო ამპლუით ცდილობდა მანანას საოჯახო საქმიანობის შემსუბუქებას და სრულიად უგემურ, ბუნებაში არარსებულ ახალ-ახალ კერძს იგონებდა. მე კი, როგორც ოჯახის ყველაზე მიწიერი წევრი, ნავთის ბიდონებითა და ბენზინის კანისტრებით ჩვენს გადარჩენაზე ვფიქრობდი. პატარა სანდროს ბევრი რამ სჭირდებოდა, ნუკრი ეული ცხოვრებით ტკბებოდა და ამიტომ ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტა, ცხადია, მხოლოდ ჩემი პრეროგატივა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ელიტურ (არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ მიმიხვდებით, რა კონტექსტით ვამბობ) ოჯახში გავიზარდე, ყოველთვის, ყველა მძიმე მომენტში, აშკარად „დვარნიაშკული“ თვითგადარჩენის ინსტინქტი მმართავდა. ამჯერადაც საფიქრალი არა მარტო ხვალინდელი, არამედ დღევანდელი ლუკმაპური იყო.

როდესაც 60-იან წლებში ჩემმა ოჯახის წევრებმა მოზღვავებული პატრიოტული გრძნობების გამო სოჭის ბინის თბილისში გადმოცვლისა და ფესვებთან დაბრუნების პროცედურა წამოიწყეს, მსურველი ერთი რუსი სამხედრო გამოჩნდა. ის თბილისში მსახურობდა და საბურთალოზე, ე.წ. სამხედრო ეზოში ცხოვრობდა.

საბურთალოს ეზო ჩემს მეხსიერებაში როგორც პატარა, ლამაზი „მეგობრობის მოდელი“, ისე დარჩა. კვირადღეობით თითქმის ყველა ეროვნებისა და რჯულის მეზობელს ლამაზად მოვლილ, სიმწვანეში ჩაფლულ ეზოში დიდი მაგიდა გამოჰქონდა, ზედ უზარმაზარ ვერცხლისფერ სამოვარს დგამდნენ და წინადღეს მოზელილი საფუვრიანი ცომით ნაირ-ნაირ ფუნთუშებს აცხობდნენ. მათი სურნელება დღესაც ცხვირთან მიტრიალებს და ჩემი „სურნელოვანი ეგო“ მხოლოდ მაშინ კმაყოფილდება, როდესაც საააღდგომოდ პასქის ცხობა იწყება. აი, ასეთი იყო საბურთალოს ქუჩაზე „რუსული ეზოს“ სურნელი, — სომხური აჯიკით, ებრაული მაცითა და უკრაინული ბორშჩით გემოვნებით შეზავებული. სულ მალე საქართველოში განვითარებულ არასახარბიელო ისტორიულ პროცესებთან ერთად გაქრა ჩვენი ეზოს საკვირაო ტრადიცია, აორთქლდა ფუნთუშეულის სურნელი, დაიკარგა სამოვარიც და ამდენი ეთნოსის გამაერთიანებელი რუსული ენაც.

თითქმის ყველა ეროვნებისა და რჯულის მეზობელს ლამაზად მოვლილ, სიმწვანეში ჩაფლულ ეზოში დიდი მაგიდა გამოჰქონდა, ზედ უზარმაზარ ვერცხლისფერ სამოვარს დგამდნენ და წინადღეს მოზელილი საფუვრიანი ცომით ნაირ-ნაირ ფუნთუშებს აცხობდნენ

მწვანე წალკოტი ლოჯიებაზვირთებულ, უსახურგარაჟებიან, უსიცოცხლო ბეტონის მახინჯ ქანდაკებად გადაიქცა.

ჩვენი მეზობლები: რუსები, ებრაელები, უკრაინელები, ქურთები, სომხები, აზერბაიჯანელები და ბელორუსები ჩქარობდნენ თავიანთ უცნობ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას და ამიტომ სასწრაფოდ, საკმაოდ იაფად ყიდდნენ სახლებს, ავეჯსა და ავტომანქანებს. მახსოვს დედაჩემის გაოგნება, როდესაც ჩვენ ზემოთ მცხოვრებმა იაკუბების ოჯახმა უკრაინაში წასვლის წინ, დამშვიდობებისას, დედას, საგვარეულო სასაფლაოების გადაფორმება შესთავაზეს.

— მანანოჩკა, ჩვენ აქ აღარასოდეს დავბრუნდებით, დაიტოვეთ ჩვენი წინაპრების სასაფლაოები, ცოტას მოუვლით, აღდგომაზე კვერცხს გაუგორებთ და მომავალში 100 წლის შემდეგ, თქვენც გამოგადგებათ.

ამ ამბის შემდეგ დედაჩემს ერთი კვირა მაღალი წნევა ჰქონდა.

— როგორ მაკადრეს საფლავების ჩუქება? Это плохая примета, — ვერაფრით მშვიდდებოდა მანანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37, 2009
— №8, 2010

ბოჩა მანველიძე

გოგას არასოდეს უგრძნია ადრენალინის ასეთი მოზღვავება. ირგვლივ ტყვიები ზუზუნებდა, ფეთქდებოდა ყუმბარები. ის კი აქამდე უცნობი გრძნობით შეპყრობილი ჯიუტად მიიწევდა წინ. შესაძლოა, მოგვიანებით სხვანაირად შეეფასებინა თავისი საქციელი. ყველაფერი, რასაც აკეთებდა, სიგიჟედ ჩაეთვალა, მაგრამ იმ წუთებში...

პირველი ასიოდე მეტრი თვალის დახამხამებაში გაირბინა და გზის გასწვრივ ჩაწოლილ ქართველ მებრძოლებს შეუერთდა. ცოტა ხნის წინ ამ ადგილას აფხაზთა პოზიციები იყო, მაგრამ ისინი უკვე უკან იხევდნენ. მათი ნაწილი გზის უკან მდებარე სახლებში გამაგრდა, ნაწილმა კი პოზიციის დატოვება ვერ მოასწრო და ახლა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ზედ მომდგარ ქართველებს.

ქართველები არანაკლები გაშმაგებით უტევდნენ. მათი მთავარი დამრტყმელი ძალა — ტანკი და ორი საბრძოლო მანქანა უკვე ღრმად შეჭრილიყო აფხაზთა პოზიციებში. მაგრამ ერთი შეხედვით მრისხანე ძალა, მებრძოლთა მხარდაჭერის გარეშე, რთული გასანადგურებელი არ იყო. ერთ, ზუსტად ნასროლ ყუმბარასაც კი შეეძლო ტანკის მწყობრიდან გამოყვანა და აფეთქებაც კი. მძიმე ტექნიკის დაკარგვა ერთიორად გაართულებდა შეტევას და ქართველთა შორის მსხვერპლსაც გაზრდიდა. ამიტომ ახლა შეჩერება არ შეიძლებოდა. ქართველებს სასწრაფოდ უნდა დაეძლიათ პოზიციებში შემორჩენილი აფხაზების წინააღმდეგობა და წინ წასულ ტექნიკას დასწეოდნენ.

გოგამ პირველი შიში მაშინ იგრძნო, როცა ავტომატის ჯერმა მის გვერდით მოთხარა მიწა. ეს არ იყო დაღუპვის ან დაჭრის შიში. უფრო დამარცხებამ და მტრისთვის გამარჯვების დათმობამ შეაშინა. მაშინვე ისე მოიქცა, როგორც მის გვერდით მყოფი მებრძოლები იქცეოდნენ. სწრაფად გადაგორდა გვერდზე, ადგილმდებარეობა შეიცვალა და მსროლელის ძებნა დაიწყო. თავის პირდაპირ, სანახევროდ დანგრეული სახლის ფანჯარაში ავტომატის ლულას მოჰკრა თვალი. ნათლად ხედავდა, როგორ ძიგძიგებდა ლულა და ალს აფრქვევდა. იქით მიმართა თავისი ავტომატი და ფანჯარა გრძელი ჯერით დაცხრილა. არ დაუნახავს, მოარტყა თუ არა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ავტომატის ლულა ფანჯრიდან გაქრა და იმ მხრიდან სროლაც შეწყდა. ამასობაში კი ქართველმა მებრძოლებმა წინააღმდეგობის სხვა კერებიც ჩაახშეს და შეტევა განახლდა.

სახლებს შორის გამავალი გზა ორი ნახტომით დარჩა უკან. წინ ეკალბარდიანი ღობე აღიმართა. მარცხნივ, ათიოდე მეტრში მცირე კარი შენიშნა და იქით გაქანდა, მაგრამ სხვა მებრძოლმა დაასწრო და ერთი ნაბიჯით შეასწრო ეზოში. სახლის კუთხიდან, რომელიც ეზოში იდგა, მაშინვე იგრიალა ავტომატმა. ქართველი მებრძოლი მოცელილი დაეცა მიწაზე. გოგა ინსტინქტურად გახტა გვერდზე, ღობის ძირას გაწვა და მებრძოლს გახედა. ის დაჭრილიყო, მაგრამ მოძრაობა მაინც შეეძლო. გვერდზე გადაგორდა და მსხვილ მორს მოეფარა.

— როგორ ხარ? — გასძახა გოგამ.

— გვერდში მომხვდა, — მებრძოლმა თეძოზე მიიჭირა ხელი, მერე კი ჯიბიდან ხელყუმბარა ამოიღო და სახლის მიმართულებით ისროლა.

აფეთქების ხმამ წამიერად გააყრუა იქაურობა.

— მიდი... ნახე... თუ რამეა, „მუშკაზე“ მეყოლება! — დაუძახა მებრძოლმა და ამასთან ერთად შენობის კუთხე ავტომატით მიზანში ამოიღო.

გოგა წამოდგა და წელში მოხრილი დაიძრა სახლისკენ. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ კუთხეს მიუახლოვდა. იმის შეგრძნებამ, რომ მისგან სულ რამდენიმე მეტრში, ავტომატშემართული მოწინააღმდეგე იმალებოდა, არნახული მღელვარება მოჰგვარა. საფეთქლებში სისხლის მოწოლა იგრძნო. შუბლი ოფლმა დაუცვარა.

კიდევ ერთი ნაბიჯი და...

ოდნავ გასაგონი ფაჩუნი ჩაესმა. ვიღაც ფეხაკრეფით უახლოვდებოდა კუთხეს, რათა ეზო დაეზვერა. გოგა მიხვდა, სადაც უნდა მდგარიყო ადამიანი, რომელმაც გამოსცა ხმა. ბევრი აღარ უფიქრია. ავტომატი კუთხის მიღმა გაყო და ბრმად ისროლა. სროლას ვიღაცის მიწაზე დავარდნა მოჰყვა. გოგამ ფრთხილად წაიწია წინ და კუთხეს გახედა. მიწაზე გვერდულად იწვა წვეროსანი მამაკაცი. მკერდი ავტომატის ჯერით გქონდა დაცხრილული. რამდენიმე ტყვია სახეში მოხვედროდა. მამაკაცს გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. ერთი-ორჯერ ხროტინით გაიბრძოლა და უძრავად გაშეშდა. გოგამ ზურგი შეაქცია სისხლის გუბეში ჩამხობილ გვამს და დაჭრილ მებრძოლთან დაბრუნდა.

— მოუყომარე? — სწრაფად ჰკითხა მან და ავტომატი ძირს დაუშვა.

— ჰო... მკვდარია... — უპასუხა გოგამ, შემდეგ კი მისი ქურთუკის კალთა ფრთხილად მოაშორა ჭრილობას. ტყვიას გვერდში გაევლო. სისხლის ფერი იმაზე მიუთითებდა, რომ რომელიმე არტერია დაზიანებული არ იყო.

— როგორ მომაწვდინა იმ ნაბიჭვარმა?! — კბილები გაახრჭიალა დაჭრილმა.

— არაფერია... ასეთი ჭრილობით საავადმყოფოში ერთ საათსაც არ გაგაჩერებდნენ, — მისი დამშვიდება სცადა გოგამ.

— საიდან იცი? — ეჭვით ამოხედა დაჭრილმა.

— ქირურგი ვარ, — უპასუხა გოგამ და ჭრილობის შეხვევას შეუდგა.

— ქირურგი?! — დაჭრილმა ყურადღებით შეათვალიერა, — რომელი ნაწილიდან ხარ?

— მოხალისე ვარ.

— მეც მოხალისე ვარ, მაგრამ ადრე არ მინახავხარ.

— სხვა დროს მოგიყვები, — გოგამ ჭრილობის შეხვევა დაამთავრა. მერე დაჭრილს ადგომაში დაეხმარა და უკან, ქართული პოზიციებისკენ წაიყვანა.

ბრძოლა ორ საათში დასრულდა. აფხაზებმა და მათმა მოკავშირეებმა ვერ გაუძლეს ქართული ქვედანაყოფების შეტევას და უკუიქცნენ. აფხაზებს ძვირად დაუჯდათ კოლხიდაზე თავდასხმა. შეტაკებისას მათი ორი საბრძოლო მანქანა განადგურდა. მათი დაღუპული მებრძოლების ცხედრები კი ფეხის ყოველ ნაბიჯზე ეყარა, მაგრამ ზეიმის მიზეზი მეორე მხარესაც არ ჰქონდა. ბრძოლაში მრავალი ქართველი მებრძოლი დაიღუპა და ამასთან ერთად სარდლობამ არ ისარგებლა მიღწეული წარმატებით და შეტევა აფხაზების ძველ პოზიციებზე დაბრუნებისთანავე შეაჩერა. ანუ ყველაფერი იმ ზოლის აღდგენით დასრულდა, რომელიც დაფიქსირებული იყო სოჭის მოლაპარაკებებით.

ბრძოლის დასრულების შემდეგ, ერეკლე და სტავრო გოგას მოსაძებნად ძველ პოზიციაზე დაბრუნდნენ, მაგრამ ის იქ არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, მოხალისეებისგან, რომლებიც ბრძოლის შემდეგ ისვენებდნენ, ბევრი რამ მოისმინა მის შესახებ.

— მაგარი ძმაკაცი გყოლია, ძმაო, — უთხრა ერთმა.

— მაგარი კი არა, ნაღდი გიჟია, — დაამატა მეორემ, — იმ სროლაში წელში გამართული დარბოდა. ერთხელაც კი არ ჩაუხრია თავი.

— სამაგიეროდ, ორი აფხაზი ამოაყირავა, — განაგრძო მესამემ, — ეს რაც ჩემი თვალით ვნახე.

— ერთი ჩვენი ბიჭიც გამოიყვანა ბრძოლიდან. დაჭრილი იყო და ეგ რომ არ შეხვედროდა, ნაღდად დაიღუპებოდა.

— ახლა სად არის? — იკითხა ერეკლემ.

— იქ, — მოხალისეებმა ხელით მიანიშნეს ბაღში ჩამალულ, სანახევროდ დამწვარ სახლზე, — რამდენჯერმე დავუძახეთ, მაგრამ ახლოს არ გაგვეკარა.

ერეკლემ სახლს გახედა, მაგრამ ვერავის მოჰკრა თვალი.

— იქ არის, — გაიმეორა ერთ-ერთმა მოხალისემ, — დაბრედილი „ბეემპე“ ეფარება.

— არაყი გაქვთ? — იკითხა ერეკლემ.

ერთ-ერთმა მოხალისემ მათარა გადაუგდო.

— წამოდი, — სტავროს გადაულაპარაკა ერეკლემ და სახლისკენ დაიძრა.

გოგა ღობის ძირას, მაღალ ბალახში იჯდა და გაქვავებული სახით შესცქეროდა იმ დილით განადგურებულ აფხაზურ საბრძოლო მანქანას. ბრძოლა ახალი დამთავრებული იყო და დაღუპული აფხაზებისთვის ჯერ არავის ეცალა. საბრძოლო მანქანის ეკიპაჟის წევრების ცხედრებიც იქვე ესვენა. იმის გარკვევა, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა მანქანასთან ერთად, შეუძლებელი იყო. ტანკის ჭურვს ლითონის უფორმო მასად ექცია მანქანა. ეკიპაჟის წევრების სხეულების ნაფლეთები კი აქეთ-იქით მიმოეფანტა. გზის ერთ მხარეს ადამიანის დანახშირებული კიდურები ეყარა, მეორე მხარეს უთავო ტანი ეგდო. მოშორებით კიდევ მოჩანდა სხეულის დამწვარ-დასახიჩრებული ნაწილები.

— როგორ ხარ? — ერეკლე გოგას პირისპირ ჩამოჯდა.

მან ჩამქრალი მზერა ესროლა და ყრუდ ჩაილაპარაკა.

— არასოდეს მიგრძნია თავი ასე საზიზღრად... მაშინაც კი, როდესაც მშობლები დამეხოცა.

— ვინ-ვინ და, შენ მაინც შეჩვეული უნდა იყო სისხლსა და გვამებს, — თქვა სტავრომ.

— სისხლიც ბევრი მინახავს და დაღუპული ადამიანიც, მაგრამ ისინი მე არ მომიკლავს.

— არც ესენი დაგიხოცავს შენ, — საბრძოლო მანქანის ეკიპაჟის სხეულის ნაწილებზე მიანიშნა ერეკლემ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? იმ ტანკში რომ ვმჯდარიყავი, უყოყმანოდ ვესროდი ჭურვს!.. ესენი თუ არა, სხვები ხომ დავხოცე! — უპასუხა გოგამ.

— ნუ ფიქრობ მაგაზე. ეს ხალხი არც შენ დაგიხოცავს, არც მე და არც ჩვენს ბიჭებს, — განაგრძო ერეკლემ.

— მაშ ვინ დახოცა? — გაოცებით შეხედა გოგამ.

— ომმა!.. ჯერ არავის გამოუგონია ომის მოგების უსისხლო ხერხი!

— ისე ლაპარაკობ, თითქოს მთელი ცხოვრება ომსა და სისხლის ღვრაში გაგეტარებინოს!

— არა... მაგრამ ახლა ვარ ომში. იმ წესებით ვცხოვრობ, რომლებსაც ის მთავაზობს და თავსაც არ ვიტანჯავ იმ სისხლზე ფიქრით, რომელიც ჩემი ხელით დაიღვარა და კიდევ დაიღვრება. შენც იმავეს გირჩევ!.. — ამ სიტყვებთან ერთად, ერეკლემ მათარა გაუწოდა და დაამატა: — მოსვი, შვებას მოგგვრის!

— არ მწყურია, — თავი გაიქნია გოგამ.

— არაყია.

გოგამ მათარა შეანჯღრია. მერე საცობი მოხსნა, არაყი მოსვა და მათარა ერეკლეს დაუბრუნა. მანაც დალია არაყი, შემდეგ სტავროს შესთავაზა და გოგას მიუბრუნდა:

— რატომ მოიქეცი ასე?

— რას გულისხმობ? — ჰკითხა მან.

— მე ხომ აქ დარჩენა გთხოვე. შენ კი რა გააკეთე — ავტომატს წამოავლე ხელი და ჩვენს ბიჭებს დაედევნე! სად გაქრა შენი შეხედულებები?.. ცოტა ხნის წინ მიმტკიცებდი, რომ ეს უაზრო ომია და ყველა, ვინც იარაღს აიღებს ხელში, დიდ და გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებსო!

— ვამბობდი და ეს მარტო შენთვის არ მითქვამს.

— მერე?! რა შეიცვალა დღეს?!

— არაფერი! — თავის აუღებლად თქვა გოგამ.

— არაფერი?! — გაუკვირდა ერეკლეს.

— არაფერი შეცვლილა. ახლა ამწუთას ისევ ისე ვფიქრობ და მეც ეს მაშინებს. მეორედ მოხდა ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ. გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც არ მინდოდა!.. არ ვიცი, როგორ მოხდა. როგორც კი ტყვიის ზუზუნი ჩამესმა და მივხვდი, რომ ვიღაც ჩემს მოკვლას ცდილობდა, ყველაფერი შეიცვალა. სამყარო მეწამული გახდა. ადამიანები კი უბრალოდ სილუეტებად იქცნენ: მეგობრები — თეთრ სილუეტებად, მტრები კი — იმ შავ მახინჯებად, შენს ნახატზე რომ ვიხილე, — ყრუდ თქვა გოგამ და ისევ მათარას წაეტანა.

— საკმარისია, — ერეკლემ მათარა არ მისცა.

— რატომ? — გაუკვირდა გოგას.

— შენი ფიქრებით, შეშლილობამდე ერთი ნაბიჯია. არყით კი — გალოთებამდე. ახლა მაინც თუ მიხვდი, რომ აქ შენი ადგილი არ არის?!

— ეგ აქამდეც ვიცოდი.

— მაგრამ მაინც არ დამიჯერე. ახლა რას იზამ, გამომყვები თუ არა სოხუმში? — ჰკითხა ერეკლემ.

— გაგრაში გამოგყვები.

— გაგრაში?! — დაიბნა ერეკლე. — შენ რა, აქ დარჩენას აპირებ?!

— ვაპირებ.

— რისთვის?! რა გესაქმება აქ?! — ერთხმად წამოიძახეს სტავრომ და ერეკლემ.

გოგა მცირე ხნით ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია და თქვა:

— არ გეწყინოთ, ბიჭებო. ვიცი, რომ ჩემთვის კარგი გინდათ, მაგრამ ახლა თბილისში ვერ დავბრუნდები. თქვენ არაფერში გავალდებულებთ. მე თვითონ მივხედავ ჩემს საქმეს.

— გოგა, შეიგნე, რომ ვიდრე ომი არ დამთავრდება, იმ ნაბიჭვარს ვერ მოძებნი და სიმართლე თუ გაინტერესებს, გეტყვი, რომ ხიუბას ველარასოდეს იხილავ! — თქვა სტავრომ.

— რატომ?

— მგელი არასოდეს მოიშლის მგლობას. ომში მეომრები იბრძვიან. ის კი მკვლელი იყო და მკვლელად დარჩა. ომის დაწყებისთანავე გარშემო თავისნაირი ახვრები შემოიკრიბა. ღმერთმა უწყის, რამდენი ქართველი მოკლეს და აწამეს მათ გუდაუთასა და ახალ ათონში. ადრე თუ გვიან, ეს ომიც დამთავრდება. დრო ყველაფრის მკურნალია. აფხაზები ისევ აქ, ქართველების გვერდით იცხოვრებენ. მაგრამ ხიუბა ომს რომც გადაურჩეს, ქართველების სისხლს მაინც არ შეარჩენენ. მისთვის უკვე გამოტანილი აქვთ სასიკვდილო განაჩენი და შენ არავინ დაგელოდება. პირველივე შემხვედრი ქართველი, ცოფიანი ძაღლივით მოკლავს!

— ვხვდები, რომ ახლა მას ველარ მივწვდები, მაგრამ მისი გულისთვის არ მინდა აქ დარჩენა.

— ისევ იმ აფხაზ გოგოზე ფიქრობ?! — ჰკითხა ერეკლემ.

— ის უბრალოდ აფხაზი გოგო არ არის! — იწყინა გოგამ.

— ჰო, მაგრამ რას შეცვლი აქ დარჩენით?

— რადაც უნდა დამიჯდეს, რიტა უნდა მოვძებნო! — უპასუხა გოგამ.

— გოგა, მას გაგრაში დაბრუნება რომ მოენდომებინა, უშენოდაც მოახერხებდა ამას, — ჩაურთო სტავრომ.

— ის არ დაბრუნდება აქ, — თავი გაიქნია გოგამ.

— ხედავ, თვითონ არ ნდომებია გაგრაში ჩამოსვლა, — თქვა ერეკლემ, — რად გინდა სხვის საქმეში ჩარევა. იმას თავისი ცხოვრება აქვს, შენ — შენი.

— არა, ერეკლე. გმირობაზე არასოდეს დამიდვია თავი. უბრალოდ ვაკეთებდი იმას, რაც სწორად მიმაჩნდა. ახლა ველარ გავბრუნდები უკან. გუშინ რიტას დედ-მამამ შევხვდი...

— იქ რამ მიგიყვანა?! — გაუკვირდა სტავროს.

— მაშ რა უნდა მექნა?.. ვისგან უნდა გამეგო მისი ასავალ-დასავალი?

— მერე რა გაარკვიე?

— კარგი არაფერი. დედ-მამასაც აღარ ეკარება. ვერაფრით დაითანხმეს ჩამოსვლაზე. რუსეთში გადასვლაზეც უარი თქვა. გუდაუთაში დარჩა, რათა იმათ ებრძოლოს, ვინც ასეთი ტკივილი მიაყენა.

— ანუ ჩვენ!

— ჩვენ არაფერი დაგვიშავებია მისთვის, — ყრუდ ჩაილაპარაკა გოგამ.

— როგორ გგონია, რას იტყვიან შენ მიერ მოკლული აფხაზის ახლობლები?.. ქართველებმა მოკლეს თუ გოგა კილაძემ ესროლა ის საბედისწერო ტყვიაო? — ჰკითხა ერეკლემ.

— რა დროს რიტორიკაა!

— მართალი ხარ. ჯობს რეალობით ვიცხოვროთ. ის კი ასეთია... — ამ სიტყვებთან ერთად ერეკლემ განადგურებული საბრძოლო მანქანისკენ გაიშვირა ხელი.

— ამ ხალხმა თავიდანვე მოჰკიდა ხელი იარაღს. რიტა კი რომელიღაც არაკაცებმა აიძულეს. ეს უსამართლობაა!

— ამ ომში უკვე ბევრი მოხდა ასეთი რამ და კიდევ ბევრი მოხდება, — ამოიოხრა ერეკლემ, — შენ ვერ შეძლებ ამის შეჩერებას.

— ვიცი, მაგრამ ერთი ადამიანის გადარჩენა ხომ შემიძლია. განა ეს ცოტაა?

— როგორ?

— რა ვიცი! — მხრები აიჩეჩა გოგამ. — მასთან დაკავშირება რომ შემეძლოს, ყველაფერს ავუხსნიდი და დავარწმუნებდი, რომ არ ღირს ამის გაკეთება.

ერეკლე მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა:

— მერე თუ დაბრუნდები თბილისში?

— შენ, რა, გუდაუთასთან დაკავშირება შეგიძლია? — გაოცებით შეხედა გოგამ.

— მე პირველმა გკითხე.

— წავალ! — უყოყმანოდ უპასუხა გოგამ.

— იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ დაგთანხმდება?

— ის დამთანხმდება, — დარწმუნებით თქვა გოგამ, — აბა, თუ ეს არ მოხდა, რისთვის უნდა დავრჩე გაგრაში?

— პირობას გაძლევ, რომ გუდაუთას დავუკავშირდები, მაგრამ ამის გაკეთება სოხუმიდანაც შეიძლება.

— არა, — მცირე ხნის მერე უპასუხა გოგამ, — რატომღაც მგონია, რომ ჩემი გაგრაში ყოფნა უფრო დააჯერებს მას.

— კარგი... დავრჩეთ, — ხელი ჩაიქნია ერეკლემ, — მაგრამ ერთი პირობით: ვიდრე გაგრაში ვიქნებით, ერთი ნაბიჯითაც არ მომშორდები და ჩემთან შეუთანხმებლად, არაფერს მოიმოქმედებ.

— მოსულა, — თქვა გოგამ და შეთანხმების ნიშნად მარჯვენა გაუწოდა.

რაოდენ დამანგრეველიც უნდა იყოს ომი, მას მაინც არ შეუძლია მოწინააღმდეგეებს შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, რადგან არსებობს საკითხები, რომლის იარაღით გადაწყვეტაც შეუძლებელია. კოლხიდის უიღბლო იერიშის შემდეგ, აფხაზებისთვის ასეთ საკითხად დატყვევებული თანამებრძოლების გათავისუფლება და დაღუპულების გუდაუთაში გადასვენება იქცა. ტყვეების მიმართ, ქართულ მხარეს ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. ცოტა ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ, კეთილი ნება გამოავლინა და ყველა აფხაზი ტყვე უპირობოდ გაათავისუფლა (მაშინ გათავისუფლებულთა შორის იყვნენ, რომაც და რიტაც). ამას ითვალისწინებდა ქართველებისა და აფხაზების შეთანხმება, რომელსაც რუსული მხარე შუამდგომლობდა. მაგრამ ქართველების მხრიდან, კეთილი ნების ჟესტს, აფხაზებმა შეთანხმების დარღვევით და კოლხიდაზე თავდასხმით უპასუხეს. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს თავდასხმა მხოლოდ ერთი დაბის დაკავებას არ ითვალისწინებდა. აფხაზების ძირითად მიზანს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გასვლა წარმოადგენდა და არა რომელიმე დაბის ან ქალაქის დაკავება. ამ ქმედების შემდეგ ქართული მხარე შეუძლებლად მიიჩნევდა ტყვეთა გათავისუფლებას, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით მაინც. მაგრამ ეს მიდგომა არ ვრცელდებოდა ბრძოლაში დაღუპულებზე. აფხაზთა თხოვნით და ქართული მხარის გადაწყვეტილებით, ყველა ცხედარი დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა ჭირისუფალს.

გოგამ და სტავრომ ერეკლეს გადა-

წყვეტილების შესახებ სანატორიუმში ყოფნისას შეიტყვეს. გოგა დიდხანს ცდილობდა, ხელი აეღებინებინა განზრახვაზე, მაგრამ მისი დათანხმება ვერ შეძლო.

— კარგი, არ წავალ, მაგრამ მაშინ, როგორ დავუკავშირდე გუდაუთას? — ჰკითხა ერეკლემ.

— არ ვიცი, მაგრამ მაინც არ მინდა, რომ იქ წახვიდე, — არ მოეშვა გოგა.

— დავანებოთ თავი გუდაუთას. ვიღაც ხომ უნდა წავიდეს! — შენიშნა ერეკლემ.

— ჰო, მაგრამ შენ ჩემი გულისთვის აპირებ იქ წასვლას.

— არა, გოგა, ამას ყველა ჩვენგანისთვის ვაკეთებ — შენთვის, სტავროსთვის, ჩემთვის, ჩვენი თანამებრძოლებისა და პირველ რიგში იმ ბიჭებისთვის, რომლებიც ოჯახებში დაბრუნებას ელოდებიან... აფხაზებმა ჩვენი სამი დაღუპული ბიჭი უნდა გადმოგვცენ. კიდევ მეტყვი, რომ იქ არ უნდა წავიდე?!

— არ გეტყვი, — ყრუდ ჩაილაპარაკა გოგამ, — და მეც შენთან ერთად წამოვალ.

— მაგაზე ნურც კი იფიქრებ. საჭირო რომ იყოს, სტავრო გამომყვებოდა.

— შენ კარგად იცი, რომ მე სხვა მიზეზიც მაქვს.

— სწორედ იმ მიზეზის გამო გეუბნები უარს, — უპასუხა ერეკლემ.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ აფხაზებს უნდა შევხვდეთ. შენ კი მათთვის კარგად ნაცნობი სახე გაქვს. ხომ გახსოვს, რაზე მოუვიდათ დავა ხიჟბასა და ლაკობას? გინდა, შეახსენო, ვინ შეგიფარა?.. ანუ დამალა კაცი, რომელიც დღეს მათ სისხლს ღვრის! — უპასუხა ერეკლემ.

— დროდადრო მეჩვენება, რომ მთელმა სამყარომ ჩემ წინააღმდეგ შეკრა პირი, — ამოიოხრა გოგამ.

— სამყაროს შენ წინააღმდეგ პირი რომ შეეკრა, მე და სტავრო შენ გვერდით არ ვიქნებოდით და ის აფხაზი გოგოც არ შეგიფარებდა... — ერეკლე წამით ჩაფიქრდა და მერე დაამატა: — დანარჩენი კი ჩაივლის!

აფხაზები თეთრი დროშით გამოსცდნენ თავიანთ სანგრებს და ქართულ და აფხაზურ პოზიციებს შორის შეჩერდნენ. შეთანხმების მიხედვით, იარაღი არც ერთ მათგანს არ ჰქონდა. ასევე უიარაღოდ გაეგებნენ ქართული მხრის წარმომადგენლებიც, რომელთა შორისაც იმყოფებოდა ერეკლეც.

ერეკლემ შორიდანვე შენიშნა ძველი ნაცნობი, ენვერ ჩაჩბა. მისმა დანახვამ გული დასწყვიტა. თვალწინ დაუდგა ყოველი დღე, რომელიც ერთად ჰქონდათ გატარებული სოხუმის სკვერებში, პლაჟზე თუ კაფებარებში. სულ ცოტა ხნის წინ, ისინი მეგობრებად მიიჩნევდნენ ერთმანეთს, ახლა კი ბრძოლაში დაღუპული თანამებრძოლების ცხედრების გასაცვლელად ხვდებოდნენ ერთურთს. შენიშნა ენვერმაც, მაგრამ არაფრით გამოუხატავს, რომ იცნობდა.

დაღუპულთა გადაცემის პირობები წინასწარ იყო შეთანხმებული. ქართული მხარე მოწინააღმდეგეს გადასცემდა კოლხიდაში დაღუპული ყველა აფხაზი მეომრის ცხედარს. აფხაზებს კი ქართველებისთვის უნდა გადმოეცათ სამი მებრძოლის ცხედარი. ისინი აფხაზების კოლხიდაზე თავდასხმისას დაიღუპნენ და უკან დახევისას, ქართველებმა ვერ მოასწრეს მათი პოზიციებიდან გადმოსვენება.

შეხვედრის შემდეგ, მხარეებმა მხოლოდ რამდენიმე წუთი ისაუბრეს, ერთმანეთს გარანტიები მისცეს, რომ პოზიციებზე მყოფი მებრძოლები ცეცხლს არ გახსნიდნენ. მერე კი დაიწყო დაღუპულთა ცხედრების ერთმანეთისთვის გადაცემის მძიმე პროცესი.

პროცესის დასასრულს ერეკლე ქართველი სამხედროების ჯგუფს გამოეყო, ჩაჩბას მიუახლოვდა, რომელიც გზის პირას იდგა და უთხრა:

— თვალს რატომ მარიდებ, ენვერ?

— არაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი, — უპასუხა ჩაჩბამ.

— არც სალამი?

— რას მოგცემს ჩემი სალამი?

— იმედს!

ჩაჩბამ გაოცებული მზერა ესროლა და მერე ჰკითხა:

— რის იმედს?

— იმედს, რომ კაცს, რომლის გვერდითაც უნდა ვიცხოვრო ხვალ, ჯერაც არ დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი სიდარბაისლე!

— შენ ომმაც ვერ შეგცვალა, — ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა ჩაჩბას.

— შენ?.. შენ თუ შეგცვალა ომმა?

— რისთვის მეკითხები მაგას?

— მაინტერესებს, ვის ველაპარაკები?.. ჩემს ძველ მეგობარს, თუ — მოსისხლე მტერს?! — თქვა ერეკლემ.

— ერეკლე, რა მნიშვნელობა აქვს, რას გიპასუხებ. რამდენიმე წუთში მაინც ერთმანეთს დავშორდებით და ვინ იცის, ხვალ იქნებ შენმა ნასროლმა ტყვიამ მომიღოს ბოლო, ან შენ მოგხვდეს ჩემგან ტყვია!

— ვიდრე ეს მოხდება, ერთი რამ მინდა გთხოვო, მაგრამ ამას მხოლოდ ისეთ კაცს ვეტყვი, რომელსაც ვენდობი. საკუთარი თავის იმედი თუ არ გაქვს, უარი მითხარი. სხვას ვთხოვ დახმარებას.

— რა გინდა? — გაკვირვებით ჰკითხა ჩაჩბამ.

— ერთ ადამიანს წერილი უნდა გადასცე, მერე კი ჩემთან დაკავშირებაში დაეხმარო, — უპასუხა ერეკლემ.

— ვის?

— რომა ლაკობასა და მისი ბიძაშვილის, რიტას შესახებ თუ გსმენია რამე?

— მსმენია.

— წერილი ან ერთს, ან მეორეს უნდა გადასცე. შეძლებ?

— შევძლებ, — უყოყმანოდ უპასუხა ჩაჩბამ.

— კონვერტზე რადიოსადგურის სიხშირე და ტალღა წერია. ყოველი საღამოს რვიდან ცხრა საათამდე, მაგ სიხშირეზე დაველოდები პასუხს, — ამ სიტყვებთან ერთად ერეკლემ კონვერტი გაუწოდა.

— სხვის წერილში ჩახედვას არ ვიკადრებ. შენ თვითონ მითხარი, რაშია საქმე, — თქვა ენვერმა.

— მე და შენ ამას ვერ გავიგებთ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩვენ წლების განმავლობაში ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ ომმა მაინც დაგვაშორა. ეს წერილი კი იმ ადამიანებს უკავშირდება, რომლებმაც ომში მოძებნეს ერთმანეთი და ყურადღება არ მიუქცევიათ იმისთვის, რომ ერთი აფხაზია, მეორე კი ქართველი!..

ენვერმა გაოცებით შეხედა და კონვერტი ჯიბეში ჩაიდო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სევდის სოლისელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №8, 2010

სადილის განმავლობაში თემური ძალზე თავდაჯერებულად იქცეოდა — აშკარად თავის სტიქიაში გრძნობდა თავს.

— აქ ნამდვილი სამოთხეა, არა? — შენიშნა ლალიმ, ღვინით სავსე ჭიქას ხელი მოავლო და მზეზე გახედა.

— გეთანხმები, — კვერი დაუკრა თემურმა და შეზლონგზე გადაწვა, — ისე, ასეთი მოგზაურობა მაინცდამაინც არ მიზიდავს — საშინელი ზღვის ავადმყოფობა მაწუხებს. მთის კურორტები მირჩევნია... თუმცა... ასეთ მშვენიერ ამინდში უკეთეს გასართობს ვერ მოიგონებს კაცი. ნამდვილად სამოთხეს მაგონებს აქაურობა.

— თემურ, რა პროფესიის ბრძანდებით? — ჰკითხა კახიმ და კვლავ ჩამოუსხა ლუდი.

— დაზღვევის აგენტია, — მის მაგივრად ლალიმ უპასუხა, — აქ შვებულებას ატარებს.

— დიდი ხანია, ერთმანეთს იცნობთ? — ახლა ლალის მიუბრუნდა კახი.

— შენ წარმოიდგინე, არა. მხოლოდ გუშინ გავიცანით ერთმანეთი, ჩემთან, წვეულებაზე. შენ რომ არ გვიკადრე, გგონია, დამავიწყდა?

— მაპატიე, მაგრამ ხომ იცი, არ მომწონს ასეთი საღამოები.

— აღიარე, რომ ასეთი საღამოები კი არა, ჩემი დაქალები არ მოგწონს, — გულიანად გადაიკისკისა ქალმა და საჩვენებელი თითი გააქნია, — მათი ატანა არა გაქვს.

— არა, რატომ... გეჩვენება... — იუხერხულა შენიშვნა კახიმ.

— სხვათა შორის, პირადად მე დაუპატიჟებლად აღმოვჩნდი ლალისთან, — თქვა თემურმა.

— რას ამბობ, საყვარელო, ეს ტყუილია. მე მეგობრები წყვილ-წყვილად დავპატიჟე. ვისაც ვისი მოყვანა სურდა, ის მოიყოლა თან. ასე რომ, მაგას ნუ ამბობ. ისე, ხომ არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ? იცი, რამდენი დაკარგე, კახი? უნდა მოსულიყავი. თემო გვიან მოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ, დილამდე დარჩა. ხუთი ხდებოდა, რომ დამემშვიდობა. არა, თემო?

მისმა სიტყვებმა უსიამოვნოდ გამკრა გულში. მივხვდი, რომ ლალის არა მხოლოდ მოსწონდა კახი, არამედ ცდილობდა, მასში ეჭვიანობის გრძნობა აღეძრა.

— ვერაფერს იტყვი. იმდენად დასვენებულად გამოიყურებით ორივენი, ვერავინ იტყვის, რომ ღამენათევი ხართ, — გაიღიმა ანდრონიკაშვილმა.

როგორ გამიხარდა! ვგრძნობდი, როგორც უნდა ეცადა ლალის, მაინც არ გამოუვიდოდა, კახის მის მიმართ ეჭვიანობა დაეწყო.

— შენ ხომ მიცნობ, უფროსო! დილამდე შემიძლია ვიმხიარულო, დროს ტარება არასდროს მღლის, — უპასუხა ლალიმ და ირიბად გახედა თემურს, — ისე, ამ საღამოსაც შეგვიძლია ყველაფერი გავიმეოროთ.

— მშვენიერი აზრია, — დაეთანხმა მამაკაცი, — ოთხივე რომ შევიკრიბოთ, შეიძლება? ბათუმში წავიდეთ, კარგ რესტორანში ვიქეიფოთ... რას იტყვით, ქეთევან? — მომიტრიალდა თემური და ჯიქურ ჩამაშტერდა თვალებში.

— მე არ შემიძლია, — რაც შეიძლებოდა, მშვიდად მივუგე, — ბავშვს უნდა მოვუარო, მარტო ვერ დავტოვებ.

— დასვენების დღე არ გეკუთვნით? ხომ შეიძლება, ერთი დღე ითხოვოთ? არც ისეთი მკაცრი უფროსი გყავთ, როგორც ვხედავ.

— მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ფულს ამაში მიხდიან, — ცივად ვთქვი, — მაპატიეთ, ნუკი უნდა დავაძინო, — თავაზიანად გავიღიმე და ბავშვს ხელი დავავლე, რომ დროზე გავცლოდი იქაურობას.

— როგორც მივხვდი, ნუკი თქვენი შვილია, არა? — ამის გაგონებაზე ნაბიჯი შევანელე, კახის პასუხი მაინტერესებდა.

— ნუკი ჩემი ცხოვრების ნათელი წერტილია, — არაჩვეულებრივი პასუხი გასცა კახიმ...

კმაყოფილი ღიმილი ვერ შევიკავე.

ბავშვი მალევე დავაძინე და მაღლა ავედი. სტუმრებს თეფშები გამოვუცვალე და იქვე ჩამოვჯექი. თემურმა რამდენჯერმე სცადა, კვლავ ჩამოეგდო ლაპარაკი კახის პირად ცხოვრებაზე, მაგრამ არ გამოუვიდა — მამაკაცი მსუბუქად იცილებდა თავიდან მის შეკითხვებს და სხვა თემაზე გადაჰქონდა საუბარი.

ცოტა ხანში ნუკის გამოეღვიძა და კვლავ დაბლა ჩავედი, რათა ბავშვისთვის მიმეხედა. კარგა ხანს ვარწევდი პატარას... როგორც იქნა, ისევ ჩაეძინა. ის იყო, მაღლა ასვლა დავაპირე, რომ კიბეზე თემური გამოჩნდა. მაშინვე შევატყვე, რაღაცით უკმაყოფილო ჩანდა.

— რა ხდება? ანდრონიკაშვილი არ პასუხობს შენს შეკითხვებს? — დავცინე „პარტნიორს“.

— მშვენივრად იცი, რომ ასეა, რატომ „მეშპილკავები“?

— იმედი გაგიცრუვდა? კარგავ საკბილოს, არა?

— ნუ იტყვი... მაგრამ არა უშავს, მე ასე ადვილად არ ვნებდები, მაინც ამოვთხრი!

— მაშინ მიდი და ამოთხარე, — ნიშნის მოგებით ვუთხარი, — და ნუ დამდევ ძაღლივით კუდში. კახიმ შეიძლება რამე იეჭვოს.

— არა მგონია. ვუთხარი, დალევა მინდა-მეთქი, — ამ სიტყვებით თემური მაცივარს მიადგა და ლუდის ბოთლი გამოიღო, — შენ შენსას მიაწექი და რაც შეიძლება, მეტი გამოსტყუე მაგ კაცს. საბედისწერო ქალის როლის თამაში

მშვენივრად გამოგდის, მე კი ფოტოებს გადავიღებ. შემდეგ ერთად შევკრიბოთ ყველაფერი და სტატიაც გამოგვივა. ჰო, მართლა, მამუკამ შემოგითვალა, დიქტოფონი გამოიყენოს და რამდენიმე ჩანაწერი გააკეთოსო.

— რა ჩანაწერიო? — თავიდან ვერ მივუხვდი.

— ანდრონიკაშვილთან დიალოგს რომ გააბამ, დიქტოფონი ჩართული დატოვე. რა ვერ გაიგე? შენს ტელეფონს ხომ მოჰყვება დიქტოფონი?

— გაგიჟდი?! მობილური საერთოდ გამორთული მაქვს, იმის შიშით, ვინმემ არ დამირეკოს. დიქტოფონის ჩართვას გავბედავ? არავითარ შემთხვევაში!

— უნდა გარისკო, სხვა გზა არ გვაქვს.

კარგი-მეთქი, თავი დავუქნიე. დაე, იფიქროს, რომ მასთან პარტნიორობაზე თანახმა ვარ, თორემ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს, ისეთი ნაძირალაა. ახლა რომ ვუთხრა, შენთან მუშაობას არ ვაპირებ-მეთქი, არ არის გამორიცხული, სცენები მომიწყოს.

ბავშვი კვლავ აჭიჭყინდა.

— ადი მაღლა, — ჩურჩულით ვუთხარი, — იმის გარდა, რომ მე ნერვებს მიშლი, პატარასაც აწუხებ. ხომ ხედავ, ვერ იძინებს.

— წავალ, აბა, რას ვიზამ, მაგრამ ჯერ რამდენიმე სურათი უნდა გადავუღო.

— მაინცდამაინც დიდი სურვილი არა მაქვს, ჩემს იახტაზე ფოტოები გადაიღოთ, — გაისმა მოულოდნელად კახის ხმა. შიშისგან ტანში გამცრა... არც თემური ჩავარდნილა უკეთეს დღეში.

იგი კიბის თავში იდგა და პირქუშად შემოგვყურებდა.

— აუ, როგორ შემაშინეთ, ბატონო კახი, — ნაძალადევად გაიცინა თემურმა, — ისე უხმაუროდ მოგვეპარეთ, ქეთევანს მგონი, გული გაუსკდა.

აკანკალებული გამომცდელად შევყურებდი მამაკაცს, მაინტერესებდა, რა მოისმინა ჩვენი საუბრიდან, მაგრამ აბა, რას მივხვდებოდი? კახის სახეზე რამის წაკითხვა შეუძლებელი იყო, სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა.

— იმედია, წინაალმდეგი არ იქნებით, რომ რამდენიმე ფოტო სამახსოვროდ გადავიღოთ ყველამ ერთად. თქვენთვისაც დავბეჭდავ და სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩება.

— არ მიყვარს სურათის გადაღება, ეს ჩემ ირგვლივ ყველამ კარგად იცის, — ცივად გაისმა მამაკაცის ხმა, — თუმცა, აქ ამის სათქმელად არ მოვსულვარ. უბრალოდ, ამინდი შეიცვალა და აჯობებს, ნაპირზე დავბრუნდეთ.

ამის გაგონებაზე ოდნავ დავმშვიდდი. როგორც ჩანს, კახიმ მხოლოდ ბოლო ფრაზას მოჰკრა ყური. თემური დაიჯღანა და კიბისკენ გაემართა.

— იმედია, შტორმი არ გვემუქრება. მაინცდამაინც კარგი ცურვა არ ვიცი.

— ვფიქრობ, მთლად ეგრე არ იქნება. არც ასე ცუდადაა საქმე, — უპასუხა კახიმ და გატრიალდა.

მეც უკან მივყევი ორივეს. ძლიერი ქარი ამოვარდნილიყო, იახტა ტალღებზე შესამჩნევად ქანაობდა, თუმცა ცა ძველებურად მოწმენდილი იყო.

— რაღაც ვერ ვარ კარგად, — წარმოთქვა გაფითრებულმა თემურმა.

— ნუ სულელობ, სიხარულო, — გადაიკისკისა ლალიმ, — უბრალოდ, ქარმა დაუბერა. კახის რომ არ ეთქვა, ვერც ვერაფერს გაიგებდი.

— შესაძლებელია...

— ძალიან კარგი იყო თქვენთან, კახი. ჩვენ წავალთ... შეხვედრამდე, — ლალი ფეხის წვერებზე აიწია და მამაკაცს ლოყაზე აკოცა, — მოგვიანებით შევხვდებით, არა? — ჰკითხა ქალმა და კითხვით სავსე მზერა მიაპყრო ანდრონიკაშვილს. მის სიტყვებსა და გამოხედვაში რაღაც ძალიან პირადული იგრძნობოდა. ცოტა არ იყოს, უხერხულადაც ვიგრძენი თავი, ძალაუნებურად რომ ვისმენდი ამ სიტყვებს.

— ხვალ საღამოს ვახშამზე გეპატიჟები, მეტი რა ვქნა, — გულიანად გაიცინა მამაკაცმა.

ლალიმ გაუღიმა და სევდის ჩრდილი წამსვე გაუქრა სახიდან.

— რომელზე, რვაზე?

ანდრონიკაშვილმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

გული ავის მომასწავებლად შემიქანდა. თითქოს განგაშის მოახლოებას ვგრძნობდი. ვიდექი კახის გვერდით და ვუყურებდი, როგორ გადადიოდნენ კატერზე თემური და ლალი.

— შენი მოწვევა თემურზეც ვრცელდება? — ვერ მოვითმინე, არ მეკითხა, თუმცა ვიცოდი, არ ღირდა ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ მათი საუბარი მოვისმინე.

— არა მგონია, ლალიმ იგი წამოიყვანოს, — ამ სიტყვებით მამაკაცი ჩემკენ შემობრუნდა, — რაო, იმედგაცრუებული დარჩი?

შევცბი, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— რის გამო? იმის გამო, რომ ლალი დაპატიჟე? თუ თემური რომ არ მოვა მასთან ერთად? რას გულისხმობ?

— გააჩნია, შენთვის რომელი უფრო მნიშვნელოვანია, — მითხრა და გამიღიმა.

ამ ლაკონიურმა პასუხმა ისე განმარისხა, ლამის ვიყვირე.

— სრულებით არ მეხება, ვის დაპატიჟებ სტუმრად, ეგ ჩემი საქმე არ არის. რაც შეეხება იმ... თემურია თუ ვიღაც, სიმართლე გითხრა, საერთოდ არ მომეწონა.

— მართლა? — ირონიულად აზიდა ცალი წარბი. — მას კი, მგონი, პირიქით, ძალიანაც მოეწონე.

ამის გაგონებაზე სუნთქვა შემეკრა.

— ლალი იმისთვის დავპატიჟე, რომ საქმეზე ველაპარაკო... — ჩაილაპარაკა კახიმ. — რამეს დალევ?

— მე მგონი, აჯობებს, დავბრუნდეთ, ქარი ძლიერდება.

— ნუ გეშინია, ქარს გავასწრებთ, — მამაკაცმა მაგიდიდან ღვინის ბოთლი აიღო და მანიშნა, დაგისხა თუ არაო.

— მე „ნაბეღლავს“ ვსვამდი... თუმცა, რატომაც არა, ღვინოსაც დავლევ, ოღონდ ცოტას.

— რა თქმა უნდა, რატომაც არა.

მოვიღუშე, რადგან მის ხმაში კვლავ უცნაური ინტონაცია შეინიშნებოდა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა... ცივმა ჟრუანტელმა დამიარა სხეულში. საშინლად არ მესიამოვნა მისი გამოხედვა. უეცრად გამახსენდა, რომ ლალის მოსვლამდე ვჩხუბობდით...

— უკვე აღარ მიბრაზდები? — ფრთხილად შევეკითხე.

კახიმ ლოყაზე მოისვა ხელი, თითქოს გაახსენდა, სილა როგორ გავაწანი და გაიღიმა.

— როგორც ჩანს, დავიმსახურე... არა, არ გიბრაზდები.

ოდნავ დავმშვიდდი.

— მაპატიე, წეღან ჯულიზე სულელური კითხვები რომ დაგისვი. მე...

— ეს არ იყო სულელური კითხვები, — შემისწორა, — მესმის, რატომაც გაინტერესებს ეგ ყველაფერი.

— არა მგონია, გესმოდეს, — აღელვებულმა თმაზე გადავისვი ხელი, თან ვფიქრობდი, საიდან დამეწყო ჩემი აღიარება.

კახიმ ხელი გამოიწვდინა და ღაწვზე შემეხო.

— სულ მინდა, შეგეხო... ყოველ წამს, ყოველ წუთს... — ჩაიჩურჩულა, — ადრე ასეთი რამ არასდროს დამმართვია.

რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვასწარი, მამაკაცმა თითები ტუჩებზე ამაფარა.

— ვიცი, რაც უნდა მკითხო. ჯულისთან მსგავსი არაფერი მქონია.

— სულაც არ ვაპირებდი ამის თქმას... — შევეცადე, სწრაფად გავცლოდი, მაგრამ არ გამიშვა.

— მოდი ჩემთან, მეტის

მოთმენა არ შემიძლია! — დახშული ხმით ამოთქვა და მძლავრად მიმიხუტა მკერდზე.

მისი სიტყვებისა და სიახლოვისგან თავბრუ დამეხვა.

— ჯერ უნდა დავილაპარაკოთ... გთხოვ... რაღაც მინდა გითხრა... — აკანკალებული ხმით დავიწყე, მაგრამ ვეღარ დავამთავრე, ტუჩებში მაკოცა.

— მოგვიანებით ვისაუბროთ ამაზე, გპირდები.

— იცი? არ მინდა ოჯახი დავანგრიო, — მაინც ვაგრძელებდი ჩემსას. — მართლა არ მინ...

— მე ოჯახი არა მაქვს, ქეთი...

უკმაყოფილოდ გადავაქნიე თავი.

— შეიძლება შენ ჯულიზე დაქორწინება არ გსურს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. თქვენ საერთო შვილი გყავთ... ნუკის დედაც სჭირდება და მამაც. სწორედ ამას ვგულისხმობ ოჯახში, — კვლავ მიკანკალებდა ხმა.

— ნუკი ჩემი შვილი არ არის, — თავი გადააქნია კახიმ.

ესეც პასუხი იმ შეკითხვაზე, ასე ძალიან რომ აინტერესებდა ყველას. გაოგნებულმა ავხედე.

— მე კი მეგონა...

— ვიცი, რაც გეგონა, მაგრამ შეცდი.

— აბა, ვინ არის მისი მამა? — უნდობლად ვკითხე. — მაშინ რატომ არის აქ, შენთან?

— რა ამბავია, ერთბაშად ამდენი კითხვა... — შუბლზე ჩამოშლილი თმა გადამიწია... ისე ნაზად შემეხო, თვალთ დამიბნელდა. — სხვა დროს იყოს... ახლა მხოლოდ შენ მინდა მიყვარდე.

— კახი...

ვერც ახლა დავამთავრე სათქმელი, რადგან იგი კვლავ ჩემს ტუჩებს მისწვდა. მეტის მოთმენა არც მე შემეძლო. მკლავები კისერზე მოვხვიე და კოცნაზე კოცნით ვუპასუხე, თან ისეთი გრძნობით...

— ყველაფერს მოგიყვები ჩემზე, გპირდები... მერე კი შენ მომიყევი შენს ცხოვრებაზე, თუ გინდა, — შემდეგ ტუჩები ყურთან მომტანა და ჩურჩულით გააგრძელა, — მაგრამ ახლა სხვა არაფერზე მინდა ფიქრი... მხოლოდ შენ მინდიხარ...

არ მახსოვს, კაიუტაში როგორ აღმოვჩნდით. თვალებმიბნედილმა ირიბად გავხედე ნუკის, რომელსაც ტკბილად ეძინა. კახიმ მაცივრის გვერდით მდებარე კარი გააღო, წელზე მძლავრად მომხვია ხელი და მეორე, შედარებით მომცრო კაიუტაში შემიყვანა. აქ მხოლოდ ერთი საწოლი იდგა და კიდევ... სარკე ეკიდა კედელზე, სხვა არაფერი.

— კარი ღია დავტოვოთ, ბავშვმა უცებ რომ გაიღვიძოს... — მკვეთრი, თითქმის საქმიანი კილოთი წარმოთქვა, მაისური გაიხადა და საწოლზე ჩამოჯდა, — გეშინია? — თბილად მკითხა.

— ჰო, — ვაღიარე.

— მოდი ჩემთან... — ხელები გამომიწვდინა.

ნელა მივუახლოვდი. დანისლული მზერა ჩემს მკერდზე შეაჩერა, რომელიც ისე ღელავდა, როგორც გარეთ — ტალღები, ოღონდ... ხმაურის გარეშე.

თითები ნელა აამოძრავა ჩემს მუცელზე. ვნებამორეულმა თვალები დავხუჭე.

— გინდა ჩემთან?

— ხომ იცი, რომ მინდა, — არ დავმალე ჩემი სურვილი, თმაზე ხელი გადავუსვი და მოვეხვიე.

— ჰოდა, დამიმტკიცე, — თქვა კახიმ, გვერდით მიიწია და ადგილი დამითმო.

გახდა დავიწყე... ის თვალს არ მაშორებდა... ხარბად გადაჰქონდა მზერა ჩემი მკერდიდან მუცელზე, ფეხებზე...

— არაჩვეულებრივი სხეული გაქვს... შეუდარებელი...

— დიდი მადლობა...

— ოღონდ... ერთი რამ უნდა გკითხო, სანამ დავწვებით... წუხანდელივით ხომ არ გადაიფიქრებ?

— არა, არ გადავიფიქრებ, — ღიმილი ვერ შევიკავე და მის გვერდით დავწექი.

ლამის გონება დავკარგე, როცა ტუჩებით მკერდზე შემეხო... ვგრძნობდი, როგორ მეფერებოდა... მესმოდა, როგორ ვნებიანად ჩამჩურჩულებდა ყურში, მიყვარხარ და მინდა სულ მიყვარდე, მსურს, მხოლოდ მე მეკუთვნოდეო...

მისი სიტყვები კიდევ უფრო აღმაგზნებდა. მეც ვეჩურჩულებოდი რაღაცას, მაგრამ არ მახსოვს, რას... წამიც და ორივენი თავდავიწყების ბურუსში გავეხვიეთ...

მის მკლავებში მოკალათებულს გარხევის მეშინოდა. ასე დაღლილად არასდროს მიგრძნია თავი, ამავდროულად, სასიამოვნო მოთენთილობას განვიცდიდი.

— ძალიან ლამაზი ხარ, ქეთი, — ჩურჩულით მითხრა, — და უზომოდ სასურველი... არ მინდა შენი დაკარგვა. მინდა ეს იცოდე.

მისი სიტყვები იავნანასავით ჩამესმოდა. თან თავისი თლილი თითებით ნაზად დახეტიალებდა ჩემს სხეულზე... ვგრძნობდი, როგორ მებლიტებოდა თვალები, როგორ მერეოდა ძილი და წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი თავს... თანდათან უფრო და უფრო შორიდან ჩამესმოდა მისი ჩურჩულით ნათქვამი საალერსო სიტყვები...

თვალი გავახილე და ჩემთვის უცხო ხის ჭერს მივაშტერდი. სწრაფად წამოვჯექი საწოლში და ირგვლივ მიმოვიხედე. ახლაღა გამახსენდა, სად ვიყავი და რაც მოხდა. რატომღაც, შიშმა ამიტანა... კაიუტაში მარტო ვიყავი.

— კახი! — დავიძახე შეშინებულმა.

არავინ გამომპასუხებია. ჩემი ტანსაცმელი ჯერ კიდევ იატაკზე ეყარა. წამოვხტი და ჩაცმას შევუდექი. ვცდილობდი, გონებაში აღმედგინა მომხდარი. ეს რა ჩავიდინე, როგორ ვერ მოვთოკე თავი! თუმცა ამაზე ფიქრი უკვე გვიან იყო, დროს უკან ვეღარ დავაბრუნებდი. სინანულს აზრი არ ჰქონდა. ან კი რა საჭირო იყო? ჩვენ შორის წარმოქმნილი გრძნობა ხომ არ იყო ყალბი? ყველაფერი ისე ბუნებრივად მოხდა... მაგრამ დავიჯერო, მასაც ისე ვუყვარვარ, როგორც მე? შეუძლებელია... მისთვის მე რას წარმოვადგენ? ერთ უბრალო ძიძას მხოლოდ... ქალს, რომელთანაც წამიერ თავდავიწყებას მიეცა. ამის გაფიქრებაზე გული შემეკუმშა...

მოულოდნელად რყევა ვიგრძენი. ვიფიქრე, ალბათ თავბრუ დამეხვა-მეთქი, მაგრამ ილუმინატორში რომ გავიხედე, მივხვდი, იახტა მოძრაობდა... ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით ნაპირს. თავი მოვიწესრიგე და მეორე კაიუტაში გამოვედი. ბავშვის საწოლს გავხედე... ნუკი იქ არ იყო. მაღლა ამოვედი. კახი გემბანზე იდგა. გვერდით, მანეჟში, პლედში საგულდაგულოდ გახვეული ნუკი იჯდა და თავისთვის რაღაცას ღუღუნებდა.

— საღამო მშვიდობისა, — მომესალმა კახი, როგორც კი დამინახა.

— საღამო მშვიდობისა, კაპიტანო, — შევეცადე, მხიარულად გამომსვლოდა, მაგრამ მის მზერას თვალი მაინც ავარიდე.

— რამდენიმე წუთი და ნაპირზე ვიქნებით.

მამაკაცს ჯინსის შარვალი და ლურჯი სვიტერი ჩაეცვა. საკმაოდ აგრილებულიყო, სიცივისგან მკლავებზე დამბურძგლა.

— თბილი ტანსაცმელი არ წამოგიღია? — კახიმ თვალი დაკვირვებით შემავლო.

— არა... არც მიფიქრია.

— ჩემი ბრალია, უნდა მეთქვა, — არცთუ მზრუნველი ტონით ჩაილაპარაკა.

როგორ მინდოდა, მასთან ახლოს მივსულიყავი, ჩავხუტებოდი და მეთქვა, მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე.

— დიდხანს მეძინა? — მხოლოდ ამის თქმაღა მოვახერხე.

— რამდენიმე საათი. არ გაგაღვიძე. მგონი, ძალიან დაიღალე, არა? — ორაზროვანი მზერა მესროლა და იდუმალად გამიღიმა.

— ჰო, — არ ვიცოდი, სხვა რა მეპასუხა, ძალიან დავიბენი.

მოღრუბლულ ცას ავხედე. მალე წვიმა დაუშენდა. ბავშვი მანეჟიდან ამოვიყვანე და გულზე მივიკარი. მესიამოვნა მისი თბილი სხეულის შეხება. უკვე მაკანკალებდა სიცივისგან. ამასობაში ნაპირს მივუახლოვდით.

— კახი, შენთან სალაპარაკო მაქვს.

— ვიცი, არ დამვიწყებია, — მიპასუხა და ცივი მზერა მესროლა.

უარესად შემაკანკალა, მაგრამ ამჯერად არა მხოლოდ სიცივისგან...

რატომ მელაპარაკება ასეთი ტონით? არ მოეწონა ჩემთან? არა, ეს შეუძლებელია... ყველაფერი ისეთი კარგი იყო, ამას ვერ დავიჯერებ. აბა, რა დაემართა? როგორც ჩანს, თავისი მიიღო და ინტერესიც დაკარგა ჩემ მიმართ. აი, ეს არის სიმართლე. მკერდში მტკივნეული ჩხვლეტა ვიგრძენი... უეცრად ნაპირზე ანდრო დავლანდე. ეგ საიდანღა გაჩნდა? როდის დაიბარა? გაოგნებულმა პირი დავაღე... სანამ მამაკაცები იახტას „დააბინავებდნენ“, მე ნუკისთან ერთად მანქანისკენ გავეშურე...

გზაში ცა უარესად მოიქუფრა და წვიმამაც დასცხო. ისე ჩამოვედით ქობულეთამდე, გზაში არც ერთს ხმა არ ამოგვიღია, ნუკი ჭუჭყუნებდა მხოლოდ. როგორც ჩანს, დაიღალა ბავშვი.

შინ შევედი თუ არა, შვებით ამოვისუნთქე. რა კარგია სახლში ყოფნა... აქ ისე თბილა, როგორც არსად... სამზარეულოში გავედი და ბავშვი თავის სკამზე შემოვსვი, მე კი გაზქურას მივაშურე, რომ მისთვის ფაფა მომედუღებინა.

ორი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ნუკი დავაძინე, კახი კი არა და არ ჩანდა. მოუსვენრობამ შემიპყრო. ტახტზე მივესვენე და დაღლილმა თავი საზურგეს მივადე. ძალაგამოცლილი ვიყავი მორალურადაც და ფიზიკურადაც. უეცრად, გარედან ნაბიჯების ხმა მოისმა. სუნთქვაშეკრულმა წამოვიწიე. კახიმ კარი გამოაღო, ზღურბლთან გაჩერდა და მკითხა.

— როგორ არის ნუკი?

ხმაზე ეტყობოდა, რომ ჩემზე არანაკლებ დაღლილი იყო.

— როგორც კი დავაწვინე, მაშინვე ჩაეძინა. ზღვის ჰაერმა კარგად იმოქმედა მასზე.

— გზაში კი იჭუჭყუნა ბევრი.

— შიოდა და იმიტომ.

— ძალიანაც კარგი, — თქვა და გატრიალდა.

— კახი! — დავუძახე.

მშვიდად მოაბრუნა თავი.

— რა იყო?

— რამე... რამე მოხდა?

ოდნავ შესამჩნევი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

— რა უნდა მომხდარიყო?

— მე მგონი, ჩვენ მოგვიწევს საუბარი, — ჩუმად ვთქვი.

— მოგვიწევს, — დამეთანხმა, — მაგრამ ახლა არა, ქეთევან. ძალიან დავიღალე.

მეტი ვერაფრის თქმა მოვასწარი, რადგან მამაკაცი გავიდა და კარი მოიხურა.

შეშლილივით მივაჩერდი დაკეტილ კარს. როგორ შეუძლია, ასე მომეპყრას მას შემდეგ, რაც დღეს მოხდა? ეს ხომ დამამცირებელია! ისე მექცევა, თითქოს ქუჩის ქალი ვიყო!

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი გახევებული, თვალიც არ დამიხამხამებია. ბოლოს მეტი ველარ მოვითმინე და მის ოთახს მივაშურე. დაუკაკუნებლად შევაღე კარი. იგი ჩემკენ ზურგით იდგა და ვიღაცას ტელეფონზე ელაპარაკებოდა.

— ნუ ნერვიულობ, მან ზუსტად იმდენი იცის, რამდენიც საჭიროა.

როგორც ჩანს, ვერ გაიგო, როგორ შევედი, რადგან არც კი მოტრიალებულა. მინდოდა, შევხმიანებოდი, რომ უეცრად გაღიზიანებული ხმით ჩასძახა ყურმილში.



— მან იცის, რომ ნუკი ჩემი შვილი არ არის, მაგრამ შენ რომ ჩემი და ხარ, არ იცის. და არც ის იცის, ნუკის მამა რომ გოგი ხერხეულიძეა. დამშვიდდი.

განცვიფრებისგან ყბა ჩამომივარდა. ფეხაკრეფით მოვტრიალდი და ოთახიდან გამოსვლა დავაპირე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, გაღებისას კარმა გაიჭრიალა.

— ჯული, ცოტა ხანში გადმოგირეკავ, — ამ სიტყვებით კახიმ ყურმილი დაკიდა და შემობრუნდა.

— ესე იგი, ნუკი შენი დისშვილია? — კარი მივხურე და უხერხულად მივაჩერდი.

— ეს შენ არ გეხება.

მისმა ყინულივით ცივმა ხმამ ადგილზე გამაქვავა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი მისკენ, მაგრამ ისეთი რამ მითხრა, კვლავ გავშეშდი.

— შენს ადგილზე, ქეთევან, ოთახიდან გავიდოდი! — შეუვალი გაუხდა მამაკაცს მზერა.

— კი მაგრამ, რატომ? რატომ მექცევი ასე? მგონი, ცოტა მეტს ვიმსახურებ, ვიდრე ასეთ ზიზღიან გამოხედვას. რაში მდებ ბრალს?

— შენი აზრით, შენგან რამით დავალებული ვარ? — სარკასტული ხმით შემეკითხა.

ფერი წამივიდა სახეზე... გულგრილობას ველოდი მისგან, მაგრამ მსგავსი სიძულვილით გაჯერებულ ფრაზებს და გამოხედვას — ნამდვილად არა.

— ნუ მიყურებ ასე, — აღგზნებულმა წარმოთქვა.

— როგორ ასე? — თვალები მრისხანედ დავაკვესე. — თითქოს დამამცირეს? თითქოს გამომიყენეს? მაპატიე, მაგრამ შენი წყალობით, ამწუთას სწორედ ამ მდგომარეობაში ვგრძნობ თავს.

— ჩემი წყალობით? — ცინიკურად ჩაიცინა, შეტრიალდა და სვიტერის გახდა დაიწყო. — მაპატიე, მაგრამ შხაპი უნდა მივიღო. ახლა შენთვის არ მცალია.

— შენ რა, მაგდებ? — ჩუმი, მაგრამ აცრემლებული ხმით ვკითხე, ბოღმა ყელში მომებჯინა. — დღეს... დღეს შენ ასეთი არ იყავი...

— და როგორი ვიყავი დღეს?

— როგორი და... ისეთი...

— ისეთი მოწყურებული და ვნებიანი, არა? მართალი ხარ, ქეთევან... არ გეგონოს, რომ გაგდებ. უბრალოდ, გაფრთხილებ. თუ დარჩები, კვლავ მომინდება შენთან სექსი.

ცრემლები მახრჩობდა, ცოტაც და გულამოსკვნილი ავტირდებოდი.

— მე ეს არ მიგულისხმია...

— ნუთუ?

— კარგად იცი, რომ არა. შენი ვერაფერი გავიგე, კახი...

— ამწუთას თავადაც არ მესმის ჩემი, — მიპასუხა და სვიტერი სკამზე მიაგდო, — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ დღეს მე და შენ ერთად ვიყავით... და ახლა კვლავ მინდიხარ.

— ღმერთო, რამ გაგაბოროტა ასე? — ცრემლები ღაწვებზე გადმომიგორდა, საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი.

— საქმე ის არის, ქალბატონო ქეთევან, რომ არ მინდა, შენ მიმართ ამ ლტოლვას განვიცდიდე.

წამით თვალები დავხუჭე და ჩურჩულით ამოვთქვი.

— სხვა ქალი გიყვარს?

— სულ ველოდი, როდის დაიწყებდი საქმის გარშემო კითხვების დასმას, — უსიამოვნოდ გაიცინა, — იცი? არაჩვეულებრივად ითამაშე შენი როლი. თითქმის დავიჯერე ამბავი პატარა, დაუცველი გოგონასი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

ციცომ გოგონა აათვალიერა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, არაფერი უკითხავს. გზა დაუთმო და ოთახში შეუძღვა. ბელამ ოთახი მოათვალიერა და შუაში გაჩერდა.

— მოდი, დაჯექი, — დივანზე მიუთითა ანამ, მაგრამ გოგონა ადგილიდან არ იძვროდა, — მოდი, მოდი...

— დივანს დავსვრი, — ისე ჩუმად თქვა გოგონამ, რომ ანამ ტუჩების მოძრაობით უფრო გაარჩია, რას ამბობდა.

— არაფერსაც არ დასვრი, მოდი, დაჯექი. მე აბაზანას გაგიმზადებ, იბანავე და მერე ვჭამოთ. ხომ გშია?

— კი, — თავი დაუქნია ბელამ და დივანზე ნელა დაეშვა.

ანამ აბაზანა მოუმზადა და დაუძახა.

— გინდა, მოგეხმარო?

— კი, მინდა, — უარი არ უთხრა.

კარგა ხანს დაყვეს სააბაზანოში... ანამ ბელა პირსახოცში გახვეული და ხელში აყვანილი გამოიყვანა და საძინებელში, საწოლზე დასვა. შემდეგ დედას მიადგა.

— დე, სვანეთიდან ჩემი და ნანას პატარაობის დროინდელი კაბები რომ წამოიღე დიდი ამბით, სად შეინახე?

— ცარიელ საძინებელში, გარდერობში აწყვია.

ანამ ერთი კაბა ამოარჩია და ბელასთან დაბრუნდა.

— ახლა ეს ჩაიცვი, ხვალ კი ახლებს გიყიდი, — კაბა მიაწოდა. შემდეგ თავისი უჯრიდან უხმარი საცვლები და ფლოსტები ამოიღო.

ბელა უცებ გამოეწყო და სარკისკენ ჩუმად გააპარა თვალი.

— ახლა წამოდი, ვივახშმოთ, თორემ მოვკვდი შიმშილით, — გოგონას უხერხულობა რომ არ ეგრძნო, ანა მის მოქმედებას ყურადღებას არ აქცევდა. ოთახიდან პირველი გავიდა, რომ ბელა სარკეში საკუთარი გამოსახულების ყურებით დამტკბარიყო. ბელა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა... სახის ღამაზი ნაკვთები თითქოს თავთავის ადგილს დაჰბრუნებოდა...

ციცოს სუფრა გაეშალა და მათ ელოდა.

— რას შეჭამ? ქათმის ხორცით დაიწყე და მერე სალათაც გასინჯე, — გოგონას მოზრდილი ულუფა დაუდო თეფშზე.

— ძალიან გემრიელია, — ნახელავი შეუქო ბელამ ციცოს, — ასეთი „კიშკები“ დიდი ხანია, არ მიჭამია, — მადიანად ილუკმებოდა.

— „კიშკები“ რუსული სიტყვაა და ნაწლავებს ნიშნავს. ახლა შენ თქვი, დიდი ხანია, ასეთი ნაწლავები არ მიჭამიაო... უნდა გეთქვა, ასეთი გემრიელი კერძი არ მიჭამია-თქო.

გოგონამ უსიტყვოდ დაუქნია თავი. ანა ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ იქცეოდა ბელა, როგორ ჭამდა, როგორ იჯდა... ხვდებოდა, რომ დიდი გარჯა მოუწევდა, სანამ მას ნორმალურ 12 წლის გოგოდ აქცევდა.

ვახშამს რომ მორჩნენ, ანამ ჩაი ააღულა, ბელა მისაღებ ოთახში გაიყვანა და წინ ნამცხვრით სავსე თეფში და ჩაით სავსე ფინჯანი დაუდგა. გოგონამ ნამცხვარი ცოტა მოციცქნა და მიანება თავი ჭამას.

— რატომ არ ჭამ? არ მოგწონს?

— კი მომწონს, მაგრამ ხვალ შევჭამ; ახლა ისეთი გამძღარი ვარ, ნამცხვრის ჭამის თავი აღარ მაქვს.

— ბელა, მომისმინე, საყვარელო, მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: სიტყვა „გავძეხი“ მაინცდამაინც ღამაზი არაა, უნდა თქვა „დავნაყრდი“ ან „ზომაზე მეტი ვჭამე“.

— ჩვენ ასე ვლაპარაკობთ ხოლმე, — გოგონა უხერხულად შეიშმუშნა.

— ვინ თქვენ?

— მე და ჩემი მეგობრები.

— ბელა, მე და შენ უნდა ვიმეგობროთ. ხომ ასეა?

— ჰო, — თავი დაუქნია გოგონამ.

— ჰოდა, მინდა, კულტურულ, დახვეწილ ქალად ჩამოყალიბდე, რომელიც საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი იქნება. შენც ხომ გინდა, პატარა პრინცესა რომ გახდე?

— კი...

— ჰოდა, მაშინ უნდა დამიჯერო და როგორც გეტყვი, ისე უნდა მოიქცე. შევთანხმდით?

— კი.

— მაშინ, დაარტყი ხელი, — მარჯვენა გაუწოდა ანამ და გოგონამ ხელი „დაურტყა“, — ახლა ის მითხარი, სკოლაში დადიხარ?

— ადრე დავდიოდი. 2 წელია, აღარ დავდივარ.

— სკოლაში აუცილებლად უნდა იარო. ივლი, ხომ?

— კი, ვივლი. იმიტომ აღარ დავდიოდი, რომ არც წიგნები მქონდა, არც ტანსაცმელი, ბავშვები კი დამცინოდნენ, „სასაფლაოს დედოფალს“ მეძახდნენ და „მკვდრების ანგელოზს“. ძალიან მწყინდა და შინ სულ ატირებული მივდიოდი ხოლმე, — ბელას თვალზე ცრემლი მოადგა და გაჩუმდა.

— თუ გინდა, ნუ მომიყვები, — შეეცოდა ანას.

— მერე ბებიამ მითხრა, სკოლაში სიარულს აზრი არა აქვს, შენგან მაინც არაფერი გამოვა და რვეულებში ფულს ნუ დამახარჯვინებო. ჰოდა, იმის მერე აღარ მივლია.

— დედაშენი სადაა?

— დედა არ მახსოვს. არასოდეს მინახავს. ბებიამ მითხრა, რომ მოკვდა, მაგრამ მერე ერთ ნაცნობს ელაპარაკებოდა და ეუბნებოდა, იმან არ გაიხაროს ამ ბავშვის ცოდვით, რომ გააჩინა და ასე დააგდო ჩემს იმედად, ნუთუ არ აინტერესებს, სადაა მისი შვილი და როგორ ცხოვრობსო?!

— მერე, ჰკითხე ბებიას რამე?

— არა, ისე მოვიქეცი, თითქოს არ გამიგონია, რადგან შემეშინდა.

— რისი შეგეშინდა?

— იმისი, რომ ბებიას დედა არ მოეძებნა და მასთან არ გავეშვი.

— გამარჯობა!.. ვაა, ეს რა ჩიტუნა მოფრენილა ჩვენთან?! — ოთახის კარი ნინომ შემოაღო.

— მოდი, ნინო, ბელა გაიცანი.

ნინომ გოგონა გადაკოცნა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. თან ანას თვალით ანიშნა რაღაც, მაგრამ ის ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა...

ცოტა ხანში ნინომ ანა სამზარეულოში გაიხმო.

— შენი გოგონაა? — ჰკითხა თვალებაციმციმებულმა.

— არა, არა, ეს ბელაა. მერე მოგიყვები, ვინაა.

ანა უკან, ბელასთან დაბრუნდა.

— ბელა, იცი, რა ვქნათ?.. ისევ იმ სკოლაში მიგიყვან და ისევ იმ კლასში, სადაც დადიოდი... ხვალვე მოვაგვარებ მაგ საქმეს და ნახავ, ბავშვებს თუ არ შეშურდებათ შენი და გულზე თუ არ გასკდებიან...

ბელას გაეღიმა და კედელზე ერთ წერტილს მიაშტერდა.

— წამოდი, ახლა, დაიძინე. შენს ოთახს გაჩვენებ.

ბელა ანას გაჰყვა. უზარმაზარ საწოლში გოგონა სულ პატარა და უმწეო გამოჩნდა. ანას გული მოეწურა... აკოცა, ძილი ნებისა უსურვა და კარი გამოხურა.

შემდეგ ცოტა ხანს დედასთან და ნინოსთან იჭორავა... ძილის წინ გაახსენდა, რომ ირაკლისთან არ დაურეკავს და მისი ნომერი აკრიბა. ტელეფონი გამორთული იყო. რამდენჯერმე კიდევ მოსინჯა და რომ ვერ დაუკავშირდა, დაძინება გადაწყვიტა.

დაწვა, მაგრამ თვალი ვერ მოხუჭა. ისევ დარეკა ირაკლისთან. „მობილური ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების არიდან“... ცოტა შეშინდა, — ხომ არაფერი შეემთხვაო?! — მერე შიშის გრძნობას ეჭვმა სძლია... კარგა ხანს იბორგა ლოგინში. 2 საათი იყო, როცა კიდევ სცადა ირაკლისთან დაკავშირება, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ადგა, ჩაიცვა და კარი უხმაუროდ გაიხურა.

ცოტა ხანში ირაკლის სახლთან მივიდა, მანქანა შორიახლოს გააჩერა და სახლს გარშემო შემოუარა. მეორე სართულის ორი ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა... ტელეეკრანის გამოსხივებას უფრო ჰგავდა, რადგან შუქი ხან იკლებდა, ხან იმატებდა... კარგა ხანს იდგა და უთვალთვალებდა. თან წარამარა რეკავდა... უეცრად, ფანჯარაში ქალის სილუეტს მოჰკრა თვალი... ქალმა ფანჯარა მიხურა და იმავდროულად, კონდიციონერის ხმაც გაიგონა...

„აჰა, დასცხათ, ეტყობა... ამათ ვუჩვენებ, როგორია ნამდვილი სიცხე!“ — გაიფიქრა ეჭვით აკანკალებულმა და ღამის ადგილზე მოკვდა.

სახლს კიდევ ერთხელ შემოუარა და მაღალ, მკვიდრად ნაშენებ ღობეს დააკვირდა. კარი არსად ჰქონდა, ცენტრალური გამოსასვლელის გარდა. გადაწყვიტა, მანქანა მოსახერხებელ ადგილზე გაეჩერებინა და დალოდებოდა, რომ გაეგო, როდის წავიდოდა ღამის სტუმარი... მისი წასვლის შემდეგ, ირაკლისთან სტუმრობას აპირებდა...

ცოტა ხანში ჭიშკართან ჯიპი გაჩერდა. გიორგის მანქანა იცნო... ჭიშკარი გაიღო და მანქანა ეზოში შევიდა.

ანას გაუკვირდა და კიდევ უფრო გაუღვივდა ინტერესი. რამდენიმე წუთში ტაქსი მოვიდა და ჭიშკართან გაჩერდა. ანა მიხვდა, ტაქსი ქალს ელოდა... გიორგის მისვლის შემდეგ, ირაკლიმ, როგორც ჩანს, მისი გაშვება გადაწყვიტა. ანას ბევრი არ უფიქრია, „ბარდაჩოკიდან“ იარაღი ამოიღო, ქამარში გაირჭო, მანქანიდან გადავიდა და წამში ტაქსიში, უკანა სავარძელზე მოკალათდა.

— საით? — ჰკითხა მძღოლმა.

— ახლა კიდევ გამოვა ერთი და მერე წავიდეთ, — მძღოლს ხუთლარიანი მიაწოდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს ტაქსი სწორედ მას ელოდა.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. ეზოს ჭიშკარი გაიღო და ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზი ქალი გამოვიდა. მერე მანქანის წინა კარი გააღო და მძღოლის გვერდით, სავარძელზე მოთავსდა. ანამ ხელი მხარზე დააოდ და ყურში ჩასჩურჩულა:

— გადმოდი მანქანიდან და გამომყევი...

ქალი შეხტა. არავის ელოდა, მძღოლის გარდა და ისე შეშინდა, კინაღამ გული წაუვიდა. თუმცა მალე მოეგო გონს და ყვირილი დააპირა. ანამ იარაღი ამოიღო, კეფაზე მიადო და მხარზე ხელი წაჰკრა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მანქანიდან უნდა გადასულიყო. ქალმა კარი გააღო და გადავიდა. მაგრამ ვიდრე ანა გადავიდოდა, ის უეცრად ადგილს მოსწყდა და გაიქცა.

ანა დაეედევნა...

ძალიან მალე და იოლად დაეწია და ხელი ჰკრა. ქალი მიწაზე გაიშხლართა. ანამ წამოაყენა, მაჯაში ხელი ჩაავლო და თვალებში ჩახედა.

ქალი შეშინებული ჩანდა და ერთიანად ცახცახებდა...

— წამოდი, — მაჯაში მოქაჩა ანამ.

— რა გინდა? — წინააღმდეგობის გაწევა სცადა ქალმა.

ანამ მანქანის კარი გაუღო და წინ დასვა. ტაქსი როდის წავიდა, ვერც კი გაიგო. თვითონ საჭესთან დაჯდა და მანქანა დაქოქა. შორს არ წასულა, იქვე, მიფარებულ ადგილას გააჩერა და შეშინებულ ქალს გადახედა.

— ვინ ხარ? — დასვა პირველი კითხვა.

— ნანა.

— სახელი არ მაინტერესებს, იქ რა გინდოდა? — ირაკლის სახლისკენ გადააქნია თავი.

— ეგ არავის საქმე არაა.

— გოგო, შენ გგონია, ვხუმრობ და სალაზღანდაროდ ჩაგსვი მანქანაში?! ისე გაგაქრობ, კაციშვილი ვერ გაიგებს. თუ გინდა, კარგად, მშვიდად და უვნებლად მიხვიდე შინ, კითხვებზე პასუხები გამეცი. გასაგებია?

— კი, — თავი დაუქნია ქალმა.

— ჰოდა, ახლა მითხარი — დიდი ხანია, ირაკლის იცნობ?

— კი, დიდი ხანია.

— ჰმ, — ანას არ მოეწონა პასუხი, — მაინც, რამდენი ხანია?

— 3 წელია.

— რა ხდება თქვენ შორის?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?! ღამის 3 საათზე მამაკაცის სახლიდან გამოდიხარ და არაფერი?! საყვარლები ხართ?

— კი.

— გასაგებია... მაშინ, მე ხელს არ შეგიშლით, — მშვიდად თქვა, მაგრამ გული კი გამალებით უცემდა. — სად ცხოვრობ? — ჰკითხა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

— ვაჟაზე.

ორივენი დუმდნენ. ანამ გადაწყვიტა, ირაკლისთვის არაფერი ეთქვა და არც შეემჩნია რამე.

— ირაკლის არაფერს ეტყვი, ხომ? — მკაცრად მიმართა ნანას.

— არა, არ ვეტყვი.

— ასე აჯობებს. იცოდე, თუ სიტყვა წამოგცდა, მერე შენს თავს დააბრალე, სიცოცხლეს ჯოჯოხეთად გიქცევ და ირაკლისაც დაკარგავ, — ანა კი დაემუქრა, მაგრამ გულში გაიფიქრა, რომ ის უეჭველად ეტყოდა ირაკლის და აღიარა, რომ ეს საქციელიც სწორედ იმისთვის ჩაიდინა, რომ კაცის ყურამდე მისულიყო, თორემ ამ ქალის დასამორჩილებლად იარაღი სულაც არ სჭირდებოდა. ის ირაკლის დათმობას და ფარხმლის დაყრას არ აპირებდა და ფიქრობდა, რომ ამ ქალის ჩამოსაშორებლად უმტკივნეულო გზა უნდა მოეძებნა.

— კარგი, — ჩაილაპარაკა ნანამ.

ანამ ის სახლამდე მიიყვანა და არც დამშვიდობებია, ისე წამოვიდა.

გამოძინება ვერც კი მოასწრო. დილით დედის საყვედურებს თავი დააღწია და შინიდან გავიდა. ჯერ იმ სკოლაში მივიდა, სადაც ბელა სწავლობ-



და. დირექტორს შეხვდა და შეუთანხმდა, რომ გოგონა სკოლაში დაებრუნებინა.

— კი, მაგრამ მაგ ბავშვს 2 წელია, სკოლაში არ უვლია და ახლა თავისსავე კლასში როგორ დავაბრუნებ?! — გაუკვირდა ქალს.

— მაგაზე ნუ იდარდებთ: ბელა უეჭველად დაეწევა დანარჩენებს, ამის პირობას გაძლევთ. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღე რჩება და წლის ბოლომდე ბელა პირველიდან მეექვსე კლასამდე მთელ სასწავლო

კურსს ჩაგაბარებთ.

— ვნახოთ. თქვენ თუ ამას შეძლებთ, ჯადოქარი ყოფილხართ, — ეჭვით ჩაილაპარაკა დირექტორმა.

სკოლიდან გამოსული არც იყო, რომ შეშფოთებულმა დედამ დაურეკა, — ბელა გაიპარაო. ანა დაფეთდა, ანერვიულდა. სად უნდა მოეძებნა გოგონა?! იფიქრა, ბებიასთან საავადმყოფოში მივიდოდა და თვითონაც იქითკენ გაეშურა. მანქანა ისე გააჩერა, რომ თუ ბელა იქ მივიდოდა, ვერ დაენახა, თვითონ კი შენობაში შევიდა.

სანამ პალატის კარს შეაღებდა, ექიმი მოინახულა. გული დასწყდა, როცა ექიმმა უთხრა, რომ მოხუცის გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობდა: აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ფილტვების ანთება კი არა, ციროზიც ჰქონია: ღვიძლი ისე აქვს დაშლილი, ვეღარაფერს ვუშველითო...

ანა პალატისკენ გაემართა. კარი შეაღო თუ არა, ბელა დაინახა.

— აქ ხარ? გული რატომ გაგვიხეთქე?! — მაშინვე მივარდა გოგონას.

ბელას თავისი, ძველი კაბა და ფეხსაცმელები ჩაეცვა და ისე წამოსულიყო, მაგრამ ანას ამის გამო საყვედური არ დასცდენია. არც კი შეიმჩნია.

— ბებიას ნახვა მინდოდა, — ჩაიბურტყუნა ბელამ.

— შემპირდი, რომ სხვა დროს ასე არ მოიქცევი. მპირდები?

— კი, გპირდებით.

ანამ ბელას ბებიასთან საუბარი დაუცადა და შემდეგ სთხოვა, მანქანაში დალოდებოდა. გასაღები მისცა და ასწავლა, როგორ უნდა გაეღო პულტით კარი.

— როგორ გრძნობთ თავს? — ჰკითხა მოხუცს, როცა გოგონა პალატიდან გავიდა.

— ცუდად ვარ, შვილო. გუშინ ექიმმა მითხრა, რომ დიდი დღე აღარ დამრჩენია. ვიცი, მალე წავალ ამ ქვეყნიდან და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ჩემს გოგონას შეხვდით. ხანდახან მაინც მიხედავთ და მთლად ღვთის ანაბარად არ დატოვებთ.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო?! ბელა ჩემთან წავიყვანე წუხელ და ყურადღებას არც შემდეგ მოვაკლებ. თქვენ კი კარგად იქნებით აუცილებლად.

— არა, შვილო, მაგ ზღაპრების არ მჯერა და სჯობია, შინ წამიყვანოთ. ჩემი მკურნალობისთვის ფულს ნუ დახარჯავთ, მაინც წყალს უნდა გაატანოთ.

— დარწმუნებული ვარ, რომ კარგად იქნებით, ქალბატონო, ცუდზე ნუ იფიქრებთ.

— მხოლოდ ჩემი გოგონას დარდი მიმყვება. რაც შემეძლო, ყველაფერს ვუკეთებდი, მაგრამ ბევრი არაფერი შემეძლო.

— მე მისი სკოლის დირექტორს უკვე მოველაპარაკე და სკოლაშიც ივლის.

ქალი დაფიქრდა. კარგა ხანს დუმდა და მხოლოდ თავს აქნევდა. თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო. შემდეგ ანას ანიშნა, ახლოს მისულიყო და ჩურჩულით უთხრა:

— მისამართს გეტყვით, სადაც ჩემი ბელას საბუთებს გადმოგცემენ. სასაფლაოზე, იმ ჩვენს „ბუდკაში“ ვერ შევინახავდი და ამიტომ, ახლობელთან მაქვს. იქ ყველაფერია, რაც საჭიროა და ბელას შესახებ ყველაფერს გაიგებთ.

— მივალ აუცილებლად. დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ასეთი ლამაზი და კარგი გოგოს დედა. კარგი შვილიშვილი გყავთ.

— შვილო, სანამ ცოცხალი ვარ, შემიძლია, შვილად აყვანის საბუთებს ხელი მოვაწერო... არ გაძალებთ; რადგან თავად თქვით, იმიტომ გეუბნებით.

— კარგი, მაგას მე მოვაგვარებ.

— ცოტა დააჩქარე, შვილო, თორემ მე დიდი დღე აღარ მაქვს.

— კარგი, დავაჩქარებ. ამ დღეებში აუცილებლად მოვაგვარებ მაგ საქმეს.

ანა მოხუცს დაემშვიდობა და ეზოში ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე თვალით ბელა მოძებნა. ის მანქანაში იჯდა და მშვიდად ელოდა.

— წავედით ახლა, მაღაზიებში გავიაროთ. ისევ ეს კაბა რატომ ჩაიცვი?

— რომ გავიღვიძე, სახლში არავინ იყო, მე კი ბებიასთან მინდოდა წამოსვლა და ვიფიქრე, ახალი კაბით რომ წავიდე, შეიძლება იფიქრონ, რომ მოვიპარე, ამიტომ, ისევ ჩემი კაბა ჩავიცვი, — გოგონა ისე ლაპარაკობდა, რომ ანას მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეეპარვია. ასევე, დახეული კაბითა და ფეხსაცმლით წაიყვანა მაღაზიაში და თავიდან ფეხებამდე შემოსა. რამდენიმე ხელი ტანისამოსი, ფეხსაცმელი უყიდა და შინ დააბრუნა.

— როგორ ვინერვიულე!.. სად წახვედი, შვილო? — მსუბუქად უსაყვედურა ციცომ.

ანამ გოგონა ახალ ტანისამოსში გამოაწყო.

— მოგწონს? — ჰკითხა გაღიმებულ ბელას.

— კი, ასეთი ტანსაცმელი არასოდეს მქონია, — თავი დაუქნია ბელამ.

— ამას რა ვუყოთ? — ძველ კაბაზე მიუთითა ანამ, რომელიც იატაკზე ეგდო.

— ამას შევინახავ. პარკში ჩავდებ და საწოლის ქვეშ შევდებ.

— შენს ოთახში არის გარდერობი, რომელიც მხოლოდ შენია და შეგიძლია, ტანისამოსი იქ შეაწყო.

„როგორც ჩანს, მაინც ჰგონია, რომ აქ დროებითაა და კაბას იმიტომ ინახავს“, — გაიფიქრა ანამ.

— იცი, მე მინდა, ერთი რამ გკითხო. შეიძლება?

— კი, შეიძლება, — თავი დაუქნია ბელამ.

— გინდა, ჩემი შვილი იყო?

ბავშვი დაფიქრდა.

— კი, — დაუქნია თავი პაუზის შემდეგ.

— იმისათვის, რომ ჩემი შვილი გახდე, საჭიროა სხვადასხვა საბუთის მოგროვება, ბებიას თანხმობა და სასამართლოც... ეს ყველაფერი დიდ ენერგიას მოითხოვს და მე მზად ვარ, რომ დავიწყო ამ საქმის მოგვარება. ხომ არ გადაიფიქრებ მერე?

— არა, — შემდეგ ჩაახველა, — ბებია?..

— ბებია რომ გამოჯანმრთელდება, იმასაც ჩვენთან მოვიყვანთ და ერთად ვიცხოვრებთ.

— მაშინ, არ გადავიფიქრებ, — თავდაჯერებულად თქვა.

ანამ გოგონა გულში ჩაიხუტა და თავისი ანა გაახსენდა...

„ხომ შეიძლებოდა, ისიც ასეთ გაჭირვებაში გაზრდილიყო!.. ასე რომ ყოფილიყო, მურთაზს საფლავიდან ამოვთხრიდი და ყვავ-ყორნების საჯიჯგნად გავხდიდი“, — გაიფიქრა ქალმა და ბელა კიდევ უფრო მიიკრა გულზე.

შემდეგ, — წავედიო, — თქვა, ბელას დაუბარა, რომ მის დაუკითხავად შინიდან არ გასულიყო და სახლის კარი გაიხურა.

პირდაპირ გიორგის ოფისისკენ გაემართა. იქ მისულმა, ჯერ ნუგზარი მოინახულა და დაადგინა, თუ რა საბუთები სჭირდებოდა ბელას შვილად აყვანას; დაავალა, რომ უმოკლეს დროში მოეწესრიგებინა, იმ ხალხის მისამართი მისცა, სადაც ბელას საბუთები ინახებოდა და შემდეგ, გიორგისთან შევიდა.

— ანა, როგორ ხარ? სად დაიკარგე? საღამომდე რომ არ გამოჩენილიყავი, დარეკვას ვაპირებდი.

— მოგენატრე?.. — გაუღიმა ქალმა.

— მომენატრე კიდეც და ზეგ ვარშავაში მივფრინავთ, დაგავიწყდა?

— სიმართლე რომ გითხრა, ნამდვილად დამავიწყდა, მაგრამ მოსამზადებლად ბევრი დრო არ მჭირდება. მივდივართ და მივდივართ... ახალი რა არის? წუხელ შენი მანქანა ქალაქში შემხვდა, სად მიდიოდი შუაღამისას?

— წუხელ შენ იყავი ირაკლისთან? — მოულოდნელად ჰკითხა გიორგიმ.

— მე?! შუაღამისას ირაკლისთან რა მინდოდა?! არა, მე არ ვყოფილვარ. ვინმე ჰყავდა? — გულუბრყვილოდ ააფახულა ქალმა თვალები.

— არა, არავინ... ალბათ მომეჩვენა.

— მაშ, ზეგ მივდივართ, არა?.. ირაკლიც მოდის? მისი ბილეთიც აიღე?

— კი, მოდის. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ამბობდა, რომ მოდის...

— და რა შეიცვალა დღეს? — ანა დაიძაბა.

— არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ძალიან გაბრაზებული ვარ, ანა, შენზე, — ირაკლი როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეუმჩნეველად წამოადგა თავზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზა ეკონილები

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო კარგებო... თემამ მოიტანა და... თქვენც კაი შეშლილები მყავხართ (იმედია, არ გეწყინებათ, რადგან მოფერებით გეუბნებით). ალბათ, ამას რომ ვამბობ, არავის გაუკვირდება, რადგან უბრალოდ, იმ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ, რომელიც თქვენთვისაც ცნობილია. ხომ გახსოვთ, ერთხელ „გზავნილები“ გაკვეთილს შევადარე, „მობილი-ზაცია“ — დასვენებას, ჩემი თავი კი მასწავლებელს... ჰოდა, ახლა ყველანი წყნარად დასხედით, ხელები თქვენ წინ, მერხზე დაანყეთ და მომისმინეთ: მორჩა! დამთავრდა თავხედთა პარპაში ჩვენს სკოლაში! ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს „ჯურღმულ-იორკში“ ვუშვებ (რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მესიჯები დაიბლოკება, გარკვეული დროით)! ამჯერად სავსებით სამართლიანი ვიქნები, თუ „ჯურღმულ-იორკის“ ჯერჯერობით ერთადერთ კანდიდატად დოლარას დავასახელებ (1 კვირის ვადით). ამ კვირაში მოსულმა მისმა მესიჯებმა ლამის ინფარქტი მიმაღებინა. მესმის, რომ არც ერთი ოჯახი (ჩვენც ოჯახივით ვართ და თან — მრავალრიცხოვანი) არაა კამათისა და ჩხუბის გარეშე და ჩვენთანაც, ყველა ადამიანი ერთმანეთს ვერ გაუგებს... მერე რა, რომ ერთმანეთს ცოტას უკბენთ, ცოტას უსაყვედურებთ... მთავარი ზომიერების დაცვაა და მე, როგორც „გზავნილების“ „მეთვალყურე“, თქვენზე უფროსი ადამიანი და უბრალოდ, ქალი, მოვითხოვ, კორექტულნი იყოთ და უმსგავსი სიტყვები მობილურზე არ გამოგზავნოთ (ეს უკვე სერიოზულად). არავის (მათ შორის — მეც) სიამოვნებს უცენზურო სიტყვების წაკითხვა და მით უმეტეს, — ამის ფურცელზე გადატანა. შესაძლოა, ახლა ცოტა ზედმეტი მომდის და ძალიან მკაცრი ვარ, მაგრამ ეს უნდა მაპატიოთ, მით უმეტეს, რომ ყველას არ გეხებათ. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს მხოლოდ დოლარას ვსაყვედურობ. თქვენ მიერ მოწერილ, ჩემ მიერ შერბილებულად დაბეჭდილ მესიჯებს გადახედეთ და მიხვდებით, მის გარდა ვინ უნდა გაითვალისწინოს. ახლა კი თქვენ მიერ დანახული „შეშლილი სამყარო“.

ეშლილი, ეშლილი, ეშლილი სამყარო

შეშლილი ნათესავები

„ერთხელ ბაბუაჩემის საფლავზე გავედით. სასაფლაო 4-ადგილიანია და სამი ცარიელია. სწორედ იმ სამი ადგილის გამო მოუვიდათ საშინელი ჩხუბი მამაჩემსა და მამიდაჩემს. მამაჩემმა თქვა: მამაჩემის გვერდით დედაჩემი დავკრძალოთ, მათ გვერდით კი მე დამასაფლავეთო. ეს რომ მამიდაჩემმა გაიგო, ატეხა ერთი ამბავი, შენ კი არა, მე უნდა დამასაფლავონ ამ ადგილზეო, აქ შენ არ დაიკრძალებიო და დაიწყეს მაგარი ჩხუბი, ყვირილი, ღრიალი და ატეხეს ერთი ამბავი იმის გამო, რომ სასაფლაოს ადგილს ვერ იყოფდნენ. ჩვენ კი მათ შემხედვარე ვიცინოდით. ბოლოს, დედაჩემმა მამაჩემს უთხრა, შენ ნერვებს ნუ იშლი, დაწყნარდი, შენს დას კი ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროსო. ყირამალა“.

დატირება

„ვაა ბიჯო, ბიიჯო, ბიჯოო, აი, საჩემო თემაც გაიჩითაა. შეშლილობა უდიდესი რადიაციული დასხივებასავითაა და ყელში მოწოლილი სიცილივით გადამდები. შეშლილებზე საკაიფო ამბების მთელი დასტა მაქვს. არის მზის 3 ფაზა: ამომავალი, ჩამავალი და დაბნელება. ასეაა კაცის — ამ შემთხვევაში თედო პაპას ცხოვრებაც. პირველ, ამომავალ ფაზაში თედო პაპა დაიბადა, გაიზარდა, დაცოლ-წვრილშვილდა და ხანდაზმულობისას მეორე, ჩამავალ ფაზაში გადავიდა. მისმა ტვინმა ჩვეულ ნორმატივებს გადაუხვია და ახალი სიჩქარე აკრიფა, მძიმე სკლეროზისკენ. ცოლს ბებიას ეძახდა და შვილიშვილს — დედას. მეორე შვილიშვილს „შორტები“ მოჰპარა და ისე მოიხდინა, ვეღარ გაახდევინეს. დადგებოდა შუა ეზოში, ხელი-ხელს (თვითონ ეგონა, რომ — ფრთა-ფრთას) შემოჰკრავდა და ხმის ჩახლეწვამდე ყიოდა: ყიყლიი-ყოო, ყიყლი-ყოო! ჰოდა, ასე, „შორტებში“ გამოწყობილი და ბოლო ყიყლი-ყოს ძახილით გადავიდა მესამე — დაბნელების ფაზაში. მიაგო ოჯახმა ბოლო ამქვეყნიური პატივი, დაასვენეს „ზალაში“ და დააყარეს ნატურალური თუ ნათხოვარი ცრემლები. თედო პაპას უფროსი და, ანეტა, რომელიც სადღაც, მივარდნილ სოფელში იყო გათხოვილი, ჩამოვიდა და გამყინავი კივილით დააცხრა გულხელდაკრეფილ ძმას და ჯანჯღარი დაუწყო: ვაიი-მეე ძმა-ოო, არა მჯერაა, სულაც არ ხარ ინგრეთი მკვდარიი, როგორც რომა თავს გვაჩვენებ, უიი, შენი წყალი გადაესხაას, ვინც შეენ გულზეე ხელები დაგაა-კრეფიი-ნაა-ოო. ვიდრე მკვდრების გამპატიოსნებელი მეზობელი დარეჯანა მოტვინავდა, მე მწყევლიანო, მამიდას ტირილში თედო პაპას შვილი, ნათელა, ურიგოდ ჩაეჭრა: ვაიმეე, მამიი, რა ტკბილათ დაგვზარდე ბალღები, რო ერთი ხმიითვინ არ აგიწევია, ამ ხნიი ქალი ვაარ და ჯეერ კაცის ხელი არ მაამხვედრიიაოოოო... სამაგიეროდ, სხვა რამე მოგხვედრიაოო, ქალღოო, — შემთხვევით თუ განგებ მიატირა შინაბერა მულმა და ყველამ ერთდროულად ხველა ავტეხეთ. არადა, სულ არ „გვეხველებოდა“, მაგრამ ვარჩიეთ, სიცილის ნაცვლად ხველით დავმხრჩვალიყავით. ნუუ, იმ დღეს კი გადავურჩით ჩაბჟირებას, მარა გასვენებისას ცხონებული თედო პაპა მაინც სულ მხრების ნერვული თახთახითა და მოგუდული სიცილით მივაცილეთ, უკანასკნელ გზაზე. შუა გზაზე ვიყავით, როცა ტირილით დაღლილ ჭირისუფლებს მეზობლის ქვრივი ქალი, მარგო ბაბო შეენაცვლა ისე, რომ სულ გული ამოიგდო: ბიჭო, თედოო, ააიქ როო მიხვაალ შე გაუხარეელოო, ჩემი თანდილა მამიკითხეე, ნეენაა, უუთხარ ბიჯოო, შენმა მარგუამა უშენოდ გამოზარდა ბალღები-თქოო, ნეენაა, უუთხარ, ბიჭოო, სამივე დაცოლშვილდა-თქვა და სამთავეს კაი ცოლები შეხვდა-თქოოოო, ნენაა, უუთხარ ბიჭოო, ცოტა გოგო დაგვეჩაგრა ავანტყოფობითა და ჩვილი ნაადრევად შევაგლიჯეთ დედის ძუძუს-თქვა, ნენაა, უუთხაარ... აქ კი ვეღარ მოითმინა გაუთავებელი უთხარ-უთხარის ძახილი თედო პაპას ცოლმა და მარგო ბაბოს ცოტა გამწყრალი ხმით მიატირა: რა უნდა უთხრას ქალოო, ამდეენ რამეეი ნუ ააბარებ ჩეემ გაუხარეელ თედოსაა, ვააი, ბოლო 4 წელი სკლეროზიი ჰქონდა დაა მაიინც ვერ დაიხსომეებს მარგოო, ვაი, წერილი დაუწერე ქალოო, შენიი ავტობიოგრაფიითაა და კოსტუმიი ჯიბეში ჩაუდევი თედოსაა, მააარგოო, ვააი... აქ კი ყასიდადაც ვეღარ ჩავახველეთ, ისეთი სიცილი აგვიტყდა, თითქოს „იუმორინას“ კონცერტზე ვიყავით. კუბოს წამღებ 4 ვაჟკაცს ღამის კუბო გაუვარდა ხელიდან. ცხვირსახოცებს სულ თეთრი ბაირაღებივით ვაფრიალებდით. მოკლედ, თედო პაპა აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა. ის სიცილი კი გვეპატიება, რადგან შეშლილ, შეშლილ, შეშლილ სამყაროში ვცხოვრობთ და სიცილ-ტირილიც ასეთი გვაქვს. ბერბიჭა“.

მეგრული ინგლისური

„საბჭოთა კავშირის ბოგინის მიწურულს, კომუნისტური რეჟიმით თავგაბეზრებული ერთი მეგრელი რუსეთის ერთ მხარეში ჩასულა და შრომას დაზარებულს, გადაუწყვეტია, ამ კარჩაკეტილი ქვეყნის პატარა მხარის მცხოვრებნი იმ დროს ფუფუნებად ქცეული ენით, ინგლისურით გაენათლებინა. დასახული მიზანი აასრულა კიდეც და დათქმულ ვადაში თავის მოწაფეებს სულ სხაპასხუპით ჩააბარებინა ამ უცხო ენაში მშობლების თვალწინ გამოცდა და რა თქმა უნდა, ჯამაგირიც შესაბამისი აიღო. უკვე ენათმცოდნე ახალგაზრდები ქალაქს წასულან, უმაღლესი ცოდნის მისაღებად. ავტობუსში დამსწრე საზოგადოების თავმოსაწონად ერთმანეთთან დაუწყიათ ახალათვისებულ ენაზე ჭიკჭიკი, რომ იქვე, უკანა რიგებიდან ვიღაც კაცს გამოუყვია თავი, ხელები ფართოდ გაუშლია და რბილი აქცენტით უთქვამს: რუსებს ხოლო ნორჩქვენანიაო მარგალური პატენი (რუსებსაც გცოდნიათო, მეგრული, პატენი). როგორც მიხვდით, ინგლისურის მაგივრად მეგრული უსწავლებია, იმ საწყალი რუსებისთვის. ახია მაგათზე, არა შეჯდა რუსი ხესა, ვერ ეღირსება ევროპას, ნუ ედრის მეტსაო. ლიმონა“.

დედა

მარ, შენი შეშლილი ელექტრა გწერ. გიფიქრია ოდესმე, რა კარგი სიტყვაა დედა? თუმცა, შენ კი არა, ცივილიზაციის დასაბამითვე უფიქრიათ და დედაზრად ვშრომობთ, ვიბრძვით, ვწვალობთ ისე, როგორც ორი ათასი წლის წინათ წვალობდა ვიღაც. არც კი ვიცი, ამ ყველაფერს რა დავარქვა, ვიტირო თუ ვიცინო? მარადიული კითხვა: რატომ და რისთვის? პასუხი კი, როგორც ორი ათასი წლის წინათ, არც ახლაა... მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ არსებულ სამყაროში უპირველესი და აღმატებული ცნებების თავსართი დედა გამხდარიყო. ჰოდა, ნუ დამცინებ, თუ გეტყვი, რომ ჟურნალი „გზა“ ჩემთვის დედა-„გზაა“, ხოლო გზავნილ-იორკი — დედა-გზავნილეთი. გინდა, გაგიზიარო, როგორია დედა-„გზის“ როლი ჩემი აღზრდა-განვითარების საქმეში და რა სარგებლობა მოაქვს მას? 1. როცა პირველად ვიხილე ჟურნალი „გზა“ და მისი დაგროვილი საგანძური გადავაბულბულე, დამეუფლა აღმაფრენა და სანერწყვე ჯირკვლების გაშრობა, რადგან ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება და... მეც ბულბულივით მივუმღერე: ააქ რამ მოგიყვანა, შეე დეედამადლიანო შენა, ჰაა? (ანუ ყოველ ხუთშაბათს ამ დედამადლიანის ციებ-ცხელება შემეყარა). 2. ჩემმა ნიჭმაც „ბუთქა“, კალამიც დავამხეცე და მგზავნელად აღმოვცენდი (ვისწავლე მსუქანი და კალორიააკრეფილი წინადადებების კორექცია). 3. ვიგებ კულისებში მომზადებულ მსოფლიო დონის ჭორებს (რაც ენის მოფხანვის საშუალებას მაძლევს). 4. მასში უახლესი ეპოქის მაჯისცემა იგრძნობა, რომელიც ჩემს პულსაციასთანაა თანხვედრაში. 5. ზოგ კრიმინალურ ინფორმაციაზე ჩემი გულის ამტანობაზე თვითკონტროლს ვკარგავ. 6. ზოგიერთი პოლიტიკოსის ინტერვიუზე (განსაკუთრებით არჩევნებისას), სურვილი მებადება, პერფორაციული ბურღით თავის ქალა გავუხვრიტო და ტრეპანაციის შედეგად მათი ტვინის შიგთავსი გამოვიკვლიო (ანუ პროფესიის არჩევაში მეხმარებით). 7. რელიგიური გვერდი მიჩვენებს ჭეშმარიტების გზას, რომელიც ტაძრამდე მიმიყვანს (და ცოდვებს შემინდობენ). 8. პროვოკატორი ააქტიურებს ჩემი იუმორის აღქმის კულმინაციურ წერტილს (ვიღებ უფასო სიცილოთერაპიას). 9. ლიკა ქაჯაიას საშველად მავედრებელმა თინეიჯერმა ბავშვებმა მასწავლეს სწორი დიაგნოზის დასმა (პროფესიის პრაქტიკა). 10. „ერუდიტის“ რუბრიკით და გრაფ თარხანისგან ბევრი ჩემთვის უცნობი

ფაქტი გავიგე (ტვინი კომპიუტერივით ტევადი გამიხდა). 11. ცუდმა და ყურით მოთრეულმა გზავნილებმა მასწავლა კარგი გზავნილების გამორჩევა და გამიმძაფრა მარი ჯაფარიძისადმი თანაგრძნობა, მასწავლა, როგორ გავაჩერო აქაფებული ენა (ნუ ახლა არქიმედემ დედამიწის ღერძი გააჩერა და მარი ჩემს გაჩერებას ვერ შეძლებს? ოღონდ ახლა არა, მარ). 12. ახლა კი ჩემო მარი, მგზავნელის უფლებას გამოვიყენებ (თან, თემაც ხელს მიწყობს) და ყველა შეშლილის ჯიბრზე, ორ კითხვას დაგისვამ: ააბა, მაარისელა, რა სარგებლობა მოაქვს შენთვის დედა-„გზა“-ვნილეთს და ელექტრაას (...ეს ადგილი შენი კომენტარისთვისაა მარ, ოღონდ არ მითხრა, ჩინჩლავსო)? 13. ააბა, მარისელა, მეორე კითხვაც, რა განსხვავებაა შენსა და ლენინს შორის? თავად ვუპასუხებ: ლენინი შაბათობებს აწყობდა, შენ ხუთშაბათობებს აწყობ. ლენინი დიადი კომუნიზმის მამამთავარი იყო (ისემც არ ღირსებია მის მუმიას მიწა!) შენ კი გზავნილ-იორკის, „სიტუაციებისა“ და მინირომანების დედამთავარი ხარ (ნეტავ, მამა ვინ გამოდის?). მოკლედ, მშვენიერი თემა გამოვიდა და დაე, გზავნილეთის ჭიშკარი სულ ღია იყოს და თაობები გამოზარდოს. ბერბიჭას სასწავლებელში (გასკდით გულზე ჩაჭრილებო) ერთი სადღეგრძელო ვისწავლე და იმით დავამთავრებ: მოდი, ჩვენს გავლილ, სავალ და გასავლელ (წამოუჩოქებელ) გზას გაუმარჯოს და უკან მოხედვის არ შეგვრცხვენოდეს. ელექტრა“.

გაქცევა

„შეშლილი მსოფლიო არა და შეშლილი საბავშო ბაღის პერსონალი ნამდვილად მინახავს. როცა პატარა ვიყავი, ბაბუაჩემს დავყავდი ბაგა-ბაგში. მორიგი „ვოიაჟის“ დროს დამტოვა და თვითონ სამსახურში წავიდა. ჰოოდა, ჩემში გაღვიძებულ პროტესტის გრძნობას შუადღის ძილთან დაკავშირებით, წინ ველარ აღვუდექი და გაპარვა გადავწყვიტე... როცა „მოვიდა დრო ესე განსვენებისა“, გადავედი ქმედებაზე. ძილის წინ ბავშვები ტანსაცმელს სკამის საზურგეზე გადავკიდებდით ხოლმე, ლამაზად. მე კი ტანსაცმლიანი დავწექი. გავიდა ცოტა ხანი და მორიგი „აბხოდის“ შემდეგ, როცა ძიძა დარწმუნდა, რომ ყველას ეძინა, ავდექი და ნელ-ნელა კარისკენ წავედი. ავუარე გვერდი ჭიქა ყავასთან მოჭორიკნე „ტირანებს“, რომლებიც ჩუმად ლანძღავდნენ ბაღის გამგეს და ყურადღება არც მოუქცევიათ, წითელრეიტუზიანი (ოჰ, რა საშინელი პერიოდი იყო) ბიჭისთვის, რომელიც თავისი ჭკუით, მიიპარებოდა გასასვლელი კარისკენ. ფოიეში პატარა კარადები იყო ხოლმე, სადაც ფეხსაცმელებსა და ქურთუკებს ვინახავდით. ჰოდა, ამ კარადას გულგრილად ავუარე გვერდი და გავტანტალდი ეზოში, საიდანაც არც ისე შორს, ჩემი სახლის აივანი მოჩანდა. მივჩერჩეტდი სახლში და ავტეხე ბრახუნი. კარი დედამ გააღო და გაოცებისგან თვალები გაუდიდდა და უკან-უკან წავიდა. მერე მახსოვს, ბებიაჩემის წარბშეკრული გამოხედვა და კითხვების კორიანტელი, თუ ვინ მომიყვანა სახლში და ასე ადრიანად ვინ მომწყვიტა ბავშვებთან გართობას. ეგონათ, ისევ ბაბუაჩემმა გამომიყვანა, მააგრაააამ ბაბუმ რომ დარეკა სახლში და ბებომ უთხრა, დაგეტოვებინა ბავშვი ბაღში კიდევ, რას მოარბენინებდიო, მაშინ კი ატყდა ერთი ამბავი და ალიაქოთი. ბებო აქეთ და დედა — იქით. დაურეკეს მამაჩემს (იმ დროს მილიციელი იყო) და რეაგირების მოხდენა სთხოვეს, აღნიშნულ საკითხზე, თუ როგორ ვერ აქცევენ ყურადღებას ბაღში ბავშვებს. უცებ, ამ ქაოსში გაისმა ზარის ხმა და ბრახაბრუხი კარზე. დედამ გააღო და რას ვხედავ? ბაღის გამგე ოფლს იწმენდს, მის უკან კი მეთოდისტი იცრემლება. მათ უკან კი „ყავისტებს“ მოეყარათ თავი. მე რომ დამინახეს, ერთბაშად ამოისუნთქეს და კოპები შეკრეს. დედამ შემოიპატიჟა და წავიდა ჩემი სასამართლო „საქმენი საგმირონიას“ განხილვა. ამ დროს მამაჩემი და ბაბუ მოვიდნენ. როცა დამინახეს, გულში ჩამიკრეს და ბაბუმ ყველას გასაგონად თქვა: რადგან ყველაფერი კარგად დამთავრდა, ეს უნდა აღინიშნოსო. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაიყოლია პედსაბჭო, 1-2 „წვეთის“ დალევაზე. წვეთი კი არა, ისე გაეხსნათ, გამგემ განსხვავებულები რომ „აჯახა“ დანაჩენებს, აი, მაშინ მივხვდი, უკვე „მაგრად იყვნენ“. ვიღას ახსოვდა ბაღი და აღსაზრდელები? მოკლედ, სულ სიმღერით გავაცილეთ და აღარც მე მომიხდა მეტი საყვედურების მოსმენა, მაგრამ ეს ამბავი გასკდა და ყველა „მონაწილე“ დაითხოვეს. ვინ შეარჩენდა საბჭოთა პერიოდში ამას? ესეც შეშლილებიი... ნუ, ახლა ამ მესიჯის კორექტირება შენთვის მომინდია მარი და ზემოთ ნახსენები ამბავი მოხდა თემქაზე. ნამდვილია, მოგონილი არაა. გკოცნით, გიო-გიო“.

„მშია“

„ჩემი უფროსი მეგობრის მეზობლად მართლაც რომ, „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი ოჯახი“ ცხოვრობს. დათო ჩასიძებულია. მოგეხსენებათ, როგორი რთულია ცოლის ოჯახში ბატონობა. სწორედ ამიტომაცაა მთელი დღე და ღამე დადუმებული და მხოლოდ მაშინ იღებს ხმას, როცა ძალიან მოშივდება. მხოლოდ ერთ სიტყვას, „მშიას“ ამბობს და ამ დროსაც ერთ ამბავს აწევენ ცოლი, ცოლისდა და სიდედრი. სიმამრი კი შეხვდა გამგებიანი კაცი, მაგრამ სამ ქოფაკ ქალთან ვერც ის ბატონობს. ერთ დღეს ბევრი ითმინა დათომ, მაგრამ შიმშილს ველარ გაუძლო და ძლივს გაბედა იმ ერთი სიტყვის თქმა.

ცოლი: არ გამაგიჟო, მართლა?!

ცოლისდა: მოშივდა ვაუბატონს.

სიდედრი: მოშივდა კაია!

დათო: მშია!

ცოლისდა: არ გვაქვს საჭმელი!

სიდედრი: რა მოიტანე, რომ გაჭამოთ?

დათო: ქალო, მაჭამე რამე!

ცოლი: ცეცხლი ჭამე, შენ გადაგაშენა გამჩენმა.

შეწუხებული სიდედრი მიმართავს შვილს: შენ გაგიხმა თავი შვილო, ამის აქ მოთრევისთვის.

დათო: მშია!

ცოლი: ეგ სიტყვა აღარ გავიგონო შენი პირიდან, თორემ თავს გაგიხეთქავ.

დათო: მშ...

ცოლმა მართლა გაუხეთქა თავი, ახლა საავადმყოფოში წევს, ყოველდღე ნაირ-ნაირი სანოვაგე მიაქვთ მასთან ცოლს, სიდედრსა და ცოლისდას, რათა მალე მომჯობინდეს და შინ დაბრუნდეს. სინდისმა შეაწუხა ქალბატონები, მაგრამ დათო თავის ექიმს შეუთანხმდა და საავადმყოფოდან გამოსვლას კარგა ხანი არ აპირებს. რა, გიჟია, საავადმყოფოდან გამოვიდეს და საგიჟეთში შევიდეს? ლუნა“.

„როგორი იყო ადრე „გზა“?

„ჰოდა მარ, ვიღებ კალამს და გითვლი სალამს. სალამიც და მესიჯიც მხოლოდ შენ და თუ გინდა, ნურავის წააკითხებ. აპრილში 3 წელი მისრულდება, რაც მგზავნელი მქვია. ამ 3 წელში „გზაში“ დავინახე, გავიგე და წავიკითხე, თუ როგორ უთხრიან ერთმანეთს ძირს და როგორ ავრცელებენ ერთმანეთზე უაზრო ჭორებს. არ გეგონოს, მხოლოდ ცუდს ვხედავდე. იმასაც ვხედავ, როგორ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ აქ სიყვარული მხოლოდ გამონაკლისებს შეუძლიათ. 3 წლის წინ პატარა, 16 წლის ბავშვი ვიყავი და ნიკიც და აზროვნებაც შესაფერისი მქონდა. მახსოვს, როგორ მიკვირდა ბოლმით დატენილი მესიჯები. ისიც მახსოვს, პირველად მგზავნელები რომ გავიცანი, მეგონა, კარგი მეგობრები შევიძინე მათი სახით (რამდენიმესთან დღემდე ვმეგობრობ და დღემდე ძალიან მიყვარს ისინი). მერე ეს სიხარული ნელ-ნელა სხვა გრძნობებმა შეცვალა. მე არ მიტყდება შეცდომების აღიარება. ვიცოდი, ვისთანაც ვიყავი დამნაშავე და ბოდიშიც მოვიხადე, მაგრამ მეც და მანაც ვიცით, რომ ეს ყველაფერი ჩემი ბრალი არ იყო. მიზეზი ის იყო, რომ მას არ ვიცნობდი. სამაგიეროდ, მათ ვიცნობდი, ვინც მასზე ჭორაობდა და შესაბამისად, მათი უფრო მჯეროდა. მჯეროდა იმიტომ, რომ ჩემთვის მაშინ წარმოუდგენელი იყო, რომ ერთს ასეთი სისულელეების ტყუილად დაბრალება შეეძლო მეორესთვის. ამ 3 წელიწადში ბევრჯერ მეტკინა ბევრისგან გული, ალბათ ბევრს მეც ვაწყენინე, მაგრამ მე მიქარული არავისთან მაქვს. კიდევ იმის თქმა შემიძლია, რომ ზოგიერთებს თავები ანგელოზებად რომ მოაქვთ, არც ისეთი ანგელოზები არიან! ავიწყდებათ, რომ არც მათით იწყება და არც მთავრდება სამყარო! არც ისეთი მაგრები არიან, როგორიც თავები ჰგო-

ნიათ. ბოლოს კი რა მინდა გკითხო იცი, მარ? შენ ხომ გახსოვს, როგორი იყო ადრე „გზა“? აი, როცა ილინი, ლანკა, პარი, პავლიკა, იკა, ფინტიკოზა, კამი, ნიკოლი, პენსიონერი, კაკუ ამესიჯებდნენ? შენც ხომ გენატრებიან ისინი, მარ? ხომ გინდა, დაბრუნდნენ და დააბრუნონ ის სითბო და სიყვარული, რაც სულ თან სდევდათ? ჰოდა, მარ, უთხარი მოვიდნენ, რა! უთხარი, თორემ გული მეწურება დოლარასი და მისნაირი ბოღმით დატენილების გულისამრევ მესიჯებს რომ მიაქვს „გზა“. ძველების ადგილი ყოველთვის იყო, არის და იქნება „გზაში“ და კიდევ, გთხოვ, მეტი არავინ გაუშვა. ბერბიჭაც თუ წავიდა, ელექტრა, პარი, SWEET-ი, დამავიო და კიდევ რამდენიმე, როდემდე შეძლებენ ზოგის სისულელეების გადაფარვას? აი, მარ, ეს იყო სულ და თუ გინდა დაბეჭდე, თუ გინდა — არა! უბრალოდ, რომ არ მეთქვა, ვერ მოვისვენებდი. ფეშენა“.

თან წაიღეს

„ჩემს სოფელში ასეთი რამ მოხდა: „მომპარავმა“ ბიჭებმა გადაწყვიტეს, ერთი ოჯახისთვის ქათმების რაოდენობა შეემცირებინათ და ერთ მშვენიერ დღეს კი არადა ღამეს, საქათმის „გატანის“ მიზნით, მზაკვრული გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. „კრიმინალებს“ ის ფაქტიც უწყობდა ხელს, რომ ოჯახს ძაღლი არ ჰყავდა. მოკლედ, გადაძვრნენ ღობეზე, მიადგნენ საქათმეს და წავიდააა... ის იყო, იღლიაში ქათმებამოჩრილები უნდა გასცლოდნენ იქაურობას, რომ სახლში შუქი აინთო ანუ „ბანდას“ „წითელი აენთებოდა“, მალე თუ არ მოძუძგავდნენ შემთხვევის ადგილიდან. ასეც მოიქცნენ, გაჭირვება „ნაჩვენები“ იყო და გაქცევაღა დარჩენოდათ, მაგრამ ქათმებს მაინც ვერ შეელივნენ, „თან წაიღეს“ და სავარაუდოდ, ვერაგულად და სადისტურად გაუსწორდნენ უდანაშაულო შინაურ ფრინველებს... მათი ანონიმურობა გარანტირებული იქნებოდა, დაზარალებულს ეზოში ერთ-ერთი „გამტაცებლის“ პირადობის მოწმობა რომ არ ეპოვნა. დათო“.

დანაფტალინებული

„ამ კვირის თემამ ერთი უძალიანმაგრესი ამბავი გამახსენა, რომლის მთავარი გმირიც, ვინ იქნება, თუ არა — მე, თქვენი მისის კეხურა და კაკალაანთ ნატალია? სტუდენტობის ხანა გორში გავლიე. ყველაზე უმაგრეს და უძველეს ერთობის ქუჩაზე ვცხოვრობდით 4 გოგო. ორ-ორი, ერთად. ჩემი და კაკალაანთ ქალის ოთახის თანამფლობელები აგვეთესნენ და თან ჩვენი აპარტამენტების გასაღებები წაიღეს. სანამ დაბნელდებოდა, ვისხედით ქუჩაში, ოთახის წინ. ჯიბეში ჩარჩენილი გროშებით ნაყიდ მზესუმზირას ვაკნაწუნებდით. კარგად რომ დაბნელდა და ჩვენი ქუჩის მოძველებიჭო ელემენტებიც აირივნენ და ცუდად დაგვიწყეს „დაკრუგვა“. შევედით ეზოში, მაგრამ რად გინდა? ჩემი კარი ისეთია, თავითაც რომ დავტაკებოდით, ვერ გავაღებდით. ისევ ნატოს კარს ავეყუდეთ, კუბოს თავსახურებივით. კარის გვერდით პატარა ფანჯარა იყო. მინა გაჭირვებით ამოვიღეთ და გახარებულმა ნატოს ისეთი ვუჯიკე, მეტეორივით შევაგდე ოთახში. მან კარი შიგნიდან გამიღო. მინა ისევ რის ვაი-ვაგლახით ჩავსვით და გადავწყვიტეთ, „მეოთახეები“ დაგვეწიოკებინა და იქვე მდგარ, უშველებელ ტახტში ვდურთეთ თავი. სულ რაღაც ნახევარ საათში ისინიც შემოლაგდნენ. ამ დროს ჩვენ ვიკინგებივით უნდა ამოვვარდნილიყავით ტახტიდან, მარა წელი ვეღარ ავითრიეთ მაღლა და თავსახურიც თავზე დაგვემხო. თურმე ტახტში ბინის პატრონს ათასი ხარახურა ჩაუყრია და ბლომად ნაფტალინიც ჩაუყოლებია. ისე ავყროლდით, მგონი მეშვიდე სტადიის მოგუდვა მივიღეთ. ყველაზე მაგარი იცით, რა იყო? ჩვენს დაქალებს კოღოები ჭამდნენ, ქეციანებივით იქექებოდნენ, ჩვენ კი კოღო, ბუზი და ჩრჩილი მთელი თვე აღარ მოგვკარებია. მზი, ნათ და ხათათო, მენატრებით და ამ გზავნილით გეფერებით. თქვენი მისის კეხურა“.

ჩახოხბილი

„ძაან მიყვარს „გზა“ და ეს შენი დამსახურებაა, მარ. არასოდეს მომიწერია, ახლა კი გადავწყვიტე ერთი ამბავი მეც მოგწერო. ახლა უკვე მე-10 კლასში ვარ, მაგრამ მთელ სკოლას ახსოვს და არ ავიწყდება ის, რაც პირველ კლასში ვთქვი. მასწავლებელმა ღია გაკვეთილი მოგვიწყო. დამსწრეები უკან ისხდნენ. ამ დროს „მასწი“ გვეუბნება, რომ ვთქვათ ისეთი სიტყვა, რომელშიც ურევია ასო „ხ“. ზოგმა რა თქვა, ზოგმა — რა. გადავწყვიტე, მეც მეთქვა რამე და ავწიე ხელი და ვთქვი: ჩახოხბილი. ყველა მასწავლებელი (იმედია, ამ გამოთქმას არ მიწყენენ თუ წაიკითხავენ) ძირს გორაობდა სიცილისგან. ეს ახლაც ახსოვთ და ერთხელ, მე-8 კლასში, მასწავლებლის დედა მეკითხება, შენი სახელი შემახსენეო. მე ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი. დაფიქრდა და მითხრა — შენ ჩახოხბილი ხომ არ ხარო? გვერდით მდგომმა კლასელმა ჯერ ქალს შეხედა დაჭყეტილმა (მან ეს ისტორია არ იცოდა), ხოლო როცა დავეთანხმე, მეც დაჭყეტილმა შემომხედა და გიჟივით ახარხარდა. სხვათა შორის, „ჩახოხბილობა“ დღესაც დამემართა. გეოგრაფიის გაკვეთილზე ვთქვი, მსოფლიოში პირველი ჩახოხბილი ვახტანგ გორგასალმა გააკეთა-მეთქი. „მასწი“ მომიტრიალდა და მითხრა: თუ არ გაჩერდები, მე ვიქნები პირველი, ვინც ადამიანის ჩახოხბილს გააკეთებს და ხოხობი შენ იქნებიო. ასეა მარი, ჩახოხბილი ახლაც ახსოვთ“.

უძილობის წამალი

„ეს კვირა იმდენად არეულ-დარეული მქონდა მხიარულება-მოწყენილობისა და სიცილ-ტირილის თვალსაზრისით, რომ ცოტა არ იყოს რეალობას საკმაო მანძილით მოვწყდი. ჯერ იყო და დაქალის 2-დღიან დაბადების დღეზე თამადობა-გამოთრობის შედეგად გამოცდაზე წასვლა დამავიწყდა (დაგვიანებას ვინ ამბობს), 100-ლარიანი ჯარიმითაც „დამასაჩუქრეს“ და უძილობა რომ დამჩემდა და ღამის ფრინველებივით თვალდაჭყეტილი ვიყავი მთელი ღამე, აი, მაშინ მივხვდი, რომ დამერხაააა... ჰოდა, ამ ჩემს ძილშერყეულობას, ხალხური მედიცინითა და მსგავსი ჯადოქრობებით რომ ვერაფერი ვუშველე, გავქანდი ექიმთან... იმანაც ჩვეული, „ექიმური“ სიმკაცრითა და „რა დროს შენი უძილობაას“ ძახილით გამსინჯა და ძილის წამალიც გამომიწერა... ნახევარი აბი დალიეო. მეც, სახეგაბადრული და იმ იმედით „დახუნძლული“ გამოვედი კაბინეტიდან, რომ ახლა მაინც ეღირსებოდა ჩემს „შეფოთლილ“ წამწამებს ერთმანეთთან ჩახუტება. იქიდან დაქალთან გავიარე და საღამოს, დაახლოებით 9-ზე მივედი სახლში. არავინ დამხვდა და გამიხარდა. ვიფიქრე, დაძინება ახლა ნახე-მეთქი... უკეთესი ეფექტისა და მოთენთილობისთვის ტელევიზორიც ჩავრთე. ჩავიბურდღუნე: მთელი კვირის უძილობას ნახევარი აბი რას უშველის, მთლიანად დავლევ-მეთქი და მთელი აბი ვყლუნწეე... ის იყო, გამოცვლასა და ლოგინისკენ არც მეტი, არც ნაკლები, თავით წასვლას ვაპირებდი, რომ ბიძაშვილი შემოვიდა, მეზობელთან ვართ დაბადების დღეზეო, დამავლო ხელი და გამარბენინა... მეც, სახეზე ზრდილობის გულისთვის აწებებული, ნაძალადევი ღიმილით შევედი ოთახში, სადაც მელოდნენ და... იქ დაიწყო, რაც დაიწყოოოო... ისე მიმიკითხ-მომიკითხეს, თავი დაბადების დღეზე კი არა, „ფებეერის“ საგამოძიებო განყოფილებაში მეგონა. როგორც იქნა, ახალგაზრდებმა „გამომწიწკნეს“ უფროსების კლანჭებიდან. ცოტა ხანში გავშინაურდი და ცეკვა-სიმღერაზეც აღარ მითქვამს უარი. დაღლილი სკამზე ჩამოვჯექი და მეზობლის ბიჭს, დათოს გავუბი საუბარი. მიმოვიხილეთ მთელი საჭირბოროტო საკითხები და კარგად რომ დავაკვირდი... უი, ეს დათო კი არა, ჩემი წითელი, „გული-ბალიში“ ყოფილა მეთქი, რომელსაც „მიყვარხარ“ ისე „ეშხიანად“ აწერია, როგორ გინდა არ ჩაეხუტო? ჰოდა, მეც ყოველღამე ამ ბალიშს ვეხუტები და ვიძინებთ მშვიდად... ეს „ბალიში“ რომ შეირხა და სილუეტში რაღაც თავისმაგვარი და მიახლოებისას ზუზუნისმსგავსი ხმები დაეტყო, ცოტა შევშფოთდი... ვიფიქრე, ნეტავ ვინ და რატომ გადამიკეთა-მეთქი? და შორიდან დაკვირვება გადავწყვიტე... დაძინება როდის მეღირსა, ეგ არ მახსოვს, მაგრამ დილით, მზის სხივების ჩემს სახეზე ეშმაკურად თამაშმა გამაღვიძა... ვიფიქრე,

ეს რა უაზრო და უცნაური სიზმარი მესიზმრა-მეთქი, რომ... რაღაც გარემო მეუცხოვა... ტანსაცმლით ვწევარ... ოთახი აშკარად არ მეცნობა... მაშინვე დატრიალდა თვალწინ, წინა დღით მომხდარი ამბები და ისე გამოვიძურწე იქედა

„მისი გრძნობა ყალბი თუ აღმოჩნდა, გზა დაულოცე“

„სიყვარულს ამდენი ფიქრი არ სჭირდება“

„გზის“ №8-ში დაიბეჭდა იას მესიჯი, სათაურით — „მიყვარს და მისი დაკარგვა არ მინდა“. გოგონა გვწერდა, — „ლოვემ“ დრო მთხოვა, რათა საკუთარ გრძნობებში კარგად გაერკვეს, ეს კი ჩემთვის მიუღებელია და ცოტა არ იყოს, დამამცირებელიცო...

ლიკა ქაჯაია

ლუჩო:

„ჩემმა შეყვარებულმაც იგივე მითხრა და დრო მივეცი. ახლა ერთად ვართ, მაგრამ უკვე დამღალა, ბევრჯერ მატკინა გული. მისნაირი მერყევი ბიჭი არ გამოგადგება“.

ფეშენა:

„ხშირად, დიდი სიყვარულის დროსაც კი საჭიროა პატარ-პატარა განშორებები. თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ, ეს პერიოდი კიდევ უფრო გაგიძლიერებთ გრძნობას, თუ არადა, გაერკვევით მაინც, რა ხდება თქვენს თავს!“

გრუზინკა:

„თუ „ლოვემ“ საკუთარ გრძნობებში გასარკვევად დრო მოგთხოვა, ეს უკეთესიცაა. აბა, რად გინდა გვერდით ისეთი ადამიანი, ვისაც არ ეყვარები? იმედია, არ დაგშორდება“.

ურჩი გოგო:

„თუ საკუთარ გრძნობებში დარწმუნებული არაა, თავი არ დაიმცირო, შეეშვი!“

საკალელი გოგო:

„არ მინდა, გული გეტკინოს, მაგრამ შენს „ლოვეს“ არ უყვარხარ, ის მერყევი ადამიანია... უთხარი, რომ დიდხანს არ დაელოდები. დატკბი ცხოვრებით“.

პენელოპე:

„რას ჰქვია, ძალიან არ გიყვარს?! არ მისცე უფლება, შენს გრძნობებზე ითამაშოს. არასდროს იტირო იმისთვის, ვინც ამას არ იმსახურებს, ხოლო ვინც იმსახურებს, ის არასდროს აგატირებს. შენს თავს პატივი ეცი და არ გაეკიდო, თავად მოვა შენთან. ღმერთი შენკენ“.

სარვიეტა:

„ამ სასიყვარულო ამბებში საკმარისად გათვითცნობიერებულ-გამოცდილი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ მაინც გეტყვი, — უნდა დაელოდო. ამას იმიტომ გირჩევ, რომ შენც გიყვარს და ზოგჯერ, სიყვარულის გადასარჩენად ერთ-ერთი მხარისთვის მიუღებელი ნაბიჯის გადადგმაც კი საჭიროა. ცხადია, მის საქციელს ან თქვენი სიყვარულის დანგრევა მოჰყვება, ან ეს ყველაფერი ერთმანეთისადმი გრძნობების განმტკიცების საწინდარი გახდება“.

კლეოპატრა:

„სიხარულო, ამას ტრაგედიად ნუ აღიქვამ. ვიცი, გაგიძნელდება, მაგრამ ჯობია, მისგან ცოტა ხნით შორს იყო და გაერკვეს, მართლა უყვარხარ თუ არა, ვიდრე შენ გვერდით იყოს და გატყუებდეს. არ მეთანხმები? ნამდვილ სიყვარულს დრო და სიშორე ვერაფერს დააკლებს“.

რუსპირი:

„უამრავი რამ გამიგონია და მინახავს, მაგრამ ბიჭს შეყვარებულისთვის ეთქვას, — მიყვარხარ, მაგრამ ძალიან არაო, არსად გამიგონია. მან შენი ფასი არ იცის და მისნაირ ბიჭთან მეგობრობა რად გინდა?.. ისე, შენი „ლოვესიც“ მესმის. ჩემი აზრით, მის ცხოვრებაში ისეთი რაღაც მოხდა, რამაც თავგზა აურია, გაურკვევლობაში ჩააგდო... მას შეეძლო, შენი გრძნობებით ეთამაშა, გამოეყენებინე, მაგრამ ეს არ იკადრა. დრო ყველაფრის მკურნალია. ოდესმე ის აუცილებლად გეტყვის: ია, მე შენ მიყვარხარ“.

სალი, სვანი:

„გენაცვალე, ჩემი აზრით, ის ბიჭი გეთამაშება. ვიცი, ძნელია, როცა გიყვარს და გაურკვევლობაში ხარ, მაგრამ შენ თვითონ უნდა მიიღო გადაწყვეტილება. სიყვარულს ამდენი ფიქრი არ სჭირდება. ეცადე, ყურადღება ნაკლებად მიაქციო და თუ უყვარხარ, თვითონ მოგნახავს, სიყვარულს დაგიმტკიცებს. ბედნიერებას გისურვებ!“

ლუნა:

„უფ, საშინელებაა, ბიჭი რომ გეტყვის: ცოტა დრო მომეცი, რათა საკუთარ გრძნობებში გავერკვეო, მაგრამ იქნებ, არ უნდა, გული გატკინოს და ასე ამიტომაც მოიქცა? აბა, ის გერჩივნა, შენთან უსიყვარულოდ ყოფილიყო და ამავდროულად, სხვასთანაც ჰქონოდა ურთიერთობა? თუ მართლა გიყვარს და მისი დაკარგვა არ გინდა, საკუთარ გრძნობებში გარკვევა აცალე. იცოდე, ნურაფერს დააძალებ. მისი გრძნობა ყალბი თუ აღმოჩნდა, გაუშვი და გზა დაულოცე. ტყუილში ცხოვრება საშინელებაა! წრფელ სიყვარულს გისურვებთ! გაკოცე“.

გადარეული:

„ალბათ, დროს იმიტომ გთხოვს, რომ უფრო ძლიერ შეუყვარდე და მერე ისე იქნებით, როგორც მჭადი და ყველი. სიყვარულმა შენ კი არა, გადარია ტარიელი...“

მეგობარი:

„ვერ ვხვდები, რატომ არის ეს ყველაფერი მიუღებელი? ნუთუ, ისეთ ადამიანთან ურთიერთობა გირჩევნია, რომელსაც არ ეყვარები? შენი პრობლემა იცი, რაშია? — გინდა, შეყვარებული გყავდეს და ვერ აცნობიერებ იმას, რომ სიყვარული ძალიან დიდი გრძნობაა და არა მხოლოდ შეყვარებულის სტატუსი... ასე რომ, აცადე იმ ბიჭს, გრძნობებში გაერკვეს და შემდეგ, ერთად დაარქვით თქვენს ურთიერთობას სახელი“. ■

„მჯერდა, რომ ვუყვარდი...“

გიო:

„გზა“, დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ამ მესიჯს გამომიქვეყნებთ. ვარ 20 წლის, ვცხოვრობ ბათუმში. 1 წლის წინ ძმაკაცმა თავისი შეყვარებულის და გამაცნო. მე ჯარში ვმსახურობ და არ მქონდა იმის საშუალება, რომ მასთან ხშირად ვყოფილიყავი, სამაგიეროდ, ტელეფონი იყო ჩვენი მეგობარი. ის ძალიან მიყვარდა და თავადაც მიმტკიცებდა, მიყვარხარო, მაგრამ სულ რაღაც, 3 თვის წინ, მთაში ყოფნისას ვიღაც ბიჭი გაუცნია და მას ჩუმ-ჩუმად ხვდებოდა ხოლმე, მე კი დებილივით მჯეროდა, რომ ვუყვარდი. ერთ მშვენიერ დღეს მომწერა: აღარ მიყვარხარ. ამ ბოლო დროს ჩვენი ურთიერთობა ისე განვითარდა, რომ გადამიყვარდიო... იმ ღამეს წესიერად არც კი მეძინა, არ ვიცოდი, რა უნდა მეფიქრა. მეორე დღეს მისმა დამ მომწერა: ლია გაიპარაო! ლამის გული ამომივარდა საგულედან. გული იმიტომ კი არ მტკივა, ასე რომ მომექცა, არამედ იმიტომ, რომ ჯერ პატარაა და არც იცის, რა გააკეთა. იმედია, ჩემს წერილს წაიკითხავს. ხალხნო, გთხოვთ, დამეხმარეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ლიკა, ჩემი ნომერი გამოაქვეყნე, რა: 8(55) 03.03.27. წინასწარ გიხდით მადლობას!“ ■

P.S. მაშ ასე თუ გიოს წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს. ■

„ის, ვინც ყურთასმენის გამო დაგცინის, გონებაშეზღუდულია“

„ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტი რომ მოიწველოს“

„გზის“ №8-ში დაიბეჭდა 18 წლის მარიანას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ყურში კარგად არ ესმის და ამის გამო მარტოსული გახდა. „ჩემს ასაკში სიცოცხლე ყველას უხარია, მე კი სიკვდილი მინდა. ცუდი ყურთასმენის გამო, ჩემზე ზურგს უკან ჭორაობენ და დამცინიან კიდეც. გული მტკივა...“

იკუჭკეგი:

„საყვარელო მარიანა, მჯერა, არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ და ოქროს გული გაქვს. ძალიან მინდა, ბედნიერი იყო და ცხოვრება გიხაროდეს. მესმის, ძნელია შენს მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ მჯერა, გამოჩნდება ისეთი ადამიანი, ვინც ცხოვრებას რადიკალურად შეგიცვლის და თავს ნამდვილ ქალად გაგრძნობინებს. ნეტავ ვიცოდე, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ასე უსულგულოდ და არაადამიანურად იქცევიან, მათ დიდი სიამოვნებით ვასწავლიდი ჭკუას. მინდა, წარმატება და ბედნიერება გისურვო!“

ანა:

„ვერ ვხვდები, რატომ უნდა დასცინო ადამიანს მისი გარეგნული, მცირე ნაკლის გამო?! ყველამ საკუთარ თავს მიხედოს — ჯერ სარკეში და მერე საკუთარ სულში, კარგად ჩაიხედონ. სხვებს ის დასცინის, ვისაც სერიოზული კომპლექსი სტანჯავს. მარიანა, ასეთ სულელ ადამიანებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, იცხოვრე შენი ცხოვრებით. თანაც, ამ პატარა ნაკლის გამოსწორება მგონი, ძალიან ადვილია“.

სალი, სვანი:

„ჩემო კარგო, გეტყობა, რომ ძალიან კარგი ადამიანი ხარ. არ იდარდო, საკუთარი თავი ხელში აიყვანე. ხალხს საჭორაო არ გამოელევა. სიკვდილზე ნუ ფიქრობ, ცუდი ყურთასმენის გამო, ამხელა საჩუქარზე — სიცოცხლეზე უარს როგორ ამბობ?! გულს ნუ გაიტეხ, უფალი ჩვენთანაა. წარმატებები!“

მეგობარი:

„უკეთესი იქნება, თუ ამ პრობლემის შესახებ მშობლებს ეტყვი და ექიმები გამოჯანმრთელებაში დაგეხმარებიან. სმენის პრობლემა დღეს ბევრს აქვს, მაგრამ ეს ადვილად მოგვარებადია, რა თქმა უნდა, თუ დროულად მიხედავ. იმ ადამიანებს კი, ვინც შენს ზურგს უკან ჭორაობს, ყურადღებას ნუ მიაქცევ — ზოგჯერ, უსაქმური ადამიანები ჭორაობით ისე ავადდებიან, რომ შენი პრობლემისგან განსხვავებით, მათი სენი განუკურნებელი ხდება.“

გადარეული:

„ვისაც ყურში კარგად ესმის, რა ხეირი? ახლა ისეთი ცხოვრებაა, რომ ჯობია, ყველაფერი არც კი გაიგონო“.

პუსი:

„მათ ყურადღებას ნუ მიაქცევ! ჩვენდა საუბედუროდ, ბოროტი ადამიანები ყოველთვის იქნებიან და თითოეულ მათგანს ღმერთი გადაუხდის სამაგიეროს. მინდა, სიცოცხლე გიხაროდეს“.

ლუნა:

„იმ ადამიანების მაგივრად, ვინც შენზე ჭორაობს და დაგცინის, მე მრცხვენია. გარშემო მყოფები უნდა გვამხნევებდნენ და ცხოვრებას გვიადვილებდნენ, გულს კი არ უნდა გვტკენდნენ, მაგრამ ახლა, სხვისი ტკივილი არაფრად მიაჩნიათ. გთხოვ, მათ ყურადღება არ მიაქციო, ამით მხოლოდ დაიტანჯები და იმედი გაგიცრუვდება. „ლოვესთან“ ერთად, ბედნიერ ცხოვრებას გისურვებ! მისი სიყვარული ყველაფერს გადაგატანინებს. შენს „ლოვეს“, ოჯახის წევრებს სჭირდები და მათ გამო უნდა იყო ბედნიერი. გამხნევდი. P.S. ადამიანს ნაკლის გამო არ უნდა დავცინოთ, ამის უფლება არ გვაქვს. ხალხნო, ეს როდის უნდა შევიგნოთ?..“

რუსპირი:

„ჩემო კარგო, ნერვებს რატომ იშლი და რატომ იტანჯები? შეყვარებული გყავს, რომელმაც ისეთი მიგიღო და შეგიყვარა, როგორიც ხარ და დარწმუნებული ვარ, გყავს ოჯახი, რომელიც გაფასებს, პატივს გცემს, გიფრთხილდება. იმას არ გეტყვი, საზოგადოების აზრი არ გაითვალისწინო-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ხალხის ლაპარაკი უნდა „გაატარო“ — ის, ვინც ყურთასმენის გამო დაგცინის, ვერ აზროვნებს, გონებაშეზღუდულია. ასეთი ადამიანები, სხვისი ნაკლის აღნიშვნით, საკუთარის დამალვას ცდილობენ. გულს ნუ გაიტეხ და დაიმახსოვრე: მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება გრძელდება. შენმა „ესემესმა“ „დამგრუზა“. მარიანა, იქნებ, არსებობს გამოსავალი და შენი პრობლემის მოგვარება შესაძლებელია? მხოლოდ ერთს გეტყვი, შენი კეთილშობილებით შეეცადე, ბოღმიან ხალხს თვალი აუხილო და აპატიე, რამეთუ არ იციან, რას აკეთებენ“.

კლეოპატრა:

„სიხარულო, რას ჰქვია, დაგცინიან? ეს ხალხი მგონი, სულ შეიშალა ჭკუიდან. შენ დასაცინი არაფერი გჭირს! სიკვდილს ნუ ნატრობ. იცოდე, ეს უფლისგან მოვლენილი განსაცდელია, რომელსაც უნდა გაუძლო. დასაცინები სულით მახინჯი ადამიანები არიან, რომლებსაც არანაირი გრძნობა არ გააჩნიათ, გარდა შურისა და სიძულვილისა, შენ კი უნაკლო ხარ. დამიჯერე, ვისაც უყვარხარ, მისთვის შენს ყურთასმენას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მე მიყვარხარ და შენთან მეგობრობა მინდა. ამ ნომერზე: 8(98) 28.32.78. — შემეხმიანე“.

სარვიეტა:

„თავი შენ ადგილას რომ წარმოვიდგინე, ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა მტკივნეული იქნება ეს მცირე ნაკლი — მცირე იმიტომ, რომ ეს პრობლემა მოგვარებადია. თუ მკურნალობის შესაძლებლობა ახლა არ გაქვს, ხვალინდელი დღის იმედი რწმენას შეგმატებს. იმათ გამო კი, ვინც შენს მდგომარეობას ირონიით უყურებს, განწყობილების გაფუჭება არ ღირს. უბრალოდ, საწყენია, როცა ირგვლივ ბევრი ბოროტი ადამიანია. თუ მოისურვებ, ვიმეგობროთ, დაიკო“.

პენელოპე:

„არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაიმე ნაკლი არ აქვს — ზოგს სათვალე უკეთია, ზოგს სიარული უჭირს, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, სულიერი ნაკლი არ ჰქონდეს ადამიანს! უნდა გეცოდებოდეს ისინი, ვინც დაგცინის, შენ კი თავი მაღლა ასწიე და ამაყად იარე, დააფასე შენი თავი“.

ურჩი გოგო:

„საყვარელო, შენ ბედნიერი უნდა იყო იმით, რომ სულიერად არ ხარ მახინჯი, გარეგნულ ნაკლს კი ყოველთვის მოევლება... ბოროტებს ყურადღება არ მიაქციო“.

MOONSHINE:

„ტყუილად ნერვიულობ. მერწმუნე, უნაკლო ადამიანი არ არსებობს, ყველას გვაქვს რაღაც ნაკლი და ამის გამო სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ. ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ იმისათვის, რომ ვარსებობთ. ხალხნო, რით ვერ გაიგეთ, რომ სხვას ისე უნდა მოვექცეთ, როგორც გვინდა, რომ ჩვენ მოგვექცნენ!“

ლაშა, 12 წლის:

„ვინც შენზე ჭორაობს, მას ღმერთი სამაგიეროს გადაუხდის. როგორ შეიძლება, ადამიანს მტკივნეულ ადგილას დაადგა ფეხი და ეს გიხაროდეს?!“

ლევანი, ახალციხიდან:

„პრივეტ“. ნუ ნერვიულობ, გთხოვ. მათ დაცინვას ყურს ნუ უგდებ, გახალისდი. ნუთუ, არ გაგიგონია გამონათქვამი — ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტი რომ მოიწველოსო. უნაკლო მხოლოდ ღმერთია“.

გრუზინკა:

„სიხარულო, ადამიანი, რომელსაც ნაკლი აქვს, არ შეიძლება, ბედნიერი იყოს? უგულო ადამიანების დაცინვას ყურს ნუ დაუგდებ. მთავარია, გული გქონდეს სიყვარულითა და სიკეთით სავსე. თანაც, შენს „ლოვეს“ ისეთი მოსწონხარ, როგორიც ხარ. წარმატებები! გაკოცე უამრავი“.

WHITE ANGEL:

„მესმის შენი. ერთი უნამუსო ექიმის შეცდომის გამო, ახლა მეც ცუდი ყურთასმენა მაქვს, მაგრამ შენგან განსხვავებით, გამოჯანმრთელების იმედი არ დამიკარგავს. მე ახლა სრულყოფილი ცხოვრებით ვცხოვრობ და ჩემი პრობლემის არ მრცხვენია. დაიკო, იმედს ნუ დაკარგავ. შენ არ გაქვს სმენა, სამაგიეროდ, გაქვს წმინდა გული. თუ გინდა, ამ ნომერზე დამიკავშირდი: 8(79) 40.92.39. გაკოცე“.

პაწუკა:

„სხვის სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ყველა „დაიკიდე“ და მხოლოდ კარგზე იფიქრე. მე შენ გვერდით ვარ“. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ თბილისელ, თბილისში მცხოვრებ ბიჭს, 23-32 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. არც ფული მაინტერესებს, არც გარეგნობა. სოფლელები და სოფლიდან ჩამოსულები არ გამომეხმაუროთ.

2. გავეცანი „გზის“ მე-6 ნომერს. გავიცნობდი გზავნილების მე-15 და მე-16 მესიჯების ავტორებს. გთხოვთ გამომიგზავნოთ ტელეფონები.

3. ვარ 29 წლის, ბათუმელი, სიმპათიური ქალიშვილი, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი. გავიცნობ დასაქმებულ, სერიოზულ, ბათუმელ მამაკაცს, 33 წლამდე. გამრთობები არ გამომეხმაურონ.

4. ვარ 32 წლის, განქორწინებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32-40 წლამდე მამაკაცს, თუნდაც ჰყავდეს შვილი.

5. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. ვარ 35 წლის, საშუალო სიმაღლის, სუსტი, ლამაზი სახით. გათხოვილი არ ვყოფილვარ.

6. ვარ თბილი, მოსიყვარულე და უბრალო გოგო. 23/155. სხვებს არ ვგავარ. მინდა გავიცნო სერიოზული, ჭკვიანი, კარგი ადამიანი, ვისაც ნამდვილი სიყვარული შეუძლია.

კაცები

7. ვარ 31 წლის სპორტსმენი, 185 სმ. სიმაღლის. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ლამაზს, შავგვრემანს.

8. ვარ 32 წლის. ვეძებ 28 წლამდე ასაკის გოგოს, ტრადიციულ წესებზე აღზრდილს. ვცხოვრობ ქუთაისში, ვარ დასაქმებული.

9. გავიცნობ მანდილოსანს. ვარ 28 წლის, პროფესით ჯარისკაცი. სასურველია, ბინით იყოს უზრუნველყოფილი. დათო.

სხვადასხვა

● მოგესალმებით. თითქოს რაღაც გავიგე, მაგრამ მაინც დამიკონკრეტეთ, თუ შეიძლება, ვინ არიან მგზავნელები, ან როგორ უნდა გავხდე მგზავნელი. ნებისმიერი თემა შეიძლება?

● გოგ, ჩემო სიცოცხლევ, აუტანელია შენს გარეშე ყოფნა. რაც დრო გადის, უფრო მიჭირს. თითქოს მარტო დავრჩი ამ ქვეყანაზე. ერთადერთი, ბავშვები მაძლევენ ძალას.

● ASHLEY PCD, გაკოცე. გაიხარე. ყველანი მიყვარხართ, ძველი მგზავნელები. მე პირადად, მხოლოდ ჩორი-ჩორის ვიცნობ. დიდი სურვილი მაქვს, გაგიცნოთ. ირმუშკა.

● ASHLEY PCD, სწორად მიხვდი, ამ აუტანელ ტკივილსა და თავის დადანაშაულებას ეშველება? ჩემდა სამწუხაროდ, ყოველი დღე ტანჯვით იწყება და ტანჯვით მთავრდება. ნ.ა.

● ხან ყვითელ ფოთლებში მივქრივარ ქარდაქარ,/ ხან ლოდი არაგვის ტალღებში ვგორდები,/ მე ისევ დაგეძებ მინდვრად თუ კარდაკარ/ და როცა მგონია გიპოვე, გშორდები.

● თქვენა და, ხალხო, ჯერ თუ არავის გაუტვინისკუნჭულებიხართ, აგერ ვარ და კი არ მეზარება. ყველამ თქვენსას რომ მიხედოთ — არა? თქვენ დასკდებით ბოღმით, თორე, მე რა! ფეშენა.

● რა თქვენი საქმეა ენიგმა რამდენი ნიკით დაამესიჯებს? მე კახას მესიჯების კითხვა ერთი კი არა, 21 ნიკით არ მომბეზრდება. დოლარ, შენთვის ზრდილობა არავის უსწავლებია? ფეშენა.

● დოლარ, რა სიტყვებითაც შენ ლაპარაკობ და როგორი აზრებიც მოგდის თავში, მაგის მიხედვით, ვფიქრობ, რომ შენი სულიერი მდგომარეობა სავალალოა. ფეშენა.

● ბოღმიანებო, თუ შეგიძლიათ, წერეთ მათზე უკეთ, ვისზეც იბოღმებით. დამავიო, მიყვარხარ! P.S. ახლა ზოგი თუ იფიქრებს, შენსას მიხედეო, ჩემსას მისახდი არაფერი სჭირს. ფეშენა.

● სალამი ტკბილ და მონატრებულ მგზავნელებს, როგორ ხართ? იმედია, კარგად. ბევრი ახალი მგზავნელი შემოგვმატებია, რაც ნამდვილად სასიამოვნოა და საინტერესოც კი. ირმა91.

● საღამო მშვიდობისა, მარ და მგზავნელებო, კარგები ხართ იმიტომ, რომ გვახალისებთ. დიდი ხანია, შორიდან გითვალთვალებთ. სულ მინდა მოგწეროთ და აი, მეც... პატარა დედიკო.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• იცით, ბავშვებო, რა ცუდია, როცა ბედნიერებას იპოვი და მეგობრები ამ დროს შორს გყავს... მოვიწყინე უთქვენოდ, გიჟებოოო... პატარა დედიკო.

• ბათუმელები ხომ ხართ? ეჰ, რამდენი ტკივილი და სიტკბო მაკავშირებს, რომ იცოდეთ... ბათუმო, მიყვარხარ, მადლობა, რომ ცხოვრება მასწავლე... პატარა დედიკო.

• ჯუმალა ვარ, მეთუთუნე, ჰეე... ჩემს ASHLEY-ს ვეტუტუნე, ჰეე... ბიჭო, რა დღეში ხარ, შენე? ASHLEY, მაგას ზოზღი უნდა, ზოზღიი... თუმცა, ჩემი არ იყოს, შენც ბევრჯერ სცოდავ რაღაცებს.

• მე არ მძინავს, დიდი ხანია, გავიღვიძე და აღარც ვაპირებ ძილს. დამავიო, ბატონ ნიკას „კაააი კაცო“ ჰქონდა ამოჩემებული. ეტყობა, შენც ხშირად ხმარობ, არაა? ლუნა.

• ემიგრანტო, მზეს ბერბიჭა დავარქვი, წყალს და ჰაერს მე ბერბიჭა დავარქვი, არის ჩემი მჭადიც, ყველიც, კარაქიც. აი, შენ კი მე იმედიც წამართვი, თუმცა ჩაგკოცნეოო. ცისია.

• დოქიც მიდგას ღვინით სავსე და ვარ სავსეუბიანიც, შენთვის ბრძოლაც შემიძლია, თუნდ დამარქვი კუდიანი. ფითქინა ვარ, პირმცინარიც, არა სახემურიანი. ჩაგკოცნე ბელი. ცისია.

• ყველას მოვიკითხავ. მაკას, GRAZY GIRL-ს, ცდუნებას, გრუზინკას, ლუნას, მაესტროს, აბეზარას, მანაველს, სესის, არიადნას, თეოს, ესმერალდას და ფლამინგოს. კიდევ მოვიკითხავ მარიამულს.

• მარი, ძალიან მომენატრე, ხომ კარგად ხარ? ჰო, კიდევ კარგი, არ დამავიწყდა: 9717-ს მოვიკითხავ დიდი სიყვარულით. ყოველთვის ვკითხულობ „გზას“, ყველა ძალიან მიყვარხართ. ედელვაისი.

• დღეს ხომ დედათა დღე არის, ნეტავ თუ იცის ყველამო, დღეს მე ამ ჭიქით გეტყოდით, ყველას გვიცოცხლოს დედაო. თუ ვინმე არის ისეთი, ვისაც არა ჰყავს დედაო, ნუ მივცემთ დავიწყებასა, მასზედ ილოცოს ღმერთმაო. ეს არის ჩემი ნათქვამი, თუ ასრულდება ნეტაო, არ ასრულდება, არ ვჩივი, მე მაინც მიყვარს დედაო. მიყვარხარ დედიკო ძალიან. შენი ედელვაისი.

• MOONSHINE, ვიმეგობრებთ, აბა რა. 9717, აქ ვარ, მიშ. დუჩი, გამოჩნდი, რა... მისტერს გულთბილი მოკითხვა ჩემგან. GREEN GIRL.

• 9717, CRAZY-ს არასდროს არავინ ავიწყდება! GREEN, მეც გაკოცე! ყველა ძალიან მიყვარხართ. ჰო, 3 და 8 მარტს გილოცავთ! ღმერთი გფარავდეთ, ქალებო! გკოცნიით, CRAZY GIRL.

• არა მგონია, ასეთი სიყვარული არავის შეუძლია, დავიძინებ მიყვარხარ, გავიღვიძებ, მიყვარხარ, ჩემთან ხარ მიყვარხარ და თუ უფრო შორს ხარ, მაშინ ყველაზე მეტად მიყვარხარ. მე სიყვარულზე უფრო დიდი სიყვარული მიბოძა ღმერთმა. შენგან მივდივარ მენატრები, თვალს გაშორებ მენატრები, როცა გიყურებ, მაშინ ყველაზე მეტად მენატრები. მონატრებაზე უფრო დიდმა მონატრებამ სამუდამოდ შენად მაქცია, ჩემი სიყვარული დედამიწაზე დაიბადა და გაიზარდა, როცა ახალ დაბადებულ ბავშვს ვეფერები, შენ გეფერები, როდესაც შინ თითის წვერებზე დავდივარ, მაშინ შორეულ ბინაში შენს ძილს ვუფრთხილდები. მადლობაზე უფრო დიდი მადლობაა ჩემთვის შენი არსებობა. რომ ხარ, ესაა მთავარი. მე დაგელოდები, სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდები. არა, არა, სიცოცხლის იქითაც თუკი შეიძლება ლოდინი, მე იქითაც დაგელოდები. ჰო, ასე მგონია: ეს მე კი არა ღმერთს უყვარხარ, ჩემში გადმოსულს. მე ხომ ასეთი სიყვარული არ შემიძლია. კუდრაჭა.

• ლევან ვარშალომიძე, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მანდ სტუმრად როცა ვიყავი ახლობელთან ზღვის სეზონზე, 45-გრადუსიან, პაპანაქება სიცხეში, სახლში გამომკეტა. ლევან, წყლისა და საჭმლის გარეშე დამტოვა და გამომიცხადა, ვარშალომიძემ გიშველოსო. როცა სახლში დაბრუნდა, ძალიან ცუდად ვიყავი. შენ რომ არა, ალბათ დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი.

• სალამი ყველას, როგორ ხართ? მე ახალი ვარ და თუ მიმიღებთ, მაგრა გამისწორდება.

• პირველი რატომ არასდროს გწერ? ბიბლიით გპასუხობ: „არა კეთილ არს ყოფად კაცისა მარტოობა, ვუქმნათ მას მსგავსი და შემწე მისი“. შენში ჩემი შემწე ვერ ვპოვე. საჩხუბარი და საკრიტიკო არ გელეოდა და მეც შეგელიე. ეს ყველაფერი პირადშიც ხომ გითხარი? მშვიდობითო? იყოს ნება შენი, გისურვებ ეჭვებისა და ჩხუბის ნაცვლად, ნამდვილი სიყვარულის სწავლას!

• ASHLEY PCD, წინა კვირას დამაგვიანდა პასუხის მოწერა. გმადლობ რჩევისთვის, შენს გარდა ვერავინ შემამჩნია. ხალხო, გაუფრთხილდით ერთმანეთს. ნ.ა.

• რამდენი რამის დაწერა შეუძლია ადამიანს სიყვარულზე, მონატრებაზე, ტკივილზე, სულის ამაფორიაქებელ არაერთ საკითხზე. ჩვენ, ცოცხალი ადამიანები, მხოლოდ ჩვენს ტკივილზე ვფიქრობთ და ხშირ შემთხვევაში არც კი ვცდილობთ, სხვისი ტკივილის გაზიარებას. არადა, უნდა შეგვეძლოს ერთმანეთისთვის ტკივილის შემსუბუქება. ხალხო, შევძლოთ ერთმანეთის გვერდით დგომა და ის გრძნობა გავაცამტვეროთ, რასაც ტკივილი ჰქვია, რათა ერთმანეთის სიყვარულით გვქონდეს გული სავსე. P.S. ეს ჩემი აზრია. ნ.ა.

• მოგესალმებით, ვისაც გინდათ. 9717, კიი, ოღონდ რატის არა, ზვიოს. უკვდავო, უძალიანმაგრესი ადამიანი ხარ, გაფასებ შენი უბრალოების გამო. სოფ, გაკოცეეე. ჭორიკანა.

• ამ ერთწამიან ცხოვრებაში როგორ პოულობთ ბოღმისა და სიძულვილისთვის დროს, მართლა მიკვირს... ჭორიკანა.

• დედა ბავშვის გაჩენით სამყაროს ადამიანს მატებს, ამის შემდეგ იგი მოვალეა, მისი სახით ზეცას ანგელოზი აჩუქოს. ყველა დედას ვულოცავ დედის დღეს. მიყვარხარ, დედი.

• ემიგრანტო, არ მაშინებს ვარსკვლავური ამბიცია. არც ბევრ ცოლზე ვოცნებობ (თორემ „გზიდან“ გამისვრიან), გიქებ ენას, კალამს, ჭკუას, ნეტავ როდის ჩამოდიხარ? უკვე ისე შემიყვარდი, ახლობელად მიმაჩნიხარ. ბერბიჭა. P.S. ძლივს რაღაცა გითხოვია, მსურს მეც ძმურში გაგიღიმო. გულს მაგაზე როგორ დაგწყვეტ, რა თქმა უნდა, ვრჩები ლიმოონ. ბერბიჭა.

• შენმა ვაჟკაცურმა სიტყვებმა, გული სიამით აავსო. აქედან გეჯიგრავები იტალიაში, თამარსო. ბერბიჭა. P.S. ნინიავ, ელენიკო, H1N1 და უნიკოვ, მოვიხიბლე თქვენით, ძვირფასებო. ბერბიჭა.

• ყველა ქალს, ვისაც არ გყავთ შვილი, ჩემი თამადობით, გისურვებთ მომავალ დედის დღეს პატარასთან ერთად შეეხვედროდეთ. ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას. თეონა.

• კამ-კამ, შე კარგო ბავშვო, გავამძაფროთ ინტრიგა? ჰოდა, სხვა ნიკ(ებ)ითაც (თოფები დახარეთ, არ გაგივარდეთ) ვამესიჯე. მოკითხვა ყველას, ვინც გასაშვებად ვერ შემელია. ბერბიჭა.

• დამავიო, ზოგმა მე თუ არ შემყეფა, ისე ვერ შეამჩნევენ. შენნაირი ღირსება და შეგნება რომ ჰქონდეს ყველას, აშენდებოდა დობილო, გზავნილეთი. მოკითხვა ბოას და თამარს. ენიგმა.

• ეს გაზაფხულიც ისევ მოღელდა და შემოჯარა ფიქრები შენზე. იდილიისთვის მერცხლები და ატმის ყვავილობაღა მაკლია. გაზაფხულს გილოცავთ ყველას, ყველას, ყველას. მემე.

• ოო, ემიგრანტო, ჩემი სიმპათიები შენ, წყალობა არ მოგაკლოს უფალმა. P.S. კამ-კამ, ნუ ეძებთ დიდებას ადამიანთა შორისო, კარგო. პრინციპში, ჯანსაღი ამბიციაც კარგია. მემე.

• ბერბიჭ, მზის სხივი ხარ დილის, შემოჭრილი/ და მე ამ სინათლის მონა, ყურმოჭრილი,/ მადლობას აღვავლენ წინაშე უფლის,/ რომ ხარ ძმობილო, მდიდარი სულის/. მპა-მპუ. მემე.

• დამავიო, შენს აზრთან ტოლფარდია ჩემი შეხედულება, „მობილი-ზაციაში“ არსებულ სიტუაციაზე. კარგი ხარ. P.S. მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს, ხალხო, სიყვარული და სითბო. მემე.

• ვალერი მამასახლისო, არ ინერვიულო, ყველაფერს გავაკეთებ. იმედია, მშვიდად იქნები. გაუფრთხილდი თავს. ძალიან მიყვარხარ. მოკითხვა უბნისგან. მალე გაიხარებ დედა, გკოცნი.

• მარ, გილოცავ გაზაფხულის მობრძანებას და ქალთა დღესასწაულს. რომ შემეძლოს, ატმის აყვავებულ რტოს მოგართმევდი. მგონია, ძალიან გიყვარს. „...და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს“... ეეეჰ!.. ატმის ყვავილების ნაცვლად ბებიას „სურნელოვან“ პამპერსს ვუყურებ ყოველდღე... მაგრამ არაუშავს, ძლიერი ვარ, გავუძლებ! არ მინდა, ვინმემ შემიცოდოს... მარ, იცი რას გისურვებ? ბელტრანის მსგავსი მამაკაცის სიყვარულს, რომ თავი „ნორმალურ ქალად“ გაგრძნობინოს. ისეთად, შენს „სიტუაციაში“ ძებნას რომ აცხადებ. მინდა, ჩაგეხუტო. რატომ? ვიცი, რო? უბრალოდ, მიყვარს ძლიერი და ნიჭიერი ადამიანები. ემიგრანტი.

• ემიგრანტო, ცუდად მსჯელობ. კი, მართალია, ჩვენ აქ სამუშაოდ ჩამოვედით და ვმუშაობთ კიდეც, მაგრამ ოდნავ დაფასებას მაინც ვიმსახურებთ. მონებივით რომ გვექცევიან, განა ეს კარგია? ბერძნებს ჩვენ რომ არ ვულაგებდეთ და ვურეცხავდეთ, ჭუჭყში დაიხოცებიან. ასეთი ბინძური ხალხი თუ არსებობს, არ ვიცი. არ მეთანხმებით, ემიგრანტებო? ღმერთის მფარველობა არ მოგკლებოდეთ, ემიგრანტებო. გამაგრდით, ღმერთი არ გაგვწირავს. თიკუნია999.

• ეჰ, მისტერ, მგონი რაც ASHLEY-ზე თქვი ყველაფერი პირიქით არის. კარგად დაფიქრდი. მიკი.

• დათო ბ-ს! მამი, ძალიან გვიყვარხარ, გვენატრები და გვაკლიხარ. იმედია, მალე განახავთ. მა, ძალიან გთხოვ, უარი არ თქვა. შენი ნიკა. მა, როგორ ხარ? მენატრები, მინდა მალე განახო. გკოცნი, მაკა. დათო, ჩვენ კარგად ვართ, გისურვებ გამძლეობას. გამაგრდი და გაძლიერდი მეტად. შენ რომ კარგად იქნები, ჩვენც უფრო გაგვიადვილდება ყოფა. არ ინერვიულო, რაც არის, არის. მთავარია, საკუთარ თავში იპოვო ძალა. იზრუნე სულის გადასარჩენად. მაპატიე, ძალიან გულნატკენი ვარ და მეტს ვერაფერს გწერ. დანარჩენზე მერე ვისაუბროთ. აბა შენ იცი, ყოჩაღად იყავი. მარი.

• ბერბიჭავ, ქალებს გაუფრთხილდი, გული ფიანდაზად გაუშალე, შუბლზე გაჩენილი ნოჭები ნაზი მოფერებით წაუშალე, ქალებს შვლის ნუკრივით მოუფრთხილდი, მადლი ხელის გულზე მოუყარე, ქალებს დაულოცე ქალობა და ვაზის ყვავილივით მოუარე, თორემ სხვა ძალაა ქალის ძალა, ქალი ათას ჯავრად გადაგაქცევს, ქალი აგატირებს, ქალი დაგაჩოქებს, წამოგაყენებს და კაცად გაქცევს. ნუ ეთამაშები ბერბიჭავ ქალებს. P.S. გაიხარეთ ძალიან კარგები ხართ. მერი.

• თქვენობით არ მოგმართავ. შენ გაიხარე, ამ დაღლილ გულზე რომ გულიანად მაცინე, მარი. ოდესმე გაგიცნობ და მეც მოგიყვები ბევრ სახალისო ამბებს. ტაქსი-2.

• ქართელი კაცი ვარ, სოფლად ვცხოვრობ. ახლა ვენახში ვმუშაობდი, ჩემი გაშენებულია. მარი, კარგი მოქეიფე ყოფილხარ და ოდესმე ჩემს დაყენებულ ღვინოს ჩამოგიტან.

• ბერბიჭა მგზავნელების თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი სახით საქართველოს ნიჭიერი ახალგაზრდა ეზრდება. ბერბიჭას ლექსებს ამკობს შესანიშნავი რითმა და ხალასი იუმორი. მე ბერბიჭაში დიდ მომავალს ვხედავ. ეს ჩვენ ყველას უნდა გვიხაროდეს. ნანი დუმბაძე.

• მარი, მოგწერე ვბრუნდები-მეთქი და ეგრეცაა. უბრალოდ, ტელეფონი გავაფუჭე და ველარ გწერ, როგორც შენ, ისე სხვა მგზავნელებსაც, მაგრამ დაგიბრუნდებით ყველას, განახლებული ამბებითა და ამპლუით. მინდა მოვიკითხო იდუმალი, ცდუნება, სევდიანი ქალები, დიდი სიყვარულით. დუჩიზე, ილინზე, SWEET-ზე კი ვგიჟდები, ისე მიყვარს. სოფი19, ლალოლა, ჩუპი, კიკო და იკჩო, გენაცვალეთ თქვენ, ყოველთვის თქვენთან ვიქნები. აპოლონი.

• SWEET-GIRL, სიხარულო, ძალიან საყვარელი გოგჩო ხააარ. ;) ძაან კარგი და ჯიგარი გოგონა ხარ, გაკოცე. ვოტ, ტაკ! :) MOONSHINE.

• ყველამ მისმინეთ, გთხოვთ! ყველა წმინდანსა და ღვთისმშობელს ვფიცავ, სიმართლეს ვიტყვი, რაც ჩემსა და მისტერს შორის მოხდა: 5 დღე მკერა ვაუბატონმა, „ოდნოებით“, ბოდიშები მიხადა და კომპლიმენტებით ამავსო. „ატკაზი“ რომ დავურტყი, გამწარდა და ჯერ ფორუმზე დამწამა ცილი, ASHLEY დილის 5 საათზე მაღვიძებსო (არადა, მისი ნომერი არც ვიცი და თან სოფელო და ბანძები არ მევასებიან), მერე კი „გზაში“

რომ მივწერე, ჩემმა „ვიზუალმა“ ასე მოგხიბლამეთქი? „ოდნოში“ მომწერა, რა იყო, მარიაჟობ იმით, რომ მევასები? მაგის გამო დაგსჯი და „გზაში“ ისეთებს დავწერ, გული გაგისკდებაო. ASHLEY PCD.

• ღამის წყვიადში სიო მდელოს ელამუნება,/ ისმის შორიდან დაღალული მუხის ჭრიალი,/ ვზიავარ მარტოკა ვარსკვლავების ციმციმს გავცქერი,/ თვალწინ მეშლება უსასრულო ფიქრთა შრიალი./ ვფიქრობ ყვავილზე, რომლის ფერიც იზიდავს ყველას,/ რადგან დაგპირდი, შენ სანუკვარ ლექსს დაგიწერდი,/ ვუხმობ გულიდან გამონადენ სიტყვათა კონებს,/ შენ თუ ოდესმე შეგამკობდი, ვერ ვიფიქრებდი./ ვუმზერ შენს სურათს, საოცარი სპექტრი მეშლება,/ ნათელ ფერებში შენი სახე არის ჩაფლული.../ ბროლის გუგებში ჩასობილან გიშრის კაკლები,/ მარწყვის ტუჩები შენს ლოყებში არის გაბმული./ შენი სულიდან საამური სითბო გადმოდის,/ რომლით იშლება გაზაფხულზე ვარდის კოკორი,/ შენი სურნელით საოცარი მესხმის ბრუალი,/ შენგან წამოსულ ღიმილს მე ვერ შევებრძოლები./ ამას მიქადის ჟამი შენთან მეგობრობისა,/ რომ შენი გული სიკეთისთვის არის დარაზე,/ ამას მკარნახობს ჩემი გული გონების მცველი,/ რომ შენს წინაშე უძლურია თვით სილამაზე. აზიელი.

• მარ, ULTRIX-ი მაგარია, რაა. მოვკვდი ბღავილით, რომ წავიკითხე. მაგარი ხარ. იქნებ გვითხრა, ვინ არის ანა რეალურად? გაკოცე. კლეოპატრა.

• მოგესალმებით, ჩემო მარი და მგზავნელებო. მარი, ყველა რომ სიყვარულს გიხსნის, არ მიკვირს. აღფრთოვანებული ვარ შენი შემოქმედებით. მე საცოდავს, მხოლოდ ერთი პატარა ნოველა მაქვს დაწერილი „ბედია ყველაფერი“ და ამით თავი მომაქვს. ჩემი მეგობრების ბრალია. რომ წაიკითხეს, შემაქეს, მეც დავიჯერე. მეგონა, რაღაც ახალი სიტყვა ვთქვი. ამიტომ დამეუფლა სიამაყის გრძნობა და შენც მოგაწოდე, დასაბეჭდად. თურმე... ცაში დავფრინავ. შენს ნაწერებს რომ ვკითხულობ, დიდ სიამოვნებას განვიცდი. სიტყვები არ მყოფნის იმ გრძნობის გადმოსაცემად. ყოჩაღ, ქალო! მინდა, ბედნიერი იყო. მოხიბლული ვარ ცხოვრების შენეული აღქმით, წინადადების წყობით, შენგან გამომდინარე სითბოთი. ანას სახით ქალის რა დიდებული სულიერი სახე გამოძერწე. მიყვარს ანასნაირი ქალები. მარტო ის რად ღირს, რომ შენი შემოქმედებით გულს გვისათუთებ. ამისთვის ასი მადლობა შენ, ჯაფარიძე. მაინტერესებს შენი ოჯახის ამბავი. კარგი დედის აღზრდილი რომ ხარ, ცხადია. დანარჩენი? ასე რომ შეგვაყვარე თავი, შენი 1 პატარა სურათი, ორიოდე სიტყვა ხომ შეიძლება, დაგვიწერო? შენი ამბის გაგება ნატვრად მაქვს გადაქცეული. ნუ გადადებ ჩემს თხოვნას, ისეთ ასაკში ვარ, მეშინია, მიქელამ არ წამიყვანოს. გკოცნი, გეხვევი, ჩემო განუმეორებელო, საყვარელო მარი! ნანი დუმბაძე. P.S. ახლა მგზავნელებზე: მომწონს ლუნა, ლიმონა, ბერბიჭა, მემე, ენიგმა, მაესტრო და ასე შემდეგ. სიამოვნებით ვკითხულობ ყველა მესიჯს. დოლარას მესიჯმა კი გული მატკინა. ბილწი დასკვნებით დაგვინაგვიანა ჩვენი საყვარელი „გზა“, რომელიც ქართველების სახეა. შეურაცხყო ბერბიჭა კი არა, არამედ ჩვენი საყვარელი ჟურნალი. ჩვენ ამის უფლება არ უნდა მივცეთ. ამიტომ, მარი ჯაფარიძე, კატეგორიულად გთხოვთ, მგზავნელებისგან მოიკვეთოს დოლარა, გასუფთავდეს ჟურნალი ნაგვისგან, შეწყდეს ბილწი ლაყბობა, დაისვენონ... მგზავნელებო, მიყვარხართ. ნანი დუმბაძე (ქალბატონი ნანი 80 წელს გადაცილებული გახალავთ, მგზავნელებო და იმედია, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას გაიზიარებთ და ყურად იღებთ ქალბატონის რჩევას, — ავტ).

• 1 წელი გავიდა. ტკივილითა და მონატრებით აღსავსე წელი. იმედი, სადღაც ხარ და უბრალოდ, მანძილი გვაშორებს, უკვალოდ ქრება, როდესაც შენთან მოვდივარ და იქ არ ხარ. ჯერ ვერ შევეგუე იმ აზრს, რომ აღარ ხარ. თუმცა, ადგილები, სადაც მხოლოდ შენი ნაკვალევის აჩრდილიღაა შემორჩენილი, რეალობაში მწარედ მაბრუნებს. ისევ ჩამესმის, რომ მეძახი. თითქოს ისევ დახმარებას მთხოვ, მე კი ვერაფრით გეხმარები. მაპატიე, რომ ვერ შევძელი, უკეთესად მელოცა შენთვის. მაპატიე, რომ უფალთან შენი სიცოცხლის გადარჩენისთვის ვედრება დავაგვიანე. მაპატიე, რომ პირობა მოგეცი, მეორედ როცა გნახავ, უკეთ იქნები-მეთქი. თუმცა, ვერ შევასრულე. მაპატიე, რომ გაპატიე დანებება და წასვლის უფლება მოგეცი. მაპატიე, ყველაფერი მაპატიე, გთხოვ... მაპატიე, რომ შენი საფლავი ისეთი თბილი არ იქნება, როგორი სითბოც გიყვარდა, მაპატიე, რომ იქ უნდა დაგტოვო სამუდამოდ. მაპატიე, ყველაფერი მაპატიე, გთხოვ. უზომოდ მენატრები. კლეოპატრა.

• ვაა, ცოტათი ვყოფილვარ ნამდვილი ქალი. ელექტროჩაიდანი მეც დამიდგამს ღუმელზე და გამინადგურებია. :) სანტა.

• ASHLEY PCD, ბაზალეთზე ჩითავ ხოლმე? მარ, ASHLEY-ს „დრუზიებში“ მარიამული მარიამული შენ ხარ? :) MOONSHINE.

• დოლარა ისეა გამწარებული, მგონი თოვლის პაპის ნახმარი ერთ-ერთი ბებიაა და ცდილობს, სამაგიერო გადაუხადოს, ამ ამბის გამბაზრებელს. დამშვიდდი, ბებო, თორემ მომავალ ახალ წელს დარჩები უხმარი! ემიგრანტი.

• მაარ, რატომ არ მიბეჭდავ, დავაშავე რამე? ჩემმა შეშლილმა ლოვემ ჩემ საუკეთესო დაქალს ცოლიანი ტიპი გააცნო და გვიმალავდნენ ამ ამბავს. ლოვეს დავშორდი. ვერ ვაპატიე უსაქციელობა. აი, ასეთი შეშლილი ლოვე მყავდა. ბიჭებს არ ენდოოოოოთ... ბუქ-ბუქ.

• დოლარა, არ ჯობია, უთხრა ბიჭებს, ვინ ხარ? იმეგობრე ყველასთან. კეთილი რჩევაა. სანტა.

• გამარჯობა მარი, თქვენთან დაკავშირება მართლაც რომ ბედნიერებაა. უამრავი ადამიანი დაოჯახებულა თქვენი ჟურნალის მეშვეობით და თუ შეიძლება, მათი ინტერვიუ გადმოგვცე. ბევრი საინტერესო და სახალისო ისტორიებიც ექნებათ. გამოავლინეთ ეს დაოჯახებული წყვილები. თამო12.

• მოვიკითხავ ჩემს საყვარელ მეგობრებს, იდუმალ და სევდიან ქალს, ჭრიჭის, ედელვაისს, ტირიფს და მგზავრს, მის რეალს და მის დაიკუნას, 9717-ს, ბოას, ოლეგარიოს, ლიმონას, SWEETGIRL-ს, ASHLEY-ის, ჩუპის, თეთრ თოლიას, ილინს, კოზანოსტრას, სკარლეტს, სუპერსთარს, ვერმახტს, მაესტროს, პარიჟანკას, ეშმაკუნას, ენიგმას, გრუზისა და ლუნას, მიყვარხართ უზომოდ, ჩემი ოჯახის წევრებო. ქალი ცდუნება.

• ე.ი. მარ, რა მინდა გითხრა: რამ გააგიჟა ეს ხალხი, ჰა? იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ, მიეფერონ, განსაცდელი და ტკივილი დააძლევინონ, ჭამენ ერთმანეთს! გადაშალი „მობილი-ზაციას“ და დაჭმა-დაგლეჯვაა. ASHLEY-ს გიჟურად და გემრიელად ჩავლილი დღე თურმე გასაღიზიანებელია და ერთმანეთს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ.

• დამავოი ნამდვილი აღმოჩენაა ჩემთვის და მის მოწოდებას „მობილი-ზაციაში“ სოლიდარობას ვუცხადებ. მიყვარხარ, დამავოი. ელექტრა.

• „მობილი-ზაციას“ ვახტებოდი ხოლმე და აქ რა ამბავი ყოფილაა?! ჩხუბი, ლანძღვა, გინება, ბოზოს ძახილი... არ შემიძლია, მისტერის SMS არ აღვნიშნო, მაგარი იყო, ძმა!

• გადარეულო, არაჩვეულებრივი აზრია, ჭკვიაااა6! მაგრამ სანტა მირჩევნია, პასკა-პასკას განა რამეს ვერჩი, ძალზე მომწონს, მარა კიდო მოვა ახალი წელი და მერე პასკა აღარ გამოვა. :) სანტა.

• რას ერჩით ბერბიჭას ან ენიგმას? ნუ შეჭამეთ ტვინი რაა. მარ, მართლა ამოვიდა ყელში ეს ყველაფერი. ერთმანეთის ლანძღვა ჯანდაბას, არაფერი, მაგრამ მშობლებს რომ ეხებით, ეს რას ჰგავს? ძველ „გზებს“ რომ ვკითხულობ, ბედნიერი ვარ, ისეთი სიყვარული და ურთიერთგაგება ჩანს. რა დაგემართათ, ხალხო, არ ჯობია, ვიმეგობროოთ და კარგად ვიყოთ? რას ჭამთ ერთმანეთს? მიბაძეთ EKO BOY-ს, მოუხადეთ ერთმანეთს ბოდიში და მეგობრობა სცადეთ. უბრალოდ, სცადეთ. სანტა.

• ჩემო ძვირფასო მარიამულო, როგორ ხარ? იცოდი, რომ თაფლაკვერას ძალიან მოენატრე? :-) მართლა ძალიან მიყვარხართ შენ, „გზა“ და „გზავნილები“, რომელიც სიგიჟემდე მენატრება. თუმცა, ამჯერად მხოლოდ კითხვით ვკმაყოფილდები... ახლა იმდენი ვიცინე კოზანოსტრას მესიჯზე, რომ რა ვიცი... მოკლედ, მარიკუნა, მართლა უზომოდ მიყვარხარ. თაფლაკვერა.

• კამა-კამა, გიხაროდეს, თუ არავინ გახსენებს. ასე ჯობია. აბა, გინდა ცუდად ანდა ცალყბად გწერონ? ისე, არ გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ? იქნებ დავჭამოთ ერთმანეთი. გრუზინკა.

• მარ, ისე რა მაგარ თემას გააძრობ ხოლმე. ძალიან, ძალიან მიყვარხართ, მგზავნელებოო. გენაცვალეთ თქვენ გულში. ნიკი შევიცვალე გარკვეული მიზეზების გამო. ყოველ ხუთშაბათს ტარიელივით მიდევს „გზა“ წინ და საპასუხო წერილს გწერთ... გადავშლი მეორე ხუთშაბათს და სადაა შენი ნაოფლარი მესიჯი? კარგი რა, მარი, კვირაგამოშვებით მაინც გამომიქვეყნე, რასაც ამ პატარა გულით გწერთ. ჰოდა, მოკლედ, შეშლილი სამყარო მერე ნახეთ, მომავალ კვირას ჩემი მესიჯი თუ არ დამხვდეს აქ. ნერვოზა.

• CRAZY GIRL, ეგლა მაკლია, ვინმეს ბოდიში მოვუხადო. უბრალოდ, მივუტევე. მიტევება და ბოდიში განსხვავდება. აბა, ხელი ასწიეთ, ვის უნდა ჩემთან მეგობრობა? EKO BOY.

• ამდენ უმსგავსობაზე თავი უნდა დავხარო? იქნებ, ყავის მაგივრად საწამლავი ჩავყარო? ეს ლოზუნგი გავჩითე, ამ რუბრიკის წამყვანო: მეზობლებო, გამოდით, შეიშალა სამყარო!.. P.S. არადა, იმ მესიჯის წერაზე რამდენი ვიოფლიანე...

• აუ, მგონი მგზავნელებმა არ მიმიღეს. :(MOONSHINE.

• კამ-კამა, მეც შენს დღეში ვარ. არავინ მაქცევს ყურადღებას, :(მარა არა უშავს... იმაზეც მადლობელი ვარ, მარი SMS-ებს რომ მიბეჭდავს და „გზის“ ფურცლებზე ჩემს ნაჯღაბს ვკითხულობ.

• ეგ არაფერი, არა? მარ, ჯურღმულიორკი დაგავიწყდა? მგრუზავს უკვე ამდენი უარყოფითი SMS-ები. „გზას“ ეს არ ეკადრება. მარ, მიყვარხარ. კლეოპატრა.

• ULTRIX-ი რა მაგარიაა. არა, რაა, თან მთავარი სვანი ანაა. :) ზოგჯერ კი ვჭედავთ ეს სვანები, მაგრამ მაინც კარგები ვართ, ხომ? :)

• მამუკა ლოსაბერიძეს სახსოვრად ეს ლექსი: უბედურებას შვილად ვყავარ მე აყვანილი, ბედნიერების კარზე მივალ მხოლოდ მათხოვრად, დავაკაკუნებ, კარს არ გამიღებ და ავტირდები, ბედნიერებავ, ჩემი ცრემლები დაგრჩეს სახსოვრად. ათენიდან.

• აუ, მარ, ათინა55 გავიცანი. ისეთი საკალელი ვინმეაა. ისე გამეხარდა, სულ ვეხმიანები. მიყვარხარ, ათინა55. იმედია, ვიმეგობრებთ. გაკოცეთ ბევრი. განსაკუთრებით შენ, მარი.

• ბერბიჭა, ძალიან კარგი ხარ. წასვლაზე არც იფიქრო, თორეე... არა, მართლა არ წახვიდე რა, ყველას გვიყვარხარ. ვისაც არ უყვარხარ... ჩაგეხუტეთ. თიკუნია999.

• ჰო, მართლა, როგორც იქნა, მე და თიკუნია999-მა გავიცანით ერთმანეთი. ცოტა ვალოდინე, მაგრამ მგონი ლოდინად ღირდა. ხომ ასეა, თიკუნია? ათინა55.

• ASHLEY, სად მიდიხარ? რა დროს წასვლაა, ჯერ არ მოსულხარ (ეს ხუმრობით). კარგი ხარ. ნაგლო, მართლა ნაგლი ხარ? თეთრი ყვავი, სად ხარ? გვაკლიხარ. ვერძი, კეთილი იყოს შენი მოსვლა. უკვდავი ხმა, რა კარგად წერ. ახალმოსულს სულაც არ ჰგავხარ. ბერბიჭა, პირადად მინდა გაგიცნო (ინტერნეტით ვგულისხმობ), თუ წინააღმდეგი არ იქნები და როგორ შევძლებ? თიკუნია999.

• ბერბიჭას მინდა ვუთხრა: ფილოსოფოსი ნაღდად არ ვარ, მაგრამ სიმართლე მწარეა. ეს ერთი და მეორეც, მე ენიგმას არ ვჭამდი და არც არავინ შემიჭამია. დაუკვირდი, რასაც იტყვი. დაგიჭამიათ ერთმანეთი. ასე გიქნიათ, სულ ერთმანეთის შესაჭმელად ხართ მზად. ათინა55.

• ისე მარ, უკვდავ ხმაში მის რეალი ამოიცანი და თან თქვენს ნაწერებს ვცნობო დაა ფეშენაში ვერავის უკვდავი სული დალანდე? :-)

• მარი, არ ვიცი, რუსუდან გელაშვილს როგორ მივმართო ამიტომ შენ გწერ: გთხოვთ, კლეოპატრაზე ყველაფერი მიამბეთ, რაა. ბოდიში, თუ შეგაწუხე. კლეოპატრა. უფალი გფარავდეს.

• ცისია ვერ შეაშინა/ ცხრათვალას გულის წყრომამ,/ მგზავნელებს ვერა დააკლო,/ ყვავუკას მწარედ გმობამ,/ ცხრათვალა აყვავებულა და/ თავს უქნევდა მორჩილად,/ ჩვენი ტკბილი და ზოგისთვის/

სულზე უტკბესი ბერბიჭა. /ჭრიჭინა ჭრიჭინობელა/ დახტოდა, დაჭრიჭინობდა,/ მისი ნაწერი გზავნილი/ ყოველ ხუთშაბათს ფასობდა./ ASHLEY-ს კაცთა სიაში/ ჯერ არ შესულა მისტერა,/ ამ ჩვენმა ტკბილმა გოგონამ/ სულ სითბოს, კურსი გვიჩვენა/ ვიღაცა მწვანედ ბიბინებს,/ მგზავნელად დიდად ვერ ფასობს,/ თოლიაც ყოველ ხუთშაბათს, ტკბილი სიტყვებით გვიგალობს,/ ეს ჩვენი გოგო კამ-კამა,/ წყაროს წყალივით კამკამებს,/ ენიგმას რითმას ვადიდებ,/ ძალზე ჯანსაღად აზროვნებს./ მგზავნელ დეიდებს ეტყობა,/ ხიბლავთ პატარა ბიჭები./ იქნება ცოტაც აცადოთ,/ არ ამოსვლიათ კიჭები./ ჩვენმა ნიკოლმა რაობა/ ვერც ნიკის შეცვლით დამალა,/ სად დაგვეკარგა ნეტავი,/ ჩვენი გოგონა სიკვდილა?!/ ლუნიტა კარგად თამაშობს,/ ამშვენებს არემარესა,/ ამან რომ რამე იტკინოს,/ ნეტავ ვის დააბრალებსა?...

• ბათუმის პრინცესავ, ახალი ხარ? მართლა, გილოცავ დაბადების დღეს. დიდი გოგო გაიზარდე. :-) გადარეული.

• ნულარ მეძახი, გულმა შენთვის დახურა კარი, სიყვარულის ცეცხლს ვერ აღვიძებს სიო და ქარი, წელთა დინებით სალ კლდეებსაც უჩნდება ბზარი, გრიგალ-გამოვლილს მაცილებენ დღეები წყნარი. ნუღარ ამიშლი მიყუჩებულ გულის იარებს, ყველა ვერ ხარობს, ეს ცხოვრება ასე ტრიალებს, სამშობლოს ზეცა მასულდგმულებს, თავს დამტრიალებს, მივყვები ნელა, უხმაუროდ, დღეებს მზიანებს. გზადაგზა ხარბად ვაკვირდები ადამიანებს, მომავლის ყვავილს ვინც უვლის და არ აზიანებს. :((ხალხო, ნუ კბენთ ერთმანეთს, არ გეყოთ? თქვენი კბენა-ღრენის ბრალია, ძველების წასვლა. პირადად ვერ მოაგვარებთ თქვენს პრობლემებს? მარი, ვიცი, მეტი წილი მესიჯები მაგ ხასიათისაა და იფიქრებ, რაღა დავბეჭდოო, მაგრამ იქნებ ცოტა მაინც შეამციროო? ჟურნალისთვის პატარა ინტრიგა კაია, მაგრამ მაგათ ერთმანეთის დაჭმას არ ჰქვია ინტრიგა. ყველა მგზავნელმა ორი და სამი ადამიანის დაჭმას ვუყუროთ? ერთ ნომერში რომ დაიბლოკოს მასეთი მესიჯების ავტორი, შემდეგ აღარ გააკეთებს სხვა. არ მგონია, ვინმეს აინტერესებდეს მაგათი ურთიერთ პრობლემები. პირადად მე მაგრად მკიდია... დავიღალე უკვე. მემე და JUST NAT, არ გიცნობთ, მაგრამ მაგრად გაფასებთ. არიადნასა და ფლამინგოსაც. კარგები ხართ. 9717.

• ქალ ცდუნებას: თუმცა შორსა ხართ, მაგ თვალების სითბო აქ გვწვდება, თქვენი ტკბილი ხმა ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება, ეს მონატრება ავიტანოთ ნეტავი რითი, მოგვეძალება ხშირად თქვენზე დარდი და ფიქრი. თურმე რა ძლიერ გვყვარებიხართ, ახლაღა ვხვდებით, მოგვნატრებია თქვენი ნაზი, სათუთი ხელი, ჩვენი შეხვედრა ქარიანი დღეების მიღმა, ფიფქების კოცნა... ისევ თქვენთან შეხვედრა გვინდა. მხოლოდ ალერსი, მხოლოდ სითბო გვახსოვს ჩვენ, თქვენგან, შეგვეჩვინა თქვენზე ფიქრით ღამეთა ტეხა, თქვენ ქალღმერთი ხართ, მზის სხივი ხართ ამომავალი, თქვენმა სიტყვებმა შეგვასწავლეს ძლიერ მრავალი. მოგვენატრებით... ავტირდებით მონატრებისგან, ისე გვიყვარხართ, არ განსხვავებთ დეიდებისგან, რა ნელა გადის ეს უთქვენო დღეების წყება, გთხოვთ დაგვიბრუნდით, დაასრულეთ ეს მონატრება. ეს ჩვენგან თქვენ... 9717.

• მარ, საღოლ, ULTRIX-ი ძაან მაგარი რამეა, ცვეტში... მინირომანებიც კარგია... და შენც კარგი ხარ. :) MOONSHINE.

• შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო? ეჰ, მარ, ვკითხულობ „მობილი-ზაციას“ და ვგრძნობ რომ მეც ვიშლები. მინდა, ამ ქაოსზე პროტესტი გამოვთქვა და ზემოთ (შენთან, მარ) გავასაჩივრო! დავიფიცე, რომ არასოდეს ჩავერევოდი „მობილი-ზაციაში“ არსებულ კამათში (რაც აქამდე პირნათლად შევასრულე, მარი დამეთანხმება), მაგრამ ძნელია, ჩუმად უყურო, როგორ ჭამენ შენი საყვარელი მგზავნელები ერთმანეთს და დესერტად მარის აყოლებენ (რათ ბეჭდავ... რათ არ ბეჭდავ და ა.შ.). რა იქნება, დავფიქრდეთ, რას ჩავდივართ? 50 თეთრით და დაბოღმილი გონებით შეგვიძლია ერთმანეთს ხასიათი გავუფუჭოთ მთელი კვირით ან მეტი ხნითაც კი (ლანძღვის სიხშირისა და სიმძლავრის მიხედვით). ერთმანეთს დაბეჭდილ მესიჯებს და ნიკებს ვუთვლით, ნიღბების ახსნას უხეში მეთოდებით ვცდილობთ. ვერ ვხვდები, ვის რა სტკივა თუ იმ მეორე, ან თუნდაც მესამე ნიკს ამოფარებული მგზავნელი არაფერს გვნებს და მხოლოდ საინტერესო და თბილ გზავნილებს წერს. ეს ხანმოკლე ცხოვრება ისედაც მძიმე, შეუბრალებელი და დამთრგუნველია. თითქმის ყოველდღიურ მენიუში გვაქვს პატივი, ვიგემოთ უსამართლობა, გულის ტკენა, ცილისწამება და ლანძღვა... გთხოვთ, აქ, ამ სამყაროში მაინც ნუ გავთელავთ ერთმანეთს. სამყაროში, რომელიც მარიამულმა ჩვენში სიყვარულის გასავრცობად და დღეების გასალამაზებლად შექმნა და არა ბოღმისა და მტრობის სავანედ. რა იქნება, წყენა დავივიწყოთ და ვწეროთ ისე, რომ ხუთშაბათი დღე ჩვენთვისაც და სხვისთვისაც მხოლოდ სიხარულის მომტანად ვაქციოთ? მაარ, შენ და თითოეული მგზავნელი ძალიან მიყვარხარო! მაპატიეთ.

• სპეცნაააზ, სად ხარ, რატომ აღარ ჩანხარ „გზაში“? მართლა ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა და შენნაირი ადამიანი გავიცანი. შენი რჩევები ყოველთვის საუკეთესოდ მოქმედებს ჩემზე. მაპატიე, ყოველი უხასიათობისას რო მოგმართავ და იძულებულს გხდი, ჩემი გაუთავებელი წუწუნი გასმენინო. ალბათ ეგაა მეგობრობა. ჩუუპ, მიყვარხააარ... ჩემი ანტიდეპრესანტები ხართ ორთავეეე. SWEET-GIRL.

• ყველა დედას, დედის დღეს გილოცავთ, ჩემი დედიკოსა და მარის თამადობით (დედუცი, შენ რა მრავალშვილიანი ხააარ?!). მანდილოსნებს კი ქალთა დღეს. გამოგვეცადოს ის, რასაც ქალური ბედნიერება ჰქვია. ვნაააზოთ ერთი, აბა ვის გავახსენდებიი? ისე კი არიან გაკრეფილები ენად და... მიხარია გაზაფხული, ძალიან, ძალიაააან... SWEET-GIRL.

• გუდაა! მეც, როცა გზავნილ-იორკის გზას დავადექი და ყველას და ყველაფერს აღფრთოვანებით ვუყურებდი, გიდობას მაესტრო მიწევდა და იცი, რა მითხრა? ეს სამყარო არც ისეთი წმინდა და უმანკოა, როგორც გგონიაო.... მაშინ ძალიან გამიკვირდა მისი ეს სიტყვები, მაგრამ დროთა განმავლობაში დავრწმუნდი მის სიმართლეში. ბევრი ვინმეს გაცნობას უკვე ძალიან ვნანობ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც წონიან ყველა დანარჩენ უარყოფითს... შეიძლება მოხდეს ისე, რომ ვიღაცის გამო აქედან წავიდე, მაგრამ იმას, რომ ოდესმე მგზავნელი მერქვა, გზავნილეთის ისტორიის სულ მცირე მონაკვეთს ვავსებდი და მარის თუნდაც სუუულ ცოტათი მაინც ვუყვარდი, როგორ შეიძლება ვინანოო? არამც და არამც! SWEET-GIRL.

• მიშ, გამიხარდა, რომ შევრიგდითო... ნუ, რა გვქონდა საჩხუბარი და გასაბუტი, მაგრამ მაინც... შენი ოპტიმიზმითა და მხიარულებით სავსე SMS-ები მომენატრა. იმედია, არ მომაკლებ. SWEET-GIRL.

• გადარეული გავიცანი და მააართლა გადავირიე, დაფიცება შემიძლია, რომ მთელს გზავნილეთში არავის ჰქვია ასეთი შესაფერისი სახელი. მართლა რა გადარეული ხარ, ვახოოო... ე.ი. ტელე აღარ ჩერდება, რა... გენაცვალე შენ... SWEET-GIRL.

• ირაკლი ბოაააა? მე არ გიცნობ, როგორც მახსოვს და ჩემი ფოტო საიდააან? რა არ ხდება ამ გზავნილებში რა, გადაირევა კაცი პირდაპირ... ჰოდა, მე მიყვარს ეს თქვენით გადარეული SWEET-GIRL-ი (რა თავმდაბლობაა). SWEET-GIRL.

• კააამ, სიხარულიი, გენათალე, მადლობა. :) კიდეე ჩამოო და უეჭველი გნახა

თქვენს შვილებთან ერთად. გამრავლდით და გაიხარეთ. უზომოდ მიყვარხართ და მენატრებით. გკოცნით, ცისანა.

• მინდა დაბადების დღე და 8 მარტი მივულოცო ნატო დევიძეს. მრავალს დაგასწროს ღმერთმა, შენს მონატრებულ ოჯახთან ერთად. გისურვებ, როგორც შენ გინდა, ისე დაბრუნებოდე ოჯახს.

• 3 მარტს, დედის დღეს და დაბადების დღეს ვულოცავ გულნაზი მჟავანაძეს. დაესწარი მრავალს, შენ ოჯახთან ერთად. ჯანმრთელობას, სიხარულსა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ. ფუმფულა.

• 3 მარტს და 8 მარტს ვულოცავ ბაღდათში (წითელხევში) ყველა მანდილოსანს. გახარება, ჯანმრთელობა და სიყვარული არ მოგაკლოთ უფალმა. გკოცნით და გეფერებით ათენიდან, დიდი სიყვარულით.

• ათენში დროებით მყოფ ირმა კაკაძეს ვულოცავ დაბადების დღეს და 8 მარტს. გაზაფხულივით მშვენიერო, ქალო ლამაზო, გისურვებ ჯანმრთელობას, სიკეთეს და იმდენ წელს, რამდენიც ლამაზი ვარსკვლავიცაა ცაზე. ბედნიერებას გისურვებ, შენს ქმარ-შვილთან ერთად. ინეზა.

• ჯიღაურაში სალომე თაყაშვილს 8 მარტს დაბადების დღეს ულოცავს დაქალი, ლამზირა. სალო, გისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. შენი ლამზირა.

• სალომე თაყაშვილს დიდი სიყვარულით ვულოცავ 8 მარტს, დაბადების დღეს. სალო, სულ ასეთი გახარებული მენახე. ფატი მამიევა.

• სალო თაყაშვილს 8 მარტს, დაბადების დღეს ულოცავს ნანა პავლიაშვილი. სალომე, გისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. გაძლება მოგცეს ღმერთმა. ნანა.

• სალომე მამიდა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობასა და გახარებას. შენი ძმისშვილის ცოლი, ნონა გაბრიელაშვილი.

• მონატრებით, სიყვარულით მინდა სოფელ ნერგეეთში, ჩემს სამეზობლოში მცხოვრებ, ყველა ქალს მივულოცო ლამაზი დღე, 8 მარტი. დაესწარით მრავალს, გისურვებთ ჯანმრთელობას. იხარეთ და იბედნიერეთ. გულო ნერგაძე.

• მამიდაჩემს, სალომე თაყაშვილს ვულოცავ 8 მარტს, დაბადების დღეს. მამიდა სალო, სულ მუდამ გახარებული მენახე, შენს შვილებთან, შვილიშვილებთან და დაქალებთან ერთად. შენი ძმისშვილი, თამილა გაბრიელაშვილი.

• ჩემ საყვარელ და მონატრებულ დედიკოს ვულოცავ დედის დღეს. გაიხარე. და კარგად იყავი, შენი საყვარელი ხალხით. გკოცნი და გეფერები, ჩემო სიცოცხლევ. ელისო ლანჩავა.

• თამილა და იათამზე ლანჩავას მონატრებული დაიკო ულოცავს დედის დღეს. გაიხარეთ, თქვენი ოჯახებით. თქვენი ელისო.

• გამარჯობა, 5 წლის უნახავ შვილს, სალომე ფუხაევს 8 მარტს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ სიხარულო ჯანმრთელობას, დიდ ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და ლამაზ სიყვარულს. უფალი იყოს შენი მფარველი. მალე ერთად ვიქნებით. გკოცნი ბევრს, შენი დედიკო.

• ჩემს უცნობ და მონატრებულ შვილიშვილს, ლიზი ფაფვიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ლამაზო და სიყვარულო, დაესწარი მრავალს, შენს დაიკო ილონასთან ერთად. გულიზა ბებია.

• ჩემს უცნობ დისშვილიშვილს, ნანო სანებლიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო კუდრაჭა გოგო, გისურვებ კარგ ბავშვობას. გულიზა ბებია.

• ჩემს საყვარელ და მონატრებულ დედას, დარიკო პატურაშვილს ვულოცავ დედის დღეს. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, შენი შვილების იმედად. მიყვარხარ და მენატრები. მაია.

• ჩემს თვალხატულა გოგოს, ხატია წიკლაურს 8 მარტს ვულოცავ დაბადების დღეს. გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყოს შენი ცხოვრება. გკოცნი, მაია დეიდა.

• ქუთაისში, თათია კიკნაველიძეს 3 მარტს ვულოცავ დაბადების დღეს. თათი, გისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. სულ ასეთი ლამაზი მენახე, დღეს რომ ხარ. ლამზირა ბიცოლა, ათენიდან.

• ჩემს მაზლის ცოლს, ქეთინოს დიდი სიყვარულით ვულოცავ შვილების, თათიასა და გურიკას დაბადების დღეს. ქეთი, ულევი სიხარული და სიყვარული გქონოდეთ. სულ ასეთი ლამაზები და დამჯერები ყოფილიყვნენ, დღეს რომ არიან. შენი ლამზირა.

• ქეთინო, გილოცავთ შვილების, თათიასა და გურიკას დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და გახარებას ვუსურვებთ. შენი დები, ელზა და ირინა ჩაფიჩაძეები.

• ჩემ საყვარელ და მონატრებულ დისშვილს, თაკო მეფარიშვილს 4 მარტს ვულოცავ დაბადების დღეს. დეი, გისურვებ სიყვარულსა და დიდ, ადამიანურ ბედნიერებას, სიკეთეს, ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევეს, ლამაზი დღეების სიმრავლეს, ზღვა ყვავილს, ყველაფერ ლამაზსა და მშვენიერს, რაც კი არსებობს ცხოვრებაში. გფარავდეს ღმერთი და დედა ღვთისმშობელი. კეთილი სურვილებით, შენზე მონატრებული შენი საყვარელი დეი და ბიძი.

• მამუკა (გვრიყია) ჩხობაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე, საყვარელ ოჯახთან ერთად და ასევე მის შვილს, ეკას ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს. გკოცნით. ნიურა.

• ქუთაისში კუჭაიძე ლევანს ვულოცავ დაბადების დღეს, 19 მარტს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულს, შენს ლამაზ ცოლ-შვილთან ერთად. თინა.

• გაზაფხულის დადგომასა და 3 მარტს, დედის დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ დედიკოს. ღმერთმა უამრავი გაგითენოს დედი, შენს შვილებთან, შვილიშვილთან და ყველა კარგის მსურველთან ერთად. დედი, ახლოს რომ ვიყო, მაგრად ჩაგიკრავდი გულში. ძალიან მენატრები. გკოცნი და გეფერები ძალიან ბევრს. ნანი (ნანუკა 24).

• სალომე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს. 8 მარტს დაბადების დღე და დედის დღე ერთად მოგველოცოს. გაიხარე, შენს ოჯახთან ერთად. ზინა და ლილი.

• ნერგეეთის საშუალო სკოლის ქალთა პედკოლექტივს, ჩემი შვილების აღმზრდელ ქალბატონებს მინდა მივულოცო ქალთა დღე, 8 მარტი. გისურვებთ ყოველივე თქვენგანს ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებას, შრომით საქმიანობაში. გიგლა და გოგა ნერგაძის მშობელი, გულო.

• ქალბატონ ანიკო ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, შენი დიდი ოჯახით. გისურვებ ყოველივე კარგს. უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს შენს ოჯახს. ირინა კბილაშვილი.

• ცისარტყელა აკისკისდა, მიებჯინა კლდეს, თოლიები ზღვის ნაპირზე ჩუმად კრავენ წრეს, გეფერებით და გილოცავ დაბადების დღეს. თაკუ, გილოცავს შენი საყვარელი დეიდაშვილი, ამიკო.

• ჩემს საყვარელ დეიდაშვილს, თაკო მეფარიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, ბედნიერ მომავალსა და ულევ სიხარულს. შენი დეიდაშვილი, ზანდა.

• ათენში მყოფ ხათუნა კახიანს ვულოცავ გაზაფხულის დადგომასა და დედის დღეს. გაზაფხულივით ლამაზი და მომხიბვლელი ყოფილიყო, გეხუტუნე მუდამ. სულ მალე, იმ ჩანაფიქრებით ასრულებული დაბრუნებულიყო შენს ბაჭიებთან. უფალი გფარავდეს, სიხარულო. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ნანუკა24.

• ჩემს დაიკოს, თია ფანცულაიას ვულოცავ დედის დღეს. ღმერთმა ლამაზი და ბედნიერი დედა გამყოფოს, მთელი ცხოვრება. შენი ლანუკათი გეამაყოს მუდამ. გფარავდეს უფალი, დაიკო. ძალიან მიყვარხარ, გეხუტუნე. შენი პატარა დაიკო, ნანი.

• ნანა იმერლიშვილს დედის დღეს ვულოცავ. ნან, გაიხარე, ჩემო კარგო. შენ მართლა საამაყო დედა ხარ. დარწმუნებული ვარ, შენი შვილები შენით ამაყობენ კიდეც. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ხათუნა.

• ნანა ბანძელაძეს ვულოცავ დედის დღეს. სულ ჯანმრთელი და გახარებული გვეყოლე, შენს შვილებს. დე, ძალიან მიყვარხარ. ხათუნა.

• კაპანაძე ნათიას დედის დღეს ულოცავს ემიგრანტი დედიკო. ბედნიერებასა და ჯანმრთელობას უსურვებს, ლამაზ ოჯახთან ერთად. დედა დარია.

• ჩემს მონატრებულ შვილს, სალომე გაგნიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ წინსვლას, სიხარულს, პირველ მარტს, მრავალ გაზაფხულს, სიყვარულს, სითბოს არნახულს. შენ დაესწარი მრავალს, ჩემო მზე, ჩემო ჩიტუნავ. სულ დაგილოცავ გზა-კვალს. ლალი გაგნიძე.

• ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, მარიამ რაზმაძეს ვულოცავ 5 მარტს, ოქროს დაბადების დღეს. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. უფალს ებარებოდე. მაია ბებო.

• 5 მარტს დაბადების დღეს ვულოცავ ნინო ნიკურაძეს. სიხარული, სიყვარული და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. მაია დეიდა.

• დედის დღეს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს დედას, მაგული ფანცულაიას. გამრავლებასა და გახარებას გისურვებ. მანამ იცოცხლე, სანამ შენს შვილებზე ცქერა არ მოგწყინდება. გკოცნი შენი თეა. მიყვარხარ და მენატრები.

• ირმა ჩოგოვაძეს დედის დღეს მივულოცავ, დიდი სიყვარულით. ირმა, ძალიან მიყვარხარ. ახლოს ხარ, მაგრამ მაინც ტელეფონით გვიწევს მოკითხვა. შენი მეგობარი, თეა. მიყვარხარ.

• მერი ფხაკაძეს, ზოია არაბიძეს, თამრიკო კვიცარიძეს მინდა მოგილოცოთ დედის დღე. თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად, გაიხარეთ და გამრავლდით. გკოცნით და გეფერებით. ნიურა.

• ბარბარე გურაშვილს ვულოცავ დედის დღეს. ამდენი წლის ლოდინის შემდეგ ნანატრი ვაჟკაცის დედა გახდი. ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი, მუდამ. გფარავდეთ ღმერთი. თამილა.

• ნატო ცერცვაძე-დევიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, შენი მონატრებული, ლამაზი ოჯახით. გფარავდეს უფალი. ირინა კბილაშვილი.

• ათენში ნანა ბუთხაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მირონისა და მრწამსის ძალა სულში ჩაგეღვენთოს, ანგელოზის ჩირაღდანი შინ და გარეთ გენთოს, რასაც სიყვარული ჰქვია, შენს გულს სრულად ეგრძნოს, იებისა და ენძელების ბილიკებით გევლოს, ასე გლოცავს ჩემი გული, შენი გული ენდოს, მამა, ძე და სულიწმინდის მადლი დაგებედოს... მზია.

• ათენში ჩემს რძალუკა ნანა ბუთხაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ულევ სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად. მულუკა მზია.

• ხათია კაშიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და წინსვლას ცხოვრებაში.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

„შავ-თეთრი „აპრილის სუსხი“

საფრანგეთში და ჟიურის სპეციალური პრიზი

ცოტა ხნის წინ, კლერმონფერანის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე ქართულმა ფილმმა — „აპრილის სუსხი“ — პოეზიის, ტრადიციის და უშუალობის ნატიფი და იშვიათი სინთეზისათვის, ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო. „აპრილის სუსხი“ სტუდენტ-კინემატოგრაფისტთა საგანმანათლებლო პროექტ „ზაფხულის კინოსკოლის“ ფარგლებში, თორნიკე ბზიავას მოთხრობის — „ენოტი“ მიხედვითაა გადაღებული. რეჟისორიც თავად თორნიკე ბზიავა გახლავთ. ფილმი 1989 წლის აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს ეხება.

ეთო ყორღანაშვილი

თორნიკე ბზიავა, *რეჟისორი:*

— მოკლემეტრაჟიან ფესტივალებს შორის, კლერმონფერანის კინოფესტივალი ყველაზე პრესტიჟულია. მას „პატარა კანსაც“ უწოდებენ. ფილმის „ხმაც“ არ მქონდა ბოლომდე „გაკეთებული“, საფრანგეთში რომ გავგზავნე. შესარჩევ კონკურსში 5000 ფილმი მონაწილეობდა. არ ველოდი, მაგრამ დაახლოებით 2 თვეში დადებითი პასუხი მივიღე — საერთაშორისო კონკურსში მონაწილე 8 ნამუშევარს შორის, „აპრილის სუსხიც“ შეარჩიეს. ასეთი დონის კინოფესტივალში მონაწილეობაც კი დიდი საქმეა.

— თუმცა თქვენს ფილმს ჟიურის სპეციალური პრიზიც ერგო. ვინ დაგავჯილდოვათ?

— ჟიურის ერთ-ერთმა სერიოზულმა წევრმა, ფრანგმა რეჟისორმა, ნოველისტმა და კომპოზიტორმა — ჟერარ მანსემ გადმომცა პრიზი — პოეზიის, ტრადიციის და უშუალობის ნატიფი და იშვიათი სინთეზისათვის. სამწუხაროდ, თავად, დაჯილდოების ცერემონიაზე არ დარჩა.

— ანუ ჟერარ მანსეს პირადად არ შეხვდით?

— არა. მერე შევიტყვე, რომ ასეთი ტიპი ყოფილა — პოპულარობას არ ესწრაფვის.

— „აპრილის სუსხის“ ნახვის შემდეგ, კინოფესტივალის სხვა მონაწილეებსა და უცხოელ ჟურნალისტებს რა კითხვები გაუჩნდათ?

— აინტერესებდათ, თუ რატომ გამიჩნდა ამ თემაზე ფილმის გადაღების იდეა. პრესკონფერენციაზე მიმიწვიეს, სადაც „აპრილის სუსხის“ შესახებ ვისაუბრე. როცა ეს ტრაგიკული ამბავი მოხდა, მაშინ 8 წლის ვიყავი: 1989 წლის 9 აპრილს ბევრი ადამიანი შეეწირა. თავდაპირველად, ბავშვებმა შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები, ტანკები რომ დავინახეთ, ძალიან მოგვეწონა, რადგან ვერაფერს ვხვდებოდით... იმ ტრაგიკული მოვლენების დროს, ჩემი კლასის დამრიგებელს — გულიკო სამარგულიანს 3 ახლობელი ადამიანი დაეღუპა: 2 მოუკლეს, მესამე კი ამაზე დარდს გადაჰყვა.

— 9 აპრილის თემაზე ფილმის გადაღების სურვილი წინათ არასდროს გაგჩენიათ?

— არა, ალბათ გარკვეული დროა საჭირო, მოვლენა კარგად რომ გააანალიზო და შემდეგ შენი სათქმელი თქვა. სხვათა შორის, ყური მოვკარი, თითქოს 1989 წლის აპრილის საშინელი ამბების დროს ერთ-ერთი რუსი ჯარისკაცი ქართველებს მართლა დაეხმარა.

— შეგიძლიათ, თქვენი ფილმის შინაარსის შესახებ ცოტა რამ გვიამბოთ?

— დაუნდობელი საბჭოთა ჯალათი, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევაშიც და კომენდანტის საათის დროსაც დიდ როლს ასრულებს, დილით დოლის ხმას გაიგონებს: ერთ დიდ დარბაზში მოხუც მასწავლებელს აღმოაჩენს, რომელიც პატარა ბიჭუნას ცეკვაში ამეცადინებს. მათ ვერაფერს ეტყვის... შემდეგ, ახალგაზრდების დარბევისას, ჯალათი პეტროვიჩი ერთ-ერთ რუს ჯარისკაცს ჩაბღაუჭებულ ბავშვში, დილით ნანახ ბიჭუნას ამოიცნობს... მოდი, ფინალს არ „გავყიდი“, უბრალოდ აღვნიშნავ: ალბათ შეუძლებელია, დამპყრობელი, ხელოვნების „აფეთქების“ ფაქტს გადააწყდეს და მასში ადამიანურმა გრძნობამ წამით მაინც არ გაიღვიძოს. აი, სწორედ ამაზეა ჩემი ფილმი.

— მასში მონაწილე მსახიობებზე რას გვეტყვით?

— მთავარ როლში არაჩვეულებრივი ფალავანი და მწვრთნელი — მალხაზ ჯორბენაძეა, რომელიც ფალავანთა კლუბში მოღვაწეობს. მართალია, მსახიობობას ძალიან კარ-

გად გაართვა თავი, მაგრამ ფილმში მონაწილეობაზე მისი დათანხმება საკმაოდ რთული იყო. ასევე, „აპრილის სუსხში“ ახალგაზრდა მოცეკვავე — მირიან გარუჩავა და არაჩვეულებრივი ქორეოგრაფი — რეზო ფანიშვილი (რომელიც დედაჩემის ბიძა გახლავთ) თამაშობენ.

— დედათქვენი — ქალბატონი ქეთი დოლიძე თუ გაძლევთ პროფესიულ რჩევებს?

— ის ჩემი ფილმების გადაღების პროცესში არ ერევა, მაგრამ ჩემი ნამუშევრები მოსწონს. ზოგჯერ კრიტიკულიცაა და ამაში უჩვეულო არაფერია: შეუძლებელია, რეჟისორი ყველაფრით კმაყოფილი დარჩეს.

— „აპრილის სუსხი“ შავ-თეთრ ფირზე გადაიღეთ, არა?

— კი, მისი შოვნა თავად მომიხდა, რადგან „კინოსკოლაში“ ფერადი ფირი ჰქონდათ. მივიჩნიე, რომ 9 აპრილის თემაზე გადაღებულ ფილმს შავ-თეთრი ფირი უფრო მიესადაგება. საერთოდ, შავ-თეთრი კინო ძალიან მიყვარს — მას თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს.

— როგორც ვიცი, გადაღებისას თბილისელები გვარიანად შეაშინეთ...

— რუსთაველზე დიდი გადაღება გვქონდა. ვიღაცები პანიკაში ჩაცვივდნენ, — მართლა რუსი ჯარისკაცები ხომ არ შემოგვესივნენო (*იცინის*)?! საკმაოდ რთული სამუშაო იყო: ერთ-ერთი მასობრივი სცენის გადაღებისას დედაჩემიც მეხმარებოდა — 200 კაცს მარტო ვერ გავუმკლავდებოდი. საერთოდ, კინოს „კეთებისას“ კოლექტიურ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ასისტენტებს — ნუგზარ ლორიას, ბექა ხოფერიას, მიშა აფხაზავას და მხატვრებს — თეო ბერიანიძეს, დოდო ჩხეიძეს... ძალიან კარგი შემოქმედებითი ჯგუფი მყავდა!

— თორნიკე, კლერმონფერანის კინოფესტივალის მონაწილე სხვა ფილმებს როგორ შეაფასებთ?

— საერთოდ, კინოფესტივალები ლატარიას ჰგავს: შეიძლება, ღირსეული ფილმები პრიზების გარეშე დარჩეს. პირადად მე, ჟიურის წევრი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად დავაჯილდოებდი რუმინელი რეჟისორის — ალექსანდრე მავროდინეანუს Mzika in Sange-ს და ტაივანელი ჩანგ სუს ჩიუნგის Hopsotch-ს. ძალიან მომხიბლა კუბელი რეჟისორის — გაბრიელ გაუჩეტის ფილმმა Efecto Domino, რომელმაც ახალგაზრდა ჟიურის პრიზი აიღო.

— გრან-პრით აღნიშნული ფილმი არ მოგეწონათ?

— კინოფესტივალზე მასზე უკეთესი ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი, მაგრამ როგორც შევიტყვე, მიკერძოებასთან გვქონდა საქმე. ამიტომაც აღვნიშნე, კინოფესტივალი ერთგვარ ლატარიას ჰგავს-მეთქი. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე რეჟისორს კონკურსზე მიღწეული წარმატება არ სიამოვნებს, მაგრამ ფესტივალებში გამარჯვება ჩემი მიზანი ნამდვილად არაა — მთავარია ფილმზე მუშაობის პროცესი. ■

ქართული ღვინის „მოგზაურობა“ იტალიურ ეკრანზე

იტალიელი ტელემაყურებელი მალე შეიტყობს ქართული ღვინის ღირსების შესახებ და გაეცნობა ჩვენთვის კარგად ცნობილ ბრენდებს. ნახავს კახელ, იმერელ, გურულ გლეხს, რომელიც ევროპისაგან სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიით აყენებს არომატულ ღვინოს. ასე რომ, პატარა საქართველო კიდევ ერთხელ გააოცებს ევროპას ქართული ვაზის ჯიშებისა და ღვინის ასორტიმენტის მრავალფეროვნებით, ღვინის წარმოების უძველესი ტრადიციით.

იტალიელები ნახავენ, რომ ღვინის ტრადიციული ჭურჭელი ქვევრი, დღესაც ისეთივე აქტუალურია საქართველოში, როგორც ასწლეულების წინ. იტალიის ცენტრალურმა ტელევიზიამ გადაიღო ფილმი ქართული ვაზისა და ღვინის შესახებ, რომლის იდეის ავტორი და მთავარი კონსულტანტი მილანის უნივერსიტეტის პროფესორი მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ბატონი ატილიო შენცა გახლავთ. რამდენიმე წლის წინ ცნობილი მეცნიერი საქართველოში ვაზისა და ღვინის სამშობლოს ძიებამ ჩამოიყვანა და მას შემდეგ ქართული ვაზისა და ღვინის დიდი გულშემატკივარია. ჩვენ გადავწყვიტეთ, გავსაუბრებოდით ბატონ შენცას და მისგან გაგვეგო, რამ გამოიწვია იტალიის ტელევიზიის ქართული ვაზითა და ღვინით ასეთი დაინტერესება.

ბელა ბარკალაია

ჩვენი მოგზაურობა კახეთიდან დაიწყო

— იტალიის ტელევიზია ტრადიციულ სამზარეულოს დიდ ყურადღებას აქცევს და ამ თემატიკას არაერთ სატელევიზიო გადაცემას უძღვნის. მიიჩნევენ, რომ საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის წარმოშობის უძველესი კერაა მსოფლიოში, სადაც დაცულია დედამიწაზე ყველაზე ძველი ვაზის ჯიშები და მეღვინეობის უძველესი პრაქტიკა. ამიტომ იტალიის ტელევიზიამ გადაწყვიტა, ვაზისა და ღვინის მცოდნე მეცნიერებთან ერთად, თქვენს ქვეყანაში ემოგზაურა, შეგვესწავლა მევენახეობის ეს მშვენიერი ქვეყანა და გაგვეცნო იგი იტალიელი ხალხისთვის. ფილმის გადაღების მიზანიც ის გახლდათ, რომ წარმოგვეჩინა საქართველოს ტრადიციები მეღვინეობა-მევენახეობის დარგში. გვჯერა, რომ იტალიელი მაყურებელი დაინტერესდება ქართული ტრადიციული ღვინით, ფილმის ნახვის შემდეგ კი ეცდება, მეტი გაიგოს მის შესახებ. ჩვენი მოგზაურობა კახეთიდან დაიწყო. ვეცადეთ, წარმოგვეჩინა ღვინის წარმოებაში მონაწილე ყველა რგოლი: მევენახე, რომელსაც თავისი პატარა ვენახი აქვს, ცნობილი მეღვინეები, ღვინის ქარხნები, ადამიანები, რომლებიც ღვინის ბიზნესით არიან დაკავებულნი. როგორც ვიცით, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ცენტრი კახეთია. ამ კუთხეში, მართლაც, მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი ეს დარგი. კახური ღვინოც განსაკუთრებულად კარგია. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო

კახური ღვინოც განსაკუთრებულად კარგია

საქართველოში კი ისევ აქტუალურია უძველესი ქვევრი

იმის გაგება, რომ რეგიონში შენარჩუნებულია ღვინის წარმოების უძველესი ტრადიცია და ინვენტარიც, რაც ევროპაში უკვე დაკარგულია, მაგალითად, ხის კასრები, სადაც ხდებოდა ღვინის დაყენება, ამოღებულია ხმარებიდან. საქართველოში კი ისევ აქტუალურია უძველესი ქვევრი. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ნაფარეულის ქარხანაში ისევ აქვთ ქვევრებიც, სადაც ღვინოს აყენებენ. ძალიან საინტერესო და უნიკალურია ქვევრში დაყენებული ღვინო, ის ძალზე ელეგანტურია და მშვენიერი გემო, ფერი აქვს. საინტერესოა ისიც, რომ მარნები კახეთსა და ქართლში გადახურულია, იმერეთსა და გურიაში კი — ღია ცის ქვეშაა. ჩვენი ყურადღება მიიქცია ქვევრის დამზადების უძველესმა ტრადიციამ, რაც იმერეთის სოფელ შროშაში გადავიღეთ. გურიაში კი მოგვხიბლა და გაგვაოცა ხეზე ასული ვაზის ეგზოტიკამ. საოცარია, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არსებობს ღვინის წარმოების სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიები და განსხვავებული ღვინის ტიპები. ჩვენ გავსინჯეთ რქაწითელის, საფერავის, კახური მწვანის, ჩინურის, ციცკას, კრახუნას, ცოლიკოურის, ჩხავერის, ალექსანდროულის ყურძნისგან დამზადებული ღვინოები. ისინი ერთმანეთზე უკეთესებია. ყველა თავისებურია და ელეგანტური არომატითაა გამორჩეული.

— რამდენჯერმე ახსენეთ ელეგანტური გემო, არომატი, უცნაურია ამ ტერმინით ღვინის დახასიათება.

— დიახ, მეღვინეები ღვინოზე, როგორც ქალზე, ისე ლაპარაკობენ.

— როგორც ვიცით, იტალიაში ქართული ვაზი გააშენეთ...

— დიახ, იტალიაში ქართული ვაზის შესწავლის და უიშვიათესი ჯიშების მიზნით გენოფონდის დიდი კოლექცია გვაქვს. საქართველოში არსებული წმყვანი ჯიშების მცირე რაოდენობა კი ჩრდილოეთ და ცენტრალური იტალიის ორ ნაკვეთზე დავრგეთ. გვინდა, შევაფასოთ მათი შესაბამისობა იტალიის კლიმატთან. კარგი იქნება, თუ მოხდა ამ ჯიშების ადაპტირება ჩვენს კლიმატთან.

— ვინ დაგეხმარათ საქართველოში ფილმის გადაღებაში?

— ჩვენი მოგზაურობა, რა თქმა უნდა, წინასწარ იყო დაგეგმილი. აქ ყველაფერი მოამზადა და მეგზურობა გაგვიწია ჩემმა კოლეგამ, ახალგაზრდა მეცნიერმა, დავით მაღრაძემ. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ფილმის გადაღება წარმატებით დასრულებულიყო, რისთვისაც მადლობას ვუხდით ცნობილი ქართული ღვინის ქარხნების ხელმძღვანელობას. სამწუხაროა, რომ დროის სიმცირის გამო ვერ მოვასწარით აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოს ნახვა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ფილმის გადაღებას გავაგრძელებთ.

— ქართველი მაყურებელი თუ შეძლებს ამ ფილმის ნახვას?

— ზაფხულში საქართველოში დაგეგმილია, მოეწყოს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო კონგრესი, სადაც გვინდა, მოხდეს ამ ფილმის პრეზენტაცია.

მიყვარს თქვენი მრავალხმიანი სიმღერა, ქართული სოფელი, ქართველი კაცი და ქართული ღვინო

— მსოფლიო ბაზარი ძირითადად ესპანურ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ ღვინოებს უკავია. ახლა ლათინურამერიკული და აფრიკული ღვინოც გამოჩნდა. რა გზა გაიარეს ამ ღვინოებმა ბაზარზე წარმატებული ადგილის დასაკავებლად. რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ იმისთვის, რომ ქართულმა ღვინომაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო თუ ევროპის ბაზარზე?

— ახალ „მსოფლიო“ ღვინოებს დაბალი ფასი და საერთაშორისო გემოს გამო აქვთ ბაზარზე წარმატება. ქართული ღვინო არ უნდა გაჰყვეს მათ გზას, არ უნდა იხელმძღვანელოს მათი მაგალითით. საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ღვინის წარმოების ტექნოლოგიის პერსონალურობა, რითაც ის უნიკალური იქნება. მწამს, რომ ქართული ღვინო ევროპულ ბაზარზე შეიძლება, რომ ჩართული იყოს, როგორც ჭეშმარიტად ტრადიციული ღვინო. მისი წარმოება შეუძლებელია მოხდეს საერთაშორისო ტექნოლოგიის სტანდარტებით, იმისთვის, რომ მან მიიღოს მსოფლიო გემო. ქართული ღვინო ნაწარმოები უნდა იყოს აუცილებლად თავისი უნიკალური სტილით. საერთაშორისო მომხმარებელმაც უნდა ისწავლოს ამ ღვინოების მრავალფეროვნება, რადგან, ღვინის წარმოების ქართული წესი და გემო მომხმარებელს „ესაუბრება“ და წარუდგენს ღვინის ისტორიას, გეოგრაფიას. მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება, რასაკვირველია, არ არის იოლი, მაგრამ მე ვხედავ მის მომავალს, თუ ის დარჩება თავის უძველეს ფესვებთან. ჩვენ მიერ გადაღებული ფილმიც, უდაოდ, დაეხმარება საქართველოს ამ მიზნის მიღწევაში.

მეღვინეები ღვინოზე, როგორც ქალზე, ისე ლაპარაკობენ

— რა გხიბლავთ ყველაზე მეტად საქართველოში?

— მსოფლიოში არსად მინახავს ასეთი სტუმართმოყვარეობა, მიყვარს თქვენი მრავალხმიანი სიმღერა, ქართული სოფელი, ქართველი კაცი და ქართული ღვინო.

დაფიცების ტრადიცია

► ინგლისის ზოგიერთ ქალაქში ორიგინალური ჩვეულება აქვთ: თუ მამაკაცი პირველ იანვარს დაიფიცებს, რომ მეუღლეს მთელი წლის განმავლობაში არ წაეჩხუბება და ამ პირობას შეასრულებს, ქალაქის მერიისგან უფასოდ მიიღებს ღორის ბარკალს. 1144 წლიდან 1908 წლამდე მხოლოდ 8 მამაკაცი დასაჩუქრდა.

► ძველი იაპონელები ფიცის ტექსტს ქაღალდზე წერდნენ, წვავდნენ და ჭამდნენ. მიაჩნდათ, რომ თუ ადამიანი ფიცს გატეხდა, ფერფლი შხამად

გადაიქცეოდა და ფიცის გამტეხს მოკლავდა.

► ჰიპოკრატეს ფიცი ყველასთვის ცნობილია. ტექსტის შინაარსის გამო, მას მხოლოდ ებრაელი ექიმები არ აღიარებენ. სხვათა შორის, მედიკოსები ხუმრობენ, რომ ჰიპოკრატეს ფიცის დადების შემდეგ, ექიმის ცხოვრებას დიდი წითელი ჯვარი ესმევა.

► შუა საუკუნის ევროპაში, ფიცის დადებისას, ადამიანს ხელი ბიბლიაზე უნდა დაედო.

► ძველი ფლამანდიური ლეგენდის თანახმად, ბრიუსელში მცხოვრებ ერთ დიდგვაროვანს შვილი დაეკარგა. ხანგრძლივი, უშედეგო ძებნის შემდეგ, მამამ დაიფიცა: ვაჟს რა მდგომარეობაშიც ვიპოვი, იმ პოზაში ოქროს ძეგლს დავუდგამო. ბიჭი იპოვეს და ახლა მისი ძეგლი — ბრიუსელელი ბიჭუნა, რომელიც შარდავს — ყველას ახალისებს.

► 1965 წელს მელოტთა საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა, რომელშიც 250 მელოტია გაწევრებული. ახალმა წევრმა ბილიარდის ბურთზე ხელის დადებისას უნდა დაიფიცოს, რომ არასდროს შეიცვლის ვარცხნილობას. ფიცის დადების შემდეგ, ახალ წევრს თავზე კონიაკს ასხამენ.

► ახალი ბრიტანეთის აბორიგენების ყველაზე ძლიერი ფიცი ასე ჟღერს: თუ მოვიტყუო, ხელს ჩამოვართმევ საკუთარ სიდედრს.

► ძველ ირლანდიაში, ფიცის დადებისას, მამაკაცები ხელს სასქესო ორგანოზე იდებდნენ.

► არსებობს ფიცი, რომელიც მის მთქმელს არასდროს დაურღვევია. იგი ერთ-ერთი საფლავის ქვაზე იყო ამოტვიფრული: ვფიცავ, რომ აღარასდროს დავქორწინდები“.

■

ტყუილ-მართალი

■ ბუმერანგის მთავარი დანიშნულება ის კი არაა, რომ მსროლელს უკან დაუბრუნდეს, არამედ ის, რომ მისი გასროლა ჯოხზე შორს შეიძლება. აბორიგენები ბუმერანგით მომაბეზრებელ ჩიტებს უტევდნენ. აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო ბუმერანგები შექმნეს, ხოლო ავსტრალიის არმიაში „ბუმერანგის ყუმბარა“ ჰქონდათ — ცხადია, მათი უკან დაბრუნება არავის გაახარებდა.

■ მაიმუნები ერთმანეთის ბეწვში რწყილებს კი არ ეძებენ, როგორც ამას ზოოლოგები გვასწავლიან, არამედ ერთმანეთს კანის მკვდარი ნაწილებისა და გაოფლიანების შემდეგ დარჩენილი მარილის კრისტალებისგან ათავისუფლებენ. თანაც, ასეთი ზრუნვა მაიმუნებს ერთმანეთთან დაახლოებაში ეხმარება. სხვათა შორის, მაიმუნის ბეწვი, თუ ცხოველი ანტისანიტარიულ პირობებში არ ჰყავთ გამოკეტილი, სუფთა და პარაზიტებისგან დაცულია.

■ დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი ებრაელების სიმბოლოდ XIX საუკუნეში იქცა. ნაცისტურ გერმანიაში ყველა ებრაელი ვალდებული იყო, ასეთი სიმბოლო ეტარებინა და სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყეს ექვსქიმიანი ვარსკვლავის სინაგოგის კედლებზე გამოსახვა, მანამდე კი მას ყურადღებასაც არ აქცევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ექვსქიმიანი ვარსკვლავი მრავალ კულტურასა და რელიგიაში მაგიურ სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

■ ბუნებაში რკინა უფრო ხშირად მოიპოვება, ვიდრე — ოქრო, მრავალი საუკუნის წინ კი ყველაფერი პირიქით იყო. სამხრეთ ამერიკელი ინკები, ესპანელი დამპყრობლების შემოსევამდე, სამკაულებს, ჭურჭელსა და ლურსმებსაც კი ოქროსგან ამზადებდნენ, ხოლო ეგვიპტეში საუკეთესო ლითონად ვერცხლი მიიჩნეოდა.

■ არსებობს მოსაზრება, რომ მკვდარ ზღვაში ცოცხალი არაფერია. სინამდვილეში, წყალში სხვადასხვა მიკროორგანიზმია გავრცელებული. გადაჭარბებულია ის მოსაზრებაც, თითქოს, მკვდარი ზღვის წყალში აგურიც არ იძირება.

■ გუდასტვირი შოტლანდიურ ინსტრუმენტადაა მიჩნეული, მაგრამ მასზე ძველ საბერძნეთშიც უკრავდნენ, რომშიც, სპარსეთშიც და ჩინეთშიც. გუდასტვირი ბიბლიაშიცაა მოხსენიებული. ეს ინსტრუმენტი ინგლისში კეისრის მეომრებმა შეიტანეს, იქიდან კი შოტლანდიაში გავრცელდა.

■

XX საუკუნის შავგვრემანი ლამაზმანები

ოდრი ჰეპბერნი

ფილმების — „რომაული არდადეგებისა“ და „საუზმე ტიფანისთან“ გამოსვლის შემდეგ, მინიატიურული და ინტელექტუალი ოდრი ჰოლივუდის ვარსკვლავად, ქალურობისა და დახვეწილი სტილის ხატად იქცა.

ელიზაბეთ ტეილორი

ბევრისთვის ლიზი კვლავაც, „ჰოლივუდის დედოფალია“. მას სილამაზით ვერავინ შეედრებოდა და რა გასაკვირია, რომ მამაკაცები აღმერთებდნენ. ელიზაბეთი 8-ჯერ იყო ქორწინებაში.

ვივიენ ლი

ის მთელი ცხოვრება საშინელ დაავადებას ებრძოდა, ეკრანზე კი ყოველთვის ძლიერ და მიზანსწრაფულ ქალებს განასახიერებდა. მაგალითად, სკარლეტ ო'ჰარა — „ქარწაღებულნიდან“.

კეტრინ ჰეპბერნი

ეს ქალბატონი საუკუნის საუკეთესო მსახიობად აღიარეს. აღსანიშნავია, რომ 40 წელს გადაცილებული მსახიობი ასაკს არ დანებდა, შინ არ გამოიკეტა და სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში ითამაშა საუკეთესო როლები.

ჯინა ლოლობრიჯიდა

იტალიელი მსახიობი 50-60-იანი წლებში ქალური სილამაზის ეტალონად აღიარეს.

ჟაკლინ კენედი

ლამაზი არისტოკრატი ამერიკის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტის, ჯონ კენედის მეუღლე და ამერიკის პირველი ლედი გახდა. კენედის მკვლელობის შემდეგ, ის ცოლად მილიარდერ არისტოტელე ონასისზე დაქორწინდა.

პენელოპა კრუსი

ნიჭის, შარმისა და ულამაზესი თმის წყალობით, ის მსოფლიოში პოპულარული ვარსკვლავი გახდა.

სელმა ჰაიეკი

მისივე თქმით, მთელი ბავშვობა ოცნებობდა, რომ ლამაზი მკერდი ჰქონოდა. მინიატიურულ და ცეცხლოვან მექსიკელს კინოკრიტიკოსები უმაღლეს შეფასებას აძლევენ, როგორც კომედიურ, ასევე დრამატულ ჟანრში.

მონიკა ბელუჩი

მოდელი, მსახიობი, 90-იანი წლების ღვთაება — ასე ახასიათებენ ქალბატონ მონიკას. ის ყველა მამაკაცის საოცნებო ქალი გახდა.

კეტრინ ზეტა-ჯონსი

ცეცხლოვანი ჰაიეკისა და კრუზისგან განსხვავებით, ბრიტანელ მსახიობს ემოციების მოთოკვა შეუძლია. მრავალმა მამაკაცმა შესთავაზა დაქორწინება, მაგრამ გამჭრიახმა კეტრინმა 25 წლით უფროს, პოპულარულ და გავლენიან მსახიობზე, მაიკლ დუგლასზე არჩია გათხოვება.

სურვილის ამსრულებელი მონეტა

არსებობს მოსაზრება, რომ მოწონებულ ადგილას აუცილებლად დაბრუნდებით, თუ წყალში მონეტას ჩააგდებთ, მაგრამ მონეტის გადაგდებასაც ცოდნა უნდა. კარგი იქნება, თუ მას ერთი წლის განმავლობაში, ჯიბით ატარებთ, რათა თქვენი ენერგიით დაიმუხტოს და შემდეგ, ის იქ გადააგდეთ, სადაც მოგესურვებათ: თუ გინდათ, პირად ცხოვრებაში გაგიმართლოთ, მონეტა რუში, ნაკადულში ჩააგდეთ; მდინარეში ჩაგდებული მონეტა თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის, ზღვაში — ახლობელ ადამიანს გამოჯანმრთელებაში დაეხმარებით; პარკში გადაყრილი ხურდა დეპრესიისგან გაგათავისუფლებთ, უარყოფით ენერგიას კი სანაგვე ურნაში ჩაყრილ მონეტებს გააყოლებთ.

გახსოვდეთ, მონეტები გადასაყრელად არ უნდა დაგენანოთ.

დათო მაღრაძის ბედისწერა და პაემანი წიგნთან

„პოეზია ჩემი ბედისწერაა, სათქმელის გამოხატვის ფორმა, მიყვარს ის, რაზეც ვწერ და არა ის, რასაც ვწერ“, — ამბობს პოეტი დათო მაღრაძე. კითხულობს პროზას, პოეზიას, ინტერვიუებს... მსოფლიო მწერლობის მწერვალად „ალუდა ქეთელაურს“ მიიჩნევს. როგორც აღნიშნავს, „ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ბესიკის, აკაკი წერეთლის, ოთარ ჭილაძის, გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებები თავისთან ხშირად იხმობენ და ეძახიან“. მათ წიგნებთან პაემანზე ხშირად მიდის და ისიც იცის, ბევრი ისეთი ნაწარმოები არსებობს, რომელთა წაკითხვის ბედნიერებაც წინ აქვს.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ცხოვრებაში ყველას ჩვენ-ჩვენი მოვალეობა გვაკისრია. ხშირად ნაცრისფერი ერთფეროვნება ემოციებს „ჭამს“, ასეთ დროს წიგნები გვეხმარება იმაში, რომ ამ „ნაცრისფერ სამყაროს“ თავი დავაღწიოთ და მთავარზე ვიფიქროთ, რისთვისაც ღმერთმა გაგვაჩინა. წიგნს საოცარი განცდები მოაქვს. მახსოვს, როცა სტენდალის „წითელი და შავი“ წავიკითხე, დიდხანს შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. პერსონაჟების ცხოვრებით ვცხოვრობდი, მათსავით მიყვარდა, მიხაროდა... დიდ ნაწარმოებებს ეპოქის სურნელი სდევს, მრავალფეროვანი ურთიერთობების წიაღიდან იქმნება. პრიმიტიულ გარემოში „ვეფხისტყაოსანი“ ვერ შეიქმნებოდა, ის დიდი ქვეყნის პირმშოა.

— წიგნთან პაემანი ახსენეთ, თქვენ ფურცელთანაც ხშირად გაქვთ პაემანი...

— რა თქმა უნდა, გონებაში სათქმელი მანამდე მწიფდება, სანამ საწერ მაგიდასთან მიხვალ. ყოველთვის ვიცი, რა უნდა დავწერო, ისე, კალამს ხელში არ ვიღებ. არ ვიცი, ამას რამე მნიშვნელობა აქვს თუ არა, მაგრამ დღემდე მელნიანი კალმით ვწერ, ეს აქსესუარი ძალიან მიყვარს.

— საკუთარი თავი რომელიმე პერსონაჟისთვის თუ მიგიმსგავსებიათ?

— ამ კითხვაზე გულწრფელი პასუხი რომ გაგცეთ, ტრაბახი გამომივა...

— მაშინ მითხარით, რომელ პერსონაჟთან იმეგობრებდით?

— ალუდა ქეთელაურთან და დონ კიხოტთან. რა თქმა უნდა, ჩემთან მეგობრობის სურვილი თავადაც თუ ექნებოდათ.

— თქვენ საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველთვის აქტიურად ხართ ჩართული. სანამ კითხვარზე გადავიდოდეთ, მინდა, ბოლო დროს ოპოზიციაში მომხდარ გადაჯგუფებაზეც გკითხოთ. როგორია თქვენი შეფასება?

— ბოლო დროს ქართული პოლიტიკური კულტურა უფრო მაღალ ხარისხში ავიდა. იმედი გამიჩნდა, რომ საერთო კანდიდატის გამოვლენაც მოხერხდება. მოხარული ვიქნები, თუ ეს კანდიდატი ირაკლი ალასანია იქნება. ამ ადამიანს პოლიტიკური პასუხისმგებლობა კარგად აქვს გააზრებული, მისი განცხადებების უკან მტკიცე ადამიანი ჩანს. მისი აზოვნება, ფრაზეოლოგია, პრობლემების ნიუანსებში წვდომა ჩემს ცნობიერებაში ხვალინდელი დღის პერსპექტივასთან ასოცირდება.

— ბატონო დათო, „გზის“ წინა ნომერში ამ რუბრიკის სტუმარი გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ ფინალისტი დემეტრე ხოფერია გახლდათ. მან თქვენ შემდეგი კითხვა დაგიტოვათ: დაასახელეთ კოლუმბიის დედაქალაქი.

— ბოგოტა. სწორად მახსოვს?

— დიახ. მითხარით, აკაკი წერეთლის შემოქმედებას ხშირად ვუბრუნდებიო, მასზე ერთ ცნობილ ამბავს გავიხსენებ: ერთხელ მწერალს თბილისიდან საჩხერეში მგზავრობის დროს, ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევში, მატარებლის ფანჯრიდან ჩემოდანი გადავარდნია. გარს შემოხვეული მგზავრებისთვის უთქვამს: მასში დაუსრულებული ნაწარმოები მედო, რომელშიც ბედკრული საქართველოს ამბავს აღვწერდი, მინდოდა, სოფელში წყნარად დამესრულებინაო. მგზავრებს მატარებელი გაუჩერებიათ, ჩასულან და ძებნა დაუწყიათ. მალე ჩემოდანი საყვარელი მგოსნისთვის დაუბრუნებიათ. რომელი ნაწარმოების ხელნაწერი გადაურჩა დაკარგვას?

— ვფიქრობ, რომ „თორნიკე ერისთავის“ ხელნაწერი იქნებოდა.

— ცდებით.

— მაშინ „ბაში-აჩუკის“.

— დიახ. ვინ დაწერა მუსიკა ფილმისთვის „ვერის უბნის მელოდიები“?

— გოგი ცაბაძემ.

— რომელი ქართველი მწერლის ნაწარმოებები უდევს საფუძვლად თენგიზ აბულაძის ცნობილ მხატვრულ ფილმს „ვედრება“?

— „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველისმჭამელი“ უდევს საფუძვლად. ესე იგი, სწორი პასუხი ვიცი (*იცინის*).

— ვინ არის დავით აღმაშენებლის ეპიტაფიის ავტორი?

— არსენ იყალთოელი.

— ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე გააფართოვა. სად მდებარეობს ამჟამად დასახელებული გეოგრაფიული პუნქტები?

— როგორც ვიცი, ნიკოფსია — ეს არის ადგილი თანამედროვე სოჭსა და ტუაფსეს შორის. დარუბანდში იგულისხმება კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ძველი ქალაქი (თანამედროვე ქალაქ დერბეტის ტერიტორიაზე). ოვსეთი — დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაა. ხოლო არეგაწი (იგივე არაგაწი) მწვერვალი სომხეთის ტერიტორიაზე.

— სად მდებარეობდა დაბა ცურტავი, სადაც ხდება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ მოქმედება?

— ახლანდელი მარნეულის ტერიტორიაზე.

— დიახ. სოფლების — ყაჩაღანისა და კუშჩის ახლოს. „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად საქართველოს შესახებ ამბობენ“. რომელ ისტორიკოსს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— კასტელს?

— სტრაბონს ეკუთვნის.

— კასტელის სიტყვები მახსენდება, მას საქართველოში ყოფნის პერიოდში უწერია: ამ 20 წლის მანძილზე საქართველო ჩემი შეყვარეული იყოო.

— „მიხა“, „არდადეგები“, „ბებერი მეზურნეები“, „დიდი მწვანე ველი“, „ნუცას სკოლა“, — რა აქვს საერთო ამ ფილმებს?

— ისინი ერთი რეჟისორის — მერაბ კოკოჩაშვილის გადაღებულია.

— რამდენი შვილი ჰყავდა ილია ჭავჭავაძეს?

— ეჰ, ნეტავ, ჰყოლოდა და...

— რომელ ქვეყანაში მდებარეობს ევროპის გეოგრაფიული ცენტრი?

— არ ვიცი.

— უკრაინაში. აზიის ბევრ სასტუმროში მასაჟისტებად ხშირად ბრმები აჰყავთ. რატომ?

— არ ვიცი (*იცინის*), ბრმა მასაჟისტებთან ურთიერთობის გამოცდილება არა მაქვს.

— ბრმები იმიტომ აჰყავთ, რომ კლიენტთა მორცხვობა გამოირიცხოს. 1992 წელს ურუგვაიში აიკრძალა ის, რაც ამ ქვეყანაში სხვებთან შედარებით დიდხანს შემორჩა, არადა იყო დრო, როცა ის ღირსების საქმედ მიიჩნეოდა. რაზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*). ღირსების საქმედ დუელი მიიჩნეოდა. სწორი პასუხიც ალბათ ეს არის.

— ნამდვილად ასეა. „თქვენ ალბათ ფიქრობთ,/ კარგ ლექსს უკვე აღარავინ სწერს/ და რომ წუხილის ნავსადგურში ეშვება ღუზა./ მე ასე ვფიქრობ, ლექსის კითხვის ჟამს/ მკითხველსაც უნდა სწყალობდეს მუზა“. — ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— თუ შეიძლება გამიმეორეთ (*გამეორების შემდეგ*), ავტორი არ ვიცი, მაგრამ ლექსი ძალიან მომეწონა.

— ავტორი მორის ფოცხიშვილი გახლავთ... რომელი სამი ქალაქია დედამიწის ზურგზე დღეს არსებულთაგან უძველეს დედაქალაქებად მიჩნეული?

— ერთი იქნება რომი, მეორე — ათენი და მესამე (*ფიქრობს*) დელი უნდა იყოს.

— ვინ მიიჩნევა ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლად?

— ვა! გვარს ველარ ვიხსენებ, ამ კითხვაზე მოგვიანებით გიპასუხებთ. აზარტში შევედი...

— კარგი. ამ კითხვას კვლავ გაგიმეორებთ. ახლა კი მიპასუხეთ, ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რა ერქვა აპოლონის, დიონისესა და მუზების სამყოფელს?

— პარნასი.

— ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში — „მე, ბებია ილიკო და ილარიონი?“

— სანდრო ჟორჟოლიანმა.

— თეთრად აღინიშნებიან ისინი, რომელთა მდგომარეობაც დამაფიქრებელია, მწვანედ — რომელთა რაოდენობაც აღდგენილია. ისინი კი, რომლებიც საფრთხის ქვეშ არიან — წითლად. რაზეა ლაპარაკი?

— ვფიქრობ, „წითელ წიგნში“ შეტანილ მცენარეებზე, არა?

— გამოიცანი. „ნუ იქნები მეტისმეტად გულახდილი, რადგან მეტი გულახდილობა სიტიტვლეს ჰგავს, სირცხვილია“. რომელი ცნობილი პოეტი ამბობდა ამ სიტყვებს?

— ვერ ვიხსენებ.

— გალაკტიონი. ეთანხმებით?

— გალაკტიონს რომ არ ვედაო, საკამათოდ აქ ცოტა ადამიანის მონახვა შეიძლება?!

— რომელ ბრძოლაში დაიღუპა 9 ძმა ხერხეულიძე?

— მარაბდის ბრძოლაში.

— ფიროსმანის სიცოცხლეში მოეწყო თუ არა მისი ნახატების გამოფენა?

— მოეწყო, ოღონდ ეს საქართველოში არ მომხდარა.

— სად მოხდა?

— მოსკოვში.

— რომელ ფილმში განასახიერა იპოლიტე ხვიჩიამ თავისი მოსახელე გმირი?

— „მხიარულ რომანში“.

— რომელ ქვეყანაში დაარსდა პირველი დისნეილენდი?

— აშშ-ში.

— 1895 წელი კინემატოგრაფის დაბადების წელია, რომელ ქალაქში შედგა პირველი კინოსეანსი?

— ესეც შტატებში ხომ არ მოხდა?

— ცდებით. პირველი კინოსეანსი პარიზში შედგა დაპყრობილ ტერიტორიებზე რომელი მხედართმთავარი აარსებდა თავის მოსახელე ქალაქებს?

— ალექსანდრე მაკედონელი.

— ვისზე დაიწერა სტოუნის ბიოგრაფიული რომანი „წყურვილი სიცოცხლისა“?

— (*ფიქრობს*)

— მიგანიშნებთ, ერთ-ერთ მხატვარზე, ხშირად მის ნამუშევრებს სხვებისგან მკვეთრი ყვითელი ფერითაც გამოარჩევენ.

— ვან გოგის ცხოვრებაზე.

— რომელ ქალაქში დაიბადა ვერიკო ანჯაფარიძე?

— თბილისში არ დაბადებულა, ვიცოდი და უნდა გავიხსენო. (*პაუზის შემდეგ*) ქუთაისში.

— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლში 502-515 წლებში მეფობდა?

— დაჩი.

— „ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ამას კი არასდროს“ — რის შესახებ ამბობდა ამას შალვა ნუცუბიძე?

— ნიჭის შესახებ.

— რომელ ძვირფას ქვას აგდებდნენ ღვინოში ძველი ბერძნები თრობის თავიდან ასაცილებლად?

— ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ იმ ძვირფასი ქვის სახელს ველარ ვიხსენებ. სავარაუდო პასუხებს ვერ დამისახელებთ?

— ზურმუხტს, მარგალიტს, ამეთვისტოს თუ მალაქიტს?

— მგონი, ამეთვისტოს აგდებდნენ, არა?

— გამოიცანით. ეს ორი ქართველი მწერალი ერთსა და იმავე წელს გარდაიცვალა. დაასახელეთ ისინი.

— წელს ვერ მეტყვით?

— 1915 წელი იყო.

— ვაჟა-ფშაველა და აკაკი წერეთელი.

— რა ჰქვია ნავს, რომლითაც ვენეციის არხებში დაცურავენ?

— გონდოლა.

— სანამ ბოლო კითხვას დაგისვამდეთ, მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენ ერთი პასუხგაუცემელი კითხვა დაგრჩათ.

— არ დამვიწყნია, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლად (*პაუზის შემდეგ*) მელიტონ ბალანჩივაძე ხომ არ მიიჩნევა?

— პასუხი ჩაგეთვალათ. ■

ერუდიტი +

დედამიწაზე 48 ზღვა და 11 საზღვაო არხია. ატლანტის ოკეანეში შედის 13 ზღვა, წყნარ ოკეანეში — 20, ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში — 10, ინდოეთის ოკეანეში — 5.

მსოფლიოში 200-ზე მეტი ეროვნების ხალხია ცნობილი, მათგან, 35 ერია ისეთი, რომლის რიცხვიც 325 მილიონს აღემატება.

მანძილი დედამიწიდან მთვარემდე 384400 კილომეტრია, ხოლო დედამიწიდან მზემდე 149597870 კილომეტრი.

დედამიწა 5980000000000 მილიარდ ტონას იწონის.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. სად იღებს ადამიანთა უმრავლესობა ყველაზე ხშირად ფიზიკურ ტრავმას?

2. დაასახელეთ ქვეყანა, სადაც მოსახლეობაზე ათჯერ მეტი ცხვარია.

3. რით გაითქვა სახელი გერმანელმა ნორბერტ ჰელინგმა?

4. რომელი განთქმული რომანსის ტექსტის ავტორია ევგენი გრებენკა?

5. რომელ ქალაქში მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა?

6. რა არის „ბილი“?

7. რა არის „ზადი“?

8. რა არის „ჩიჩვირი“?

9. როგორ გლეხს ეძახიან არაბულ ქვეყნებში ფელაჰს?

10. 1575 წელს, სამხედრო გალერა, რომელზეც ეს მწერალი მსახურობდა, მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელში. იგი მონად გაყიდეს ალჟირში, თუმცა ესპანეთის მეფისადმი განკუთვნილმა სარეკომენდაციო წერილებმა, რომელიც მას აღმოაჩნდა, ალჟირის მმართველის თვალში მისი ავტორიტეტი საკმაოდ აამაღლა და იგი დამცირებისგან, სასტიკი მოპყრობისაგან იხსნა, მაგრამ გამოსასყიდი თანხა, რომელიც ალჟირის ფაშამ თავდაპირველად დააწესა, რამდენჯერმე გაიზარდა. მის ნათესავებს, საჭირო თანხის შესაგროვებლად და მწერლის გამოსასყიდად ხუთი წელი დასჭირდათ. დაასახელეთ იგი.

11. დაასახელეთ მწერალი სატირიკოსი, რომელსაც მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით აქვს დამთავრებული.

12. რა არის ტოკაი?

13. რა არის „ცეხინი“?

* * *

გამოცდაზე სტუდენტმა ბილეთი აიღო — არ იცის, აიღო მეორე — არც ეს იცის, აიღო მესამე, მეოთხე, მეხუთე... პროფესორი ჩათვლის წიგნაკს იღებს და სამიანს უწერს.

— რისთვის?! — აღშფოთდნენ სტუდენტები.

— როგორ თუ რისთვის? რომელიღაც ბილეთს ეძებს, ე.ი. რაღაც იცის!

* * *

გურული პირველ ღამეს ახალმოყვანილ ცოლთან ერთად, საწოლზეა ჩამომჯდარი. სხედან მორცხვად და ხმას არ იღებენ. ბოლოს, გურულმა ვეღარ მოითმინა და ქალს დააცხრა:

— ბაღანეს გულიზა, თვარა, რავა გაკადრებდი ამას...

* * *

— მოახსენეთ სასამართლოს, რატომ გაიტაცეთ მანქანა?

— სასაფლაოსთან იდგა და ვიფიქრე, პატრონი აღარ ჰყავს-მეთქი.

* * *

სვანი მკითხავთან მივიდა:

— ფრთხილად იყავი, ერთი კაცი გზაზე გეღობება.

— შენ ეგ კაცი გააფრთხილე, მე „კამაზის“ მძღოლი ვარ!

* * *

— ჭიჭიკიას ცოლს ისეთი პატარა მკერდი აქვს, „ზილიონკა“ რომ წაუსვა, მოურჩება!

* * *

— სიძე როგორი შეგხვდა, მარგალიტა?

— ოქროს გული აქვს, ოქროსი!

— მართლა?!

— კი! შეშის ჩეხას რომ ვიწყებ, სახლიდან გადის, რათა ჩემს წვალებას არ უყუროს!

* * *

ჭიჭიკია ღამის ოთხ საათზე, ბიჭიკიასთან ერთად ბრუნდება შინ. ცოლი დოინჯშემოყრილი დგას:

— რას ჰგავხარ, შე უბედურო! იცი მაინც, რა დროა ახლა? მორჩა, უნდა დაისაჯო!.. ორი თვე — სექსის გარეშე!.. შენც, ბიჭიკია!..

* * *

მღვდელი დაქვრივებული ქალის დამშვიდებას ცდილობს:

— ნუ იდარდებ, შვილო ჩემო, შენი ქმარი ზეცაში გელოდება!..

— მაგიტომაც ვწუხვარ... იქ უკვე სამი ეგეთი მელოდება...

* * *

ღამეა. უცებ ვაგონში სინათლე ქრება. სიბნელეში ვიღაცის ხმა ისმის:

— ჩემოდნებს გაუფრთხილდით, ხალხნო, იპარავენ! მე უკვე ორი მოვიპარე!

* * *

ექიმი ავადმყოფის პალატაში შედის:

— თქვენთვის ორი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი.

— ჯერ კარგი მითხარით.

— ამ ავადმყოფობას თქვენს სახელს დაარქმევენ...

* * *

მიხოსთან შვილმა მიირბინა:

— მამი, მამი, ჩვენმა ვირმა კენტავრი გააჩინა.

— აუ, მოვკლავ შაქრუას, დედას ვფიცავარ!..

* * *

დედა:

— სამი ნაყინის ფულს მოგცემ, თუ ერთ საათს პიანინოზე დაუკრავ!

შვილი:

— ცოტაა. მეზობელი ხუთ ნაყინს შემპირდა, დღეს საერთოდ თუ არ დავუკრავ!..

* * *

— რა კარგი კაცი იყო თქვენი მეუღლე! რა დასანანია, ასე უდროოდ რომ გარდაიცვალა!..

— ჩემი მეორე ქმარიც მაგას ამბობს.

* * *

კონცერნის შეფმა ასისტენტი იხმო:

— ჩვენს ფირმაში მოძებნეთ მიზანსწრაფული ახალგაზრდა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ჩემს შეცვლას შეძლებს.

— რომ ვიპოვი, მერე რა ვქნა?

— კინწისკვრით გააგდეთ!

* * *

მამაკაცი ექიმთან მივიდა და ეუბნება:

— ექიმო, ამ ბოლო დროს ძალიან ნერვიული გავხდი, ტელეფონის ზარის გაგონებაზე მაკანკალებს, ტელევიზორს ვეღარ ვუყურებ, ხელში გაზეთის აღებისაც მეშინია...

— მესმის თქვენი, ჩემმა ცოლმაც ახლახან ისწავლა მანქანის ტარება.

* * *

მიტო ვანოს უყვება:

— კაცო, გუშინა, ლევანას ქორწილში მიხომ ხაშლამის იმისთანა ნაჭერი გადაიღო, ახალ „ნივაში“ ვუცვლიდი და არ ქნა არაფრით, შეჭამა მაინც!..

* * *

— ექიმო, დილით რომ ვდგები, მთელი ერთი საათი თავბრუ მეხვევა.

— შენც, ერთი საათით გვიან ადექი.

* * *

— თუ გინდა, ქალი გაამწარო, უნდა უყიდო ნაირ-ნაირი კაბა და ისეთ ოთახში ჩაკეტო, სადაც სარკე არ არის.

* * *

დირექტორმა რამდენიმე თანამშრომელი გამოიძახა:

— ადმინისტრაცია არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა ხელფასის მომატების შესახებ. ყოველი შემთხვევისათვის, ამ საკითხის გადაწყვეტა კომპიუტერს მივანდვეთ და თუ პასუხი დადებითი იქნება, მაშინ ხელფასს პროგრამისტის ხელფასის ხარჯზე გაგიზრდით.

* * *

ცოლი ქმარს აღვიძებს. ქმარი დაფეთებული წამოვარდა:

— ისევ?!

— არა, სამსახურში გაგვიანდება.

— სამსახურშიიი! სამსახურშიიი! — ფეხზე წამოფრინდა ქმარი.

* * *

— საყვარელო, უკვე თოთხმეტი წელია, ყველაფერს მისწორებ!

— თხუთმეტი წელია, ძვირფასო, თხუთ-მე-ტი!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. საკუთარ ბინაში, კერძოდ კი სააბაზანო ოთახში.
2. ახალი ზელანდია.
3. მისი შექმნილია ნიშანი @.
4. „ოჩი ჩორნიეს“.
5. ვაშინგტონში.
6. განზე გაბზეკილი მსხვილი ულვაში.
7. „ზადი“, „ნაკლი“ და „წუნი“ სინონიმებია.
8. ასე ეძახიან გრძელ, ბიბილოსებურ წანაზარდს ინდაურის ნისკარტზე.
9. ბინადარ, არამომთაბარე გლეხს.
10. მიგელ სერვანტეს დე საავედრა.
11. მიხაილ ზადორნოვი.
12. უნგრული თეთრი სადესერტო ღვინო.
13. ძველებური ვენეციური ოქროს ფული.

ჩვენი ფოტო მაღლიერია

რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

ჰოროსკოპი

4-10 მარტი

ვერძი:
ორიგინალური იდეების განხორციელების დრო დაგიდგათ. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ხშირად დაისვენეთ. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობების შესაძენად და პაემნებისათვის.

ხუჩრა:
ამ კვირაში რომანტიკულ განწყობილებაზე იქნებით. შესაძლოა, ინტერნეტის მეშვეობით ახალი მეგობრები შეიძინოთ. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

ტყუპები:
განაახლეთ ძველი სასიყვარულო ურთიერთობები. შესაძლოა, საკუთარ თავში ახალი ტალანტი აღმოაჩინოთ. მეგობრები მოწყენის საშუალებას არ მოგცემენ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

ქიბოხიტი:
ეს კვირა სიახლითა და ცვლილებებით იქნება სავსე. გაიხალისეთ ცხოვრება და იმიჯი შეიცვალეთ. რთული საკითხების მოგვარებაში საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ.

ლომი:
ავანტიურა და თავგადასავლები გაგიტაცებთ. თუ არ გსურთ, თქვენს საქმიანობასა და სასიყვარულო ურთიერთობას საფრთხე შეექმნას, დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ.

ქალწული:
საკუთარი გეგმების განსახორციელებლად თავად იმოქმედეთ. ახალგაცნობილთან ფლირტი შესაძლოა, სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

სასწორი:
კოლეგები სასიამოვნო სიურპრიზებით გაგანებივრებენ. გარშემო მყოფებს საკუთარ კაპრიზებს ნუ მოახვევთ. ურთიერთობის გასამყარებლად, დასვენების დღეები საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

ღრეჩო:
კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. შესაძლოა, საკუთარ თავში ახალი ნიჭიც აღმოაჩინოთ. საყვარელი ადამიანი საჩუქრებითა და ალერსით გაანებივრეთ.

მშვილდოსანი:
სასიამოვნო სიახლეებით დატვირთული კვირა გელით. განწყობილებას რომანტიკული შეხვედრები აგიმაღლებთ. დასვენების დღეებში შესაძლოა, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა შემოგთავაზონ.

თხრეს რქა:
ამ კვირაში ახლობლების პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად. დასვენების დღეები ხელოვან ადამიანებთან ერთად გაატარეთ.

მეოცნებე:
ფინანსურ საკითხებს თქვენს სასარგებლოდ მოაგვარებთ. კარგი პერიოდია იდეების განსახორციელებლად. დასვენების დღეებს არასასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობით ნუ გაიფუჭებთ.

თევზები:
ახლობლებს გონიერებით გააკვირვებთ და შესაძლოა, შემოქმედებითი ნიჭიც გამოავლინოთ. თუ გარეგნობის შეცვლა გადაწყვიტეთ, გირჩევთ, მხოლოდ ვარცხნილობა შეიცვალოთ.

ანეკდოტები მენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

2 წლის ანა მჭედლიშვილი მშობლების ხმამაღალ ლაპარაკს შეესწრო და მაშინვე მამას შეუტია:

— დედიკოს ლატო ეჩხუბები?

— შენი დედიკო მაბრაზებს და უნდა გამოვცვალო, — გაეხუმრა მამიკო.

ანას თვალები გაუფართოვდა, ხელები გაშალა და თქვა:

— გამოცვალო ლა, „პაკლიშკაა“?!

5 წლის ირაკლი გველუკაშვილი დედას დაჟინებით ეძახის:

— დედი, დედი!

— რა იყო, შვილო?

— მოდი, თორემ მე მოვალ!

2 წლის რეზი სალუქვაძეს დედიკო — მაიკო ხშირად უკითხავდა ლექსებსა და მოთხრობებს „დედაენიდან“, რასაც ბავშვი სიამოვნებით ისმენდა. ერთ მშვენიერ დღეს რეზიმ თავად მიუტანა დედას წიგნი და უთხრა:

— დე, წამიკითხე „ენა მაიკო“...

6 წლის თეა ტატიშვილი ბებიასთან ერთად, ავტობუსით მგზავრობს.

სააკაძის ძეგლს რომ მიუახლოვდნენ, თეა ბებიას ეკითხება:

— ბებო, ეს ვინაა?

ბებიამ აუხსნა, რომ ის საქართველოს გამოჩენილი მხედართმთავარი იყო და მტერს ებრძოდა.

— მერე, რა დააშავა, ასე რომ გააქვავეს? — იკითხა გაოცებულმა ბავშვმა.

5 წლის ავთო ბლიაძის ბებიამ სახამებელი მოხარშა. ავთო გადაეკიდა, — მაჭამეო. ბებომ აუხსნა, — ეს სარეცხის გასახამებლად მოვამზადეო, მაგრამ გაახსენდა, რომ სახამებლისგან კისელიც შეიძლებოდა გაეკეთებინა და შეჰპირდა, შენც მოგიხარშავო. საღამოს ავთომ შეახსენა:

— ბებო, მომიხარშე, რა, ის, ადამიანიც რომ ჭამს და სარეცხიც...

1. ლუკას კრანახის ცნობილი ტილო
2. ვაზის სარი
3. ტროპიკული ხილი
4. ფილმის ცალკეული ეპიზოდი
5. ქალაქი იტალიაში
6. ყოველგვარი, ნებისმიერი
7. ძველრომაელთა სამოსი
8. უკულტურო, ველური ადამიანი
9. ბოლნისის ფეხბურთის გუნდი
10. მაიმუნის სახეობა
11. კრივის მოედანი
12. დედაქალაქი ბალტიისპირეთში
13. ლიტერატურული ჟანრი
14. გაულექსავი ლიტერატურა
15. ქართველი კომპოზიტორი
16. დურბინდი
17. კატების ოჯახის მტაცებელი
18. თმის მოცილება
19. ცარიელი თაფლგამოცლილი ფიჭა
20. რქებდახრილი ხარი
21. იგივეა, რაც ხაზი
22. პატარა სარწყავი არხი
23. ტუზი
24. ძალიან ლამაზი ბაღი
25. „ნისანის“ მოდელი
26. მოხეტიალე მოცეკვავე ქალი ინდოეთში
27. ღვთისმშობლის მამა
28. ფულის ერთეული ავსტრალიაში
29. მწერი
30. ქულა ძიუდოში
31. მწვანილი
32. სასვენი ნიშანი
33. სიყვარულის ღმერთი ბერძნ. მით.
34. ქალაქი კვიპროსში
35. გემის სარემონტო ნაგებობა
36. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი
37. ერთგვარი კანფეტი
38. გეომეტრიული ფიგურა
39. სირაქლემის სახეობა

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ჯუღაშვილი; 2. ღამურა; 3. ცაგერი; 4. მინესოტა; 5. ლალი; 6. სამეგრელო; 7. გო; 8. იორი; 9. კურო; 10. კრივი; 11. იადონი; 12. მიანმა; 13. ტიტრი; 14. ორმო; 15. გერმანია; 16. აიეტი; 17. ტაქსა; 18. ესტონეთი; 19. რაი; 20. მთა; 21. ვიმპელი; 22. გემი; 23. ბოთე; 24. მოსე; 25. ბოლო; 26. კომბოსტო; 27. ჯიბგირი; 28. ტოიოტა; 29. მიამიტი; 30. ტახი; 31. სიგარეტი; 32. ნაბოლარა; 33. ჩაი; 34. მონეტა; 35. მარტი; 36. სირმა; 37. ავიაცია; 38. ტარკანი; 39. ყია.

სურათებზე: 1. ჯასტინ ტიმბერლეიკი; 2. ჯენიფერ ლოპესი.

საფერმო კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. მიწის სახნავი იარაღი; **ზ**. შორისდებული: „სიკვდილი!“ „არგადარჩენა!“ (ითქმის წყევლად).; **ა**. სამხედრო ნადავლი; **ვ**. მოგზაური, რომლის სახელიც ეწოდა ამერიკას; **ი**. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ბინძური ჰარი“; **ს*** ქართველი მომღერალი ქალი, რომელიც ოთხი წლის ასაკიდან გამოდის სცენაზე; **თ*** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება; **ვ*** დროებითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ქვეყნის მოქალაქეს სახელმწიფო ქონების მცირე ნაწილის ფლობის უფლებას ანიჭებს; **ი**. მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ს*** ლუი არმსტრონგის მეტსახელი; **ა*** კარტოფილის სამშობლო; **ო*** კენედის მკვლელის გვარი; **დ*** ქვეყანა, რომლის პრინციც იყო ჰამლეტი; **ა*** რა ერქვა პიპინია ერისთავის ნაბოლარა შვილიშვილს მხატვრულ ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“; **ბ*** ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი ქალი; **კ*** ანსამბლ „ივერიას“ სოლისტი; **ი*** აქადური (ასირიულ-ბაბილონურ) მითოლოგიისა და რელიგიის მთავარი ღვთაება; **თ*** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ხ*** საყვარელი; **ვ*** რუსი მომღერალი, პოეტი და მსახიობი; **ე*** განსწავლული ადამიანი; **ლ*** მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; **ი*** სისხლის აღრევა; **ს*** ქალაქი აფხაზეთში; **თ*** ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ვ*** მამაკაცის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ი*** მომთაბარე მონღოლთა საცხოვრებელი კარავი; **ს*** გამოცდა, გამოცდების პერიოდი უმაღლეს სასწავლებელში; **ა*** შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც ფოსტით იგზავნება; **ო*** ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ* გიქორი; **ზ*** ზვავი; **ა*** აირტონი; **გ*** გეიზერი; **ზ*** ზესნახე; **ი*** იამბიკო; **ს*** სათითე; **თ*** თხემი; **ვ*** ვასილი; **ი*** იავა; **ს*** სმეტანა; **ა*** აული; **ო*** ონისე; **ბ*** მუქთა; **კ*** კრატერი; **ი*** იორდანე; **თ*** თეირანი; **ხ*** ხაშლამა; **ვ*** ვახშამი; **ე*** ეპარქია; **ლ*** ლილეო; **ი*** იასონი; **ს*** სუმო; **თ*** თაობა; **ვ*** ვაიმარი; **ი*** იუმორი; **ს*** საკე; **ა*** ალიზი; **ო*** ოფსაიდი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ძარის მთესველი ძარიშხალს მოიმკის

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	4	6	8	1	5	9	2	3
8	5	3	7	9	2	1	6	4
1	9	2	4	6	3	5	7	8
3	6	9	2	5	1	4	8	7
4	8	5	3	7	9	6	1	2
2	7	1	6	8	4	3	9	5
5	2	8	9	4	6	7	3	1
9	3	4	1	2	7	8	5	6
6	1	7	5	3	8	2	4	9

1	7	8	2	3	6	5	9	4
9	3	4	5	1	7	2	8	6
6	5	2	8	4	9	7	3	1
4	8	3	6	2	5	1	7	9
2	9	6	1	7	8	3	4	5
7	1	5	4	9	3	6	2	8
8	4	1	3	6	2	9	5	7
3	6	9	7	5	4	8	1	2
5	2	7	9	8	1	4	6	3

4	6	8	2	9	1	3	5	7
3	2	7	6	5	4	1	9	8
5	1	9	3	8	7	4	6	2
9	5	3	1	4	2	7	8	6
2	8	4	7	6	5	9	1	3
6	7	1	8	3	9	2	4	5
8	4	2	9	7	6	5	3	1
7	9	6	5	1	3	8	2	4
1	3	5	4	2	8	6	7	9

* მარტივი

3			2				7	
7		4		5		3		1
		8	4	3			9	
5				8		4		
8		3		9		5		6
		2	7		5			3
	3			2	8	7		
9		6		7		1		2
	5				1			8

** საშუალო

5		8	1				3	6
	7		2			4		
6			5		9			8
	4	9		1	2	6		
1				6				2
		3			7	9	8	
4			3		8			7
		6			1		2	
9	3				5	8		4

*** რთული

9			8			3		
					6			9
1					2			6
	7		3	5				4
	2		9				1	
5					1		8	
7			5					8
8			6					
		4			7			5

ფოტოკუჩიოზები

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი V

და ვინჩი

15-დან 22 მარტამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!









ყურადღება: I, II, III და IV წიგნი - ვანგოგი, გოგენი, მონე და კლიმტი წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ